

თეატრი

და

ცხოვრება

მთავარი რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი
ნინო მაჭავარიანი

საკონსულტაციო საბჭო:
ნოდარ გურაბანიძე,
დავით დოიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე,
გიორგი სიხარულიძე,
რობერტ სტურუა,
თემურ ჩხეიძე.

№5, 2016
სექტემბერი-ოქტომბერი



საერთო აკადემიური
და კომერციული
სამსახური

ქურნალ „თეატრი და ცხოვრება“ რედაქტირდება
მაღლობას მოასწერებს საქართველოს
კულტურისა და მეცნიერებების სამინისტროს
ქურნალის ფინანსური მსარდელებრისთვის.

1910-1926

„თეატრი და ცხოვრება“

1950-1990

„თეატრალური მოამბე“

შემოქმედებითი კავშირი - საქართველოს თეატრალური საზოგადოება

UDC 792(479.22)

თ-391

მარინე ვასაძე — საქართველო თეატრის
კრიტიკოსთა საერთაშორისო
ასოციაციის წევრი ქვეყანა გახდა ----- 3

სეზონი დამთავრდა, სეზონი დაიწყო
(სთხ გამგეობის სხდომა)
(მოამზადა მარინე ვასაძემ) ----- 4

მანანა თევზაძე —
როგორ იბადება სპექტაკლი ----- 24

სპექტაკლები

ლაშა ჩხარტიშვილი — ლირიკული ტრაგედია
ოჯახზე და არა მხოლოდ... ----- 38
გუბაზ მეგრელიძე —
პიროვნული ღირსებისკენ მიბრუნება ----- 45
მერაბ გეგია —
ძველები უტევენ... (ორი პრემიერა) ----- 48
ნიკოლოზ წულუკიძე —
ხვალ შეიძლება გვიან იყოს ----- 54

თამარ პოკუჩიავა —
თბილისის საერთაშორისო თეატრალური
ფესტივალი 2016 (უცხოური შოუებისა) ----- 56
მაკა ვასაძე — თბილისის საერთაშორისო
თეატრალური ფესტივალი 2016-ს ქართული
სპექტაკლების პროგრამა ----- 63
ლელა ოჩიაური — გვეგოჟ ბრალის
სიმღერები და პორტრეტები ----- 67

იუგილე

გიორგი (უორა) რატიანი ----- 73
ნოდარ გურაბაძიძე —
სამყარო თეატრალის თვალით ----- 74

ახალი ციბნები

ახალი წიგნები ----- 87
გოჩა კაპანაძე —
ლიკა ჭავჭავაძის გახსენება ----- 88

გამოთხვება

ნუგზარ ლორთქიფანიძე ----- 89
ლადო მექვაბიშვილი ----- 90
საბავშვო არტისტი ----- 91
ჯემალ ქირია ----- 92

Marine Vasadze - Georgia became the member of
International Assotiation of theatre critics ----- 3

The Theatre season is finished, the Theatre season is
starting (Georgian Theatre Society's Session)
(prepared by Marine Vasadze) ----- 4

Manana Tevzadze -
How originates the performance ----- 24

PERFORMANCES

Lasha Chkhartishvili -
Lirical tragedy about family and not only... ----- 38
Gubaz Megrelidze -
Turning back to the personal dignity ----- 45
Merab Gogia -
Old's are attacking (two premieres) ----- 48
Nikoloz Tsulukidze - Tomorrow might be late ----- 54

Tamar Bokuchava - Tbilisi International Festival of
Theatre 2016 (foreign showcase) ----- 56

Maka Vasadze - Tbilisi International Festival 2016
(Georgian performances) ----- 63

Lela Ochiauri -
Grzegorz Bral's songs and portraits ----- 67

ANNIVERSARY

Giorgi Ratiani ----- 73

Nodar Gurabaniidze - The World in the Eye of the
theater-goer ----- 74

NEW BOOKS

New Books ----- 87

Belated Esse (Lika Tchavtchavadze) ----- 88

OBITUARY

Nugzar Lortkifanidze ----- 89

Lado Meqvabishvili ----- 90

Children's artist (Tsisia Elisashvili) ----- 91

Jemal Qiria ----- 92

საქართველო – თეატრის პრიზიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ზევრი

თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაცია შეიქმნა 1956 წელს საფრანგეთის თეატრის პროფესიონალ კრიტიკოსთა კავშირის ინციდატივით. ასოციაციის დამფუძნებელ სხდომას ხელმძღვანელობდნენ იმდროინდელი კულტურის მინისტრი გი მოლე და ცნობილი თეატრალური მოღვაწე, კრიტიკოსი და მწერალი ანდრე კამპი. ასოციაციის პირველი წევრი ქვეყნები გახდნენ: საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, გერმანია და ესპანეთი.

1971 წლიდან ასოციაციას ოფიციალურად მიენიჭა იუნესკოს საკონსულტაციო ორგანოს სტატუსი. დროთა განმავლობაში თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაცია მსოფლიოში ყველაზე პრესტიულ პროფესიულ გაერთიანებად იქცა. მისი წევრები მონაწილეობენ მსოფლიო თეატრში მიმდინარე პროცესებსა, თუ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებში, როგორიცაა საერთაშორისო კონგრესები, ფესტივალები, თეატრალური ჯილდოები, საუნივერსიტეტო ცხოვრება და ა.შ. თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის მრავალწლიანი საქმიანობა თეატრალურ სამყაროში მაღალი პროფესიონალიზმის, გამოცდილებისა და ურთიერთთანამშრომლობის საუკეთესო მაგალითად არის აღიარებული.

თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის კონგრესი ირ წელიწადში ერთხელ, რა თქმა უნდა, ასოციაციაში გაერთიანებულ ქვეყანაში იმართება. წელს ასოციაციის ოცდამერვე კონგრესს ბელგრადის საერთაშორისო ფესტივალში უმასპინძლა. კონგრესს ორმოცდასამი ქვეყნიდან ჩამოსული ასამდე დელეგატი ესწრებოდა. კონგრესის ფარგლებში გაიმართა სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე „სიახლე და მსოფლიო თეატრი“, სადაც ირინა ლოლობერიძემ გააკეთა პლენარული მოხსენება — „სიახლე არასდროს გულისხმობდა გლობალურ უარყოფას - თეატრი არასდროს ყოფილა გოდოს მოლოდინში“. გენერალურ ასამბლეაზე, რომელსაც კონგრესის ერთი დღე დაეთმო, საორგანიზაციო საკითხებთან ერთად ჩატარდა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზენტები, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ, მორიგი კონგრესის დროს იმართება. კომიტეტი, სტატუსის თანახმად, ასოციაციის პრეზიდენტის ქვეყნისა და ათი წევრი ქვეყანის წარმომადგენლისგან კომპლექტდება. ამგვარად, 2016-2018 წლის კომიტეტში შევიდნენ შვედეთის (პრეზიდენტი, ქალბატონი მარგარეტა სორენსონი), საფრანგეთის, ამერიკის შეერთებულ შტატების, იაპონიის, ინდოეთის, სერბეთის, კანადის, ნიგერიის, ჩინეთის, პოლონეთის და საქართველოს წარმომადგენლები. საქართველომ ლია კენჭისყრის წესით, კონგრესში მონაწილე ორმოცდაორი ქვეყნის წარმომადგენელის ოცდათვრაშეტი ხმა მოაგროვა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო იყო პირველი პოსტ-საბჭოთა ქვეყანა, რომელმაც ასოციაციაში გაერთიანების სურვილი გამოთქვა. 1991 წლის დასაწყისში, პარიზში, აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე საქართველო ასოციაციის იმდროინდელმა პრეზიდენტმა ბატონმა ანდრე კამპანია წარადგინა. მთელი რიგი მიზნებისა და სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო საქართველოს წევრობა არ შედგა. თუმცა, წლების მანძილზე საერთაშორისო ასოციაციასთან აქტიურად თანამშრომლობდა 1990 წლიდან მისი ინდივიდუალური წევრი, ხელოვნებათმცოდნების დოქტორი, თეატრმცოდნების ირინა ლოლობერიძე.

2009 წელს ქართული თეატრის შოუქეის ს წევრია ასოციაციის პრეზიდენტი, ამჟამად სეულის ეროვნული თეატრის აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი იუნ ჩილ კიმი. 2010 წელს თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ხელშეწყობით ჩატარდა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის კაბინეტის სხდომა, რომელსაც 12 ქვეყნიდან ჩამოსული წამყანი კრიტიკოსი დაესწრო. საქართველოს განევრიანების საკითხი კომიტეტმა ერთხმად გადაწყვიტა და შეიქმნა ეროვნული სექცია. მას აქეთ საქართველოს სექციის წევრები უცხოელ კოლეგებთან ხაყოფიერად თანამშრომლობენ. ტრენინგებზე, პოლონეთში (ვარშავა, ვროცლავი), ბულგარეთში (ვარნა), რუმინეთში (კულუჟი), თურქეთში (სტამბოლი) გაიგზავნა რვა ახალგაზრდა სტაუიორი-თეატრმცოდნები თბილისიდან: ანანო მირიანაშვილი, ნინო კენჭაძე, თეა კახიანი (ორჯერ), ნუცა კობაიძე, გვანცა გულიაშვილი, მაია ყანჩელაშვილი; ბათუმიდან: ნინო ჩხაიძე, ვალერი ოთხოზორია. ამ თვალსაზრისით მოვიკოჭლებთ. ჩატარდა ოთხი საერთაშორისო სიმპოზიუმი - „თეატრი-მაყურებელი-კრიტიკა“: „ბერმუდის სამუთხედი, თუ წმინდა სამება“, „21-ე საუკუნე: აღმოსავლეთ ევროპის თეატრი დროსთან და დროის წინააღმდეგ“, „შექსპირი ჩემს ქვეყანაში“. მოეწყო მრგვალი მაგიდა თემაზე: „ეთიკიდან პრაქტიკამდე: თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის კოდექსი“, გაიძართა დისკუსიები ქართული შოუქეისის სპექტაკლების ირგვლივ, გამომცემლობაში „კენტავრი“ დაიბეჭდა ოთხივე სიმპოზიუმის მასალები. უცხოურ პროფესიულ პრესები გამოქვეყნდა სამეცნიერო, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები ქართულ და უცხოურ თეატრზე.

თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექციაში გაერთიანებულია თოთხმეტი წამყანი თეატრმცოდნები, თეატრის კრიტიკოსი და აქტიური თეატრალური უურნალისტი.

მარინა ვასაჩი

სეზონი დამთავრდა, სეზონი დაიწყო

(საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის სხდომა)

20 სექტემბერს საქართველოს თეატრალური საზოგადოების მსახიობის სახლში გაიმართა თეატრალური საზოგადოების გამგეობის სხდომა. დღის ნესრიგში გახლდათ „2015-16 წლების თეატრალური სეზონის შეჯამება“.



გამგეობის სხდომა გახსნა თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარებელის კავთარაძემ. იმის გამო, რომ გამგეობის წევრები სრულად არ იყვნენ წარმოდგენილი, გ. ქავთარაძემ დასვა სხდომის გადადების საკითხი. ამ თემაზე მკვეთრი პოზიცია გამოხატა თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ სანდრო მრევლიშვილმა.

— სად არიან გამგეობის წევრები, თეატრების ხელმძღვანელები, რეჟისორები, მსახიობები? — კითხულობს სანდრო მრევლიშვილი და დასტენს: — ვის უნდა შევუჯამოთ სეზონი?

სანდრო მრევლიშვილი კატეგორიულად მოიხსენებს ჩაიშალოს გამგეობის სხდომა.

საპირისპირო მოსაზრება დააფიქსირებს თეატრმცოდნენ მაკავასაძემ, მწერალმა გურამ ბათიაშვილმა და სთს იმერეთის განყოფილების თავმჯდომარებელ ლევან რობერძემ. თავიანთ მოსაზრებას იმით ასაბუთებდნენ, რომ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ რეგიონებიდან და მოვიდნენ თბილისის თეატრების წარმოშადებები.

კენჭისყრის შედეგად გადაწყდა სხდომის ჩატარება. პირველი სიტყვით გადაწყდნენ, რომ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ რეგიონებიდან და მოვიდნენ თბილისის თეატრების წარმოშადებები.

კენჭისყრის შედეგად გადაწყდა სხდომის ჩატარება.

პირველი სიტყვით გამოდის თბილისის აზერბაიჯანული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვარლამ ნიკოლაძე: - მეგობრები, როდესაც საქართველოში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი, ვიყავი ამ საზოგადოების წევრი. 25 წლით საქართველოში არ ვიმუშოფებოდა. ოთხივე თვეა, რაც ჩამოვედი და ამ ოთხი თვეს განმავლობაში საოცარ ჩხუბში ვარ აქაურობასთან. კულტურის სამინისტროს ინიციატივით ჩამ-

ოვედი და ისეთ მდგომარეობაში მომინია ყოფნა, რომ ვის მივმართო, აღარ ვიცი, დავიბენი. დიდი იმედი მქონდა, რომ დღეს აქ მოვიდოდი, ჩემ გულისტკივილს გაგიმხელდით, ეს ხომ მარტო ჩემი გულისტკივილი არ არის, ეს საქართველოს თეატრის გულისტკივილია, რაც დღეს ხდება იქ, სადაც მე ვარ. მე მგონია, რომ



თეატრალურმა სამყარომ უნდა აიღოს ის მძიე ლოდი, რომელიც სირცევილად აწევს და ის სამარცხვინო ამბები როგორმე მოაგვაროს, მაგრამ ჯერჯერობით ვერავითარ ძრას ვერ ვხედავ. მოკლედ გეტყვით. ამ თორმეტი წლის წინა თბილისში განახლდა აზერბაიჯანული თეატრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელადაც ჩამომიყვანეს. აზერბაიჯანული თეატრის შენობაში ცხოვრობს 20 ოჯახი, პრივატიზებული აქვთ ბინები, შეგნით ოთხი პრივატიზებული სანარმოა და შენობის 3200 კვ. მეტრიდან დღეს თეატრს დარჩა 800 კვ. მეტრი. ამ 800 კვ. მეტრიდან ელექტროგაუყანილობა, რაც კი რეინის და სპილენის მავთული იყო, ჩაბარებულია ჯართში ან გაყიდულია. ჩვენ რომ, უკაცრავად, რუსულად „გრუზ“ ექანით სიმძიმებს, რომ დეკორაცია არ წაიქცეს, 1 ტონა დაახლოებით, ისიც ჩაბარებულია. არ არის ელექტროგაუყანილობა, არ არის სველი წერტილები, ზევით მაცხოვრებლებიდან ხანდახან ჩამოდის წყალი და ჩვენი იატაკი ამ პატარა ადგილას, რაც კი დარჩა, ამობურცულია. მოკლედ, საშინელი სიტუაციაა. თეატრის წლიური ბიუჯეტი არის სასაცილო — 160 ათასი ლარი. მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ქართველ კრიტიკოსებს, განსაკუთრებით თეატრის კრიტიკოსებს და კარგად მასხოვს, რა შევენიერი ურთიერთობა იყო თავის დროზე, როდესაც ქ-ნი ნათელა ურუშაძე, ვასილ კიკნაძე, დავით მელუხა, მერაბ გეგია და სხვები გვეკამათებოდნენ, ჩვენ სპექტაკლებს ვასხორებდით, ვსწავლობდით. დღეს არ ვიცი, რა უნდა დამინეროს მერაბ გეგიამ, იმ დანგრეულ შენობაში მე რომ „დარისპანის გასაჭიროს“ მოვამზადებ. დარისპანის როლი მივეცი თურქეთში ჩემს მიერ გაზრდილ მსახიობს ნეჯათი ზენგინს, რომელიც თურქულად ითამაშებს და მართას როლს თქვენთვის კარგად ცნობილი ლაურა რევორაშ-

ვილი ითამაშებს ქართულად. ეს თეატრი ქართული თეატრის ნაწილია, იმიტომ რომ ქართულ მიწაზეა და იმიტომ, რომ თბილისშია. მერე რა, რომ აზერბაიჯანულ ენაზე ლაპარაკობს. ხანდახან ქართულ ენაზედაც ავალაპარაკებთ. ახლა მყავს ერთი-ორი აზერბაიჯანელი დრამატურგი, რომელთაც საკმაოდ სერიოზული პიესები დაწერს. ქართულად რომ ვთარგმნო და ქართულად დავდგა აზერბაიჯანულ თეატრში, არ შეიძლება?! აზერბაიჯანული კულტურა რომ ქართულ ენაზე გავაცოცხლო, ხოლო ქართული კულტურა აზერბაიჯანულ ენაზე გავაცნო აზერბაიჯანელებს, — ვის მივმართო, ვის უთხრა?!

ლევან როვაძე (საქართველოს თეატრალური საზოგადოების იმერეთის განცოფილების თავმჯდომარე) — მოგესალმებით, ძვირფასო დებო და ძმებო! პირველ რიგში, ხვალ ღვთისმშობლობა. გილოცავთ გვფარავდეს ღვთისმშობლის მადლი.

აბა, იმყოფებოდეს ახლა რომელიმე დეპუტატობის კანდიდატი და პარლამენტის წევრი, თუ არ იქნებოდნენ ამ სხდომაზე, ნახავდით! რაც შეეხება გამგეობას. გიორგი სიხარულიძე

ვერ ჩამოვიდა, რადგან პრემიერის მზადების ჰერიოდი აქვს. რაც შეეხება დანარჩენი გამგეობის წევრებს, მოიხვიერ და დაელაპარაკეთ იმ ხალხს. აქვე ხართ, ერთმანეთს არ ეკონტაქტებით და ჩვენთან რა გინდათ?! ჩვენ კიდევ ჩამოვალთ. რაც შემეხება მე, მერვე ფესტივალს დავიწყებ. არავის დაბადების დღე და არავის გაჭირვება არ გამომპარვია და არ გეგონოთ, ამას იმერეთის ორგანიზაციის სახელით ვაკეთებ, საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით. თუკა საფესტივალო სიტუაციები მოვაგვარე როგორც საჭიროა, დაწყებული გუბერნატორიდან, მათავრებული სამხებაროა დამინისტრაციით, სხვა ბევრი საკითხიც მოგვარულება. ამიტომ მოგვეცით უფლება ვიმუშაოთ. ბატონი გიორგი, რადგან ჩვენი შენობა თქვენს ბალანსზეა, არ გვაძლევნ რემონტის უფლებას. უფლება მომეცით, ხელშეკრულებას დავუდებ, გადავხურავ და მე ჩავატარებ სარემონტო სამუშაოებს. რაც შეეხება დღევანდელ შეკრებას, არ არსებობს უპასუხისმგებლო რეჟისორი, მსახიობი თუ გამგეობის წევრი, მაშინ ისინი ყოფილან ჩვენი მტრები. საქმაოდ არის ის ხალხი, ვისაც გული შესტკივა თეატრალურ საზოგადოებაზე. და ვინც დღეს არ არის, აღვრიცხოთ ხალხი და ვინც არ გინდა? ჩვენ გვინდა. როგორ შეიძლება ეს?! არაფერი გაუკეთებელი აქ არ არის. ამდენი თეატრმცოდნე, ამდენი მსახიობი, ამდენი ხელმძღვანელი არ არის, ისინი აღვრიცხოთ და ჩვენ მოგვეცით მუშაობის

საშუალება. არ გინდა თეატრალური საზოგადოება, მაშინ თეატრალური მოღვაწე არა ხარ.

სეზონის შეჯამების პირველ სიტყვას ამბობს თეატრმცოდნე მერაბ გეგია — მოგესალმებით, მეგობრები! უნდა ვალიარო, რომ ის ენთუზიაზმი, რაც კრიტიკოსს აქვს, როდესაც მას ტრიბუნას აძლევენ, მე ამჟამად არ გამაჩინია.

ჩემი ალქმით, ქართულ თეატრში შეინიშნება ისეთი უარყოფითი ტენდენციები, რომ ზოგჯერ უიმედობა მიპყრობს ხოლმე. შეიძლება ვინმე შემეკმათოს, ერთი თეატრალური სეზონის მიხედვით ასეთ შორს მიმვალ დასკვნებს როგორ აკეთებო? არა, ბატონებო, წლევანდელი თეატრალური სეზონი წვეთი წყალივით ჰგავს, სულ ცოტა, განვლილ 10 თეატრალურ სეზონს მაინც. მე უარყოფით ტენდენციებზე მაქვს საუბარი, თორებ ქართველების არტისტიზმი, რასაც ყველა აღიარებს, არსად გამქრალა. ის, რომ ქართულმა რეჟისორულმა აზროვნებამ მწვერვალები დაიპყრო, არც ამაზე დავობს ვინმე. მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ რეჟისორები დგამენ არა დრამატურგს, არამედ საკუთარ ფანტაზიას ამა თუ იმ დრამატურგის ირგვლივ და თანაც ისე, რომ სპექტაკლში დრამატურგის არც გრძნობათა ბუნება, არც ფილოსოფიური ხედვა, არც მორალური თუ სოციალური მოტივები შენარჩუნებული არ არის. ასეთი სპექტაკლები სრულიად დაცლილია საზოგადოებრივი პათოსისაგან, არ გააჩნია სათქმელი, არ გააჩნია რაიმე ტკივილი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ, არ გააჩნია მოქალაქეობრივი სულისკვეთება. და აი შედეგიც რეჟისორები და მსახიობები ტოვებენ თეატრს და პოლიტიკაში მიღიან. საკითხავია, რატომ? განა სცენა ნამით ჩამოუკარდება პარლამენტის ტრიბუნას? განა დავით ერისთავის „სამშობლოს“ დადგმით უფრო მეტი არ ითქვა, ვიდრე კველა ქართულ პოლიტიკურ შეკრებაზე, ერთად ალბული? განა მარჯანიშვილის „ცხვრის წყაროშ“ უფრო მეტი რეზონანსი არ გამოიწვია, ვიდრე ამას რომელიმე კომუნისტური პროპაგანდა მოახერხებდა პოლიტიკური დებატების ჩათვლით? განა რობერტ სტურუას „ყვარყვარემ“ ყველა პოლიტიკოსზე უკეთ არ ამხილა კომუნისტური რეჟიმის „ყვარყვარიზმი“?

რატომ გაქრა ქართული სცენური ფიცარნაგებიდან დრამატული ნაწარმოების ფაბულა და შესაბამისად, დრამატული სიუჟეტი? რატომ დაიკარგა სიტყვა, როგორც მაყურებელზე ზემოქმედების უმძლავრესი იარაღი? განა ვერიკო ანჯაფარინის ივლითის მიერ ამოთემული „სტყუი, რაბინო!“ ეტალონი არ არის თეატრალური ეგზალტაციისა და აქტიური პროტესტი რელი-



გიური ფანატიზმის მიმართ? განა ოთარ მელვინეთუშუცესის მიერ წარმოთქმული ნიკოლოზ პირველის სიტყვები – „იმპერიაში სიმშვიდე სუფეს, ბატონებო!“ უფრო მეტს არ აბინძდა კომუნისტური რეჟიმის შესახებ, ვიდრე ყველა დისიდენტის ნახერი, ერთად აღებული? განა რეჟისორული „ტრიუკები“ შეედრება ასეთ მისტიკურ-თეატრალურ წამებს?

ცხადია, მე აქ თეატრალურ შედევრებზე მაქვს ლაპარაკი და ასეთი სასახულები თეატრში იშვიათად ხდება. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ცოტა ვინმე თუ ცდილობს, რომ გაიმეოროს ეს სასწაული, და თუკი ცდილობს, მხარდაჭერის ნაცვლად დებულობს შემწყნარებლურ ღიმილს, ან კი უფრო უარესს, დაცინვასაც კი.

სათქმელს ვინ ჩივის, მეგობრებო, ქართული სცენიდან ამბავიც გაქრა. რომ არ იცოდე, რა პიესა იდგმება, პიესის სიუჟეტი რომ არ იცოდე, ისე დამთავრდება სპექტაკლი, რომ ვერასოდეს გაიგებ ვინ წავიდა, ვინ მოვიდა, ვინ შეიყვარა, ვინ შეიძლო, და საერთოდ, რა მოხდა, რა კონფლიქტია, რა დაპირისპირებაა. რამ გამოიწვია თეატრის კლასიკური პროცედების ასეთი ნიკილიზმი?! ფაბულა და პერსონაჟი, დრო და სივრცე ხომ იყო და დღესაც არის თეატრის არსი-არსთავაგანი. და რა გასაკვირია, რომ ასეთ მიდგომას აუცილებლად მოყვება ქართული დრამატურგის სრული დეგრადაცია. ამასთანავე, ფაბულის უარყოფა თავისთავად გულისხმობს ჰერსონაჟის უარყოფასაც, რადგან თუკი მე არ ვიცი ამბავი, ვერასგზით ვერ აღვიქვამ ჰერსონაჟს. ხოლო ჰერსონაჟის უარყოფას აუცილებლად მოყვება სამსახიობო ხელოვნების გაუფასურება, რისი მოწმენიც ჩვენ ყველანი ვართ. ეს არის აბსოლუტური კატასტროფა. ამიტომაც რა ხდება, იცით, თეატრებში? რეჟისორები დგამენ ყველასათვის წაცნობ პიესას ან ისტორიულ ამბავს, ზედმინევნით მოარულს და მსახიობების შემწეობით სცენაზე წარმოსახავენ თავის დამოკიდებულებას ამ ისტორიის მიმართ. ანუ რეჟისორი არის დაკავებული მხატვრული გამომგენებლობით და ამის გარდა არავინ და არაფერი აინტერესებს. ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, აღარ წარმომქმედიან სამსახიობო ავტორიტეტები, მსახიობის გაზრდა, მსახიობის რეინტინგის ამაღლებაზე ზრუნვა, მსახიობისათვის ძეგლის დადგმა, არ შემეშინდება ამ სიტყვის, აღარ ხდება. ძეგლს უდგამენ მარტო რეჟისორის. რა ვენა ახლა, ვამტკიცო ისედაც ცნობილი ჭეშმარიტება, რომ არ არის რეჟისურა ერთადერთი ფასეულობა დრამატულ თეატრში-მეტეი? სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ დრამატურგის მიმართ ასეთ ნიკილიზმს, როგორიც დღეს ქართულ თეატრშია, მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. შედით ინტერნეტში და ამაში თავად დარწმუნდებით.

სამწეულაროა, რომ კულტურის სამინისტრო სრულიად ინდიფერენტულია ამ პროცესების მიმართ. არადა, იგი უნდა იყოს სწორედ ის ორგანო, რომელიც დირიქორობას უწევს მოვ-

ლენებს და ტენდენციებს, თამაშობს მებალის როლს, ახარებს სასარგებლოს და უარპეყოფს არასასურველს. სწორედ მან უნდა შეუწყოს ხელი სასარგებლო ტენდენციების დანერგვას, მოახდინოს საუკეთესო შემოქმედებითი ძალების სელექცია. აბა პრემია „დურუჯის“ მესვეურებს ვერ მოვთხოვ პასუხს, რატომ აძლევს, ვთქვათ, რეჟისორს საპრემიო თახის 80%-ს, დანარჩენ 20%-ს კი ანანილებს დრამატურგზე, მსახიობზე და ასე შემდეგ...

სანდორ მრევლიშვილი – პრემია „საპარ“ საერთოდ უარყო დრამატურგია, უკვე მესამე დაჯილდოებაა.

მერაბ გეგია – ვერც მაგათ დავადანაშაულებთ. დრამატურგია არ არის ვიწრო ლიტერატურული უანრი. დრამატურგიის მოვლაზე პირველ რიგად უნდა იზრუნონ თეატრებმა და კულტურის სამინისტრომ.

ნუთუ, ვინმე ფიქრობს, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად გვაქვს, ყველაფერი ავანწყეთ, სანიმუშო სახელმწიფო შევქმნით და უკვე შეგვიძლია ფეხი ფეხზე გადავიდოთ, შოუები და რევიუები ვმართოთ, ტიტლიკანა ლამაზი გოგო-ბიჭები გამოიყვანოთ სცენაზე და ეს იქნება საკამარისი იმისათვის, რომ ქართული თეატრი გვერქვას?! იმდენი სატკივარი დაგვიგროვდა და იმდენი სათქმელი გვაქვს, ისეთი მძიმე ეკონომიკური და მორალური სურათია ქვეყანაში, რომ დღედაღამ მის ასახვაზე უნდა ზრუნავდეს ქართული თეატრი! ვერ ხედავთ საქართველოში რა ხდება? ჩაიარეთ რუსთაველის გამზირზე და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხელგაბერერილ ადამიანებს გადაეყრებით. სადგური ჩვენი რელიგიური მრნამსი, სად არის ჩვენი შეხედულება ცხოვრებაზე, სად არის ჩვენი სიბრძნე და ლოიალობა, წარსულში ესოდენ გავრცელებული საქართველოში. რატომ დაკარგეს რეჟისორებმა ყოველებგვარი სურვილი იაზროვნონ და სცენაზე, ერის წყლულები ასახონ?

პირდაპირ გეტყვით. რომ არა რობერტ სტურუას მიერ დადგმული „დაკანონებული უკანონობა“, ჩვენ, ფაქტობრივად, პრობლემა-ტიკის ვაკუუმში ვიყავით მოქცეულნი. ქართული რეჟისორის ლიტერატურა პრეცედენტი შექმნა იმისა, როგორ არის შესაძლებელი გლობალური თემატიკა მიუახლოვო ეროვნულ პრობლემატიკას. ჟო, დიახ, რობერტ სტურუა მეტისმეტად ფრიგოლურია დრამატურგიული წანარმოებების მიმართ, მაგრამ მან ამის უფლება მოიპოვა საკუთარი თეატრალური სტილის შექმნით. როდესაც ამის უფლებას თავის თავს აძლევს ყველა რეჟისორი, სტატი თუ დებიუტანტი, ეს საგანგამოა, მეგობრებო!

თავის დროზე, ანტონენ არტომ ლიტერატული საწყისის უარყოფა დააპირა დრამატულ თეატრში და მანიფესტიც კი შექმნა სახელწოდებით „სისასტიკას თეატრი“. ეს იყო უკადურესი მოდერნიზმის პერიოდი და მასში მთლიანად უგულვებელყოფილი იყო თეატრის

საზოგადოებრივი დანიშნულება. გამონაკლისის წესით ამის სანინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს. სხვათა შორის, გასულ სეზონში ნიკა საბაშვილს მივეცით საუკეთესო რეჟისორის პრემია სპექტაკლში, სადაც ქართული სიტყვა საერთოდ არ გაუღერებულა. სცენიდან გაისმა ერთი-ორი გერმანული და ერთი-ორი ებრაული სიტყვა და ამით დასრულდა ყველაფერი. გამომგონებლობაზე და სცენურ ტრიუებზე იყო აგებული სპექტაკლი. მაგრამ ჩვენ გავეცით პრემია საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის იმიტომ, რომ მასზე უკეთესი სხვა არაფერი გაკეთებულა. საერთო პანორამაში ეს სპექტაკლი რეჟისორის თვალსაზრისით მართლაც საუკეთესო იყო.

შეკრებილთა უმრავლესობამ შესანიშნავად ვიცით, რა სიტუაცია არის თანამედროვე ქართულ თეატრში. ისეთი ვინწრო წრესავით შეკრება გამოგვივიდა, რომ ჩვენი ნახევარი სიტყვა არის საკმარისი, რომ ერთმანეთს გავუგოთ. როგორც ბატონმა სანდრო მრევლიშვილმა ბრძანა, ცალკეულ გამონათებებს თუ არ გავითვალისწინებთ, ქართულ თეატრში ძალიან სერიოზული კრიზისია. სხვათა შორის, არა ისეთი კრიზისი, რომლის გამოსწორება შეუძლებელია, თუკი ასეთი ნება იარსებებს. დღევანდები შეკრებაც შეიძლებოდა ყოფილობით ამ ნების გამომხატველი ნაბიჯი, მაგრამ მან, სამწუხაროდ, სასურველი მასშტაბი ვერ შეიძინა.

თუკი ვაჭარბებ, ბოდიშს ვიხდი ყველას წინაშე. აგერ, ახალგაზრდებიც მისმენნ. არ ვიცი, მეთანხმებიან თუ არა. მათ შორისაა ლაშა ჩხარტიშვილი, რომელმაც თავის დროზე მიუთითა რობერტ სტურუას ზოგიერთ ნაკლოვანებაზე, რასაც თეატრის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა, მაგრამ ბოლო ნამუშევრის მიმართ აღფრთვაზება გამოხატა. ეს იმის მანიშნებელია, რომ იგი ნამდვილად ცდილობს იყოს მიმიტური. თეატრალურ კრიტიკას არ ძინავს ბატონებო, დამერნიშვინებო, მაგრამ კრიტიკა რის მაქნისია, თუკი მასზე არ რეგისტრებინ არც თეატრებიდა არც ხელისუფლებაში მყოფია. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ – ახალგაზრდა თაობაც, საშუალოც, ასაკოვნებიც, რომ ქართული თეატრი გამოვაჭინობით, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერ ხერხდება. ჩემს გამოსვლას დავასრულებ გალაკტიონის სტრიქონებით: „მიდის იპერა „ლაკმე“, ბუტაფორის შეხლა! განა ეს არის საქმე? მე სულ სხვას ვფიქრობ ეხლა...“

მაკა ვასაძე (თეატრმცოდნე) - მოგესაალმებით, კიდევ ერთხელ. ბატონო სანდრო, არ დაგეთანხმეთ განხილვის გადადების საკითხში, ვინაიდან იმ ადამიანებს, ვინც მოვიდნენ, აინტერესებთ ჩვენი აზრი. შეკრების მიზანიც ეს იყო: თქვენი და საქართველოს კრიტიკოსთა კავშირის ეგიდით - თეატრმცოდნების, კრიტიკოსების აზრი გაგვეზიარებინა მათვის. მე, საქართველოში არსებულ სათეატრო ფესტივალებზე უნდა გამეკეთებინა მოხსენება. ბა-



ტონ გოგის, ქალბატონი ირინას, ბატონ მერაბს, ნიკოლოზს და ლაშას - სეზონი შეეჯამებინათ, ესაუბრათ იმ ტენდენციებზე და იმ პრობლემებზე, რაც დღეს ქართულ თეატრში არსებობს. მომხსენებლებმა მოვილაპარაკეთ, რომ ოპონირების, დიალოგის რეზიმში წარვმართავდით ჩვენს გამოსვლებს. ვინაიდან, დღევანდელი შეკრება ემოციური მუხტითაა აღსავსე, ჩემს მიერ მომზადებული ფესტივალების მიმოხილვას გვერდით გადავდებ და ბატონ მერაბ გეგიას ოპონირებით დავიწყებ. ბატონმა მერაბმა, ცოტა არ იყოს, მუქ ფერებში დაგვიხატა დაეგანდელი ქართული თეატრი და ვერაფრით დავეთანხმები. განსაკუთრებული ნიილიზმი გამოთქვა ახალგაზრდების მიმართ. გამცლილი სეზონიდან, მხოლოდ რობერტ სტურუას „დაკანონებული უკანონიბა“ გამოარჩია, როგორც ერთეული შემთხვევა და გულისტყივილით აღინშნა, რომ საქართველოს სხვა თეატრებში, არანაირი განვითარება, სიახლეები, საინტერესო პროცესები არ მიმდინარეობსო. ბატონი რობერტის სპექტაკლს რაც შეეხება, მეც ვთვლი, რომ ეს წარმოდგენა გასული სეზონის ერთ-ერთი მოვლენაა (ამის შესახებ არაერთხელ აღმინიშნავს რადიოსა თუ ტელევიზიონი, რეცენზიაც მაქს დაწერილი), მაგრამ არა ერთადერთი.

ბატონი სანდრო, მერაბდენე თეატრი შექმნით? მგონი მეოთხე? სათეატრო კრიტიკოსებმა უურნალთან - „თეატრი და ცხოვრება“ - ერთად შევაჯამეთ კიდევც თქვენი თეატრის და მისი ახალგაზრდა მსახიობების მოღვაწეობა. უურნალში „თეატრი და ცხოვრება“ უკვე დაბეჭდა ამის შესახებ. მე ვთვლი, რომ ეს მოვლენაა, იმიტომ რომ თქვენ, თეატრის ახალი მისამართის არსებობით, ახალგაზრდა თაობას მუშაობის საშუალება მიეცით. საშუალება იმისა, რომ თავიანთი ნამუშევრები წარადგინონ მაყურებლის წინაშე. ახლა, რაც შეეხება რეგიონულ თეატრებს. ბატონი სოსო (სოსო ნემსაძე, გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი), წელს თქვენმა სპექტაკლმა - „ალუბლის ბაღი“ - აილო საქართველოს თეატრალური საზოგადოების მთავარი ჯილდო - გრანტირი, ეს, იმას წიშნავს, რაც ახსენა კიდევც ბატონმა მერაბმა, რომ თბილისიდან რეგიონებში გადაინაცვლა: ახალმა ტენდენციებმა, ახალმა მიმართულებებმა, ძებებებმა. ბალიან კარგი სპექტაკლია. ბატონი მერაბ თავაძე ესწრება გამგების სხდომას და მინდა გიორგი ბატონით, რომ სამეფო უნის თეატრი ჩემთვის არის სამაგალითო თეატრი, იმიტომ რომ იქ თეატრალური უნივერსიტეტის (გიზო უორდანისა სახელოსნო) დამთავრებისათანავე, ახალგაზრდა, ძლიერი, ნიჭიერი თაობა მივიდა და კარგად მოღვაწეობს. რა თქმა უნდა,

იცით, რომ ეს თეატრი ბატონი მერაბ თავაძისა და ქალბატონი იზა გიგოშვილის შექმნილია, მაგრამ მივიდა ახალგაზრდა თაობა, რომელმაც თავის სიტყვა უკვე თქვა და კიდევ იტყვის. დათა თავაძის სპექტაკლი - „ტროელი ქალები“ - ვთვლი, რომ ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლია, უახლეს ქართულ სათეატრო სივრცეში. უკვე ვთქვი და გავიმეორებ, ამ სეზონზე რუსთაველის თეატრმა, ეს ბატონმა მერაბ გეგიამ აღნიშნა, 137-ე სეზონი არაჩვეულებრივი სპექტაკლით - „დაცანონებული უკანონბა“ - დახურა. მარჯანიშვილის თეატრმა - ლევან წულაძემ, ბატონ გურამ ბათიაშვილთან, ვატონ კახიძესთან, გია მარლანისასა და მსახიობებთან ერთად, სეზონის ბოლოს ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი - „Begalut - უცხოობაში“ - შექმნა. ვთვლი, რომ ესეც მოვლენაა. ბატონი გურამ ბათიაშვილი აქ გახლვთ, სწორედ მან მიამბო, როგორ იქმნებოდა ეს წარმოდგენა. ძალიან ცოცხალი, ქმედით, იუმორითა და დრამატიზმით აღსავს ამბავი შექმნა. დარმატურგიულ მასალაზე დაყრდნობით რეჟისორი თეატრალური, პირობითი ენით გვიამბობს ორი ერთაული ოჯახის ცხოვრებაზე და ამ კონკრეტულ მაგალითზე, ზოგადად ცხოვრებისეულ პრობლემებზე, ადამიანთა ურთიერთობებზე, სიყვარულზე, ლალატზე, სიკეთესა და ბოროტებაზე გვესაუბრება. და რაც მთავარია, ახალი სტილისტიკა შემოვიდა ქართულ თეატრში. ეს არ გახლავთ, არც ფიზიკური თეატრი, არც საცეკვაო თეატრი, არც პანტომიმა და ა. შ. ბატონი გურამი მიყვებოდა, რეპეტიციებზე - სიტყვა -ნელ-ნელა საერთოდ როგორ გაქრა. ლევან წულაძემ იქ მხოლოდ დოსტოევსკის წერილის ერთი ფრაგმენტი გაახმოვანა (ახლა, ვფიქრობ, რომ თეატრალური ხელოვნების, ახალი ენის შექმნის თვალსაზრისით ესეც არ იყო საჭირო. ისედაც გასაგები და ნათელია რეჟისორის კონცეფცია და გულისა თუ სულის ტკივილი). ეს, დრამატული თეატრის პრინციპებზე აგებული არავერბალური თეატრის საუკეთესო ნიმუშია. ანუ, არავერბალური, სხეულის და ემოციის ენით შექმნილი თეატრის საუკეთესო ნიმუში. პირადად მე, აღფოთოვანებული ვარ.

უან ჟენე პირველი დაიდგა საქართველოში, სამეფო უძნის თეატრში. სამი მსახიობი, სამი ვარსკვლავი: ბაია დვალიშვილი, ნინო კასრაძე, ნატო მურვანიძე, იდგა სცენაზე. იყო ლაპარაკი, რომ მსახიობები გაქრნენ. არა, ბატონებო და ქალბატონებო! მეც მახსოვეს სცენაზე: ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, მარინე თბილელი, სესილია თაყაიშვილი, რამაზ ჩიხივაძე, მედეა ჩახავა, სალმომე ყანჩელი, ეროსი მანჯგალაძე, გოგო გეგამშვირი, კარლო საკანდელიძე, ბელა მირიანაშვილი, სოფიკო ჭიათურელი, კოტე მახარაძე, ლენა ყიფშიძე, ოთარ მელვინეთუხუცესი... ვერიკო ანჯაფარიძისა და აკაკი ვასაძის ფანტასტიკური დუეტიც კი მახსოვეს სცენაზე (ჰ. იბეგენის „მოჩვენებაზი“, რეჟ. თ. ჩხეიძე). საბედნიეროდ, მე მატარებდნენ ამ ფანტასტიკურ სპექტაკლებზე. უან ჟენეს „მოახლეებში“ (რე-

ჟისორი ნიკა თავაძე), სამი საუკეთესო სამსახიობი ნამუშევარი (დრამატურგის ჩანაფიქრის ზუსტი სცენოგრაფიული ასახვით) შეიქმნა.

საავტორო თეატრია დღეს „მოდაში“ და უახლეს სათეატრო სამყაროში, ავტორი რეჟისორია (პრინციპში უკვე დიდი ხანია — მეიერპოლდიდან მოყოლებული). მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დროს ჩევნს თეატრში, ასე ვთქვათ, „რკინის ფარდა“ იყო ჩამოფარებული, - ბატონო გოგი, ბატონო სანდრო, თქვენ დამეთანხმებით, რომ ქართული თეატრი მაინც მსოფლიო სათეატრო ტენდენციების გვერდით იდგა და არასოდეს ჩამოუვარდებოდა. და, დღეს, თეატრში ავტორი რეჟისორია. და, ამ ტენდენციებს მიყვება ქართული თეატრი. ბატონი სოსოს ნემსაძის ნამუშევარი: ჩეხოვის „ალუბლის ბალის“ მიხედვით, სწორედ ამ სტილისტიკაში იყო დადგმული, მაგრამ ნამდვილად გამოიკვეთა ორი-სამი მსახიობი. ბატონო მერაბ, ერთად ვნახეთ ეს სპექტაკლი და ალბათ, დამეთანხმებით.

ბატონი სანდრო მრევლიშვლის სტუდენტები ძალიან კარგები არიან. მართალია მცირე სივრცეში, მაგრამ მათი მეტყველება ისმის. ვთვლი, რომ მეტყველება არის ყველაზე დიდი პრობლემა, ამაზე კონკრეტულმა თეატრებმა მეტი უნდა იმუშაონ.

ქუთაისის თეატრი მუშაობს არაჩვეულებრივად, იმ თვალსაზრისით, რომ სეზონზე რამდენიმე სპექტაკლს უშვებს, მათ შორის ზოგიერთი მაღალი მხატვრული დონისაა. მაგალითად, მე არ მინახავს, მაგრამ ჩემი კოლეგები აღფოთვანებულები დარჩენენ გიორგი სიახარულიძის „რევიზორით“. თელავის თეატრში შარშან კლასტიკის „ვინ გატეხა ქოთანი?“ დაიდგა, სადაც არაჩვეულებრივი სახე შექმნა ვანო იანტბელიძემ და არა მარტო მან. და, რაც მთავარია, ახალგაზრდებს ინვევენ თეატრები და აძლევენ საშუალებას, რომ დადგან. დღეს ბატონი თემურ ჩხეიძის მაგისტრანტის სპექტაკლის პრემიერაა ზუგდიდში და ალბათ, ამიტომაც ბატონი ბადრი ნერედანი ვერ ჩამოვიდა. ძალიან კარგად მუშაობს ჭიათურის თეატრიც. სეზონზე რამდენიმე სპექტაკლს უშვებს და თანაც, ზოგი მალალი მხატვრული ხარისხისაა.

სამეფო უბნის თეატრში შეიქმნა თემურ ჩხეიძის სახელოსნო, სადაც სწავლობენ და მუშაობენ ახალგაზრდები. მათ უკვე გვანახეს სარეჟისორო ნამუშევრები. აი, ახლა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაშია“ ბატონი თემურის საბაკალავრო ჯგუფის ნამუშევარზე სტატია (მსახიობების საბაკალავრო ჯგუფი, ბატონ თემურს აყვანილი ჟყავს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში). ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ თეატრი დღეს ცოცხლობს და მიჰყვება იმ პროცესში, რა პროცესშიც არსებობს მსოფლიო თეატრში. მე ვერ ვიტყვი, რომ ქართული თეატრი კრიზისს განიცდის. არ დაგეთანხმებით. ახლახანს „რკინის თეატრში“ აღექსანდრე

ქოქრაშვილის საინტერესო პიესა „მეზუნია ჩიტები“ დავით ანდლულაძემ დადგა. სპექტაკლში ნინელი ჭანკვეტაძე და დათო როინიშვილი თამაშობენ. ეს დადგმა მიუძღვნეს ფოთის რეგიონულ ფესტივალს.

ისევ დავუბრუნდები თემურ ჩხეიძის სახელოსნოს, სადაც შარშან არაჩვეულებრივი სპექტაკლი შეიქმნა, პატარ-პატარა „თეატრალური ნოველებისაგან“ შემდგარი. ეს მაგისტრანტების პირველი ნამუშევარი იყო, საერთო სახელწოდებით „სამშობლო“ დაუვინაყრია, ლილი და ნანა ხურითების მიერ შექმნილი პერსონაჟები.

სოხუმის თეატრის სპექტაკლი, დიდი ხნის პაუზის შემდეგ, შარშან ვნახე ფოთის რეგიონული თეატრების ფესტივალზე. დავით საყვარელიძის მიერ დადგმული ლაშა ბუღაძის „ნავიგატორი“, რომელიც თავის დროზე დაინერა როგორც რადიო-პიესა და აქვს ჯილდოები აღებული არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ („ბიბისი“-ს რადიობიერების კონკურსში გამარჯვებული). ეს იყო არაჩვეულებრივი ნამუშევარი, სადაც ლილი ხურითმა (ნავიგატორმა) მხოლოდ ხმით, ვერბალურად შექმნა სახე-პერსონაჟი. აქვე უნდა ვასხენო ცხინვალის თეატრი. აქ, ბოლო პერიოდში საინტერესო სპექტაკლები შეიქმნა. ეს ორი თეატრი სამაგალითოა. ისინი, სამწუხაროდ, „უსაბლერარ“ თეატრები არიან. ამის მიუხედავად, აქტიურად აგრძელებენ შემოქმედებით მუშაობას.

მარჯანიშვილის თეატრს უკვე ოთხი სცენა აქვს და ახალგაზრდებს ადგმევინებენ სპექტაკლებს. მუსიკისა და დრამის თეატრიც ძალიან უწყობს ხელს ახალგაზრდა თაობის განვითარებას. ასევე, რუსთაველის თეატრს ძალიან ხშირად საყვედურობენ, რომ არ იწვევენ ახალგაზრდებს. არა, ბატონებო და ქალბატონებო, ინვევენ და ადგმევინებენ კიდეც. მე ეს ზუსტად ვიცი. აპყავთ ახალგაზრდა მსხიობები, რეკისორები. ახლაც ე. წ. „ქასთინიკი“, ახალგაზრდების შერჩევა მიმდინარეობს. ძალიან კარგად მუშაობს მოზარდ მაყურებელთა თეატრო.

ჩემი მოხსენება ასე იწყებოდა: ხშირად დაისმის კითხვა რა საჭიროა ამდენი ფესტივალი? მე, გეტყვით, რომ საჭიროა კი არა, აუცილებელია. და, რაც უფრო მეტი იქნება, მით უკეთესი.

1997 წელს რეჟისორმა ქეთი დოლიძემ, თბილისის მერიის მხარდაჭერით, მიხეილ თევზანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ დაარასა. 2008-2012 წლებში, სხვადასხვა მიზეზით, ფესტივალი არ ჩატარებულა. წელს რიგით მეთხუთმეტე ფესტივალი ჩატარდება. ერთადერთი შენიშვნა მაქვს ქალბატონი ქეთის დაარსებული ფესტივალის მიმართ. ერთი თვის განმავლობაში გრძელდება ეს ფესტივალი. თავიდან, როგორც დაარსდა, იმდენად დატვირთული იყო, რომ ყოველდღიურად რაღაცა ხდებოდა. დღეს აღარ არის სპექტაკლების თვალსაზრისით ასე დატ-

ვირთული და ეს ფესტივალი ერთ კვირაში, 10 დღეში შეიძლება მოთავსდეს. არაჩვეულებრივი მსახიობები და რეჟისორები ჩამოდიან. მარტო დიმიტრი კრიმოვი რად ღირს, ტუმინასის ლიტ-ვური თუ მოსკოვური ნარმოდგენები, აგრეთვე არასდროს დამავიწყდება ენ ბოგარტის სპექტაკლი. ამის მიუხედავად, მაინც ვთვლი, რომ დროში შემჭიდროვება საჭირო. ან, საქართველოს მთავრობამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, ყველა თბილისში არსებული სათეატრო ფესტივალი გააერთიანოს და ერთი, ან ორი თვის განმავლობაში თბილისი ედინბურგად აქციოს. ვთვლი, რომ ძალიან კარგი იქნება... მიყვარს ოცნება და ამ ოცნებების ახდენაც... აქვე ვიტყვი, თუმანიშვილის თეატრის ნარმატების შესახებ ედინბურგის ფესტივალზე. თეატრმა, თითქმის ერთი თვის განმავლობაში, ედინბურგში 27 სპექტაკლი ითამაშა.

2009 წელს მერიამ თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს ჩაუყარა საფუძველი. ორი სიტყვა მინდა მოგახსენოთ ამ ფესტივალის შესახებაც. ეს ფესტივალი წელს მერვედ გაიმართა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ორგანიზატორთა ჯგუფის მუშაობა (ეკა მაზმიშვილის თაოსნობით), მათი პროფესიონალიზმი. ეს არის არაჩვეულებრივი გუნდი, რომელიც ყოველთვის ითვალისწინებს შენიშვნებს, ყოველთვის გვერდში იყენებს პროფესიონალ თუ არაპროფესიონალ გულშემატკიცვრებს (და არა მარტო). თეატრმცოდნებს, კრიტიკოსებს გვისმენენ, ითვალისწინებენ ყველას აზრს და წლიდან წლამდე ვითარდებიან. ძალიან ბევრი ციფრი მქონდა მოყვანილი, რა გაკეთდა ამ წლების განმავლობაში, უცხოური პროგრამის გარდა, ქართული სპექტაკლების პროგრამის მეშვეობით. რამდენი რეჟისორი გავიდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, რამდენი სპექტაკლი გავიდა და ა. შ. ამ გუნდის წევრები კრიტიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმების, მრგვალი მაგიდების თანაორგანიზატორებიც არიან და ყოველ წელს ახალ ინიციატივას გვთავაზობენ. დიდი მაღლობა მათ ამისთვის.

ამ ორი ფესტივალის პარტნიორი და ფინანსური მხარდაჭერია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

ლევან როხევაძის ინიციატივით, 2002 წელს ქუთაისის თეატრალური საზოგადოების მიერ და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ხელშეწყობით შეიქმნა და მხოლოდ ორი წელი იარსება რეგიონულმა ფესტივალმა - „თეატრალური იმერეთი“. 2012 წელს თეატრალური საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ ფესტივალი აღადგინა. შეიქმნა ფესტივალის არაჩვეულებრივი საორგანიზაციო ჯგუფი (მათ პაქსაშვილი....) და სამხარეო ადმინისტრაციის გარდა, ქუთაისის მერია, მუნიციპალიტეტიც მათ გეერდითაა. სრულიად ახალგაზრდაა და გამოკვეთილად ნიჭიერი. სწორედ იმერეთის ფესტივალზე აღმოვაჩინე მსახიობი გიორგი ჩანანიძე, რომელმაც შარშან და წელს აიღო წლის

საუკეთესო მსახიობის პრიზი.

2014 წელს, გორში რეჟისორ სოსო ნემსაძის თაოსნობით დაარსდა „კომედის ფესტივალი“. ორგანიზატორებმა დღემდე „ვერ მოახერხეს“ თეატრებისთვის აეხსნათ, რომ ფესტივალს განსაზღვრული უანრი აქვს - კომედია. ბატონმა სოსომ წელს საინტერესო რამ მოიფიქრა. ყოველი სპექტაკლის შემდეგ, სათეატრო კრიტიკოსები ვხვდებოდით დასებს და იქვე, სპექტაკლების „მინი“ გარჩევა გვქონდა. ზოგს სწყინდა, ზოგს - უხაროდა. მაგრამ საბოლოო ჯამში, მანც მგონია, რომ სწორი იყო ბატონი სოსოს ეს ახალი ინიციატივა. ამ ფესტივალის უანრი განსაზღვრულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ხანდახან ჩამოაქვთ დრამა, ან ტრაგედია. ეს, ალბათ, თვითონ იმ თეატრების შეცდომაა, ვინც თავის რეპერტუარიდან არჩევს ასეთ სპექტაკლს. ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორია საქართველოს რეგიონული ხელოვნების განვითარების ფონდი „RegArt“, ფინანსურად გვერდში უდგანან: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი.

2015 წელს რეგიონულ ფესტივალთა ნუსხას ოთხი ახალი ფესტივალი შეემატა:

1. ფოთის რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი, რომლის პროგრამა ერთბოლი და საინტერესოა. ფოთმა ორი წლის განმავლობაში არა მარტო საქართველოს რეგიონების თეატრებს უმასპინძლა, არამედ, პოლონეთის, იტალიის, ბელორუსისა და ირანის. პროფესიონალურს საშუალება ჰქონდათ გაცნობილებების უზრუნველყოფა. ფესტივალი ჩვენ - კრიტიკოსებს, თეატრმცოდნებს გვეხმარება ზოგადად ქართულ თეატრში მიმდინარე პროცესების, პრობლემების საერთო სურათის აღქმასა თუ გაანალიზებაში. ნინელი ჭანკვეტაძე (იდეის ავტორი, დამფუძნებელი), თენგიზ სუხია (დირექტორი) და საორგანიზაციო ჯგუფი: ბექა ჯუმუტია, შიო აბრახამია, ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, ნანა თუთერიძე, ნათა გოგონჭური, თეიმურაზ ქავთარაძე - სწორი, პარმონიული, თავდაუზოგავი მუშაობით დიდ საქმეს აკეთებენ საქართველოს სათეატრო ხელოვნების განვითარებისათვის. კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა მათ მადლობა ასეთი „საზეიმო - საფესტივალო“ განწყობის შექმნის გამო. წლევანდელ ფოთის ფესტივალზე გიორგი შალუტეტვილის „მეთევზე ერთი, ორი...“ პირადად ჩემთვის აღმოჩენა იყო. ვთვლი, რომ ეს სპექტაკლი მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია. ორკაციანი კამერული ტიპის სპექტაკლი, სადაც ორი მსახიობი - დათო როინიშვილი და გიორგი ჩარჩანიძე თამაშობენ.

2. ბათუმის, ყოველწლიური „მონოპესების ფესტივალი“, რომელსაც ახალგაზრდული ორგანიზაცია „არტვერი“ ბათუმის მერიის მხარდაჭერით ატარებს, ახალგაზრდა დრამატურგების, რეჟისორებისა და მსახიობების ერთობლივი მუშაობის ხელშემწყობია;

3. 2015 წელს, ახალციხეში, საქართვლოსთვის მნიშვნელოვან რეგიონში, აღდგა 2004 წელს დაარსებული, ეროვნული დრამატურგიის ფესტივალი (იმართება 2 წელიწადში ერთხელ).

4. 2016 წელს რეჟისორ ვასილ ჩიგოგიძის (ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი) თაოსნობით დაიბადა ოზურგეთის ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. ფინანსური მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და რაც ყველაზე გასახარია - კერძო ბიზნესი - მაგალითად, ვანო ჩხარტიშვილი, ასკანელი მებრი და სხვები... (იქნებ, მეცენატობის ინსტიტუტი კვლავ აღდგეს საქართველოში!).

არსებობს მცირე ფორმატის ფესტივალებიც. მაგალითად, თბილისში, „სამეფო უბნის თეატრის“ ინიციატივით, 2009-2012 წლებში, ყოველწლიურად ტარდებოდა 25-წლითანი სპექტაკლების ფესტივალი „არდიფესტი“. მიზანი - თანამედროვე ქართული დრამატურგიის განვითარება და ახალგაზრდა რეჟისორების პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობა იყო. 2012 წლის შემდეგ ფესტივალი უსახსრობის გამო აღარ გამართულა. გვპირდებოდნენ, რომ 2016 წელს განახლდებოდა, თუმცა, ჯერჯერობით არ აღმდგარა.

ამავე თეატრისა და ახალგაზრდა რეჟისორ დათა თავაძის თაოსნობით, 2014 წლის დეკემბერში საფუძველი ჩაეყარა ახალ ნამოწყებას: „სასტიკი თეატრის დღეები“ - დრამის ფესტივალი - ასე ეწოდება პიესების თეატრალიზებულ კითხვას. სამი დღის განმავლობაში - სამი უცხოელი ავტორის, სამი ქართველი დრამატურგისა და ერთიც გერმანიაში მოღვაწე ქართველი შემოქმედის (დევიდ ჰაროვერი, დენის კელი, სარა კერი, დავით გაბუნია, ლაშა ბულაძე, ნინო ხარატიშვილი) ნანამოწყები გააცნეს და გაითამაშეს მაყურებლის ნინაშე. ორგანიზატორია მიზანია თანამედროვე დრამატურგიაში ასახული, რეალურ ცხოვრებაში არსებული, სასტიკი მხარეების გაანალიზება, მიზეზთა კვლევა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ერთჯერადი მოვლენა გახსლდათ.

თეატრის საერთაშორისო დღეს - 27 მარტს, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის თვითმმართველობის ორგანიზებით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თბილისის მერიის და საკრებულოს, მარჯანიშვილის თეატრის თანადგომით, ასევე, კერძო მხარდამჭერებთან მეგობრობით (საჩუქრები, ნამახალისებელი პრიზები, ვაუჩერები და სხვ.), უკვე რამდენიმე წელია სტუდენტური „ეტიუდების ფესტივალი“ აღნიშნავს. ფესტივალის მონაწილეთა ასაკიდან გამომდინარე, ახალგაზრდობის ინტერესი იმდენად დიდია, რომ ჩვენებებმა მარჯანიშვილის სხვენიდან ჯერ დიდ სცენაზე გადაინაცვლა, 2016-ში კი, მარ-

ჯანიშვილის სარდაფში. საორგანიზაციო ჯგუფი ცდილობს, მომავალში ფესტივალი საერთაშორისოდ იქცეს. ამის მცირე გამოცდილება უკვე აქვთ კიდეც. ერთხელ, თუ, ორჯერ (ზუსტად არ მახსოვეს) სხვა ქვეყნების სტუდენტებიც მონაწილეობდნენ.

ძალიან გამიგრძელდა სიტყვა, ბატონი სანდრო, მოკლედ მინდა ვთქა, რომ ნიპილისტურად არ ვარ განწყობილი ქართული თეატრის მომავლის მიმართ.

ირინა ლოლობერიძე (თეატრმცოდნე) - დიდი მადლობა მოწვევისათვის. ქ-ნ მაკას საკმაოდ ემოციური გამოსვლა ჰქონდა და მე, ცოტა უფრო, პრაგმატული ინტონაციით გავაგრძელებ. არ

ითიქიროთ, რომ რაღაც ნინასწარ მაქვს მო მზადებული. უბრალოდ, ასე ვართ შეთანხმებულები. ერთი თუ ემოციურად საუბრობს, მეორე ანერტრალებს. ვნახოთ, რა გამომივა.

ბატონ მერაბთან ოპონირებით დავიწყებ, მაგრამ კამათს

ერთგვარად სხვა სიბრტყეში გადავიტან. მან ბრძანა, რომ ქართული თეატრიდან გაქრა იდეა, გაქრა ფაბულა, გაქრა ამბავი და ეს ყველაფერი ჩანს, ან რჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპექტაკლის შემქმნელები კლასიკის რაღაც „გადამლერებას“ იწყებენ და თავიანთ ინტერპეტაციას გვთავაზობენ. კი, ბატონო, ხანდახან აქა-იქ მართლაც „უჭირთ“ ამბას მოყოლა, ფაბულა და იდეაც „მოიკოჭებს“ ხოლმე. ამბავიც, გარკვეულწილად, გაქრა, მაგრამ, ამასთაავე, მაინც ვიტყოდი, რომ კი არ გაქრა, სახე იცვალა, რადგან ქართულ თეატრში, სხვე როგორც - სხვაგან, შეიქმნა ახალი უანრი, ახალი ხედვა, ახალი მიდგომა. აჩქრდა თანამედროვე ეპოქის ყოველდღიური რიტომი, ჩვენც სხვა ტემპით და სხვანირებით ვცევორობთ. მაყურებლის ფსიქო-ემოციური ტონუსიც, ბუნებრივია, შეიცვალა. მე არ ვამზობ, რომ მონოლოგები აღმარცვა უნდა ისმოდეს სცენიდან, არ ვამზობ, რომ კლასიკური შექსპირი აღმარცვა უნდა ვიხილოთ ქართულ სცენაზე. ან თუნდაც ჩვენი კლასიკური თუ თანამედროვე დრამატურგია აღმარცვა უნდა ტრადიციული თეატრის ესთეტიკით, როგორც ამას სხვადასხვა წლებში ვაკეთებდით, მაგრამ... თეატრი დროსთან ერთად მოძრავი ხელოვნების უანრია. ქართული თეატრი თავისი ბუნებით, იმთავითვე და, მით უფრო, ახმეტელიდან მოყოლებული, ლია თეატრალური ფორმის თეატრი იყო. თეატრალური, აქტიურად ვიზუალური თეატრი იყო თავის სულიერებით, ესთეტიკით, მსახიობთა ბუნებით. სწორედ ეს თეატრალობა აკეთებდა იმას, რომ ის ყოველთვის ეპოქას ეხმიანებოდა და ესადაგებოდა. აი, სწორედ ამ თვალ-

საზრისით ქართული თეატრი ნამდვილად არ ჩამორჩება იმას, რასაც დღეს ჰქვია მსოფლიო პროცესი. ახალი უანრები ვახსენება და დღეს ჩვენს თეატრში მეტ-ნაკლები ინტენსივობით, სწორედ ეს პროცესი მიდის. ახალი თეატრალური უანრების ათვისების პროცესი. მაგ. ინტერაქტიური ტიპის სპექტაკლი ქართველ რეჟისორს ჯერჯერობით, შეიძლება, არ დაუდგამს, მაგრამ გამოსავალი მოინახა — ახმეტელის თეატრმა, მაგალითად, მოინვია ბრაზილიელი რეჟისორი და შეიქმნა „ $2+2=2$ “ (Love) - ინტერაქტიური სპექტაკლი, რომელიც მაყურებლის სპექტაკლში ჩართვას, თანამონაწილეობას გულისხმობს. უნდა ითქვას, რომ ამბის, რომელიც თითქოს იქვე, ჩვენს თვალწინ ინერებოდა, მსახიობთა ოსტატობის, ვიზუალური ეფექტების თვალსაზრისით სპექტაკლი ძალიან საინტერესო მომეჩვენა. გაკრიტიკება და შეფასება მაყურებლის და თეატრის პროფესიონალების ობიექტურობიდან უნდა მომდნარეობდეს. მაგრამ, ამგვარ თეატრს მივიღებთ თუ არ მივიღებთ ეს ჩვენი და თითოეულის პირადი საქმეა. ფაქტი კი ისაა, რომ ახალი თეატრალური უანრები ქართულ თეატრში უნდა არსებობდეს. აქედან გამომდინარე, ძალიან კარგია, რომ ახალ უანრში დადგმული სპექტაკლები გვაქვს. გავისხმოთ მარიამ ალექსიძის სპექტაკლები. თანამედროვე ცეკვის ესთეტიკით დადგმული ქორეოდრამა, რომელიც ქართულ და ზოგადად რიტუალური ცეკვის ელემენტების გამოყენებით არის დადგმული; გავისხმოთ, აგრეთვე, მულტიუზანრული სპექტაკლები. ახლა აქ ახალგაზრდა რეჟისორი ნიკა საბაშვილი ახსენებს. მან კლოუნადით დაინტერესობს, მერე თავი მოსინჯა არავერბალურ უანრში, მერე დადგა მულტიუზანრული სპექტაკლი „1945“. ახლა, ბოლო სპექტაკლში, რანდებადაც ვიცი, სივრცეს „შეეთამაშა“ და სხვა განზომილებაში, სხვა ასპექტში დაინახა თეატრალური სივრცის გამოყენების შესაძლებლობა. იგივეს აკეთებს ბევრი რეჟისორი. სხვათა შორის, ესეც შეიძლება ბატონმა მერაბმა დაუნუბნის, მოქმედება დარბაზში, ან ქანდარაზეც კი გადააქვთ. კი, ბატონო. ჩვენ, თეატროლოგები ცოტა პრეტენზიულები ვართ, მაგრამ ხომ უნდა ვალიარით, რომ დროსთან ერთად მსოფლიო თეატრალური სივრცეც კი თავისთავად შეცვლილია.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან. სამეცნიერებლის თეატრი, სადაც ახალგაზრდები მინიმალისტური თეატრის (და ესეც ახალი უანრია) - საკუთარ მოდერნს ქმნიან. მათ სპექტაკლებში არის იდეაც, პათოსიც, ტკივილიც, სიტყვაც. ფანტასტიკური ხუთი ახალგაზრდა მსახიობი დგას, მაგალითად, „ტროელ ქალებში“, რომლებიც, აფექტაციის გარეშე გვეუბნებიან და გვაჩვენებენ იმას, რაც გვთკივა ჩვენ, მათ და სხვებსაც. და, რაც მთავარია, მინიმალისტური ესთეტიკით აზყობილ სპექტაკლში ვიზუალური მხარეც ისეთია, რომ ვერ მოიწყენთ. ესეც ახალი უანრია. კონკრეტულ მასალებზეა აგებული



დოკუმენტური ან შემოქლებით დღიუთატრი ან, თუ უანრობრივად უფრო დავაკონკრეტებთ - დოკუმენტური ვერბატიმი ესე იგი მართალი სიტყვის თეატრი.

უარვყოთ ეს ყველაფერი თუ უბრალოდ ვიაროთ ამ ახალ ქართულ თეატრში თუნდაც იმისთვის, რომ დავინახოთ რა ხდება და როგორი პროცესები მიღის ჩვენთან და სხვაგან.

და აქვე მეორე პრობლემა, რომელსაც მინდა შევეხო. თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ქართული სექცია აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ კოლეგებთან. თბილის საერთაშორისო ფესტივალის ქართული თეატრის შოუების ფარგლებში ჩავატარეთ ოთხი საერთაშორისო კონფერენცია, ვიმსჯელეთ თანამედროვე რეჟისურაზე, მსახიობის სელოვნებაზე, ვისაუბრეთ შექსპირზე. ტარ-ცებოდა შეხვედრები მაყურებელთან, მოწყობრები მაგიდა, ასევე თბილის საერთაშორისო ფესტივალის დროს ვცადეთ გაგვევეთებინა ჩვენი შოუ-ების შეფასება. ქ-ნმა მაკამ აქ მყოფი და არმოსული თეატრებიც იმდენი გაქოთ, რომ მე ერთი პატარა პრეტენზიის გამოთქმის უფლება, ვფიქრობ, მაქვს. კრიტიკის მიერ მოწყობილ არც ერთ ჩამოთვლილ ღონისძიებას არც ერთი თეატრის შემოქმედებითი ნაწილის ნარმომადგენელი არ დასწრებია. მხოლოდ პიარ სამსახური და ისიც კანტი-კუნტად იყო მოსული. სხვა, პრაქტიკულად, არავინ დაინტერესებულა. უფრო მეტიც, ქართული კრიტიკაც არ დადის „სხვების“, თუნდაც კოლეგების მოწყობილ ღონისძიებებზე.

პრინციპში, დღეს თეატრებზე უნდა მეღაპარაკა, მაგრამ ქ-ნმა მაკამ ისე გადათვალა თეატრები და სპექტაკულები, რომ პრაქტიკულად ვერაფერს დავამატებ. ალვინიშვან მხოლოდ, რომ რეგიონული თეატრები მართლა ძალიან საინტერესოდ და აქტიურად მუშაობენ. ჩანს დინამიკა, სიახლისყენ სხრაფვა, რეპერტუარის გამრავალფეროვნება. ამას ვგრძნობთ და ვხედავთ, რადგან, ქ-ნი მაკას არ იყოს, ძალიან ხშირად დავდივართ და საქმის კურსი ვართ, რაშიც, აქვე ვიტყვი, რეგიონული ფესტივალებიც გვიყიდობს ხელს.

და კიდევ ერთი, რადგან დარბაზში თეატრების, უმეტესად რეგიონული თეატრების ნარმომადგენელები არიან, არ ჩამოვთვლი და გავიმეორებ, შარქანაც იყო და წელსაც არის გამორჩეული სპექტაკულები, უფრო მეტიც, განსაკუთრებულად გამორჩეული სპექტაკლები. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ უკვე იმ წელს ვინდი წელი არის საერთაშორისო ასოციაციის წევრები გააკეთებენ თუ გარედანაც მოვინვევთ ვინმეს, მინშენელობა არა აქვს. სპექტაკლებს მხოლოდ თეატრმცოდნები და თეატრის სფეროში მომუშავე აქტიური უურნალისტები შეაფასებენ.

სადღაც ასევე ითქვა, დაასაბუთეთ თქვენი არჩევანიო. ცალსახად გასასუხობთ, დასაბუთება არის ჩვენი შეხვედრები, რადიო და ტელეგაადაცემებში მონაწილეობა, უურნალში „თეატრი და ცხოვრება“ და სხვაგან, ხშირად უცხოეთში პუბლიკიციები. ზოგის უფრო მეტი ვიღაცის — უფრო ნაკლები აქტიურობით. სამწუხაროდ, საამისო სივრცე ჩვენთან ძალიან პატარაა. ეს არის ზუსტად ის, რაც გვაშორებს განვითარებულ მსოფლიოს, სადაც არის საშუალება, რომ აზრი გამოითქვა, იმსჯელო, გამოაქვეყნო; სადაც პროფესიონალთა ჯგუფის მიერ შერჩევის, რეიტინგის გამოვლენის დროს მსჯელობა, შეთანხმება არ ხდება თუ საფესტივალო უიური არ არის, ან ფულადი ჯილდო არ გაიცემა. ვფიქრობ, არც არის საჭირო. მით უფრო, რომ ამას აკეთებს ხალხი, ვინც სულ დადის თეატრში, უყურებს, სულ მსჯელობს და სულ კამათობს. მერნმუნებო, რომ ასეთი წესით გაიცემა კრიტიკის პრიზი საფრანგეთში, იტალიაში, შვედეთში, სადაც რეიტინგების შერჩევაში უცხოელებსაც ხშირად რთავენ, თუ, ვთქვათ, მათ „შოუ-ების“ ესწრები.

მსახიობების თაობაზე მინდოდა მეთქვა. თუ რამით არის ქართული თეატრი დღეს მდიდარი, ეს ნამდვილად პოტენციურად ნიჭიერი მსახიობებითაა. შეიძლება ასეთი ბევრი არ არის, იმიტომ რომ ჩამოყალიბების ან დასაქმების პროცესში მათ ბევრი პრობლემა ექმნებათ, მაგრამ ჩვენი მსახიობების ნიჭს, უნივერსალობას, მრავალფეროვანი რეპერტუარის ათვისების უნარს და სხვ. ფესტივალებზე ჩამოსული უცხოელი თეატრმცოდნებიც ხშირად აღნიშნავენ. მათგან განსხვავებით, მათ ჩვენ უკეთ ვიცნობთ, განურჩევლად ყველაფერს ვუყურებთ, ვაფასებთ და მინდა აღვინიშნო, რომ სასცენო შეტყველების სერიოზული პრობლემა გვიდგას. ხშირად, უნდა დაიძაბო, რომ მსახიობის რეპლიკა გაიგო. ნაკლებად რეგიონებში, სხვათა მორის, იქ უფრო გამართული მეტყველება ისმის სცენიდან.

და ბოლოს, ისევ პროცესებს დაუბრუნდები. მა მდლობა ღმერთს, რომ დღეს ქართული თეატრის თანამედროვეობისადმი თავისი ინტერესით, განვითარებით, დღევანდელობით, თუნდაც რეპერტუარული სიჭრელით აბსოლუტურად ლოგიკურად ჯდება და ჩართულიცაა იმ პროცესში, რასაც დღეს ევროპულ თეატრში მიმდინარე პროცესები ჰქვია. როგორ და რა დოზით, ამაზე სხვა დროს ვისაუბრებ, მაგრამ ცალსახად ცხადია, რომ თანამედროვე ქართულ თეატრს ხელისშეწყობა სჭირდება. თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ თეატრებს ტექნიკურად გამართვა, ახალი ტექნოლოგიებით დადგმული სპექტაკლები სჭირდება. მაგრამ ამას ნუ ვაპრალებთ თეატრს. გამოჩენდებოდა ვინმე, დაინტერესდებოდა, ისნავლიდა და შექნიდა სხვაგვარ სპექტაკლს, თუნდაც მესამე განზომილებაში, ვირტუალურს, სხვა ჟურნალებთან ნაჯვარს ან კიდევ უფრო სხვანაირს. საშიში აქ

არაფერია. თეატრი მოძრაობს, ის მცდელობაა, ექსპერიმენტია, დროსთან ერთად წინსვლაა. მოხდეს ასე, მაგრამ რომ მოხდეს, ვინმეს ამის მოხმარება უნდა ასწავლო. ამიტომ, ზოგადად თეატრების ეკონომიკური მდგომარეობა, ტექნიკური აღჭურვილობა უნდა გამოკეთდეს, სწავლების პროცესიც უნდა გათანამედროვდეს. ვთქიქობ, რომ აი ამაზეც უნდა გაკეთდეს აქცენტი. და თუ ბატონი სანდრო არ გამაბრაზდება, ვიტყვი, რომ სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა ამოცუდეთ მხარში ქართულ თეატრს და ვაკეთოთ საერთო საქმის ის ნაზილი მაინც, რომელიც თითოეულ ჩვენთაგანს ეხება და შეუძლია რომ გააკეთოს. რაც შეეხება პესიმიზმს. რა თქმა უნდა, არ ვართ პესიმისტები. არც თქვენ არ ხართ. ვიმეორებ, თეატრის ბუნება მოძრაობაა და მას ვერაფრით და ვერავინ ვერ გააჩერებს. ის შეიძლება იყოს და უნდა იყოს კიდეც კარგი, საშუალო, ცუდი, ახალი, ძველი, ტრადიციული, ნოვატორული, ავანგარდისტული. მთელი ეს სპექტრი ქართულ თეატრში მეტ-ნაკლებად გვაქვს და უნდა იყოს კიდეც. ხარისხზეა საჭირო ზრუნვა. და ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ საკმაოდ პატარა თეატრალური საზოგადოება ვართ და ის, რაზეც ქ-ნმა მაკამ თავის გამოსვლაში ილაპარაკა, ნამდვილად იმედისმომცემია და სასარგებლოც ჩვენი თეატრალური სივრცისთვის. ცოტა მეტი ტოლერანტობა გვმართებს, სხვა არაფერი...

გმადლობთ ყველას, ვინც სპეციალურად ჩამოხვედით, ვინც მოხვედით და ვინც მოგვისმინეთ.

ლაშა ჩხარტიშვილი (თეატრმცოდნე) - თავდაპირველად მინდა გამოვეხმაურო მტკიცნეულ და ამავდროულად პრობლემურ საკითხს - თანამედროვე სათეატრო კრიტიკას. თეატრის მოღვაწეები შეირად, ინტერვიუებში ამბობენ, რომ თანამედროვე სათეატრო კრიტიკა არ არსებოს, რომ ჩვენ არ ვნერთ, არ ვაფასებთ, არ ვართ რადიკალურები და ობიექტურად არ ავსახავთ რეალობას.

ნაწილობრივ მართლები არიან, მაგრამ არავინ აღნიშნავს ამ პრობლემის რეალურ მიზეზს. ჩვენ გვფირდება გარკვეული სტიმული, მოტივაცია იმისათვის, რომ ვწეროთ ინტენსიურად, ვიმოლვანეოთ ჩვენი კვალიფიკაციის ფარგლებში. არავინ ამბობს, რომ არ არსებობს სივრცე, სადაც გაიმართება ცხარე დისკუსია თანამედროვე თეატრის პრობლემებზე. არსებობს უურნალი „თეატრი და ცხოვრება“, რომელიც ვერ განვდება ყველას რეცენზიის გამოქვეწენებას. უურნალი ცდილობს არ დარჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი სპექტაკლი შეფასების გარეშე, ხშირად უთმობს სივრცეს განსხვავებულ მოსაზრებებს ერთ



კონკრეტულ სპექტაკლზე, მაგრამ არ არის საშუალება ერთ კონკრეტულ სპექტაკლზე დანეროს რამდენიმე თეატრმცოდნები ერთდროულად. ამ მხრივ, ჩვენ საგრძნობლად შეზღუდულები ვართ. არ არსებობს მოტივაცია. ხომ არ გავიზყდებათ, რომ პროფესია, რომელიც ჩვენ გვაქვს, საერთოდ არ არის შემოსავლიანი. ჩვენ წერილების უმრავლესობას, თუ არ ჩავთვლით ზემოაღნიშნულ უურნალს, უფასოდ, საზოგადოებრივ საწყისზე ვნერთ უკვე მრავალი წელია და ასეთ შემთხვევაში, არავის უწნდება სურვილი დარჩეს ამ პროფესიაში. გველახება თავმოყვარება და პროფესიული ღირსება, რადგან აღმოჩნდა, რომ დავეუფლეთ პროფესიას, რომელიც არ არის ანაზღაურებადი. ხშირად ჩვენ ვართ რეჟისორების რისხვის მიმეტი. სამწუხაროდ, 21-ე საუკუნეშიც, დღემდე ვერ დავძლიერ კომპლექსი, რომ კრიტიკა მივიღოთ მშვიდად (ბუნებრივია, ყველას არ ეხება, იშვიათი გამოხატლისის გარდა). გვიჭირს ერთმანეთის მოსმენა. ბევრჯერ გავუკრიტიკებივარ შემოქმედს, მათ ამის უფლება აქვთ, კარგია, როცა პროფესიული შეპაერება ხდება თავად რეჟისორთა მხრიდან, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს უფრო თავდასხმას ჰგავს კრიტიკოსებზე თავდაცვის მიზნით. არაერთხელ გავმედარვარ მეც გარკვეული თავდასხმის მსხვერპლი, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ კრიტიკა, რომელიც არის საქმიანი არ გამითვალისწინებია. კვლევები, რომელიც ბატონმა გოგი ქავთარაძემ ახსენა, წლიდან წლამდე იხვენება, ვითარდება, ფართოვდება მასტები და სწორედ კრიტიკული შენიშვნების გამო და ამ მხრივ, ასეთი მოთანაბრრომლე ირი თეატრი მახსენდება: თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელი დიმიტრი ხეთისიაშვილი და გორის თეატრის ხელმძღვანელი სოსონემსაძე, რომელიც სატელევიზიოს სკანდალის და თითოეული უიურის წევრთან ჩამორჩევის, შეურაცხყოფის მიყნების გარეშე არ კვევენ პრობლემას. ვფიქრობ, მსგავსი საქმიანი და სასარგებლო ურთიერთობა იროვე მხარეს წაადგება. სინამდვილეში კი, ჩვენ, იმ კრიტიკოსებს, რომლებიც ვაფასებდით 2015 წლის ქართული თეატრის რადიკალურების და სპექტაკლების, პოპულარობასთან ერთად გამსხვაობა და საკუთარი თავის რწმენაც შეგვემატა. 5 წლის მანძილზე ჩვენი კვლევების შესახებ იცოდა მხოლოდ თეატრებმა, ახლა ის იცის ნახევარმა საქართველომ და კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი მოვლენათა შეფასების მიმართ.

რაც შეეხება ქართული თეატრის განვლილ ერთ სეზონს, ვფიქრობ, ჩვენთან ყველაზე დიდი პრობლემა პროცესის დეფიციტია. ყოველ სეზონზე ჩვენი მოსაზრებები შეიძლება იყოს განსხვავებული, ვინაიდან თეატრებში არ არის შენარჩუნებული შემოქმედებითი პროცესის სტაბილურობა. შეფასებისას ჩვენ ვალაგებთ პროპრიტეტებს გამორჩეული ნამუშევრების მიხედვით. ჩვენთვის საინტერესოა არა ის, როგორი მაღალი რანგის რეჟისორი მოღვაწე-

ობს ამა თუ იმ თეატრში, არამედ შედეგი. რა იქმნება და რამდენად ლიაა თეატრი. საემარისი არ არის მხოლოდ მაღალი რანგის სამხატვრო ხელმძღვანელი, არამედ ის, თუ რა რეპერტუარს თავაზობს მაყურებელს და ვის ინკვეს დასადგმელად. პროცესზე და შემოქმედებით შედეგზე ორიენტირებული სამხატვრო ხელმძღვანელების სიმწირე არის ჩვენი მთავარი პრობლემა. სამწუხაროდ, ჩვენში, თეატრების და ამავდროულად სათეატრო სეზონების ბედი სამხატვრო ხელმძღვანელების გუნება-განწყობაზეა და-მოკიდებული, მათ მოტივირებულობაზე. პროცესში, რომელებიც თეატრებში მიმდინარეობს, არ არის თანმიმდევრული და ერთ მთავარ იდეაზე ორიენტირებული.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რეგიონებში. აქ ითქვა, რომ დედაქალაქის და რეგიონის თეატრების დონე არის გათანაბრებული. ნაწილობრივ ვეთანხმები ამ მოსაზრებას, ვინაიდან ის პრობლემები, რომელიც რეგიონის თეატრებშია, არ არის უცხო დედაქალაქის თეატრებისთვისაც, მაგრამ დედაქალაქში თეატრები შედარებით უფრო მობილიზებულია, ვინაიდან ხორციელდება ინტენსიური მონიტორინგი, რასაც მოკლებულია რეგიონის თეატრები. მე ვარ ერთ-ერთი იმათგანი, რომელიც ყველაზე ხშირად დადის რეგიონებში და ეცნობა მდგომარეობას. ზოგიერთ თეატრმცოდნეს ჰქონია, რომ ჩვენ, გარკვეული დაჯგუფება ვართ და გვინვევენ თეატრები. აქ ესწრებიან რეგიონის თეატრების ხელმძღვანელები და დამეთანხმებიან და არც ტყუილის თემის საშუალებას მომცემენ, ჩვენ ხშირად, ჩვენივე ინიციატივით ჩავდივართ რეგიონებში პრემიერებზე მოწვევის გარეშე. ზოგიერთი თეატრი თავად გვეპატივურება და შესაძლებლობების ფარგლებში ვახერხებთ გამგზავრებას. ფოთის რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი არის ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც აღმოჩნდა საუკეთესო საშუალება რეგიონის თეატრების გასაცნობად. ამ თემაზე მე ჩემს ბლოგზე ვრცელი წერილი გამოვაკვეყნება და აქ არ მივუბრუნები მას, უბრალოდ აღვნიშნავ, რომ ერთი სპექტაკლის მაგალითზე შეგვეძლონ ნარმოვევედებისა სურათი ფესტივალში მონაწილე თეატრებისა. გამკვირებისა ზოგიერთი თეატრის, რომელიც არჩევს საფესტივალო ნარმოდგენას - ან აუცილებლად სამხატვრო ხელმძღვანელის უნდა იყოს, ან არასააფესტივალო ვალო, ვგულისხმობ, სპექტაკლების მხატვრულ ხარისხს და შემოქმედებით დონეს, ვინაიდან ნანახი გვაქვს მათ რეპერტუარში არსებული გაცილებით უკეთესი სპექტაკლები. აღნათ, ფესტივალის ხელმძღვანელობა იფიქრებს ამ საკითხზე და დააწესებს გარკვეულ კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება საფესტივალო ნარმოდგენები. ფესტივალების მხრივ, წლევანდელი წელი აღმოჩნდა ნაყოფიერი. ჯერ გორში ჩატარდა კომედიის ფესტივალი, შემდეგ საფესტივალო ცენტრმა იმერეთში

გადაინაცვლა, მას მოჰყვა ახლადდაარსებული ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ფოთის ფესტივალმა ჩაანაცვლა, ბათუმში გაიმართა მონიტორის ფესტივალი, რომელიც შედარებით კამერულია და მასში არ მონაწილეობს პროფესიული თეატრები, არამედ დამოუკიდებელი ხელოვანები... და ამ ფონზე, უნდა გითხრათ გულწრფელად, რომ ზოგადი სურათი ძალიან მძიმეა. არ ემარა მხოლოდ სამი-ოთხი თეატრის წარმატება, ვისურვებდი, რომ იყოს უფრო მეტი კონკურენცია, უფრო მეტი შემოქმედებითი პროცესი. ვნახულობდით სპექტაკლებს, რომელიც პირდაპირ აჩვენებდა, რომ თეატრები მუშაობენ მეტა-იურად, უბრალოდ დგამენ სპექტაკლებს და არ ფიქრობენ მხატვრულ პროდუქციის ხარისხზე. ამ მხრივ, საფესტივალო სპექტაკლებმა ძალიან დამთრგუნეს. შესაბამისად, სწორედ მათ გამოავლინეს ის პრობლემები, რომელთა გადაჭრაც სასწრაფოდ არის აუცილებელი. მოდით, მე შევეცდები ოქროს შუალედი დავი-ჭირო ბატონ მერაბ გეგიას და ქალბატონ მაკავასაძეს შორის, მე არც პესიმისტი ვიქნები და არც ოპტიმისტი. მშვენივრად ვაცნობიერებს, რომ ყველა კარგ სპექტაკლს ვერ დადგამს და ყველა თეატრში ვერ იქნება ისეთი მხატვრული დონე, როგორსაც ვისურვებდით ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო. ბუნებრივია, იმედის საფუძველს ის ნაპერწკლები გვიჩენს, რომელიც არის რეგიონის თეატრების სპექტაკლები. მთავარია, თეატრების რეპერტუარებში იყოს ისეთი სპექტაკლები, რომელიც ასახავს ჩვენს რეალობას და დაგვეხმარება დავძლიოთ ის პრობლემები, რომლის ნინაშეც საზოგადოება და გნებავთ, ქვეყანა დგას. ვისურვებდი ჩვენი თეატრები უფრო აქტიურად ეხმანებოდნენ ჩვენს თანამდებობრივებას და ჩვენს რეჟისორებს ჰქონდეთ მოქალაქეობრივი პოზიცია, თუნდაც ისეთი, რომელიც, პირდად ჩემთვის, არ იქნება გასაზიარებელი, მაგრამ რეჟისორი პოზიციის გარეშე ყველაზე დიდი პრობლემა. აქ ახსენეს უკვე რამდენიმე პრობლემა და მეც დავთანხმები, რომ ირველ რიგში, არის მეტყველების პრობლემა და ეს ყველაზე ნაკლებად ეხება უფროს თაობას. თქვენ ნარმობიდენეთ, იმიტომ რომ ძველი სკოლაა მაინც და გარდა ამისა, ძველ სკოლას აქვს უფრო დიდი გამოცდილება, ვიდრე ახალგაზრდა თაობას. საშუალო თაობიდან მოყოლებული და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში ეს პრობლემა ძალიან მნვავედ დგას. აქ არის სიტყვის ვერგამოთქმის პრობლემა, მეტყველების პრობლემაში მე არ ვგულისხმობ მხოლოდ დამაზინებულ სასცენო მეტყველებას და იმას, რომ ასობგერა „ლ“ ზოგმა კარგად ვერ გამოთქვა. ამას არა. პრობლემა აქვთ როგორ გაგვაგონონ ის ტექსტი, რომელსაც ისინი აცოცხლებენ სცენაზე და ვერ ფლობენ ხელობას, როგორ მოიტანონ აზრი, იდეა მაყურებლადე. ეს, სხვათა შორის, ზოგიერთი რეჟისორის სენიცაა. ჩვენ

ვისხედით და უცყვერებდით მთელ რიგ სპექტაკლებს სხვადასხვა ფესტივალებზე და ვერ ვიგებდით რაზე საუბრობდნენ. სიტყვა გვესმოდა, მაგრამ ამ სიტყვის სემანტიკური დატვირთვა მაყურებლამდე ვერ მოდიოდა. ბუნებრივია, წყდებოდა კავშირი პარტერსა და სცენაზე გათამაშებულს შორის და ეს კომუნიკაცია ხშირ შემთხვევაში არ დგებოდა. ამის მიუხედავად, სპექტაკლების აგტორი რეჟისორები უფრო თვითდაჯერებულები, ბენდინერები გამოდიოდნენ „პაკლონზე“ და შემდეგ თეატრის ფოიეში გვისხინიდნენ რა თემაზე, რა პრობლემაზე იყო სპექტაკლი, რომელიც კრიტიკოსთა უმრავლესობამ ვერ აღმოაჩინა და ობიექტურად არც იყო სპექტაკლში.

სანდრო მრევლიშვილი - ბატონო ლაშა, ეს არა მარტო რეგიონული თეატრების სენია, თბილისის თეატრებშიც ცუდად არის მეტყველების საქმე.

ლაშა ჩხატიშვილი - დიახ, გეთანხმებით. ცოტა გაკვირვებული ვიყავი, როდესაც რეჟისორი იწყებს სპექტაკლის შინაარსის მოყოლას, ე.ი ის სპექტაკლი არის ნარუმატებელი. მე სხვა გამართლებას ვერ ვპოულობ. არ ვიცი. შეიძლება ვცდები. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა დრამატურგის შერჩევა. მესმის, რომ ყველაფერი გამომდინარეობს ბიუჯეტიდან, მაგრამ ჩვენ გვაქვს არაჩვეულებრივი მაგალითები ქართულ თეატრში, დედაქალაქსა და მათ შორის, რეგიონებშიც, სადაც მცირებიულებიანი სპექტაკლები უფრო ნარმატებული აღმოჩენილა და უფრო სიცოცხლისუნარიანი, ვიდრე დიდიდუჯვეტიანი სპექტაკლები. არასხორი მენეჯმენტის (ეს თვისებები უნდა ჰქონდეს სამხატვრო ხელმძღვანელსაც) პრობლემა მოგნია ის, რომ სცენაზე აშენებენ უზარმაზარ დეკორაციებს, ათამაშენ ორმოც შესახიობს, შეკერავენ 90 კოსტიუმს და სპექტაკლს ითამაშებენ მხოლოდ სამჯერ. სამწუხაროო, ძალიან ბევრ თეატრში ეს პრობლემა დგას, როდესაც არასიცოცხლისუნარიანი აღმოჩენება სპექტაკლი. მათ შორის, შეიძლება სინტერესო სპექტაკლებიც იყოს, რომელიც არ აღმოჩენება ხანგრძლივი სიცოცხლის მქონე, რადგან მას არ ჰყავს მაყურებელი. არადა თეატრი მაყურებლის გარეშე ნარმოუდენებლია. ყველამ ერთად უნდა ვეძიოთ გზა, დავიჭიროთ იქროს შუალედი, რომ ჯერ მაყურებელი შემოვიტყუოთ თეატრებში და მერე ალვზარდოთ. ანგარიში უნდა გავუნიოთ იმ საზოგადოებას, რომელსაც ვემსახურებით, მაგრამ არ უნდა ნავიდეთ პრინციპულ კომპრომისებზე, ისეთზე მაგალითად, როგორზეც რუსთავის თეატრი წავიდა სპექტაკლით „ხერის სიზმარი“. ზემოთ ვახსენე, რომ ასევე დადი პრობლემაა დრამატურგის არჩევანი და ეს პრობლემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ უკვე ტენდენციის სახე მიეცა. სადაც არ ჩანს რეჟისორის მოქალაქეობრივი პოზიცია, არის მხოლოდ ლირიკული განცდები გადმოცემული სპექტაკლებში და მართლა გვიჭირს გაგება,

ჩვენ თეატრს მიჩვეულ მაყურებელს და წარმოიდგინეთ, მაყურებელი, რომელიც ხშირად არ დადის თეატრში და შემთხვევით აღმოჩნდება, საერთოდ ვაშორებთ მას თეატრს. მხატვრულად და კომპაზიციურად გამართული პიესის არჩევა სპექტაკლის წარმატების სანინდარია და ეს აკინყდებათ ხოლმე ჩვენს რეჟისორებს, რომელებიც სპექტაკლებს დგამენ ნაკლებად აქტუალურ და ლოკალურ პრობლებზე.

მეორე პრობლემა ისევ დრამატურგის არჩევანს უკავშირდება. ისევ ეს ვითომ კომედიური და გასართობი, გნებავთ მაყურებლის განსამუშატი წარმოდგენები, უფრო მდარე და საეჭვო ხარისხის წანარმოებები, რომლებიც ჩვენ ამ ფესტივალებზე ვნახეთ, „იუმორინას“ ჟანრის, ასეთი ჟანრი თუ არსებობს, (უფრო საესტრადო ჟანრია) ძალიან ბევრი სპექტაკლი, რომელიც თურმე ყოფილა მაყურებლის მოთხოვნა და თეატრი უწევს მაყურებელს ანგარიშს. ამ დროს გვავიტყვდება, რომ სახელმწიფო პროფესიული თეატრის მისია სულ სხვა რამეა და არა რეგიონში მცხოვრები მაყურებლის ესთეტიკური (და არა ზნეობრივი) დაცემა. თუ კომედიაზე, ვოდევილზე და გნებავთ, ფარსზე მიდგა საქმე, საპირნოებდ შემიძლია გაგახსენოთ ისეთი ნამუშევრები ამ ჟანრში, რომელთაც საეტაპო სპექტაკლების სახით ვიცნობთ და ამ ტიტულით დაიმკვიდრეს ადგილი ქართული თეატრის ისტორიაში. ჩვენ ვნახულობდით კომედიებს, სადაც არტისტული ნამუშევრებიც კი არ იყო გამორჩეული და დასამახსოვრებელი, აღარაფერს ვამბობ რეჟისურაზე.

მე არ მივეკუთვნები იმ კრიტიკოსთა რიცხვს, რომელიც აპროტესტებს ბილნისტყვაობას სცენაზე, ვინაიდან მგონია, რომ ჩვენი რეალობა და სინამდვილე ასახება დრამატურგიაში და შესაბამისად, სცენაზეც. არ მინდა შელამაზებული სინამდვილე ვნახო სცენაზე, მინდა მძაფრად დავინახო რეალური მოვლენები თეატრის საშუალებით, როგორც სარკევი, ჩვენი ნამდვილი სახე. გვაღიზნებას? თოდა, ძალიანც კარგი, ე.ი. სცენიდან სიმართლეს გვეუპნებიან. არსებობს თეატრები, რომლებიც შეგნებულად უარს ამბობენ სითამაზებზე, თავს არიდებენ და ვერ რისკავთ თანამედროვე ავტორების ტექსტების დადგმას. (თანამედროვე ქართული დრამატურგის განვითარებას და მოტივაციას ეს მიზეზიც უშლის ხელს) ჩვენი სცენა უნდა ეთმობოდეს მწვავე და აქტუალურ პრობლემებს, უმცირესობების (რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური) საკითხებს, იმას, რაც გვტკივა და პრობლემა. ამ მხრივ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს თემურ ჩხეიძის სახელოსნო, რომელიც ზრდის საინტერესო დრამატურგებს და რამდენიმე უკვე კარგი შედეგიც აჩვენა. ჩვენში, საბედნიეროდ, ახლა არ არის იდეოლოგიური ცენტურა, სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში იდეოლოგიური ცენტურა ფინანსურმა ცენტურამ ჩანაცვლა და ახლა თვითცენტურის ინსტიტუტმა იმძლავრა. მაინც ანგარიშს ვუწევთ

უმრავლესობას და ვფიქრობთ, რა მოეწონება მორჩმუნებ მაყურებელს, ან ხელისუფლებას და არ ვფიქრობთ, რა არის აუცილებელი დაიდგას სცენაზე, მნვავედ და ხმამაღლა ვისაუბროთ იმ პრობლემებზე, რომელიც რეალობაში ნამდვილად არსებობს. ჩემი აზრით, უკვე სასაცილოა და სიყალბით გაუდენთილი ისეთი სპექტაკლი, რომელშიც სპექტაკლის ავტორი მორწმუნექრისტიანს „თამაშობს“, მსახიობები ანთებენ სანთელს და ლოცულობენ. მსგავსი სცენები სწორედ მაყურებლის გულის ასაჩუქრებლად იდგმება, ე.წ. „სატაში ეპიზოდისთვის“, რაც მე ფარისევლობა მგონაა.

რაც შეეხება პროცესს, რომელიც ზემოთ ვახსენ, სადაც შემოქმედებითი პროცესი მიმდინარეობს, სახელნიეროდ, ასეთი თეატრებიც არსებობს ჩვენს რეალობაში. რაღაც თვალსაზრისით საინტერესოა მათი ნამუშევრები, გამორჩეული რეპერტუარი აქვთ და გარევეული ტენდენციების გამომხატველია. მათი რეპერტუარი და სამუშაო პროცესი თანმიმდევრულია. ასეთი სამი თეატრი მახსენდება რეგიონებში - ეს არის გორის, ფოთის და ჭათურის თეატრები. მართალია, აქტიურად მუშაობს ბათუმის, ოზურგეთის, მესხეთის, ზუგდიდის და თელავის თეატრები, მაგრამ თანმიმდევრული სათეატრო პროცესები მაინც ნაკლებად მიმდინარეობს. როცა ასეთ საპასუხისმგებლო განცხადებას ვაკეთებ, ვგულისხმობ არა მხოლოდ განვლილ ერთ სეზონს, არამედ ბოლო 3-4 წელინადს. არ გეგონოთ გამომრჩა ქუთაისის თეატრი. ამ თეატრში ორი წლის ნინ არაჩვეულებრივი სპექტაკლები დაიდგა. გასულ წელს კი ჩავარდა სეზონი, ფაქტობრივად, არაფერი დადგმულა საინტერესო, გამორჩეული, ქუთაისის თეატრს უკველ შემთხვევაში ისეთი, ქუთაისის თეატრს როგორ ეკადრება. წელს კი უკვე მქონდა ბედნიერება მენახა გიორგი სიხარულიძის არაჩვეულებრივი, ორიგინალურად გააზრებული და ეცექტური სპექტაკლი „რევიზორი“, რომელიც რადიკალურად გაასხავებული ინტერპეტაციაა ამ ნანარმოების და მაღე თბილისმიც იქნება ნარმოდგენილი რუსთაველის თეატრში. იქ ისევ განახლდა შემოქმედებითი ატმოსფერო და გააქტიურდა პროცესი. ასეთი შეუწყვეტელი პროცესი კი სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ სამ თეატრში მიმდინარეობს. შესაძლოა, ადრე დავით მლებრიშვილი არ მოიაზრებოდა გამორჩეულ რეჟისორად, მაგრამ მან ფოთის თეატრის ხელმძღვანელის ამპლუაში გამოამჟღავნა არა მხოლოდ პროფესიული ზრდა, არამედ თეატრის ხელმძღვანელობის უნარი. ფოთის თეატრს დღეს აქვს გარკვეული სახე, დონე, ეს თეატრი ამართლებს თავის არსებობას და ფუნქციას რეგიონში ასეთი მუშაობით.

ფოთის თეატრი არის ღია, დატვირთული შემოქმედებითად (არ არის ორიენტირებული მხოლოდ რაოდენობაზე), ისინი შესაძლოა არც ყოველდღიურად თამაშობენ სპექტაკლებს, როგორც დედაქალაქის თეატრები, მაგრამ

რომ დავთვალეთ ნარმოდგენების რაოდენობა, სტაბილურად მომუშავე თეატრების ათეულში მოექცა, რაც იშვიათობაა და ყველამ კარგად ვიცით, რომ სტაბილური მუშაობა რეგიონებში თეატრების დიდი პრობლემაა. სამწუხაროდ, ჩვენში მოღვაწეობს ბევრი სახელმწიფო პროფესიული თეატრი, სადაც თვეში ორ სპექტაკლს თამაშობენ, რაც ბუნებრივია, შემოქმედებით პროცესს უშლის ხელს, ფაქტობრივად კლავს და ასამარებს თეატრს.

დედაქალაქის თეატრებს თუ გადავავლებთ თვალს, ქართულ თეატრში სათეატრო პროცესის მასტიმული რებელი და პროცესების განმახორციელებელი რამდენიმე თეატრი მეგულება. საინტერესოდ მუშაობს სამეფო უბისი, მუსიკისა და დრამის, მარჯანიშვილის თეატრები. საგრძნობლად გამოცოცხლდა ახმეტელის თეატრი, ქართულ თეატრებს არ ჩამოუვარდება ნარმატებით გრიბოედოვის რუსული თეატრი, სადაც „რევიზორის“ ახლებური და განსხვავებული ინტერპეტაციის ნარმატებული პრომიერა შედგა. ამ თეატრების პარალელურად აქტიურად მუშაობს მოზარდ მაყურებელთა თეატრი, რომელსაც უფრო ნარმოებას ვუწოდებდი, მას სამი სცენა აქვს და სამივე დატვირთული, ამ მხრივ, მას კონკურენციას მხოლოდ მარჯანიშვილის თეატრი უწევს, რომელსაც ასევე არანორმალურ და ნარმოუდგენელ რეჟიმში უწევს მუშაობა. სამხატვრო ხელმძღვანელმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა ადვილად გააღო ამ თეატრის კარი, ძალიან ბევრი რეჟისორი შეუშვა ამ თეატრში და მისცა ექსპერიმენტების ჩატარების უფლება. კარგი მაგალითია ნიკა საბაშვილი, რომელმაც აბსოლუტურად ექსპერიმენტული „1945 წელი“ (შემდგომში მრავალგზის გამარჯვებული და ნარმატებული სპექტაკლი განახორციელა). ძალიან კარგია, როცა მოზარდ მაყურებელთა თეატრი ცდილობს ის სტიგმა დალიოს, რომელიც მის მიმართ აქვს პროფესიულ საზოგადოებას და მაყურებელსაც, რომ ეს არის საბაშვილი თეატრი. ეს თეატრი ცდილობს თვითი საზოგადოების და სეგმენტის გაფართოებას, რაც, ჩემი აზრით, მისასალმებელია. შეიძლება, ხშირად ისმოდეს კრიტიკული შენიშვნები, რომ რატომ დგამს მოზარდ მაყურებელთა თეატრი არასაბავშვო ნარმოდგენებს, მაშინ ეს მაქს მეტობა კითხვა, მაშინ რატომ დგამენ დრამატული თეატრები საბავშვო ნარმოდგენებს?! გარდა ამისა, ეს თეატრი გახდა თეატრმცოდნებისთვისაც საინტერესო, ამ თეატრში დავიწყეთ სპექტაკლების ნახვა, ისე, როგორც თოვლინების თეატრში, სადაც მხოლოდ საბავშვო რეპერტუარი არ იქმნება, ჩვენ ამ თეატრების მიმართ უნდა დავძლიოთ სტიგმა და გავითავისოთ, რომ საბავშვო თეატრები არ არის მეორეხარისხოვანი თეატრები. იდეაში ეს ისედაც ვიცით, მაგრამ მაინც გვაქვს ერთგვარი კომბლექსი და ამაში თავად თეატრიც არის ხოლმე დამნაშავე. ახლავე მოგახსენებთ, მიუხედავად იმისა, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრში საინტერესო

და გამორჩეული დადგმები განახორციელეს გამორჩეულმა რეჟისორებმა: ლევან წულაძემ, დათა თავაძე, გიორგი თავაძემ (უმცროსმა), ნიკა საბაშვილმა და სხვებმა, განასაკუთრებული მასშტაბი ვერ შეიძინა ამ სპექტაკლებმა, არ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი და ვერც ფონი შეცვალეს თეატრში, ვერ მოახერხეს თეატრის დასის მხატვრული დონის ამაღლება.. ვინიჭობ, ეს ხანგრძლივი პროცესია, რეზულტატის პერსპექტივით.

რაც შეეხება ქვეყნის პირველ თეატრად აღიარებულ რუსთაველის თეატრს. მიუხედავად იმისა, რომ ამ თეატრში დაიდგა არაჩვეულებრივი სპექტაკლი „დაკანონებული უკანონობა“, რომელიც რობერტ სტურუამ განახორციელა დიდ სცენაზე, რომელიც ჩემი სუბიექტური აზრით, მგონა, რომ სტურუას ბოლო ნამუშევრებს შორის მნიშვნელოვანი ნამუშევარია, არ არის საკმარისი ამ თეატრის მუშაობისთვის. ვისურვებდი, რომ დატვირთული იყოს სამივე სცენა და რუსთაველის თეატრი კვლავ გახდეს ქვეყნის პირველი თეატრი არა მხოლოდ სახელით, არამედ ძეუწყვეტელი და ინტენსიური მუშაობის გამო, რომელიც იქნება ბიძგის მიმცემი დანარჩენი ქართული თეატრისთვის, როგორც აქამდე იყო. ვიცი, რომ თეატრში მოლაპარაკებები მიმდინარეობს ახალგაზრდა რეჟისორებთან ახალი პროექტების განახორციელებად. იმედი მაქვს, ახალგაზრდა რეჟისორების მისვლა რუსთაველის თეატრში საგრძნობლად გამოაცოცხლებს შემოქმედებით პროცესს ასეთ მნიშვნელოვან სათეატრო კერაში.

ის პრობლემები, რომელიც ზემოთ რეგიონის თეატრების მაგალითზე ჩამოვთვალე, უცხო არ არის დედაქალაქის თეატრებისთვისაც. დედაქალაქის თეატრებს, რეგიონებისგან განსხვავებით, ერთი უპირატესობა აქვთ, ისინი მუდმივად ანახლებენ დასებს ახალი კადრებით, ეს პროცესი კი ფაქტობრივად შეწყვეტილია რეგიონის თეატრებში, რომლის გადაჭრაც ფიანსურ საკითხებს უკავშირდება. რამდენიმე თეატრის გარდა, რეგიონებში, წლებია არ მიუღიათ ახალგაზრდა მსახიობები, ინიადან მცირე ხელფასზე მათი შენარჩუნება ჭირს, ამიტომაც რიგით თეატრები ქუჩიდან, თეატრალური სტუდიებიდან (რომელსაც თეატრის არტისტები ხელმძღვანელობენ) იწვევენ არაპროფესიონალებს და შესაბამისად, სპექტაკლების დონეც დაბალია. თუმცა, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ზუგდიდის თეატრის წარმოდგენაში მონანილეობდა სტუდიელი მსახიობი გოგონა, რომელიც უფრო გულწრფელი და დასამახსოვრებელი იყო, ვიდრე რიგი პროფესიონალი მსახიობები ამავე სპექტაკლში. ახალგაზრდა კადრებით თეატრების დასის შევსება ძალიან ბევრი თეატრის პრობლემა რეგიონებში...

ცალკე მინდა გამოყოფილი თოჯინების თეატრები, რომლებიც ხშირად მივიწყებულია ჩენებან. ასეთი საქართველოში მხოლოდ რამდენი-

მეა, ზოგიერთი მათგანი ძალზე საინტერესოდ მუშაობს, ზოგიც ტრადიციებს ჩაბლაუჭებულია და ისტერიული შემი აქვს მიიღოს ახალი, დაივიწყოს თეატრი და თამამად შეზედეს, გაზიაროს ახალი გამოცდილებები. მეთოდოლოგიური სიახლეების მხრივ, თბილისის თოჯინების თეატრია ლიდერი, ყველაზე აქტიური კი ქუთაისის თოჯინების თეატრია, თუმცა მხილოდ აქტიურობა არ არის საკმარისი, რადგანაც საჭიროა თეატრი ინტენსიურად ეუფლებოდეს ახალ გამოცდილებას, მეთოდოლოგიას. ბორჯომის თოჯინების თეატრობიც ხორციელდება ექსპერიმენტები, მაგრამ ამ მხრივ დასის მზაობა არ იგრძნობა, რაც ხელს უშლის შემოქმედებით პროცესს.

რაც შეეხება დევნილ თეატრებს. ჩენთან ასეთი სამი თეატრია და სამივე დედაქალაქში. ესენია სოხუმისა და ცხინვალის დროამატული, და სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრები. ძნელია აკრიტიკულ თეატრი, რომელსაც საკუთარი ქერი არ აქვს და ყველა სპექტაკლს საგანგებო სიტუაციაში, თეატრისთვის შეუსაბამო პირობებში ამზადებს. ამ პრობლემების მიუხედავად, ეს თეატრები ახერხებს საინტერესო სპექტაკლების დადგმას. ზოგჯერ ისინი, თავიანთი ნამუშევრებით ტოლს არ უდებენ დედაქალაქის მთავარ თეატრებს. გამორჩეული იყო „ნავიგატორი“ დავით საყვარელიძის რეჟისურით და ლაშა ბულაძის პიესით სოხუმის თეატრში, ისე როგორც გოჩა კაპანაძის „ჯაყუ“ ცხინვალის თეატრში, იმის მიუხედავად, ვიზიარებ თუ არა იმ კონცეფციის, რომელიც რეჟისორმა შემოგვთავაზა. ამ სპექტაკლებში ჩანს დასი და მისი შესაძლებლობები. ყველაზე სუსტი რეპერტუარი აქვს სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრს, რომელიც პროფესიული თეატრის კრიტიკულებს ვერ აქმაყოვილებს და იქ დადგმული სპექტაკლები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ბუნებრივია, ვაცნობიერებ ჩემს პასუხისმგებლობას ამ განცხადებით, ვინაიდან ამ თეატრში ბევრად დადგმა მაქვს ნანახი, სწორედ ამ სპექტაკლებზე დაყრდნობით ვამბობ, რომ თეატრმა უნდა იზრუნოს პროფესიული ხარისხის გაზრდაზე.

და ბოლოს, ერთი მოკრძალებული თხოვნა მექნება სამხატვრო ხელმძღვანელებთან. როცა იწვევენ დასადგმელად, მიიწვიონ პროფესიონალები, რეჟისორები და სიფრთხილით შეარჩიონ პიესა. პროფესიონალების შემოკრება თეატრის დონეს აამაღლებს და ხელს შეუწყობს დასის პროფესიულ დაოსტატებას სწორად შერჩეული პიესა. აი, ისე როგორც, ჭიათურის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, მამუკა ცერცვაძის შემთხვევაში, რომელმაც მოიწვიო გიორგი შალუტაშვილი ირაკლი სამსონაძის პიესის „მეთეუზე ერთი, ორი...“ დასადგმელად, რომელიც მე წლის საუკეთესო სპექტაკლიც მგონია თავისი ყველა კომპონენტით, მონაწილე მსახიობებითა და სცენოგრაფიით. დიდი მადლობა. წარმატებას ვუსურვებ ქართულ თეატრს.

ვანო იანგბელიძე (თელავის თეატრის მსახიობი)- მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრები! ძალიან მიხარია, რომ ერთად ვართ, ძალიან მიხარია, რომ დღეს შევიკრიბეთ და ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენს აზრს. რაც ძალიან არ გვიყვარს ხოლმე და შეიძლება ვცდები, მაგრამ მაინც ვიტყვი, მსახიობი ვარ და ჩემს დამოკიდებულებას გეტყვით, არ მიყვარს მსოფლიო სევდას რომ დაატარებს არტისტი.



მე მინდა გითხრათ, რომ ყველა თეატრთან მაქვს შეხება და ძალიან მეამაყება, რომ ამ ფესტივალების დროს ბევრი სპექტაკლი ვნახებ და ძალიან დიდი სიმღვწებაც მივიღე. მიმაჩნია, რომ კარგი საქმე წამოვიწყეთ, ალვადგინეთ პრემია „ალალე“ და წელს ფოთის რეგიონულ ფესტივალზე სამ ადამიანს გადავეცით. პირადად ჩემგან მოვუწოდებ არტისტებს უკვე წლებში, ვინც ვართ შედარებით, რაღაც საკუთარი გავიღოთ, რომ ეს ახალგაზრდები წავახალისოთ. მე მესმის ეს მათთვის რაოდენ დიდი სიხარული და დიდი ბედნიერებაა და პირადად მე, ამას გავაკეთებ ხვალ და ზეგ.

რაც შეეხება დღევანდელ დღეს. რაც ამ დარბაზში ხდება, მე ვიტყვიდი, რომ ალბათ, ჩვენი ბრალიც არის, საზოგადოების ბრალიც არის, იმიტომ რომ დააკლდა ალბათ ის, რაც ინტერესს გაუჩენს არტისტებს თუ რეჟისორებს. უპირველეს ყოვლისა, მე მოხვევს, რომ ეს საკითხი წამომენია და ახლა მინდა გავაცელერო: რატომ ხდება, რომ ზოგიერთი პროფესიის ადამიანებს აქვთ პენსიის შენარჩუნების უფლება და შათ შორის არ არიან ხელოვანები. ამას იმიტომ ვაჟელერებ, რომ ვიღაცამ გაიგოს, ვიღაცამ კიდევ ერთხელ ყურად იღოს ეს თემა. მე მივესალმები თეატრმცოდნებს, რომლებსაც დიდ პატივს ვცემ და ოდიოგანვე ასე იყო. როცა რაღაცას აკეთებ, არც კრიტიკას უცხო და არც მოფერება და კარგი სიტყვის თქმა. მაქვს ასეთი სურილი, პირადად მეც ვიქნები ინიციატიონი და თქვენც იმედია გვერდში დამიდგებით, გამოვუწვათ ჩვენი უურბალი „თეატრი და ცხოვრება“ უფრო დიდი, სერიოზული მოცულობით და ტირაჟით, გახდეს ყველასთვის ხელმისაწვდომი, უირმატიც გავზარდოთ. ამ უურნალის გამოსვლა ქალაქში რაღაც მოვლენად გადაიქცეს. დიდი არმია ვართ არტისტების, ამდენი თეატრია, ამდენი რეჟისორი - ყველას უნდა გვაინტერესებდეს. მაგალითად, მე ვეძებ ამ უურნალს. ძალიან ცოტა გამოდის, ხან მოდის, ხან - არა, ვიღაცას უნდა, ვერ იწერს. ამიტომ უფრო მასშტაბური უნდა გავხადოთ ეს უურნალი. ამაში ჩვენი ფინანსები ჩავდოთ თუ ამასთან დაკავშირებით კავშირს პრობლემა აქვს. მე მზად ვარ იმისთვის, რომ თეატრმცოდნებმა წერონ, გავიგოთ ვინ სად,

რას აკეთებს და უურნალი ფუნქციონირებდეს. მოვლენად გადაიქცეს ყოველთვიურად ამ უურნალის გამოცემა; ნამდვილად არაჩვეულებრივი თეატრალური უურნალია. და ეს უურნალიც, რომ არ იყოს, საერთოდ ვერაფერს გავიგებთ. გაზეთებში ვერ ხედება და ტელევიზიონაც გვიზღიური ჩართვაა თეატრებზე. წელს ლაპა ჩხარტიშვილი რომ არა, ფოთის ფესტივალზე ის რაც პირდაპირი ჩართვით მიდიოდა პირზგნაკის გვერდზე, ვერავინ გაიგებდა თუ რა ხდებოდა ფესტივალზე. მიხაროდა და მსამოვნებდა, რომ ვიღაცა იგებს კარგსაც და ცუდსაც. მე ძალიან ბევრს ვმოგზაურობ, ბევრი მიწვევა მაქვს და ბევრსაც ვნახულობ და მერნმუხეთ, რომ არც ისე ცუდად არის ჩვენი საქმე თეატრალური ცხოვრების მხრივ, როგორც მავანს წარმოუდგენია. არის ძალიან კარგი სპექტაკლები, უბრალოდ ბევრს ვერ ვნახულობთ. ერთმანეთს უნდა მოვუწნოდოთ, რომ ნახოთ თუნდაც ოდნავ წარმატებული სპექტაკლი, მსახიობური სპექტაკლი, მინდა დავეთანხმო აქ გამომსვლელებს, რომ ფოკუსების დრო გავიდა უკვე — რეჟისურა გადასულია სამსახიობო ანსამბლზე და ყოველთვის იმარჯვებს, ყოველთვის წარმატებულია ასეთი სპექტაკლი. ითქვა, რომ არ არიან მსახიობები; როგორ არ არიან, მაგრამ თვითონ დადგმის მანერა და სტილია უფრო სხვა. მსახიობი ქმნის, რეჟისორი და მსახიობი კი ერთობლიობაში არის თეატრი. დამთავრდა. ეს ორი თუ არის, იქ იქნება ძალიან მოკლე. ქ-ნბა ირინაშ შემახსენა, რომ ძალიან კარგად მუშაობენ და ნამდვილად ძალიან საინტერესო სპექტაკლები იდგმება მესხეთის თეატრში. აქ დაბრუნდა ქართული დრამა-ტურგიის ფესტივალი, რომელიც ირწელინადში ერთხელ იმართება. თუმცა, ამ ფესტივალზეც ისეთი სპექტაკლები ჩადის, რომლებსაც ქართულ დრამატურგიასთან არანაირი კავშირი არა აქვთ. თუნდაც „ხოცავენ ქანც გვეტილ ცხენებს“, მაგრამ ალბათ ეს იგივე პრინციპია, რომ თეატრმა ფესტივალზე მიიღოს მონაწილეობა დრამით, როგორც ეს ხდებოდა კომედიის ფესტივალზე. რაც შეეხება თემას, რაზეც მე მინდა ვისაუბრო, ესაა დებიუტანტი, ახალგაზრდა რეჟისორები. ესენი არიან ძირითადად გიზო უორდანიას, გია კიტიას, გიორგი მარგველაშვილის,



„ხოცავენ ქანც გვეტილ ცხენებს“, მაგრამ ალბათ ეს იგივე პრინციპია, რომ თეატრმა ფესტივალზე მიიღოს მონაწილეობა დრამით, როგორც ეს ხდებოდა კომედიის ფესტივალზე. რაც შეეხება თემას, რაზეც მე მინდა ვისაუბრო, ესაა დებიუტანტი, ახალგაზრდა რეჟისორები. ესენი არიან ძირითადად გიზო უორდანიას, გია კიტიას, გიორგი მარგველაშვილის,

აეთანდილ ვარსიმაშვილის და რასაკვირველია, თემურ ჩხეიძის ჯაფუფები. ეს ის ახალგაზრდები არიან, რომლებიც თეატრში მოღვაწეობენ. საინტერესო რამ მინდა ვთქვა, ალბათ ბევრჯერ გვიმგზავრია ტაქსით და შეგვხევდრია ქიმიკოსი, ფიზიკოსი, ფილოლოგი, მაგრამ რეჟისორი ტაქსის მძლოლი, მე პირადად, არსად შემხვედრია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა რეჟისორი თეატრში მოხვდა. მათი ბედნიერება იწყება თეატრში, მაგრამ ჩვენი ტრაგედიაც იწყება ხოლმე იქ, იმიტომ რომ ისეთ სპექტაკლებს ვახსულობთ ხანდახან, რომ ისევ ტაქსისტი ყოფილიყო, ჯობდა. ის რეჟისორების ჯაფუფი, რომელიც მივიდა და რომელზეც მე ვისაუბრებ, ჩემი აზრით, საინტერესო რეჟისორები არიან და განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ თეატრებმა მისცეს მათ ეს საქალება. პირველ რიგში ეს ეხება მარჯანიშვილის თეატრს, რომელსაც ბევრი სცენა აქვს და საინტერესო სპექტაკლები იმართება, მოზარდ მაყურებელთა თეატრს, რაც მთავრია, თავისუფალ თეატრს და სამეფო უბნის თეატრს, რომლებიც ახალი თაობის რეჟისორებისა და მსახიობებისაგან შედგება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ მინდა ვთქვა: როგორც ახალგაზრდა რეჟისურა ისე ახალგაზრდა მსახიობებიც უნდა იყვნენ, მაგრამ სამწუხაროდ, ამ სეზონების განმავლობაში აღმოჩნდა, რომ ეს ახალგაზრდა რეჟისორები ძირითადად ეყრდნობიან წინა თაობის მსახიობების შემოქმედებას და ნაკლებად გამოიკვეთა ახალგაზრდა მსახიობი ერთი ორი გამონაკლისის გარდა. აქაც, როგორც მათემატიკოსები ამბობენ, გამონაკლისი ამტკიცებს კანონს. ეს სამეფო უბნის თეატრია, სადაც დასი მთლიანად ახალგაზრდაა და მსახიობებიც, რომლებიც გამოიკვეთნენ, ძალიან საინტერესოდ მუშაობენ. დათა თავაძის „ტროელი ქალები“ ავილოთ, თუნდაც სტრინდბერგის „ფრეკენ შიული“, რომელზეც ძალიან საინტერესოდ იმუშავეს.

რაც შეეხება თავად ამ რეჟისორების ნამუშევრებს, გამოიკვეთა, რომ ისინი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ კლასიკურ ნაწარმოებებს — ანტიკურიდან დაწყებული პოსტმოდერნისტულ დრამატურგიამდე, რომელზეც ისინი სწავლობრივ რეჟისურას და ეს ძალიან კარგია.

რაც შეეხება დადგმებს. თითების ყველა ახალგაზრდის რეჟისურა არის ექსპერიმენტი, საინტერესო ძიებებით. თუმცა, უნდა ვთქვა, ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული სცენები ეფექტურია, მაგრამ ზოგჯერ ჩემთვისაც გაუგებარია და მით უმეტეს, მაყურებლისთვის, რომლებიც იშვიათად ხვდებიან თეატრში. რეჟისორები უფრო ექსპერიმენტით არიან გატაცებულნი და, როგორც ბატონმა მერაბმა აღნიშნა, ძალიან უჭირთ ხოლმე ფინალის, ანუ ძირითადის განსაზღვრა, სად არის კულმინაცია, სად არის კვანძის გახსნა და ხშირად ამის გამო ამბავიც იკარგება. ქ-ნმა მაკამ ბრძანა, რომ რუსთაველის თეატრი ცდილობს თავისი სცენა ახალგაზრდა რეჟისორებს დაუთმოს, მაგრამ ასე არ

არის. ჩემი აზრით, აქ მხოლოდ ორი რეჟისორი გამოიკვეთა. ესენი არიან გოგა გორგოშაძე და ნიკა შველიძე-ჰეინე. დანარჩენები რატომდაც ამ თეატრში ვერ ხვდებიან. სხვა თეატრებში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. სამეცნიერო უბნის თეატრში, მარჯანიშვილის თეატრში, მაგრამ ამ უკანასკნელში მინდა ვთქვა, რომ საზღვარი ექსპრიმენტია, იქ ბევრი შეცდომაც არის. მართალია, იქ ბევრი რეჟისორი მუშაობს, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ახალგაზრდა რეჟისორების ნამუშევარი ყველა არ გამოიკვეთა ისე მნიშვნელოვნად როგორც ვთქვათ, თავისუფალ თეატრში. ამ თეატრის სპექტაკლები უკეთეს შთაბეჭდილებას ტროვებენ რეჟისორული თვალსაზრისით. ვიფიქრეთ, რომ არ ყო საჭირო სპექტაკლების დასახელება, მაგრამ მაინც გამოვყოფ რეჟისორებს, ეს მომავალი თაობაა, ჩვენ უნდა ვიცოდეთ და დავიმახსოვროთ ეს გვარები. რასაკვირველია, ეს არის მიხეილ ჩარკვიანი, ვანო ხუციშვილი, ნიკა ჩიკვაიძე, გიორგი აფხაზავა, თემო კუპრავა, პაატა ციცოლია, გურამ ბრეგაძე და სამეცნიერო უბნის თეატრი.

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ მიუხედავად საინტერესო ნამუშევრებისა, განსაკუთრებული შთაბეჭდილება არც ერთმა სპექტაკლმა არ დატოვა. არის საინტერესო „ირინეს ბედნიერება“, ვანო ხუციშვილის დადგმა მესხეთის თეატრში. მაგრამ აქ, როგორც ჩანს, აღბათ უფრო სამხატვრო ხელმძღვანელების დამსახურებაც არის, რომლებმაც ასე ვთქვათ, ასეთი დადებითი გავლენა იქონიეს ამ რეჟისორებზე, რომელთაც მათ თეატრში დაუთმეს სცენა.

და კიდევ ერთი ძალიან საინტერესო თემა გამოიკვეთა, როდესაც შეიქმნა კომედიის ფესტივალი. ამ ფესტივალმა დასაბამი მისცა კომედიის აღორძინებას ქართულ სცენაზე. კომედიის ფესტივალის დაარსებამდე მე არ მახსოვს, რომ ასე მასიურად კომედია იდგმებოდეს. თუმცა, აქაც უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა რეჟისორებმა „ხანუმა“ აირჩიეს და რამდენიმე ვარიანტი შემოგვთავაზეს. მაგრამ რას ვიზამთ, ესეც ქართული კლასიკა და თუ გვინდა უნდა იყოს ისე, როგორც კლდიაშვილი ქართული თეატრის სცენაზე.

მერაც გეგია - როგორც ჩანს, რაკი ძალიან შეზღუდული ვიყავი რეგლამენტით, ვერ მოვახერხე ჩამომეყალიბებინა ბოლომდე ჩემი აზრი იმის თაობაზე, თუ რას ვთვლი აუცილებლად და რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება ქართულ თეატრში. საუბარია იმ აქცენტებზე, რაც კარგისა და ცუდის კრიტერიუმად უნდა ვაკეციოთ. ამიტომ მე იმის საშუალება, რომ პოზიტივზეც მელაპარაკა, ნამდვილად არ მქონდა. ქ-ნო მაკა, ასეთ იპტიმიზმს, რომელსაც თქვენ გამოასხვებთ, სამწუხაროდ, ვერ გავიზიარებ. ამაზეცა ნათებამი — „მიხარია, არ კი მჯერაო“. როგორც ჩანს, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომელ თაობას ეკუთვნის ადამიანი. საუკეთესო, რაც ჩემს შთაბეჭდილებაში ჩარჩა იმ უამრავი სპექტაკლიდან, რომელიც მინახ-

ას, შეიქმნა ჩემი წარმოდგენები ჭეშმარიტ თეატრზე. ხოლო ვისაც ნამდვილი არ უნახავს, გაუჭირდება გაარჩიოს იგი ყალბისაგან. მე გავაკეთე და კვლავაც გავაკეთებ აქცენტის იმაზე, რომ თეატრი აროდეს ყოფილა შოუ-ბიზნესის ნაწილი და აუცილებელია, რომ ჩვენ, კრიტიკოსებმა, აქცენტი გავაკეთოთ იმაზე, რაც აკლია ქართულ თეატრს და არა იმაზე, რა მიღწევები გვაქვს. აი, ეს არის განსხვავება ჩვენს პოზიციებს შორის.

გურამ ბათიაშვილი (მწერალი, დრამატურგი, უურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მთავარი რედაქტორი) - ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ ჩემს სათქმელს. იდგა საკითხი, რომ დღევან-

დელი ჩვენი შეკრება ჩაშლილიყო, დაგვესაჯა ამითის ადამიანები, რომლებიც აქ არ მოვიდნენ. მე მგონი, ეს იქნებოდა დასჯა ჩვენი და იმ ადამიანებისა, რომლებიც დღევანდელი დღისთვის ძალიან სერიოზულად მოემზადნენ. დღევანდელმა დღემ კიდევ ერთხელ დაადასტურა,

სად არის ქართული თეატრალური კრიტიკა, თუ რა დონეზეა ქართული თეატრალური კრიტიკა.

აქ ითქვა უურნალის თაობაზე. ვანო იანგბელიძე არა მარტო ეთნიკურად არის ქართველი, სულით და ხორცით ქართველია. მან დასვა ის საკითხი, რაც მისთვის ეროვნული თვითგამოხატვის ერთ-ერთი, შეიძლება მცირე, შეიძლება პატარა, მაგრამ ერთ-ერთი ფირმა გახლვათ. ეს არის უურნალის „თეატრი და ცხოვრება“ ფუნქციონირება, რის გამოც მადლობელი ვარ ამ ჩინებული მსახიობის და პიროვნების. მე ამ უურნალში, რაც შეიძლებოდა ერთ თაობას გაეკეთებინა, გავაკეთე. გავაკეთე ჩვენი კავშირის თავმჯდომარების, თეატრმცოდნების, ჩვენი მსახიობების, რეჟისორების და სხვათა შემწეობით და მეოხებით. ჩვენი ძალიან მცირეოცხვანი, ძალიან „უხვევლიასიანი“, რედაქცია მუშადმივად ეართული თეატრის გვერდით დგას, ცდილობს ღირსეულად წარმოაჩინოს ქართული თეატრის დღევანდელობა. მაგრამ თეატრების საყურადღებოდ უნდა ვთქვა: თეატრმცოდნის აზრის მოსმენა არ უნდა გვიშირდეს. მით უმეტეს, ჩვენი თეატრალური კრიტიკა არ არის ისეთი, რომ მისი აზრი არ მოვისმინოთ და გავიზიაროთ. „თეატრი და ცხოვრება“ გახლავთ ქართული თეატრის უურნალი და თქვენ შეგიძლიათ ამ უურნალს უპატრონოთ, როგორც ბატონი ვანო იანგბელიძე სვამს საკითხს. თეატრალური საზოგადოება, ასეა თუ ისე, ვაივაგლახით, მაგრამ პატრონობს და აძლევს არსებობის საშუალებას. მაპატიეთ, თეატრების მიმართ საყვედურის გამო, თქვენზეა ბევრი რამ დამოკიდებული. ამას წინათ მირეკავს ერთ-ერ-

თი თეატრიდან მსახიობი, ბატონო გურამ, ჩვენს სპექტაკლზე ყოფილა რეცენზია, თეატრში არა გვაქვს უურნალი გამოწერილი და იქნებ ერთი ეგზემპლარი მომცეოთ. რა თეატრია ის, სადაც არ აინტერესებთ, რას ფიქრობენ მის სპექტაკლზე თეატრმცოდნენი. ძალიან დიდი მადლობა მინდა გამოხატო საქართველოს კულტურის სამინისტროს მიმართ, ამ შემთხვევამი ბატონ მიხეილ გიორგაძისა და ქ-ნ მანანა ბერიკაშვილის მიმართ, მათ გარეშე ძალიან გაგვიჭირდებოდა. ასე რომ თქვენზეა ბევრი რამ დამოკიდებული. თქვენ რომ გაიგოთ, რა ხელფასზე მუშაობენ რედაქციის თანამშრომლები, ან ძალიან გავიიბრაზდებით, ან სიცილს დაიწყებთ. ამიტომ არ გეტყვით, მაგრამ ყოველ მათგანს უყვარს ის, რასაც აკეთებს და სიყვარული აკეთებინებს ამ საქმეს. სხვათა შერის თქვენი სიყვარული და თქვენდამი პატივისცემა. ეს უნდა გავითვალისწინოთ.

და კიდევ ერთი რამ: თეატრალური საზოგადოება არ არის გოგი ქავთარაძისთვის, არც სანდრო მრევლიშვილისთვის, არცერთი ჩვენგანისთვის. თეატრალური საზოგადოება არის ქართული თეატრისათვის და თეატრალურ საზოგადოებას თუ ადგილებზე - ქიათურაში, გორში, ზესტაფონში, რუსთაველში, მარჯანიშვილში თუ სხვაგან არ ეყოლება თავისი წარმადგენელი, თუ არ მოხდა განევრიანება თეატრალურ საზოგადოებაში, არა იმისთვის, რომ მსახიობის ერთი ლარის შემონატანით იარსებებს თეატრალური საზოგადოება. არა, რა თქმა უნდა, ამისთვის არა — ყოველთვის ასეთი მცირე დარბაზი გვეყოლება. აღარ არის დღეს ის დრო, როდესაც თეატრის ხელმძღვანელები, მსახიობები მოდიოდნენ იმის გამო, რომ ცეკას კულტურის განყოფილების გამგე იმყოფებოდა დარბაზში და თუ არ დაინახავდა თეატრის მთავარ რეჟისორს, ან დირექტორს, ხვალ საყვედურს ეტყოდა. დღეს აღარ არის ასე. მაგრამ სად არის ჩვენი დამოკიდებულება იმ საქმისადმი, რაც წამოიწყო ილია ჭივავაძემ, აკაკიმ, იაკობ გოგებაშვილმ. არ მოგვწინოს საზოგადოების მუშაობის სტილით? შესაძლოა, მაგრამ გავერთიანდეთ და გარდავქმნათ. ვიმეორებ, ეს ყველას ორგანიზაცია, ყველასათვის. თეატრის მსახიობი უნდა იყოს თეატრალური საზოგადოების წევრი. იმიტომ რომ ის იყოს მონაწილე იმ საზოგადოებრიობისა, რომელიც მსჯელობს და ფიქრობს ქართულ თეატრზე. და თუ რამ არ მოსწონს, მით უმეტეს: მოვიდეს და იბრძოლოს!

დიმიტრი ჯაიანი

(აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი) - რაც შეეხება დღევანდელ დღეს. მეც თქვენთან ვარ, თქვენი წევრი ვარ. მივესალმები იმ ფაქტს, რომ ეს შეკრება არ ჩაიშალა, იმიტომ რომ მე ორი



ისეთი მოხსენება მოვისმინე, რომელიც ძალიან საინტერესო გახლდათ ჩემთვის. მე დავიწყებ ფოთის რეგიონული თეატრების ფესტივალით. ბატონი ლამა ჩხარტიშვილის გამოსვლა მომენტა სწორედ ამ კუთხით. ეს არის საოცრად კარგი ფაქტი და ქ-ნ ნინელი ჭანკვეტაძის დამსახურებაა. ეს არის მაღალ დონეზე ორგანიზებული ფესტივალი, მაგრამ რაც ბ-ნმა ლაშამ ბრძანა ეს არის უმთავრესი. ჩამოდიან თეატრები, ძალიან ცუდ სპექტაკლს თამაშობენ და არავინ არის გამყითხავი. ტექსტი არ ისმის კი არა, საერთოდ არაფერი ისმის, მდონი, ერთმანეთისაც კი არ ესმით. მაგრამ ამის მთქმელი კი თეატრალური კრიტიკა ყოველთვის. მე მსახიობა ვარ, მაგრამ ჯობის ძალან მეტყინოს, ვიდრე არ მითხრათ. აი, ამ დასკვნამდე მივედი. მიხარია, რომ ნოდარ ჩახანიძის შვილიშვილმა წარმატებას მიღწია.

რაც შეეხება ჩვენს ლტოლვილ თეატრებს, ახლა ჩვენ ვიმყოფებით განათლების სამინისტროს შენობაში. ეს არის ერთადერთი შენობა, რომელიც ეკუთვნის სოხუმის თეატრს, დანარჩენ შენობებს ვერიაობთ. შენობის მეექვსე სართულზე ამ დღეებში გადმოვიყანეთ სოხუმის თეატრის დირექცია. გაკეთდა ბრწყინვალე რემონტი, სარეცეტიციო დარბაზით, საგრიმიორო ოთახებით. აქვე მინდა ვახსენო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია. ვერ გეტყვით, მე და ბატონმა ვახტანგმა როგორ მოვიძიეთ ფინანსები. მეორე სართული, რომელიც ამ შენობას აქვს 400-ადგილიანი დარბაზით — სარემონტოა. ყველაფერ ამას ს ჭირდება თანხები. მინდა ბატონ ბიძინა ივანიშვილ მივმართო დახმარებისთვის, რომ ჩატარდეს რემონტი. ის რომ არა, რა გვეშველებოდა. ოზურგეთის თეატრში ინწყება რემონტი, ზუგდიდის თეატრში, ბათუმის თეატრში მიმდინარეობს რემონტი. და კიდევ ვიღაცა აკრიტიკებს. ეს სცენა თუ გაკეთდა მოზარდ მაყურებელთა თეატრსაც ექნება საკუთარი სცენა და გამსახურდიას თეატრსაც. იქვეა სახელმიწოდო ანსამბლი, ცნობილი კაპელა. აი ასეთი სიტუაცია და სწორი ბრძანა ბატონმა ლაშამ აუცილებლად უნდა მივხედოთ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრს, რეჟისურას და დას.

რაც მთავარია, იქტომბრის დასაწყისში, ეს უკვე ჩემს თავზე ავიღე, როგორც მინისტრმა, სპექტაკლებზე მუშაობას დაინტებენ გიორგი ქანთარია და ვანო ხუციშვილი. ეს ორი ახალგაზრდა რეჟისორი სოხუმის თეატრში აუცილებლად შექმნის ორ საინტერესო ტილოს. ძალიან მინდა დათა თავაძე მოვიწვიო და საერთოდ, ახალგაზრდებმა დადგან სპექტაკლები. გმადლობთ.

დიმიტრი ხეთისიაშვილი (მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი) - ძვირფასო მეგობრებო, ძალიან სასიამოვნო იყო მრავალზის, სხვადასხვა კონტექსტში, თუნდაც კრიტიკულად, თუნდაც არაკრიტიკულად მოზარდ მაყურებელთა თეატრის მოხსენიება. მიმაჩნია, რომ თეატრები ბევრად უფრო მჭიდ-



როდ უნდა თანამ-შრომლობდნენ თეატ-რალურ კრიტიკასთან. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ამას. შარ-შან სეზონის დასაწყისში გვქონდა თეატრმ-ცოდნების შეკრება, რომელთაც გავაცანით ჩვენი გეგმები, მივიღეთ წინადადებები, შენიშვნები განვლილ სეზონზე, რაღაცაში დავეთანხმეთ, რაღაცაში - არა, მაგრამ იყო ჯანსაღი მსჯელობა. დანტერესების თვალსაზრისით პრაქტიკურად არ არსებობს სპექტაკლი, რომელზეც თეატრმ-ცოდნების ის ჯგუფი განსაკუთრებით, რომელიც დღეს აქ არან წარმოდგენილი არ დასწრებოდნენ, არ განეხილათ - იყო კრიტიკაც, იყო შექებაც. თუმცა, მოზარდ მაყურებელთა თეატრთან მიმართებაში ცოტა სხვა მიმართულების პრობლემებია. პოსტსაბჭოთა სივრცის გარდა რეალურად ამ დასახელების თეატრი არ არსებობს არსად. ყველა ჩვენნაირ თეატრს ჰქვია ან ახალგაზრდული თეატრი ან რაიმე მსგავსი, თუმცა ასაკობრივი ზღვარი განსაზღვრულია ორიდან 21 წლამდე. ანუ რეალურად არ არსებობს შეზღუდვა არც ერთი ნაწარმოებისადმი, რომელიც არ შეიძლება დაიდგას ამ ტიპის თეატრში. წელს ჩვენ ვიყავით ერთ-ერთ ძალიან მნიშვნელოვან ფესტივალზე „რადუგა“ სანკტ-პეტერბურგში. სპექტაკლი ვითამაშეთ სწორედ იმ თეატრის შენობაში, სადაც დაიწყო არსებობა მსოფლიოში პირველმა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ბრიანცევის ხელმძღვანელობით. მათ რეპერტუარს რომ გადავხედეთ, აშკარად ჩანდა, რომ არც კრიტიკისათაგან და არც მაყურებლისგან სარეცერტუარ შეზღუდვაზე არ არსებობს რაიმე მითითება. რეპერტუარში ერთდროულად არის წარმოდგენილი „მაკეტი“, „შემოსავლიანი ადგილი“, „მეფე ლირი“, „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, „წითელქუდა“, ანუ ყველა უანრისა თუ ასაკობრივი კატეგორიისათვის განკუთვნილი სპექტაკლები გამოსახულება. ჩვენი თეატრის მიმართებაში კი, საკარისისა რაიმე არასაბავშვო დაუდგათ, იწყება დაუმსახურებელი და გაუგებარი კრიტიკული შენიშვნები. არავის არ გაუმიჯვავს ის თემები რა უნდა ვაჩვენოთ ჩვენი თეატრის მაყურებელს და რა სხვა თეატრებისას. მაშინ ავრიძალოთ სხვა სახელმწიფო თეატრებში საბავშვო წარმოდგენები. ანდა ამას წინათ ერთ-ერთმა ხელოვნებათმცოდნებმ, რომელიც პრემია „დურუჯთან“ დაკავშირებით თავის მოსაზრებებს აყალიბებდა, დასვა საკითხი, საერთოდ უნდა მონაწილეობდეს თუ არა თოჯინების თეატრი „დურუჯზე“ მოზარდ მაყურებელთა თეატრი თავისი ზღაპრებითა თუ საბავშვო გასართობებითო? მაინტერესებს თუნდაც ზღაპარი რატომ არ უნდა წარვადგინოთ „დურუჯზე“, თუ მაღალი ხარისხის ნამუშევარია? ოთხი წელია

რაც მე ვმუშაობ ამ თეატრში და არც ერთხელ „დურუჯზე“ არცერთი ზღაპარი არ წარდგენილა - არა იმიტომ, რომ ზღაპარს რაიმეთი ვაკნინებ, უძრალოდ ჩავთვალეთ, რომ არ იყო წარსადგენი. არც საკუთარი სპექტაკლი არ წარმიდგენია წინა წლებში „დურუჯზე“. წელს გამონაცემისა დავუშვი და მონხსპექტაკლი „ლამე და თუ-თოყუში“ წარვადგინო, ისიც მხოლოდ მსახიობ ნიკა ფაიქრიძის კარგი შესრულების გამო. და მოხდა ისე, რომ „დურუჯის“ კომისია საერთოდ არ მოვიდა სპექტაკლზე. ვიფიქრე ალბათ, გადაიდო „დურუჯის“ დაჯაილდოვება-მეთქი. უცებ გამოაქვეყნეს მოკლე წუსხა და მე ღიად გავაპროტესტე ეს ამბავი. კი, ბატონო. არ ვითხოვთ პრემიას. მაგრამ მოდით და ნახეთ სპექტაკლი. ის, რა პასუხიც ამ პროტესტს მოჰყვა, შეურაცხმყოფელი იყო ჩვენთვის - სამეულებში ვერ მოხვდნენ და იმიტომ ამბობენო... ადრე რატომ არ თქვესო. არა ბატონო, არანაირ სამეულებში არ ვითხოვ მოხვედრას და არც ხუთეულებში. თუ მოხვედები კარგი იქნება, არ მოხვედები და - მივულოცავ კოლეგას. რაზეა საუბარი. აი, ასეთი დამოკიდებულება ჩვენი თეატრისადმი ნამდვილად მიუღებელია. მე თეატრალური საზოგადოებისგან სწორედ ასეთი დაუმსახურებელი და მიკერძოებული შეურაცხყოფებისას ვითხოვ გვერდში დგომას, როცა სხვადასხვა ტელეარხი თუ უურნალისტი იმიჯს ულახავს თეატრს. გასალანდი თუ ვარ მლანძლეთ, მაკრიტიკეთ, მაგრამ შეურაცხყოფას ნუ მოგვაყენებთ, მით უფრო, როცა ამას ნამდვილად არ ვიმსახურებთ. ჩვენ პროფესიულ საქმიანობას ვენევით გვგონია და ამ დროს როცა გვინერერნ რაღაც ბავშვური გასართობებით, ნამდვილად შეურაცხყოფელია. ამ ყველაფრის საპირნონედ გვაქვს ლელა ოჩიაურის, მაკა ვასაძის პროფესიულად დაწერილი წერილები, თუნდაც „ზამთრის ზღაპარზე“, ლაშა ჩხარტიშვილის „1945“-ზე თუ სხვა სპექტაკლებზე, მათ შორის კრიტიკული წერილები.

ერთ საკითხს მინდა შევეხო. კულტურის მინისტრის წინაშე დავაყენე საკითხი და ის მხარს გვიჭრს და იქნებ თეატრალური საზოგადოებაც დაგვიდეს მხარში. წელს ჩვენ ვიწყებთ საიტილეო — 90-ე სეზონს და ამ სეზონს ბოლოს გამოცემთ დიდ საიუბილეო ალბომს, სადაც აბსოლუტურად ყველა ადამიანის, ვისაც კი უუდგანია ქართულად მოზარდში, ლირსეულ პატივს მივაგებთ. და ამით გვინდა, რაღაცნაირად ამოვნუროთ, დავასრულოთ მოზარდ მაყურებელთა თეატრის სახელნოდებით ამ თეატრის არსებობა. (სოხუმის მოზარდი თვითონ გადაწყვეტს თავის ბედს). ასეთი აზრი გვაქვს ჯერ-ჯერობით, რომელიც თარგმანშიც არაჩვეულებრივად უდერს, როგორც ინგლისურად, ისე რუსულად. რომ ჩვენმა თეატრმა უკვე 91-ე სეზონი გახსნას, როგორც „ნოდარ დუმბაძის სახელობის ახალი თაობის თეატრი“. ახალი თაობა არის ორი წლის ბავშვიც, 21 წლის ახალგაზრდაც და სარეპერტუარო შეზღუდვა პრაქტიკულად

არ იარსებებს. ამ საკითხზე კარგა ხნის წინათ ფიქრობდნენ ეტყობა ევროპაში, სადაც ამ ტიპის თეატრები არსებობს.

ბატონი გურამის და ბატონი სანდროს საყვედურს უურნალთან მიმართებაში მე პირადად ვერ გავიზიარებ. მეოთხე წელია მოზარდ მაყურებელთა თეატრი ყოველწლიურად იწერს ხუთ ეგზემპლიარს. მე ამას ვაკეთებ, როგორც ამ უურნალის ძალიან დიდი გულშემატკივარი. რაც თეატრალურ სივრცეში შემოვედი, 1985 წლიდან მოყოლებული ძალიან დიდი პატივის ცემელი ვარ „თეატრი და ცხოვრებისა“ და ძალიან მიხარია ის, რომ ეს უურნალი სწორედ ასე-თია, როგორიც არის.

კიდევ ერთი თემა: თეატრალურ საზოგადოებასთან მიმართებაში პრინციპული იყო მოზარდ მაყურებელთა თეატრის სურვილი, რომ დიდ რეგიონულ გასტროლებზე ყოფილისას რომელიმე სასტუმრო კი არ გვექირავა, არამედ სწორედ ბობიკვათში არსებული საზოგადოების აგარაკი. თან გასტროლები არ ემთხვეოდა გაცხარებულ ზღვის სეზონს, ამ პერიოდში ის სივრცე არ არის გადატვირთული და გვინდოდა, ამით მხარში დავდგომოდით საზოგადოებას. თანხა არსებობდა და რატომ გადამეხადა ვინმე შპს-სთვის, როდესაც შეიძლებოდა თეატრალურ საზოგადოებას რაღაც სარგებელი მიეღო აქედან.

ბატონებო, გაურკვეველი ხიდჩაკეტილობის თემას თუ არ მოვუარეთ, ამ საზოგადოებას მომავალი არ ექნება. თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოველწლიური პრემიების კონკურსში, პრაქტიკიულად ნახევარი ქართული თეატრი არ იღებს მონაწილეობას საგანგაშოა... არადა, ისინი არ არიან თეატრალური საზოგადოების წევრები და ამ კონკურსში მონაწილეობასაც თავს არიდებენ. ეს კი საერთო სურათს ცვლის. რეალურად პრემიორება ვერ ასახავს ქართულ თეატრში მიმდინარე პროცესებს, რადგან ნახევარი, თუ მეტი არა, საპრემიერო სპექტაკლებისა(!) კონკურსში არ გამოილება. ამ ხიდჩატეხილობას მოვლა სჭირდება... არა ხისტად, მოფერებით თუ არა-მოფერებით, არ ვიცა, როგორ?! რომ მქონდეს რეცეპტი ვიტყოფი, მაგრამ... დღევანდელი სიტუაციაც, როცა პრაქტიკულად არაბაზ-ში გვიწევს სეზონის შეჯამება, ამის შედეგია... იმ დიდი ცნობილი მოვლენების შემდეგ, რომლის შემდეგაც თითქმის 15 წელი გავიდა, მთელი რიგი სატანად საინტერესო შემოქმედინი არ არიან თეატრალური საზოგადოების წევრები. ამ რეალობას ყველა უნდა გავუსწოროთ თვალი და ვეძებოთ გამოსავალი ან...

და ბოლოს, წელს საიუბილეო სეზონი ჩვენ დავიწყეთ, ერთი შეხედვით, უცნაურად. მიგვაჩნია, რომ მოზარდი მაყურებელი არ ჰყავს მარტო თბილისას და გასული სეზონი დავხურეთ რეგიონში, კერძოდ მეტიაში, ახალი საიუბილეო სეზონი კი გაიხსნა პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლობში. უკვე მეორე წელია საპრემიერო სპექტაკლებისაც რეგიონში ვთამაშობთ

ხოლმე. ამ მხრივ ხელს გვიწყობენ რეგიონების თეატრის ხელმძღვანელები და აქ ვხედავ ორივე ხელმძღვანელს - ქ-ნ ნანა ნერეთელს და ბატონ სოსო ნემსაძეს. სწორედ ჭიათურასა და გორში გვქონდა შარშან და წელს პრემიერები. იქნება, კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერა იყოს პარლამენტისგან იმაში, რომ ესა ვადასახსენებელი 15-ლარიანი დღიური შეიცვალოს. ყველა ქვეყანასთან მიმართებაში შეცვლილია სამივლინებო დღიური ქართული რეალიტის გარდა. ამ საცოდავომა, სხვა სიტყვას ვერ ვამბობ, ჩემმა მსახიობებმა, რომლებიც ყველაზე დაბალანაზღაურებადნი არიან, ამ 15-ლარიანი დღიურით 28 სპექტაკლი ითამაშეს ზაფხულში რეგიონებში გასტროლებზე და ახლა უკვე ექვსი სპექტაკლი ითამაშეს სექტემბერში. მაგრამ მხოლოდ საქმისადმი სიყვარულითა და ენთუზიაზმით არ შეიძლება ამხელა მივლინებებზე ნასვლა 15-ლარიანი დღიურით. 1994 წელს არის ეს დღიური დანესხებული და ოდესმე ხომ უნდა გადაიხედოს?! კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გვაწუხებს: ისევე როგორც პედაგოგებთან მიმართებაში მონესრიგდა პენსია, ასევე უნდა მოხერხდეს ხელოვანებთან მიმართებაშიც. მათ უნდა ჰქონდეთ პენსიისა და ხელფასის ერთდროულად აღების უფლება. ეს ძალიან დიდ შედავათს მოგვცემს. კანონმდებლობას მიხედვა უნდა. ბატონი გოგი მალე დაასარულებს თავის ვადას პარლამენტში, მაგრამ იქნება, მიაწვდინოს ხმა კანონმდებლებს, რათა იფიქრონ 15-ლარიანი დღიურის შეცვლაზეც და პენსიონერი ხელოვანის დასაქმების საკითხზეც. ქ-ნი მედეა კუჭუნიქე მოვიწვიეთ, დადგა სპექტაკლი, მივეცით პონორარი და მოუხსნეს პენსია. ძალიან უხერხულია თუ ეს საკითხები არ მოწესრიგდება. დიდი მადლობა.

გოგი ქავთარაძე - მე მგონი, მაინც კარგი

ვქენით, რომ არ დავიშალეთ. დასასრულს მინდა ვთქვა ძვირფასო მეგობრებო, ახლა ვფიქრობი და ბოდიში მინდა მოგიხადოთ. მე ძალიან ბევრი რამის გაკეთება მინდობა და ვერ გავაკეთე. ალბათ ობიექტური უფრო მეტი იყო, ვიდრე სუბიექტური, მაგრამ მე მაინც გული მწყდება, რომ თქვენთვის თვალში ჩახედვა აღარ შემიძლია. დამრჩა გარკვეული პატარა პერიოდი და გაძლევით პირობას, რომ ამას მე რაღაცნაირად გავაკეთებ.

პირველი, შემოვდივარ ასეთი წინადადებით. თქვენ, ბატონობ ლაშა და თქენმა ჯგუფმა ყოველი პრემიერა გაეხდადოთ მსჯელობის საგანად თბილისა და რეგიონებში. ფინანსებსაც მოვძებნით და ეს იქნება სწორი და საინტერესო.

მეორე, რისი გაკეთებაც შემიძლია. ბატონობ გურამ, მე პირადად გაძლევთ სიტყვას, მე მოვიფიქრე ასეთი რამ. ჩვენ ძალიან შევწუხდით, რომ თეატრებს არ მიაქვთ უურნალები. გავუგზავნოთ და თუ ვინმე უკან გამოგიგზავნით, მე გაძლევთ პირობას, ამ საქმეს მე მოვუვლი როგორც დისტრიბუტორი. ეს როი პრობლემა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის, ეს განწირულის სულისკვეთება“.

მინდა დიდი მადლობა მოგახსენოთ მობრძანებისთვის. და ბოლოს გითხრათ ერთი რამ, სადაც კი წამოეწევით თქვენ მეგობრებს, უთხარით, რომ ამის შემდეგ, როდესაც ჩვენ დავგეგმავთ სხდომას, რომლის დევიზიც ყველას გვეცოდინება, გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ ეს დარბაზი ყოველთვის იყო ისტორიულად სავსე.

მოამზადა მარინე ვასაძე

როგორ იპარება სპექტაკლი

ანუ

როგორ სტურუას შემოქმედებითი ლაბორატორია

(ესკიზი - რობერტ სტურუა და მისი 19 ასული)



მანანა თევზაბე

... და საერთოდ, რას ნიშნავს სპექტაკლის დაბადება?

სპექტაკლი რეჟისორის ფიქრითა და ოცნებით იპარება!

მაგრამ სპექტაკლის დაბადებისას მაინც არტისტის გარდასახვის ნიჭიერებაა მთავარი - მსახიობთა ტალანტი, მათი როლში ცხოვრების უნარი, უამრავი ერთმანეთის გამომრიცხავი თვისება - მომხიბვლელობიდან დაწყებული, ინტელექტი, დაკვირვების უნარი, ცხოვრებისეული გამოცდილება, პლასტიკა, მიმიკა, დიქცია, დის-ციპლინა, თვითდისციპლინა...

მსახიობს რეჟისორის მიერ შემოთავაზებულ მდგომარეობებში კარგად ან ცუდად კი არა, სწორად თამაში უნდა შეეძლოს!..

ბედისწერის ნიშნები

სალამონბით თეატრი დღესასწაულის განსახიერებად იქცევა: კაშკაშა ნათურები, მუსიკა და მაყურებლის თვალინ მზა პროფესიული — სპექტაკლი აღსავსე მშვენიერი დეკორაციებით, მშვენიერი მელოდიებით, არტისტების ჩინებული თამაშით.

მაგრამ დღისით თეატრი სრულიად სხვა ცხოვრებით ცხოვრობს - უსასრულო რეპეტიციები, ოფლის და ზოგჯერ სისხლისმღვრელი შრომა, უსასრულო პრობლემების დილემა... ამ სისტემის ყოველი ჭანჭიკი უაღრესად მნიშვნელოვანია, ერთიც რომ გამოაკლდეს, დღესასწაული არ შედგება, ხელოვნება არ იმვება, ყოველი სპექტაკლი ხომ ახლადდაბადებული პირმშობა თეატრისა, ხანგრძლივი დროის მანძილზე ნატანჯი და ნალოლ-

იავები...

თუ ბედისწერას სურს, ყველაფერი ისე ნარიმა-რთება, როგორც საჭიროა, მაგრამ თუ არ სურს... მოვლენებზე... „ამინდის ცვალებადობაც კი მოქმედებს!..“

სპექტაკლის „ასულნი“ პრემიერა 2014 წლის სექტემბერში შედგა.

დიდი დრო გავიდა?.. მაგრამ დრო რომ არ არსებობს!..

რობერტ სტურუა:

— ჩემი ნათქვამი ბევრ ჩემს სპექტაკლში ახდა, მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენს ცხოვრებასა და სინამდვილეს უვცქერი, არც მაყურებელი მეცოდება და არც ხალხი...

ბედისწერი ვარ, რომ არსებობენ ადამიანები, ვინც მნარე სიმართლეს ამბობს... ეს ნიშნავს, რომ ერი გადარჩენილია!..

როდესაც ექიმი ავადმყოფთან მიდის, მან სიმართლე სრულად უნდა თქვას!.. როცა დაავადება დასახელებულია, ეს უკვე გადარჩენის სანინდარია და მას უნდა ებრძოლო.. მასხსოვს, ამის ნინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ისტორია არ არის კიბო, ისტორია ვითარდება, ის არ წყდება, ვაგინებ თუ არ ვაგინებ ცხოვრებას, იგი მაინც გრძელდება. თუ ნაწარმოები პესიმისტურია, ესე იგი, გამოსავალი არ არის...

დიახ, არ არის...

მაყურებელო, შენ, რომელიც პარტერში ზიხარ, მოუარე ქვეყანას და მოძებნე გამოსავალი...

ამ სპექტაკლს, მგონი, სულ 25 დღე ვაკეთებდი... მაგრამ მანამდე პოლიკარპე კაკაბაძის პიესებს

ვკითხულობდი, იქედან საჭირო, გამოსადეგი ტექსტები რომ ამომექექა... ჩვენი გოგი ალექსიძის ქალიშვილი, მარიამი, ხვეწდა და აზესტებდა მსახიობთა მოძრაობებს... მაგრამ ასე იოლად თუ დავდგამდი, მაინც არ მეგონა. არ მოვიტყუები და ჩემთვის ნამდვილი შრომა მხოლოდ ორ კვირას გაგრძელდა...

მოსკოვში ვიყავი წასული, მერე კიდევ სადღაც და რომ ჩამოვედი, სპექტაკლის ცეკვისას, ლიფაში ჩემ გვერდით მჯდომ მირიანს ვუთხარი, – აბსოლუტურად ვერ ვხვდები, როგორ დაიდგა ეს სპექტაკლი, გაოგნებული ვუყურებ და ვერ ვხვდები როგორ დავდგი...

როგორ დაიბადა სპექტაკლი?..

სამუშაო პროცესი სუფთა ემოციებზე იყო აგებული, ტვინის ინტელექტუალური ჭყლეტის გარეშე და მსახიობებიც ადვილად გამომვინწენ. თუ ვიზუტებდი და ვიყვირებდი, მოლოდი იმიტომ, რომ მინდოდა კარგად ეთამაშათ. ისინი მარნახობები იმ საოცარ ძალას, რაც ასე გამოარჩევს სპექტაკლს... ჩვენს პროფესიას ხშირად პორნოურნალსაც ვეძახი, მე უნდა ალვაგზნო მსახიობი, რომ მან კარგად ითამაშოს... თუმცა ამას, რა თქმა უნდა, მეტაფორულად ვამჩობ.

სპექტაკლის უანრიც კარგად ჩამოყალიბდა – ფანტაზია პოლიკარპე კაკაბაძის პიესების მიხედვით. მთლიანი სიუჟეტური ქარგა „სამი ასულისაა“, ქალები, რომელებიც უცდიან მესიას, მის ნაცვლად კი მოდის ცრუ მესია და ყველანი ტყუუდებიან, გამოსავალს ვერ პოულობები!.. მაგრამ ცხოვრება ხომ უნდა გაგრძელდეს და ცხოვრება გრძელდება!.. სპექტაკლის ბოლო ფრაზა, ფრაზა, რითაც სპექტაკლი მთავრდება, „ყვარყვარედანაა“ ალებული, – როდემდე უნდა იღილინოთ ასე?.. თვითონ არ შეგიძლიათ დაამსხვრიოთ?.. თუ არ შეგიძლიათ, მაშინ იყავით ისე, როგორც ხართ...

– როდემდე უნდა იღილინოთ ასე?.. არაფერი ცუდი არ არის ამაში, თითქოს... უბრალოდ, შეოთანი და შურიანი ხალხი ვართ...

დღევანდელ მდგომარეობას ვიცნობ, წარსულიც ვიცი... ვაჟა ფშაველას ბიოგრაფიაში ასეთ ფაქტს წავანები: როცა ვაჟა პეტერბურგში, იურიდიულ ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად სწავლობდა, ქართველ სტუდენტთა ურთიერთდამხმარე სალაროდან 50 მანეთი უსესხია. გავიდა თითქმის 20 წელი. ილია ჭავჭავაძე „ივერიიდან“ დაითხოვეს, სხვა რედაქტორი დანიშნეს, რომელიც ილიას თხოვნით ვაჟას პატარა ხელფასა და პონორარს უხდიდა. „მესამე დასის“ კომუნისტური იდეებით შემართულმა სოციალ-დემოკრატებმა ილიას დაცინვა დაუწყეს, უფრო მეტიც, მისი სიკეთების წლისთვის გაზინდებოდა გამოაქვეყნეს, პეტერბურგში არ გადაუხადეს, – ჩვენ ამ მემატულისთვის ფულს არ გავიმეტებთო!.. ვაჟას ლექსებს „ივერიაში“ საერთოდ აღარ ბეჭდავდენ, მერე ძველი ვალიც გაუხსენეს, – შვიდი სტუდენტი პეტერბურგში გასაჭირია ჩავარდნილი და ვალი

დაუბრუნებ, თუნდაც ნაწილ-ნაწილო...

ვაჟამ ცოტა სასტიკი წერილი დაწერა, – ჯერ ერთი, ფული სხვა ხალხისგან ავიღე და თქვენ რატომ უნდა დაგიბრუნოთ?.. ეს 50 მანეთი შეიც კაცს განა ეყოფაო?.. და მესამეც, საერთოდ ფული არ მაქვს, ერთი ძროხალა დამრჩენიაო...

ვაჟა ძალიან ხელგაშლილი კაცი ყოფილა, თბილისში რით ჩამოდიოდა, სულ ქეიფში ხარჯავდა თავის პონორარს...

ჰოდა, თუ წარსულს გავიხსენებთ, როცა ვაჟას ლექსებს რედაქცია აღარ იღებს, არც ფულს აძლევს და კიდევ ძველ ვალსაც სთხოვენ, რაღაზეა ლაპარაკი?..

მნიშვნელოვანი წამი

სპექტაკლი დიდხანს და ძნელად იბადება ხოლმე, ყველაფერი პერსპექტიული იდეით, თეატრის საჭიროებისა და დასის მონაცემთა გარჩევით იჩყება. ყველაზე მნიშვნელოვანი წამი სადადგმო ჯგუფის შერჩევაა, თანამოაზრეთა კონგლომერატის ჩამოყალიბება. მის გარეშე სპექტაკლი ვერ იშვება.

კონგლომერატი — შთაგონების წყარო და ურვეულო ამოცანების რეალიზატორია.

„ასულნი“... დადად ღირებული და მიზნდასახული წანარმები - მეტამოდერნისტული ფანტაზია ტექსტისა და ხასიათის ნიველირებით, მინიმალისტური დეკორაციით, სამეფო გვირგვინითა და პოლიტიკური ალუზიებით!..

ქორეოგრაფი მარიამ ალექსიძე:

მამა და რობერტ სტურუა წლების მანძილზე ერთად მუშაობდნენ და მამა ყველაფერს ისე მიამბობდა, რომ სტურუას თეატრის, მისი სპექტაკლების სიყვარულით გაიგზარდე.

ეტყობა მამა გუმანით გრძნობდა, საით წავიდოდ და პეტერბურგში ყოფნისასვე გამინია მასთან რეკომენდაცია... როცა გაიგო, რომ პირველი ნაბიჯების გადადგმა დავიწყე და მინიატურებზე ვმუშაობდი, თუმცა ეს მხოლოდ ჩემი მცდელობა იყო, რაც კი ჩანაფიქრები ჰქონდა, დამიტოვა. ეს ძალიან ემოციური მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაში და მისი გარდაცვალებიდან ერთ წელში მისი იდეა დავასრულე, მისი სხვონისადმი მიძღვნილი უკვე სრულყოფილი სპექტაკლი დავდგი.

ბატონ რობიკოს წანახი ჰქონდა ჩემი საბალეტო სპექტაკლი, მაგრამ დრამატულ თეატრში მუშაობის პროცესში პირველად სპექტაკლის „უფლისნულის და მათხოვარი“ დადგმისას მნახა, მაშინ პირველად შეაფასა და აფიშაზე დამიწერა კიდეც – „ეს ერთი და სხვა მრავალიო!“ მაშინ შევიტყვე, რომ ისეთი სპექტაკლის გაკეთებას აპირებდა, სადაც ბევრი მოძრაობა უნდა ყოფილიყო...

სამი ივნისს ჩემს ახალ სპექტაკლზე „გურჯი ხათუნი“ დავიწყე მუშაობა და რუსთაველის თეატრშიც პირველად შეიკრიბნენ „ასულნის“ მონაწილენი... დილით იქ ვიყავი, საღამოს – აქ, მაგრამ მიდენად მეხალისებოდა ყველაფერი, აბსოლუტურად არ ვიღლებოდი.

ბატონმა რობიკომ მხოლოდ ის მითხრა, რომ

რამდენიმე პიესას გააერთიანებდა, შესანიშნავი სათაური მოუქებდნა – ფანტაზია! მართლაც ფანტაზია იყო, სასწაული... ყველაფერი იქვე იბადებოდა... ყოველ ჯერზე ვნერვიულობდი, ვლელავდი, რომ რაღაცას ისე ვერ ვაკეთებდი, მაგრამ წინასარაც რომ ვერ ვერზეადებოდი... მხოლოდ ჩემი ფანტაზია უნდა ყოფილიყო მზად ქმედებისთვის, საინფორმაციო წყარო კი მაქსიმალურად სავსე. რაღაცას მეტყოდა და მე მას თან უნდა გავყოლოდი, უნდა მცოდნოდა როგორ გამეცეთებინა... გულწრფელად ვიტყვი, მიუხედავად იმისა, რომ ჟერს ვკითხულობ, ისეთ ოჯახში გავიზარდე, მევალება ჩემს პროფესიაში ვიცოდე ბევრი და ვარ ინტერესიანი ადამიანი, უფლისნულისა და მათხოვიდან” მოყოლებული, მე გავაორმაგე, გავასამამაგე ჩემი მონდომება, რომ ამ ადამიანს ყველაფერში ავყოლოდი, თუნდაც ბოლომდე არა, იგი ხომ ისეთ უსაზღვრო ერუდიციის ადამიანია... ერთ წელინადში, მე ალბათ ათი ნაბიჯი გადავდგი წინ, თან ხომ პარალელურად ჩემს სპექტაკლზეც ვმუშაობდი და მუშაობის პროცესში ვიგრძენი, რამხელა გავლენა იქონია მან ჩემზე. ნაბიჯ-ნაბიჯ, აბსოლუტურად სხვა მიმართულებით წავედი, ვიგრძენი, როგორ ვპოულობდი ახალ რაღაცეებს...

ყოველ რევეტიციაზე ვხვდებოდი ვარსკვლავ ქალბატონებს, თავად ბატონ რობერტს... მთელ შემოქმედებით გუნდს საოცარი უნარი ჰქონდა, რეპეტიციის დაწყებისთანავე ჩემთვის დაძაბულობა მოეხსნა... მე უკვე მაქვს ჩემი გარკვეული პლასტიკა, თუ როგორ ვმოძრაოდ და როგორ ჩემბურად ვაჩვენებ ამ მოძრაობებს. ბატონმა რობერტმა კარგად იცის მოძრაობა და თითქმის ყველაფერი მისი მოფიქრებულია... როცა მეკითხებიან, რთული იყო?.. ერთი მხრივ, ეს რთული იყო, თან ადვილიც, რადგან მან იმდენად კარგად იცოდა, რა უნდოდა დაეხსა და რა შედეგი მიეღო მსახიობისგან, რომ ამბობდა, – მოდი, ასე გავაკეთო... და ისე კარგად მიხსნიდა თუ რა სურდა, რომ შემდეგ... უკვე თავისუფლად ვაჩვენებდი ყველანაირ მასალას. რომ მეტყოდა, – აა აქ უნდა დავარდნენ... მე ვაჩვენებდი რამდენიმე მოძრაობას, თუ როგორ უნდა დავარდნენ, როგორ ადგნენ, როგორ გაიქცენ, როგორ იარონ... მოძრაობის ბევრ ვარიანტს ვთავაზობდი.

მაგიდასთან არ დამსხდარან და ტექსტი არ უკითხავთ...

სტურუა პირდაპირ სცენაზე, მოქმედებისა და მოძრაობის პროცესში ქარგავდა, ხატავდა ყველაფერს... წარმოიდგინეთ, სიტყვას ამბობდნენ და მერე უნდა გაეხედათ, ხელი აერიათ... მერე კიდევ ერთ სიტყვას იტყვოდნენ და ნაბიჯი უნდა გადაედგათ...

მაგრამ ამ ნაბიჯს თვითონ არ დგამდნენ, ყოველი ნაბიჯი დადგმული იყო... ამას ყველაფერს ერთად ვაკეთებდით!

თან იმასაც ეუბნებოდა, მუსიკალურად როგორ წარმოეტქათ...

მსახიობი ან პლასტიკას უნდა გაპყვეს, ან მუსიკალურ უდერადობას, მაგრამ პლასტიკას არ უნდა გამოეხსატა შინაარსი, არ უნდა მოეტანა განწყობილება, პლასტიკით არ უნდა მოყოლილიყო ამბავი, ამიტომ შესაბამისად, შეიძლება მოძრაობაც არ ყოფილიყო ადეკვატური, ანუ ამბობ სხვას და აკეთებ სხვას...

როგორ გითხოვთ, იქვე, ძალიან გუმანით ხდებოდა ეს ყველაფერი.

განსაკუთრებით დიდანის „მოლოდინის“ სცენაზე ვმუშაობდით. მართლაც ნაქარგივით არის იგი და მუსიკაც, თითქოს იქვე ითხზებოდა. ბატონმა გია ყანერელმა უზარმაზარი მასალა მოიტანა, იგი იყო ია საკანდელიძეც და იქვე არჩევდნენ შესაფერ მუსიკას. ბევრას რომ დაადებდა, მერე მე, იმისაც მიხედვით, რას მეტყოდა, რას მოისურვებდა, მოძრაობას ვთავაზობდა. ასეთი რამ იშვიათია თეატრში, ყოველ შემთხვევააში მე არ მოვსწრებივარ... დრამატულ თეატრში ან ცეკვას ვაკეთებდი ან მსახიობს ვეხმარებოდი და ყოველთვის ველი ისეთ სამუშაოს, სადაც სპექტაკლი მოძრაობით გადაწყვებოდა და რეჟისორთან ერთად მეც მივიღებდი გადაწყვეტილებებს, მაგრამ ყველაფერი, რაც გაკეთდა, ბატონი რობერტისა!.. იგი მეუბნებოდა, იგი მკარნახობდა... მან ხომ ძალიან კარგად იცის ქორეგრაფია... თამაშით მეტყოდა, მოდი გავაკეთოთ ბალანჩინის სცენა, მოდი გავაკეთოთ პეტიციას სცენა... ჯაზის სცენას დავარქვით ბობ ფოსის სცენა... „გლოვის“ სცენას ბატონმა რობერტმა კორეულ დატორების რიტუალი გამოიყენა, გულზე ხელის დარტყმები იქედან ავიღეთ და გახვავითარეთ. რა კარგია, რომ ეს ყველაფერი ვიცი... ყოველი დამახასიათებელი მოძრაობა უცემ მასებნდებოდა ხოლმე!..

მსახიობებს პირველ ნაწილში, ექსპოზიციურ სცენაში გაუჭირდათ, სადაც ძალიან ცოტაა სიტყვა და მოქმედება ფიზიკური თეატრის სტილშია გადაწყვეტილი. ერთბაშად დიდი დატვირთვა დაატყდათ თავს; სანამ ჩემს პლასტიკას - თან ტეილს, თან მორგვალებულს, ალლოს აულებდნენ, სანამ შეიგრძნებდნენ სტილს, შეიგრძნებდნენ ნაბიჯებს, რომელიც ჩამჯდარ ფეხებზე გათვლილი, სანამ შესანავლიდნენ ამდენ ახალმოძრაობას... ყველაფერი ატეკვდათ...

ჩემთვის „ასულზე“ მუშაობა შთაბეჭდილებაა, რომელიც მთელი ცხოვრება თან გამყვება!.. ასეთი რამ ალბათ აღარც განმეორდება, რადგან პირველი და ძალიან მძაფრია!..

ხშირად იხსენებდა მამაჩემს და ეს ორმაგად სასიხარულო იყო ჩემთვის!.. ყოველ წამს ვგრძნობდი ბატონი რობერტის მხარდაჭერას და მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან შევცეკერი ამ პირველებას, ახლა უკვე მართლა ვგრძნობ მის მეგობრობას!

მხატვარი ანა ნინუა:

როგორ ძალიან გამახარა ბატონი რობერტის ტელეფონის ზარმა!.. თან ისიც მითხრა, – თემო რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამ სპექტაკ-

ლზე აუცილებლად მასთან ვიმუშავებდი, რადგან სტილისტურად თემოს შეესაბამებაო... მთხოვა, ყველაფერი მინიმალისტური ყოფილიყო... აბსოლუტური სიცარიელე სურდა, მაგრამ ამ სიცარიელეში მე მაინც შემქონდა რაღაც დეტალები, თუნდაც კუპიკი... ვფიქრობდით, რომ მოქმედება კუბში ჩაგვეკეტა, მერე სცენა დავაცარიელეთ და საბოლოო ჯამში, თვითონ სცენის სივრცე აღმოჩნდა ის სივრცე, სადაც პერსონაჟები არსებობენ. მუშაობის პროცესში უამრავ ესკიზს ვაკეთებდი, მაკეტიც კი გავაკეთო, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყდა, რომ სცენა შეისვლი დარჩებილიყო. ასე რომ, სპექტაკლის მთელი ეს სივრცე მუშაობის პროცესში გაჩნდა... პიესაც ხომ მუშაობის პროცესში დაიწერა და არც ვიცოდი, რის მიხედვით მემშვევა... ბატონი რობიკო მეუნინებოდა, — არც არის საჭირო, რომ იცოდეთ.

ბატონი რობიკოს იდეა იყო ასეთი — გრიმი — ნაშლილი სახეები, ამოშავებული თვალები... — არ მინდა ლამაზები იყენებო... მაგრამ ამ სიმახიჯეშიც არის თავისებური სილამაზე. რაც შეეხება კოსტუმებს, ვფიქრობდი ქორისავით ერთნაირი არ ყოფილიყო, ამიტომაც გაჩნდა გეომეტრიული ხაზები... ვეცადეთ მასალაც სხვადასხვანაირი ყოფილიყო, ფერთა გამა თითქოს ერთიანია, მაგრამ ფორმებია ასიმეტრიული... ყველაფერი აქვე შეიკრიბოდა.

ბატონმა რობიკომ თემოს პერსონალური გამოფენისათვის გაკეთებული ფიგურები გამოგვაყენებინა, ასევე ის, რაც „ნადირობის სეზონში“ უკანა პლანზეა... ამ ფიგურების ჰაერში აწვდილი ხელები ძალიან მოუხდა „ასულნის“ ქორეოგრაფიულ გადაწყვეტას... მე თვითონაც მინდოდა, მაგრამ როგორ გავჭედავდი ამის თქმას და როდესაც ბატონმა რობერტმა შემომთავაზა, ჩემთვის ძალიან დიდი სხეარული და დიდი პატივი იყო. სპექტაკლის მესამე პრემიერა თემოს დაბადების დღეს, 25 სექტემბერს დაემთხვა...

კვლავაც გავიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე დეკორაცია თითქმის არ არის და რაც არის, ისიც ბატონი რობერტის იდეაა, ჩემთვის ეს იყო თავიდან ბოლომდე ძალიან საინტერესო პროცესა.

ბატონმა რობერტმა განათების ძალიან საინტერესო აქცენტები გააკეთა, სწორედ განათებამ შექმნა საინტერესო ხაზები და თუ შრომა შედეგიანია, ყველანაირი წვალება — საინტერესო წვალება, ნერვიულობა და პასუხისმგებლობა.

განათების რეჟისორი ია ჟლენტი:

მუშაობის პროცესი ძალიან დამდლელი, მაგრამ ძალიან საინტერესო იყო. სპექტაკლი რომ ასეთი გამოვიდა, თეატრის მთავარი გამნათებლის, გორია გიორგაძის დამსახურებაა! მას უნარი აქვს შექნას ფონი, რომელიც, შინაარსიდან გამომდინარე, სპექტაკლს უზდება.

რა თქმა უნდა, სტურუა გვეარნახობს, თუ რა და როგორ უნდა გავაკეთოთ და გარემო რის მიხედვით შევქმნათ!.. იგი არ გვაძლევს კონკრეტულ

სქემას. რეპეტიციისას, შინაარსიდან თუ დეკორაციიდან გამომდინარე, ვფიქრობთ როგორ შეიძლება გაანათდეს, რომ რეჟისორის ჩაფიქრებული ემოცია, აზრი არ გაქრეს... რთულია, მაგრამ როცა შედეგს ხედავ, ანუ სპექტაკლს — მუსიკასთან, განათებასთან ერთად, როდესაც შენც ქმნი გარემოს და იცი, რომ ყველაფერ ამის მონაწილე ხარ, ძალიან მაგარი შეგრძნებაა.

„ასულნზე“ მუშაობის დასაწყისშივე ბატონმა რობერტმა პროცესტორები მოითხოვა, შემდეგ უკვე დასვა ცალკეული აქცენტები სცენების მიხედვით. სპექტაკლი ინტიმურ გარემოს ითხოვდა და გორჩაც განათების ყველანაირ შესაძლებლების განათება ზუსტდებოდა, თუ რომელი გმირი, რომელი მსახიობი, რომელი სცენა რომელი პროექტორით, რომელი კუთხით და რა სიმძლავრით უნდა განათებულიყო... ცვლილებები მუსიკაც გვეხმარებოდა, მასთან შეთანხმებით ძლიერდებოდა ან სუსტდებოდა განათებაც, რათა ყველაფერი ერთმანეთს შერწყმიდა, გასაგები გამხდარიყო... თუმცა, საერთოდაც ხომ ასეა, მუშაობის პროცესში ბატონი რობერტი თავად გვკარნახობს ამ აქცენტებს, ფერებს... იგი ყოველთვის ექებს ფერს — გამომსახველს და მოძებნილს იშვიათად ცვლის... განათების პარტიტურა რეპეტიციის დროსვე ინერება და როცა მსახიობები შემოდიან სცენაზე, ყველაფერი ზუსტდება...

სპექტაკლს შემდეგ, როდესაც ბატონმა რობიკომ შეგვაქო, მივხვდა, კმაყოფილი იყო ჩვენი ნამუშევრით, მე კი ვიფიქრე, ბედნიერი ვარ-მეტექი...

მუსიკალური გამფორმებელი ია საკანდელიძე:

—პირველ შეხვედრისთანავე საოცარი დავალება მივიღე ბატონი რეჟისორისგან, — გრიგორიანული ქორალებიდან დაწყებული ყველაფერი მინდა... და თანაც — ყველა სტილში!

დავალება იმდენად ღიმილისმომგვრელი მეწვენა, რომ სახლში მისულმა, ვერაფრით გავარკვეთ როგორ უნდა მიმეტანა... ოკენე...

— მეხუმრეთ-მეთქი?.. — ჰო, რაღაც ისე გამომივიდაო!.. — მიპასუხა.

თურმე აბსოლუტურად არ ვიყავი შებოჭილი კონკრეტული სტილისა და ჟანრის, ეპოქის მიუხედავად, ნებისმიერი მასალისთვის შეგვეძლო ხელი მოგვევიდა.

შესავალი სცენის მონახაზმა ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოხდინა ჩემზე, რომ მივხვდი, ძალიან სერიოზულ ნამუშევართან გვექნებოდა საქმე. პიესის გმირთა მიერ განმეორებული ფრაზები შიშის ატმოსფეროს, მისგან გამოუვალობის აღმნიშვნელი ფრაზებია და რახან აღმოჩნდა, რომ ფრაზები განმეორებადია, თითქოს გამდერებასაც მოიხდენდნენ და გაჩნდა იდეა, თუ უკვე ჰქონდა ბატონ რობერტს, რომ ბატონ გია ყანჩელს, ჩვენს გენიოს კომპოზიტორს, დაგანერინებ „ოპერასო“, რაზეც მერე, როდესაც პირველად შეგვხდით მას

რეპეტიციაზე, შემთხვებულმა გიამ თქვა, – წერილში ეს რა საშიში სიტყვა – ოპერა მომწერლო?..

ძალის სწრაფად გადაწყვდა, რომ ლიზა ბა-
გრატიონს ემდერა და ძალიან სწრაფადვე ჩან-
ერქს კიდეც. როცა პირველად თანმიმდევრუ-
ლად გაჟღერდა ფრაზა, ვერც მივცვდით, რასთან
გვერდნა საქმე? ვერ მიგხვდით, რა კავშირში უნდა
ყოფილიყო ამ მასალასთან ლიზას არაჩვეულე-
ბრივად კეთილხმოვნი და ჩვენთვის საყვარელი
ხმა? მაგრამ აბა რაშია სტურუას გენიალობა?..
ამ ფრაზებმა, რომელიც მან დაჭრა და მოიფიქრა
როგორი ხერხით გადაენანილებინა მსახიობთა
რეჩიტატივთან ერთად, ისეთი საინტერესო ეფექ-
ტი მოახდინა, რომ ყველა ერთხმად აღნიშნა მათი
არაჩვეულებრივი, განუმეორებელი ელფერი...

თითქმის არც მახსენდდება, კოველ შემთხვევაში თეატრში, რომ ასეთ მოკლე ფრაზებში გაერთიანებულიყოს წარსული და ანტყო...

მსახიობებისგან საკმაოდ მშრალი ინტონაციები და გაუდერებები და უცებ ასეთი ფაქტიზე ხმით ნამღერი იგივე ფრაზები – ეს იყო ძალიან ეფექტური აზრობრივი მახვილები და რაც მთავარია, გმირების მდგომარეობის კიდევ უფრო მოცულობით გამზრდელი მახვილები... როდესაც მუსიკით, მომღერლის ინტონაციით გრძნობ ამ გამონათქვამის უკან რა ჟღერადობა და ინტონაციაა. მერე, როდესაც ლიზა დაგვესწრო და თავისი ნამღერი მოისმინა, სურვილი გაუჩნდა სხვანაირად ემღერა და ჩანერა კიდეც, უფრო დახვეწა და ხარისხში აიყვანა ახალი ჩანანერი, მაგრამ სპექტაკლში მაინც ის პირველი დარჩა.

ბატონმა გია ყანჩელმა მუსიკალური
საორკესტრო ფრაგმენტებიც მოიტანა, რომელიც
მხოლოდ სტურუამ გამოხაზა, მე მონაწილეობა არ
მიმიღია. იგი ხომ ამის დიდოსტატიცაა. საერთოდ,
ყოველ ჯერზე, როცა სპექტაკლზე ვარ განან-
ილებული, კითხვა მიჩნდება, — ლმერთო ჩემო, რა
უნდა გავაკეთო მე?.. იმიტომ რომ ორ გენიოსთან
გვაქვს საქმე - სტურუა და ყანჩელი... ყანჩელის
ინტონაცია, ფრაზები, ციტატები რომ არ იყოს
სტურუას სპექტაკლში, ასეთი რამ თითქმის არ
მახსოვს და ვფიქრობ ხოლმე, -- ლმერთო ჩემო,
მე რა ფუნქციის შემსრულებელი ვიქნები და რას
გავაკეთებ?.. მაგრამ მერე, კიდევ კარგი, მად-
ლობა ლმერთს, შრომის პროცესში ისევ ისინი
მიადგინებენ საქმეს. ყოველთვის ალმოჩნდება
რაღაც, რაც მოსაძიებელია და კითხვის ფორმით,
ძალიან დელიკატურად, შეიძლება პასუხიც კი
იციან და უბრალოდ გადამონმება ხდება, მაგრამ
ყოველთვის გაძლევენ შანსს, რომ შენც რაღაც
შემოიტანო... სპექტაკლზე მუშაობის, მონაწილე-
ობის და პატარა წვლილის გაღების სიხარული
განიცადო. ეს ძალიან დიდი სიკეთეა, როცა ხედავ,
რა პატარა ჭანჭიკი ხარ და რაღაცას დებ და მერე,
უკვე მისგან იუმორში გახვეულ შექებასაც იმსახ-
ურებ.

სწორედ ამ სპექტაკლზე მუშაობისას თქვა ბატონმა რობიკომ ჩემზე - Она очень само-

критичная!.. требовательная и к себе и к нам тоже!..
მისგან ნათქვამი ასეთი ფრაზაც მახსენდება, – შენ
ხარ მუსიკის ბზა! ცოტა როული აღსაქმელია, მა-
გრამ რომ დაფიქრდები, გამოცანას გიტოვებს.
ბზა ხომ ისეთი კითილშობილი ხეა...

ხდება ხოლმე, რომ გაგვაერთიანებს მე, მხატვარს და კიდევ რამდენიმეს და გვეტყვის, – თქვენ თქვენი ხელი დაამჩნიეთ ამ სპექტაკლს და ყველაფერი გააკეთოთ... და ეს უკვე საკმარისია იმისათვის, რომ რადგან ამ დიდ დღესასწაულში იღებ მონაწილეობას, მადლობის მეტი აღლარაფერი გეორგიმის. იგი სრულ თავისუფლებას მაძლევს და რომ მიწონებს, ესეც დიდი სიხარულია. ხანდახან მთხოვს, უფრო მეტი მოვძებნო, ისეც ყოფილა, რომ მე ჯიუტად ერთი მელოდია მომქონდა, რადგან ვთვლიდი, რომ სწორებ ეს არის საჭირო და მერე უთქვამს, – სწორი იყავი და... აი მე ხომ დაგეთანხმეო...

„აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ამ სპექტაკლში მსახიობები თვითონ მღერიან. ერთ რეპეტიციაზე, რეპლიკაზე – წინაპრების უკანასკნელი რელიგივა... ვთქვი, – რა კარგი იქნებოდა, თვითონ ემღერათ-მეტე და მსახიობებიც ამყვნენ, – რატომაც არაო?.. მოვიყვანეთ ქორმეისტერი, რომელმაც დაალაგა ხმები, ჩვენ ხომ ისეთი გენიალური საყრდენი გვვაყდა, როგორიც არის ქალბატონი ზაზა ლებანიძე, განძი... რაც მის ხმას და ნამღერს მოაქვს, ეს კიდევ სხვა ისტორიაა და მასთან დაკავშირებით სხვა სურვილებიც მაქვს, მინდა შევინახო, გავუფრთხოილდე და შემოვინარჩუნო მისი ნამღერი და კიდევ ვდგამ აქეთკენ ნაბიჯებს.

ძალიან კარგია, რომ მსახიობები ასე ცოცხლოდ
მღერიან და მე, როგორც მუსიკალურად პასუხის-
მგრიბელი, განვიყდო, თუ რაიმე ისე არ გაკითდა...

და ბოლოს, ეს არაჩვეულებრივი „სიმღერა ვირის ჭყაზე“, რომელიც ბატონ გიას შეუკვეთეს... გაუგზავნეს არაჩვეულებრივი ტექსტი, რომლის დალაგებაში ბატონია გიამაც მიიღო მონაწილეობა იმიტომ, რომ მუსიკალური მასალა ყოველთვის თხოულობს ასეთ თანამონანილეობას და ეს ეპიზოდი ჩვენს სტუდიაში, თემურ ნიკოლაიშვილის მონაწილეობითა და ნიკა მერანიშვილის ხელმისაწვდომობით ჩაიწერა.

კიდევ ერთი საინტერესო მომენტი მინდა გავიხ-სენო, თუ როგორ იქმნებოდა სპექტაკლი.

მაშ ასე, სიმღერა გამზადდა, ტექსტი გაგზავნილია, ნოტები — მოტანილი, მაგრამ უკვე გამუსიკებისას, პატონი რობიკო ამოვიდა სტუდიაში და უცემ გამოჩნდა ამ ორი გენოსს ურთიერთობის სიფაქიზე. ინსტრუმენტებზე გადატანის დროს გამოიკვეთა, რომ ბატონ რობიკოს სურს ეს არაჩვეულებრივად გამართული, დაწერილი მელოდია იძერული ინტონაციისბით გაამრავალფეროვნოს და რამდენიმე წამში, რამდენიმე ნიუანსით შეთანხმდენ. ამიტომაც ვილებთ ასეთ არაჩვეულებრივ შედეგს ასეთი არაჩვეულებრივი ეპიზოდებიდან.

მსახიობებმაც სიხარულით აიტაცეს ეს სიმღ-

ერა.

როგორც მაყურებელმა, შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი არაჩვეულებრივი მსახიობები აბსოლუტურად მზად აღმოჩნდნენ სიმღერისთვის და რაც შეეხება ქალბატონ ზაზას მიერ ფინალში ნამდერ ფრაზას, რომელიც იქვე ჩანარისას მოიფიქრა ბატონმა რობიკომ, ქალბატონი ზაზას სრული იმპროვიზაციას, შევიდა სტუდიაში და მოცემულ ტექსტზე ისეთნაირად გაიმღერა, რომ პატარა შედევრი შექმნა... ერთი ფრაზა, მაგრამ საოცრად მნიშვნელოვანი, მთელი სპექტაკლი...

რასაკვირველია, ბატონი რობიკო თითქოს წინასწარ ხედავს ფინალს, რა მოსდევს მის იდეას და რა ეხმარება მის ხორცებს მას წინათ რაღაცას ვასმენინებდი და ისე ვკითხე, — აპა ეს რა არის-მეტქი? — შენ გავიწყდება, რომ ძალიან კარგად ვიცობ მუსიკას... და მართლაც, მას ხომ არაფერი ვაიწყდება, იმდენად კარგად იცნობს შედევრებსა თუ არაშედევრებს, სულ გაოცებული ვრჩები... არ მინდა ქათინაურად ჩამომართოვან, ღმერთმა დამიფაროს, ეს არის რეალობა, ეს არის გაოცება ყოველთვის, რომ მას ახსოვს, იცის და არ ავიწყდება...

რაც შეეხება მსახიობებს, ისინი ყოველთვის მაღლიერები არიან, რასაც მივაწოდებ ხოლმე, სიხარულით მელაპარაკებიან და როცა გრძნობ, რომ ხელს უწყობ, ეს უკვე დიდი რამაა და მეც სულ მეტი და მეტი მოთხოვნა მაქვს საკუთარი თავის მიმართ...

პრობლემები

ფერად-ფერადი აფიშებისა და მსახიობთა უდარდელი ღიმილის მიღმა უამრავი პრობლემა დგას!.. ყველაფერი, რა თქმა უნდა, დირექციის თავსატეხია... თეატრი საკმაოდ ძვირი სამოვნებაა, დეკორაცია, კოსტუმები, ჰონორარები...

დღესასწაული ყველა შემთხვევაში უნდა შედგეს, მაყურებელმა არაფერი იგრძნოს!..

ხმის რეჟისორი ნინო აჯციაური:

სპექტაკლზე მაშინ დავიწყე მუშაობა, როცა მუსიკა დასჭირდათ, ეს იყო ივლისის თვე. ბატონ გია ყანჩელს უკვე მოტანილი ჰქონდა მასალა და ბატონი რობიკო მთხოვდა, გარკვეული სცენისთვის შემერჩია მუსიკა... შემდეგ უკვე ია საკანდელიძე მოვიდა თავისი მასალით, რომელსაც ასევე ვარჩევდით, ვამონტაჟებდით... მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მთელი ჩვენი პარატურა იმდენად მოცემულებულია, რომ რამდენჯერმე მთელი მასალა წაგვეშალა და მითიქრია, — ალბათ მოვავდები-მეტქი... მახსოვს, ბატონი გიას მასალა უნდა მოგვესმინა და დისკუზე ყველაფერი წაიშალა. კიდევ კარგი, შენახული მქონდა და თავიდან დავამონტაჟე, მაგრამ ისეც ხდება, რომ მასალა აღარ არის...

საპედნიეროდ, ახალი აპარატურის შეძენას აპირებენ...

ბატონი გიას მუსიკა მრავალფეროვანი და ბევრი იყო, ბატონი რობიკო კი ყოველ მუსიკალურ ფრაზას ისმენდა, არჩევდა... რეპეტიციის დროს

იმპროვიზაციულდა უნდა მიჰყევე ბატონ რობიკოს, უსმინო და მიჰყევე... მაგრამ ყველაფერსაც ვერ გეტყვიან, შენც უნდა იგრძნო, რა არის საჭირო, რა — არა და როგორ... ამიტომ ჯერ რეპეტიციისათვის ვამონტაჟებდი, შემდეგ — სპექტაკლისათვის.

ჩვენი სტუდია-ოთახიდან ძნელია იმის გაგება, რას გეუბნებიან, რთულია რეჟისორთან კონტაქტის დამყარება, ვერც ხედავ, რა ხდება სცენაზე, ამიტომ რეპეტიციებზე ლოგაში ვიჯენი. ჩემთვის მსახიობებთან ურთიერთობა ლოგიდან უფრო სასამოვნოა, მათ შრომას ახლოს ვხედავდი, თუ რა დიდი ფიზიკური დატვირთვა პქონდათ... მათ მდგომარეობაში შევდიოდი, ვცდილებიდი მათთვის ხელი არ შემეშალა... ერთად გვიხდებოდა ძებნა, მუშაობა...

იგრძნობდა, რომ ბატონი რობიკოსთვისაც ძალიან საინტერესო იყო მუშაობა. ძალიან კმაყოფილი ჩანდა და მისი დაბადების დღეც რომ აღვნიშვნება და პატარა სიურპრიზიც მოვუმზადეთ, ამანაც ძალიან გაახარა... ბურტებიან პატარა სცენა მოვუწყეთ... ლირდა ეს ყველაფერი რეპეტიციებზე წაგლებად.

ჩემთვის, როგორც პროფესიონალი მუსიკოსი-სათვის, ბატონ რობიკოსთვის მუშაობა დიდი სკოლა იყო. როდესაც თითქოს რალაც არ გამოდის, როდესაც ფიქრობ, რომ შენი ნაუშევარი არ ვარგა და მერე, როდესაც თითქოს თავისით ლაგადება ყველაფერი, ხედები, რომ ბატონი რობიკო აკეთებსა ამ ყველაფერს, იგი ხომ ყველაფერში ერკვევა და საოცარია, არაფერი ავიწყდება...

რეჟისორის თანაშემწენე

მარინა ამალიობელი:

ბატონი რობერტის ნათქვამი ყოველი სიტყვა მსახიობებს უმაღ ესმით... დიდი ხანია ერთად მუშაობენ და ერთი წინადაღებთ ხვდებიან, რას ითხოვს მათგან. როგორც მძიეს კინძავს ადამიანი, ასევე, სულ პირველი სამაგიდო კითხვიდან დაზუბული, გრძელ ძაფზე აასხა მან პატარ-პატარა მიგნებები და გამოვიდა საუკეთესო სპექტაკლი, გრანდიოზული სპექტაკლი...

ბატონი რობერტი მუშაობისას არ გიქმნის პრობლემას, მარტომე კი არა, მსახიობებსაც, არა-სოდეს ჩეუბობს, ან ისე იშვიათად, რომ...

2006 წლიდან გმუშაობ რუსთაველის თეატრში და ასეთი რამ ნამდვილად არ მინახავს. ცალკე ქორეოგრაფი მუშაობდა მსახიობებთან მოძრაობებზე, თუ რამე შენიშვნები ჰქონდა ბატონ რობერტის, მერე სწორდებოდა... მაგრამ ძირითადად, ყველაფერი ისეთ სინერონში მიმდინარეობდა, რომ ბატონი რობერტის ჩანაფიქრს ქორეოგრაფი უმაღ ხორცს ასხამდა.

გრიმიორი ქეთინო კვაჭაძე:

—თეატრში რომ ახალი მოსული ვიყო, ალბათ გამიძნელდებოდა მუშაობა, მაგრამ ამდენი წლის პრატეტიკის შემდეგ რეპეტიციისაც ვესწრები ხოლმე... პარტეტრში შესვლა მერიდება და კულისებიდან თუ გავადევნებ თვალს... ასე რომ, ფაქტობრივად ვიცოდი, რასთან უნდა მქონდა საქმე, როგორი

იყო რეჟისორის ხედვა... ჩემდა სამწუხაროდ, არც როესორს და არც მხატვარს პირადად არ შეეხვედრივარ, თორებ იქნებ გრიმი სპექტაკლში უკეთესიც გამოსულიყო... და როდესაც მსახიობებმა როესორთან და მხატვართან ერთად ზუსტად გაარკვიეს, რა სჭირდებოდათ, ჩვენც აგვიხსნეს - სახე ყველას თეთრ გრიმში და ზუსტად ერთნაირად თვალებამოშავებული უნდა ჰქონოდა... მხოლოდ მარინა კახიანია პირებელ სცენაში სხვანაირ, მელოტი თავით... რაც მას სურდა, ის გავაკეთე.

შეიძლება ყველა მსახიობს გრიმი ზუსტად ერთნაირად არ უხდება, მაგრამ საერთო ჯამში, ყველამ მოიხდინა და პორტრეტი, რომლის მიხედვითაც მაყურებელს წარმოდგენა ექმნება, თუ ვინ - ვინ არის, ყოველ სპექტაკლზე თავიდან იქმნება...

სპექტაკლის შემდეგ, როდესაც მსახიობებს წარმატებას ულოცავენ, ჩვეც ერთმანეთს ვულცავთ ხოლმე, რადგან თეატრის ყოველი წარმატება, გარკვეულნილად, ჩემი წარმატებაცაა.

ჩამცელი ლი მახარაშვილი:

—სპექტაკლზე დიდი ენთუზიაზმითა და მონდომებით ვიმუშავეთ. ზაზა ლებანიძიდიდან დაწყებული, ისეთი მსახიობები არიან მასში დაკავებული, რომ სხვანაირად როგორ შეიძლებოდა?.. პირველი დღიდანვე კულისებიდან ვუყურებდი რეპეტიციებს, ტექსტებს ვიმახსოვრებდი, ხომ უნდა მცოდნოდა სად ვყოფილიყავი, სად გადამეცვა მსახიობისთვის კოსტუმი? გონებაში ყველაფერს ვინერ ხოლმე და ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, დაღლილობისგან თვითონ მსახიობებს დავიწყნათ ტექსტები და მე შიგარნახია. მართალია, ზაფხულის შემანუხებელი სიცხე იდგა, მაგრამ ისეთი ხალისით მიდიოდა რეპეტიციები, ისე მოინდომეს მსახიობებმა, ბატონ რობიკოსთან მათი მუშაობის სურვილი და პასუხისმგებლობა ყველაფერს აღემატებოდა. ამიტომაც გამოვიდა სპექტაკლი ასე კარგი...

ჩემი მოვალეობა მსახიობების სასცენო ჩაცმულობაზე ზრუხვა, მოწესრიგება, სპექტაკლის დროს ადგილზე დროულად მიტანა... რადგან თათულისთან, მარინა კახიანთან სწრაფი გადაცმები მაქეს, ნამებში უნდა გავაკეთო ყველაფერი... ამას სიტყვებითაც ვერ გადმოსცემ, უნდა უცქირო, უნდა უსმინო იმას, რაც სცენაზე ხდება, მუსიკაც დაიმახსოვრო და კოსტუმი სწრაფ საჭირო მომენტში გადააცავა. კოსტუმები კი ისეთი რთულია, თითოეულს ბევრი სამაგრი აქვს, თასმები, ტყავითაა განყობილი... მსახიობებს თავიდან ცოტა გაუჭირდათ კიდეც მათი ტარება, მაგრამ მერე შეეჩინენ...

განსაკუთრებით ეკა მინდიაშვილი მინდა ალვინიშნო, საოცარი ბუნების ადამიანი... მას ხომ საოცრად რთული მისია ერგო ამ სპექტაკლში, მუსიკასთან ერთად სცენიდან სწრაფი გასვლა, ჩეარი გადაცმა, ქამრის დამაგრება და რაც მთავარია, თასმებზე ჩამოკიდება და მაღლა აწევა, რაშიც სცენის სამსახურის ბიჭები ეხმარებიან. ამ

სიმაღლეზე აპყავთ ქალი, ყველა ძალიან დაძაბულია, ამასბაში გრიმსაც ვაქცევთ ყურადღებას, ყველაფერი წამებში ხდება და... ყველაფერი კარგად მთავრდება...

ინტრიგები

მითოლოგია კულისებს მიღმა ინტრიგებისა და არტისტების რთული ცხოვრების შესახებ ხშირად ქცეულა სულისშემძვრელ ისტორიებად და ფილმების სიუჟეტად, მაგრამ „საუკეთესო“ ინტრიგა მხოლოდ არტისტის სურვილია, უკეთესი იყოს, ყოველ პრემიერაში მონაწილეობდეს და ძალიან ბევრი სამუშაო ჰქონდება...

რეჟისორს მხოლოდ ის შეუძლია, რომ მას ამ სურვილის განხორციელებაში ხელი შეუწყოს და შემოქმედებით მწვევრალზე ასვლაშიც დაეხმაროს!!!!

არტისტების ხელმძღვანელობა არც ისე იოლი საქმე!..

მსახიობი ზაზა ლებანიძე:

—ხომ იცით, რამდენ წლისაც ვარ და მთელი ცხოვრება მაინტერესებდა, როგორ აკეთებს სტურუა ამ ყველაფერს? სულ ერთია, მოგრძნეს, არ მოგრძნეს, მაგრამ როგორ ქმნის ამ საოცრებას, რასაც მისი სპექტაკლი, მისი თეატრი ჰქვაა?.. ხელი ჩანებული ქმნდა, ვფიქრობდი, – მორჩა, ამას ვერ გავარკვევ, არ ვარ მე მისგან განებივრებული არტისტი... კი ვიყავი დაკავებული მის სპექტაკლებში, მაგრამ ისე რა... და ძალიან გამიხარდა, თუნდაც მარტო მიმისთვის, რომ ახლო დასტანცია მექნებოდა და იქნებ კიდეც მივმხვდარიყავი, როგორ ხდება ეს ყველაფერი?.. ბოლომდე მაინც ვერ მიხვდებით მის თავში რა ხდება, მაგრამ რაღაცას მაინც მივხვდი და ძალიან გახარებული ვარ....

უპირველესად, იცით, რას მივხვდი?.. როდესაც სტურუა ვიღაცას შენიშვნას აძლევს, ყური დაცევეტილი უნდა გქონდეს, ეს შენიშვნა შენც გეკუთხვის, იმიტომ რომ ერთიანი სტილით კეთდება... აპა, მას უთხრა?.. ესე იგი, შენც გეკუთხვის...

რომელიდაც სცენა დიდი წვალებით რომ გაკეთდებოდა და თვითონ რომ იხვალებდა, ჩვენ ტაშს დავცხებდით, გავიძიახოდით, – გამოვიდა, გამოვიდა!.. მაგრამ ხომ იბადება შეკითხვა, რატომ გამოვიდა?.. ანდა, რაც არ ვარგა, რატომ არ ვარგა?.. რობიკო ამ ყველაფერში გარკვევს... ის კი არა, რომ გაგვაკეთებინა და მორჩა... არა, უნდა იცოდე რას აკეთებ... მე იმასაც მივხვდი, რატომ ცვლის ასე ხშირად თავის გადაწყვეტებს?.. იმიტომ რომ უკეთესი მოიფიქრა საიმისოდ, რომ გამოვიდეს ის, რაც მას სურს...

ხანდახან ჩათვლემდა ხოლმე, – ღამე არ მძინავსო...

თუ კარგად დაიძინებ, რას მიოფიქრებ, არა?..

ვთქვათ მიღიხარ იქით, ის კი გეუბნება, – შენცევა გეხერხება, აბა წადი ცეკვით....

– სულ წავიცევო?

– ჟო, ცეკვით წადი, ასე მჭირდება, ბოლომდე უნდა დავინახო, რომ შენ გამარჯვებული მიდიხარ...

რაღაც გაგაფრიალე და... მესმის, – წადი ასევე... მივგვდი, რაც უნდოდა და... გავაკეთე.

ერთი ეპიზოდიც დამამასხოვრდა... მიეხვდი, სიმძიმე, რაც ჩვენ შინაგანად გვჭირს, გარეგნულად მსუბუქად, ცეკვა-ცეკვით უნდა მოგვეტანა... ჰოდა იქ კართან, ჩემთვის სტვენა დავიწყე, კარტს ვშლიდი და თან ვსტვენდი... გაეცინა, – დატოვე, – მითხვა. ასეთი რაღაცები სურდა და სხვა თუ რამეს გააკეთებდა და მოენონებოდა, იმასაც ტოვებდა, – ასე ჯობიათ...

ბევრს ვფიქრობდი ჩემს როლზე, ორი სიტყვაა თუ სამი, იმასაც თქმა უნდა, მიწოდება უნდა... გიტარაზე სიმღერის სცენაში ვთხოვე, – ნინომ იმღეროს-მეთქი. მანანა ძალიან მიყვარს და ვიფიქრე, ხელს არ შევუშლი, ჯობია, მე შემეშალოს-მეთქი. დილით ადრე მოვედი, რობიკოს დაველაპარაკე, ვუთხარი, – მე დავუკრავ-მეთქი... დამეთანხმა, – კარგი, მხოლოდ რაღაც მოძებნდი.

– კი ბატონი, ოღონდ ზედმეტი არაფერი მომივიდეს, გამაჩერე-მეთქი... და მართლაც სულ მაჩერებდა, ამის მეტი არ არის საჭიროო...

როგორ ძალიან გრძნობს ყოველ წამს...

ამ სპექტაკლმა რაღაცნაირი ძალა მომცა...

ჩაქნეული მქონდა ხელი... ამდენი ხანი არ მერგო ბედნიერება, რომ მასთან მეთამაშა, რაღაც გამეგო... ვფიქრობდი, – არ არის როლი, ნუ არის... ვიქნები ცოტა ხანი და მერე წავალ, მორჩა... და, ბოლოს და ბოლოს რომ მანც მერგო, ამან შემინარჩუნა ძალ-ღონე... ამიტომ ვითმენდი ყველაფერს ამ სიცხეში... ის დარღიც გადავიყარე გულიდან, რომ გამეგო, როგორ აკეთებს სტურუა სპექტაკლს?.. რისი გაგებაც შეიძლებოდა, თითქოს გავიგე კიდევც... ცოტა... ჩემი შეძლებით... ბოლომდე მაინც ვერა, მაგრამ...

მაშინ მეც რეჟისორი უნდა ვიყო... თანაც ასეთი... მაგას ვერასოდეს გავიგებ და... ვერც – ვერავინ...

მსახიობი მარინა ჯანაშია:

— 1972 წელს პირველად ვითამაშე ბატონ რობიკოსთან, ანუ გასულ საუკუნეში... ეს იყო სპექტაკლი „ჩვენი მელოდიები“.

მას შემდეგ, პირადად მასთან აღარ მითამაშია, ოკურე მქონდა ბედნიერება, რომ სხვისი სპექტაკლის რეპეტიციაზე შემოვიდა... ეს იყო და ეს... ანუ მასთან მუშაობით განებივრებული არ ვარ...

ძალიან ავღელდი, როდესაც რეპეტიციები დავიწყეთ... ამბობდნენ, ძალიან მკაცრია, დაუნდობელი, მსახიობებს უყვირისო... მოულოდნელად, რეპეტიციები ძალიან მშვიდობიანად დაიწყო, ისე რომ ყველას გაოგნებული შევცეკროდი, – ეს არის თქვენი ბუა რობიკო?

და ამ დაძაბული, გაუსაძლისად ცხელი ზაფხულის მანძილზე საოცრება მოხდა... შეიძლება ამ შედარებით მასშტაბურობას ვაკლებ რობიკოს, მაგრამ ჩემ თვალნინ იდგა მხატვარი, რომელსაც ხელში პალიტრა ეკავა და მისი ათი ფერისგან ქმნიდა ტილის... ათმა მსახიობმა სწორედ ფერის ფუნქცია შეასრულა. ეს უსაზღვროდ საინტერესო

პროცესი ჩემთვის უდიდესი საჩუქარი იყო, რაღაც სრულიად განსხვავებული, რასაც აქამდე არ შევხებივარ... და ვიმეორებ, რომ მიყვარს ეს დრო, ყოველთვის მეყვარება და მემასხოვრება, სანამ ვარსებობა!..

არ მინდა კონკრეტულ სარეპეტიციო დღემდე დავკონკრეტდე, მგონია კონკრეტული მაგალითით მისი მნიშვნელობა დაპატარავდება. სპექტაკლი ჩემთვის ერთი მთლიანი ემოცია, უდიდესი მოვლენა. ჩემი მეუღლე მომსწრება იმისა, რეპეტიციის შემდეგ როგორი აბუზუნებული მივდიოდ სახლში იმ სცენის გამო, რომელშიც მე და დარეჯანი ვთამაშობთ. არც რობიკოს აკმაყოფილებდა ჩვენი გაკეთებული... თავიდანვე ვიცოდით, რომ ყველას ცალ-ცალკე ფუნქცია უნდა გვქონოდა და მხოლოდ მე და დარეჯანი აღმოჩენდით ერთადერთი წყვილი ცალკე ფუნქციის გარეშე. ჩვენ ვიყავით ერთი მთლიანი. ამაზეც მწყდებოდა გული, ვამბობდა, – ღმერთო ჩემო, ფაქტობრივად პირველად მოვხვდი ამ ადამიანთან, ნუთუ ამ ათასწლეულში მაინც არ შეიძლებოდა ერთი დამოუკიდებელი სცენა მქონოდა?.. არ მაკამაყოფილებდა, რასაც ვაკეთებდი და პირველად იყო, რომ რატომძაც ტანს ეზარქობდა რეპეტიციაზე მისვლა. მიყვარდა პლასტიკური ნაწილი, მაგრამ არ მიყვარდა სცენა. რობიკოს მხრიდანაც ვგრძნობდი შინაგან ნინაალმდევგობასა და დაუკმაყოფილებლობას. ეს იყო უხილავი ბრძოლა, რომელიც, რა თქმა უნდა, მისი გამარჯვებით დასრულდა და როგორ მიხარია, რომ ასე მოხდა... რამდენჯერ ვიფიქრე, გავიქცევი, აღარასოდეს დავბრუნდები, მაგრამ ისეთი ხასიათი მაქეს, ყველაფერს ჩემ შიგნით ვხარშავ და არ მგონია, რობიკოს რაიმე ეგრძნოს... შეიძლება სახეზე მენერა ყველაფერი, მაგრამ სად ეცალა მას ჩემი სახის წასაკითხად?.. თუმცა იგი ისეთი ადამიანია, ყველაფერს გრძნობს...

ერთ რეპეტიციაზე საშინელ მდგომარეობაში მყოფი მივედი, ჩემი დისტვილი საშინელ ავარიაში მოჰყვა, ახალგაზრდა ბიჭი კომაში ჩავარდა, მაგრამ არავისთვის მითქვამს. შემოვიდა რობიკო და პაუზის შემდეგ სთქვა, – აქ ვიღაც ძალიან ცუდად გრძნობს თავს... შემდეგ ისევ შეჩერდა და ცოტა ხანში გააგრძელა, – ვიღაც ერთი არის ცუდად, ძალიან ცუდად... ეს ძალიან ცუდად მყოფი მე ვიყავი და მხოლოდ რეპეტიციის შემდეგ ვუამბე...

– ასეთი ტელეპატიური მომენტები მაქეს, მაგრამ არ მეგონა თუ ამ შემთხვევაში ასეთ მძიმე რაღაცას შეეხებოდათ...

როდესაც გოგა გველესიანმა სპექტაკლი ნახა, შეეშინდა, ეს სპექტაკლიც წინასწარმეტყველება არ იყოს ჩვენი ქვეყნისთვისო...

...და თუ ეს ასეა, მით უფრო მნიშვნელოვანია ეს სპექტაკლი ჩემთვის, მით უფრო მეშინა და მით უფრო მიყვარს!...

მსახიობი მარინა გამცემლიდა:

— ამბობენ, რობიკომ არ იცის მსახიობთან მუშაობა!..

...აბსოლუტური სიცრუეა!..

შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი პერსონაჟი მთლიანად მისი იდეაა, მისი შექმნილი... მისი სურვილი იყო, რომ იმერელი ქალი ასეთი ყოფილიყო!.. სცენაზე აქეთ-იქეთ მატარებდა, მერე მითხვა, – აბა გაიცინეო... და მეც გავიცინე... და უცებ გამიჩნა შეგრძენება, რომ ამ ქალს სწორედ ასე უნდა ეცინა... განსაკუთრებული თითქოს არაფერი უთქვაშს, არა? მაგრამ... მერე მოინდობა მარტინგას მემღერა, გიტარაზე დამეკრა... თდესლაც შეიძლება კიდეც ვმღეროდი, მაგრამ საკმაოდ დიდი ხანია ხმა არ ამომილია... რობიკოს კი უნდოდა, იმერულ სტილში მემღერა... ზაზუაზა გიტარის სამი აკორდი მასწავლა, მომღერლებიც მე და ზაზა აღმოვჩნდით, მერე ნინიკო დაგვემატა, შეიკრა სამეულა და როგორი გამოვიდა, მაყურებლის გადასაწყვეტია, ამბობენ, მოსწონთო...

მსახიობი თათული დღლიძე:

— მთავარი როლები ჩენ არ გვაქვს, მაგრამ... ჩენი როლები არც მეორეხარისხოვანია... არ ვიცი ეს დასამშვიდებელია თუ არა, მაგრამ რეჟისორმა თავიდანვე ასე გვანუგეშა, – ყველა ერთნაირად იქნებით... თანახმა ხართ?..

რა თქმა უნდა, თანახმანი ვიყავით...

ასეთი წინასატყვაობა იმიტომგაკეთა, რომ არა იმ მსახიობები, რომლებიც თეატრში ახალგაზრდობიდანვე მთავარ როლებს თამაშობენ!.. მაგრამ მან ისე საინტერესო დაგვიხისატა ყველაფერი და თანაც, სტურუას სპექტაკლში თუნდაც პატარა ეპიზოდის შემსრულებელი, საბოლოოდ შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. ამიტომ ძალან სახიფათოა მისთვის უარის თქმა, შენთვისაა სახიფათო, მისთვის კი არა!.. და როდესაც ქორეოგრაფთან პირველივე რეპეტიციიდან ავად თუ კარგად, ნელ-ნელა გამოიკვეთა, ვის რა ფუნქცია აქვს სპექტაკლში, ვინ არის ქვეყნის მმართველი და ვინ დამონებული ასული - დამონებული ერი, ყველას პატარა სოლი ნომერი გაუკეთდა...

ჩემი რიგი კი არა და არ დადგა...

მიუხედავად ამისა, ძალიან შევიდად ვიყავი, მომწონდა, რასაც ვაკეთებდი...

ბოლოს როგორდაც თქვა, – თათულის რაღაც მოვუფიქრეო... ეს იყო შევბულებამდე ოცი დღით ადრე და გვიამბო ამბავი ანუ სიუჟეტი, რაც მოითვიქრა... მაგრამ ერთია მოყოლა და სხვა, თუ როგორ გაკეთებს... რეპეტიციები გაგრძელდა, უცებ მითხვა, – იცი, ის ყველაფერი აღარც მახსოვს, სხვა რამ უნდა მოვიფიქრო, მირჩევნია, იმდერო... და ისე წავედი შევბულებაში, არც ვიცოდი, რა უნდა მემღერა, სიმღერაც არ იყო დაწერილი... – გიას გაუუგზავნი წერილს, ჩამოვა ან გამოგვიგზავნისო... მაგრამ გიამ სიმღერა არ გამოაგზავნა და მეც პატერში დავრჩი... მხოლოდ მოგვიანებით, როცა გია ყაჩილი ჩამოვიდა, პრემიერამდე აღბათ ექვსი დღით ადრე, დაინყო ამ სიმღერის გარჩევა. მაინცდამინც სასიმღერო ტექსტი არ არის, უცნაური სიტყვებითა და თანხმოვნებით სავსე ტექსტია და არც ვიცი რა გამოვიდა, მაგრამ ეს კია, ამ სპექტაკლის თამაში ყველას გვეხსალისება...

რობიკომ თქვა, ხავერდოვანი რეპეტიციები გვქონდაო... მართლაც ძალიან გვესიყვარულებოდა, ერთი-ორჯერ კი გვეჩეუბა, მაგრამ ამის გარეშე რომ რეპეტიცია არ არსებობს?..

მგონია, რომ მაყურებელს ძალიან მოსწონს, ზოგს იქნებ მოსმენაც არ სურს... მაგრამ მარტო სიცილისთვის ხომ არ არის ადამიანი თეატრში მოსული?..

მსახიობი მარიკა ჭიჭინაძე:

— სპექტაკლი ისე დაიბადა, ბოლომდე არაფერი ვიცოდით... თავიდან ძალიან მაინტერესებდა ვინ ვიყავი, რა პერსონაჟი?.. მერე მივხვდი, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა... მნიშვნელობა იმას ჰქონდა, რომ თეატრში შემოსვლისას ყოფითს სცილდებოდი, რომ საოცარი სათქმეუნდა გვეხვება...

პოლიკარპე კაკაბაძე იმდენად ძლიერია, იმდენად დღევანდელი, გუშინდელიც და გუშინინდელიც, რომ ყველაფერი, რასაც იგი წერს, ჩენი სათქმელი იყო!..

სახლში ვტოვებდი შვილებს, შვილიშვილებს და რეპეტიციებზე მოვრბოდი...

ქუჩაში ვხედავდი უამრავ გაჭირვებულს, დარდის... ვგრძნობდი მათ გასაჭირს, ვმბობდი, – თავზე ანტენები მაქვს და გულზე მიერთებული-მეთქი...

ერთი ახლობელი მყავს, საოცარი ქალი, დამირეკა და მითხრა, – ბევრ რამეზე ვიცინოდი და მერე მივხვდი, რომ ჩენის თავს დავცინოდიო!..

ლიტერატურული ნაწილი ნინო კანტიძე:

— სპექტაკლი მთლიანად პოლიკარპე კაკაბაძის პიესების მიხედვითა აგებული, შესაბამის მონოლოგებია „კახაბერის ხმალში“ და ერთი-ორი ინტერედიაც მის მიხედვითა: ეკა მინდიაშვილის სცენა სწორედ „კახაბერის ხმლიდან“ არის აღბული, თათული დოლიძის სიმღერა ტიტე ნატურატირის ცნობილი მონოლოგის მიხედვით გაკეთდა „ყვარვეარედან“, გამაერთიანებელი ფაბულის როლს პიესა „სამი ასული“ ასრულებს, თუმცა ესეც გარკვეული ინტერპრეტაციით აქვს ბატონ რობიკონის გაკეთებული. ჩენ არ გვყავს სამი ასული, არის ცხრა ასული და ჯავული...

ბატონმა რობიკომ დასაწყისისთვის ილია ჭავჭავაძის სტილისტიკა მიისურვა და შევეცადეთ თხრობა „კაკო ყაჩალის“ სტილში აგვეგო. პოეტები არ ვართ, მაგრამ რაღაც ცნობილია ერთმანეთში ჩაჯდა. იგი წერდა ტექსტებს, მე რედაქტორის ფუნქციას ვასრულებდი, აბა რისი გამოგონება უნდა დამეწყო იქ, სადაც ბატონი რობიკონა, სადაც იგი აზროვნებს?..

ინტერესი მკლავდა, რა უნდა გამოვიდეს-მეთქი?.. თუმცა მხოლოდ ამ სპექტაკლში კი არა, ყოველთვის ასეა, როდესაც სპექტაკლი სცენაზე ადის. ის, რაც სარეპეტიციო ოთახში კარგია, იქ აღარ ვარგა, ამიტომ ცვლილებები აუცილებელია, მოქმედება რაღაცას უფრო მძაფრად ითხოვს ან პირიქით... ამ ნლების მანძილზე ბატონი რობიკონისგან თუ რამე ვისწავლე, ესაა – გადაგდება, დაუნ-

დობლად და უშურველად გადაგდება და ზუსტად ამ გადაგდების პრინციპმა მიგვიყვანა იმ მინიმალურად დაწერილ ტექსტამდე, რომელიც სპექტაკლში გვაქვს.

ასულთა პირველ შემოსვლას, უვერტიურას განწყობა უნდა შეექმნა მაყურებლისთვის, რათა მას კარგად გაეგო ვისზე ეს ყველაფერი... შემდეგი სცენებიც თავიდან გრძლად გვქონდა დანერილი... „ლურჯი იების“ სიმღერა გაფანტული ტექსტიდან შედგა, ორა თუ სამი ფრაზა პატარა ამბად იქცა... კაკაბაძეს ფრაზაში აქვს მუნჯი იები, ჩვენ რატომლაც უტყვი იები უფრო მოგვეწონა და როდესაც ბატონმა გაიმ მუსიკა დაწერა, იმდენად კარგი აღმოჩნდა ლიზა ბაგრატიონის ჩანაწერი, ისე მოუხდა ექისავით ნამღერი, რომ ორ წამში სამკარა უფექტი და ატმოსფერო შეიქმნა. ამ ერთი პატარა ადგილის რამდენჯერმე განმეორებამ გვიამბო ის, რაც საამბობი იყო... როგორ გააშვენიერა ყველაფერი ქალბატონი ზაზას სიმღერამ, ხოლო ფრაზა – თქვენ ერთი კაცის ჭკუაც ვერ გიშველით, – ბატონი რობიკოს გამოგონება. სხვათა შორის, კაკაბაძეს ვირის ჭკუა არ აქვს ნახსენები... ფრაზა, – როდემდე უნდა იღილინოთ ასე?.. კაკაბაძისეულია, მაგრამ ისე მიჩქალული „სამ ასულში“, რომ არც ჩანს, ჩვენ უბრალოდ წინ წამოვწიეთ... ასევე იყო ჩიტის დატირების ამბავიც, ეს ხომ ცნობილი ადგილია „კახაბერის ხმალში“, იმდენად კარგია იგი თავისთავად, რომ მონოლოგად ვაქციეთ...

ტექნიკურად საკამაოდ რთული გასაკეთებელი იყო „ტყუპების სცენა“... რეპეტიციების დროს რეჟისორი არასდროს ეგუება სასხვათაშორისოდ გაკეთებულს, ყველაფერი ზუსტად უნდა იყოს, ისე, როგორც მას სურს... შეიძლება ბევრის აზრი გაითვალისწინოს, ბევრსაც შეეკითხოს და თუ დაინახა, რომ სამართლიანი შენიშვნაა... მისი აზრიც გაითვალისწინოს... ვხვდები, რომ, რაც არ უნდა დიდი იყოს სათქმელი, თუ რეჟისორი მაგნებს რაღაც განსაკუთრებულ მეთოდს, როცა შეუძლია ნებისმიერი პიესის ნებისმიერი სათქმელი საათნახვარში ჩაატიოს, ერთიანობაში ისეთ ძირეულ და შეკრულ სათქმელს იღებს, რომელშიც აღარაფერია ზედმეტი და თითქოს არც აკლია რამე.

ბატონი რობიკო რაღაც სხვანაირად არჩევს, როდესაც წინ გვიდევს პიესა, იგი ზუსტად ხედავს იმას, რაც სჭირდება და ამბობს, – ეს არ უნდა გამოგვრჩეს!..

ამ სპექტაკლით საკამაოდ ზუსტად ითქვა რეჟისორის სათქმელი. ძირითადი მასში პოლიკარპე კაკაბაძის ტექსტია, მაგრამ ეს არის რობერტ სტურეულაში მიერ დანახული პოლიკარპე კაკაბაძე...

ჩემთვის კი ეს სპექტაკლი დაახლოებით ისეთივეა, როგორც ილიას – „ბედნიერი ერი“ და მისი დიაგნოზი ქართველთა მიმართ. ეს სპექტაკლიც ასევე გარკვეული დიაგნოზია ჩვენი ერისათვის და ვთქმირობ, ეს არის მთავარი სათქმელი ამ სპექტაკლისა!

ბტკივნეული თემა

ყოველი სპექტაკლი, რამდენჯერაც არ უნდა წარმოადგინონ ის სცენაზე, პრემიერასავით თამაშდება... მიუხედავად ხანგრძლივი სარეპეტიციო პროცესისა, უმოციური და ფიზიკური გადალილობისა, ფსიქოლოგიური დატვირთვისა, მაყურებლის ტაში და ოვაცია მესამე კი არა, მეათასე სუნთქვას შთაბერავს არტისტს... თეატრალური ხელოვნება წამიერია, მაგრამ მაყურებლის მეხსიერებაში იქნებ სამუშავიც!

მსახიობი წინ არსენიშვილი:

— პირველსავე რეპეტიციაზე, ბატონიმა რობიკომ პიესის ერთადერთი ფურცელი წაგვიკითხა ბელადის მონოლოგით, ვიცოდით, რომ მამაკაცებიც უნდა დაგვმატებოდნენ და რატომლაც გადავწყვიტე, ეს მონოლოგი ბესო ზანგურის იქნებოდა... მერე კი თქვა, - ამის მეტი არაფერი მაქვსო... და დავიწყეთ ნერენლა დადგმა...

ათ ქალი ვიყავით... შვიდი ცალკე დაგვაყენა, ქალბატონ ზაზას და მანანას უთხრა, – თქვენ იქეთ გადადითო... უცებ მეც მითხრა, – ნინიკ, შენც იმათ კომპანიაში გადადი, ზაზას ქმარი იქნებიოთ... ზაზა კიდევ ფეხმიმედ არისო... და ამაზე, რა თქმ უნდა, ძალიან ბევრი ვიცინეთ, ვიხალისეთ...

და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ამ ადამიანის ჩანაფიქრი ვერ ამოვიცანი... ბელადი ვიყავი მე და არა – ბესო ზანგური!..

ძალიან შემეშინდა, კაცის როლი ჩემთვის წარმოუდგენელია. ხომ არიან ჰამლეტის როლზე მეოცნებე მსახიობი ქალები?.. ჩემში კი კაცი, ნულოვანი ღოზითაა მოცემული, მაგრამ ეს ხომ ის შემთხვევაა, როდესაც რეჟისორს ენდობი და დანარჩენი არ განტერესებს...

ბატონი რობერტმა ისიც დაუმატა, მთლად კაციც არ არისო და სულ მალე გაირკვა, რომ ყველა როლს ქალები თამაშობენ.

ყველაფერი ძალიან მარტივად, რამდენიმე ფრაზით ამიხსნა, – მათ ძედუნის დოკუმენტური ფილმები წახეო... თვითონაც რაღაცები შიჩვენა, თუნდაც გამოხედვა და უცებ... ადვილად წარმოვიდგინე ბელადის გამომეტყველება... ზუსტად მივცვდი, რაც უნდოდა...

რამდენადაც შემეძლო გავაკეთე და ჩემთან ბრძოლა შეწყვიტა. ბევრი დროც არ გვქონდა სამუშაოდ... ნელ-ნელა შეესხა ჩემს სახეს ხორცი...

ბატონი რობიკოს მოსკოვში წინ მივცვდით, რომ ათ ქალთან მუშაობა მისთვის რთული იქნებოდა. გადავწყვიტეთ, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, სპექტაკლი დაგვედგმევინებინა და საოცარი შემართებით, საოცარი მუხტით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლეთ. მთავარი იყო, თბილისში ჩამოსკლის შემდეგ პიესას მობრუნებოდა.

ჰოდა ასე, ჩვენი სისხლითა და ხორცით შედგა ეს სპექტაკლი. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იმიტომ რომ არანორმალურ სიცხეში ვმუშაობდით, შუალამისას რომ იტყოდა, – რეპეტიცია

თავიდან დაგიწყოთო, არავინ უარობდა... თანაც, ეს არ იყო ახალგაზრდების, თეატრში ახლად მოსულ გოგოების ჯგუფი, რომლებიც თვითგადარჩენისათვის იძრდებინ. ეს იყო სერიოზული, თითქმის ვარსკვლავებისგან შემდგარი ჯგუფი ქალებისა, რომელთაც ამ ყველაფრის მიღმა დიდი ბიოგრაფია, უამრავი პრობლემა და სხვა თუ არაფრარი, ასაკი და გართულებული ჯანმრთელობა აქეს, მაგრამ არავისთვის გვიგრძნობინებია, რომ საშუალო ასაკი 60 წელი იყოს უცნაურად გავერთიანდოთ, დიდი სიყვარულით ვიმუშავეთ, სხვანაირად არც გამოვიდოდა ეს სპექტაკლი. ალბათ, ეს არის ქართველი ქალის უძლიერესი შინაგანი ძალის გამოხატულება და ჩვენს სპექტაკლს, რომელიც ძალიან გვიყვარს, ვინერ რომ რამე ატკინოს და ავნოს, ფრჩხილებითა და კბილებით დავიცავთ...

გავიზარდე ჯვაბი, სადაც ჩემ თვალინი, ბაბუაჩემი უშველებელ ტილოვანი ხატავდა და ვიცი, როგორ იქმნება ხელოვნება. იგი დიდი ხელოვანი იყო, ვთვლი, რომ არ შეიძლება ხელოვანმა წინასწარ იცოდეს ყველაფრერი, ეს უკვე აღარ არის ხელოვნება...

არასოდეს მიკითხავს რობიკოსთვის, რაზე ფიქრობს, როდესაც სპექტაკლს დგამს...

ასე მცნობა, დიდ ხელოვნებაში არ შეიძლება წვრილამანზე ფიქრი, რობიკი ხომ ბევრად უფრო ბევრ რამეს ხედავს, ვიდრე ჩვენ, მისი სპექტაკლების მონაცილეები. თავიდან მითხრა, კაცი იყავით... მერე — ქართულ კაბაში მანდილითა და ხმლითო... მერე — მათ ძედუნით... ყველას რაღაც ასეთს გვეუბნებოდა და ჩვენი პროფესია და რეპეტიციაც ხომ სწორედ ეს არის, რომ ყველანაირად ვცადოთ, რომელი ხერხიც უკეთესი გამოდგება, რომელიც შენეული იქნება, ის დარჩება და შეიძლება სხვა დეტალებითაც გამდიდრდეს.

არ შეიძლია არ ალვნიშნო ანა წინუა და მარიამ ალექსიძე, მარია ამაღლობელი, ნინო, ჩვენი რადისტი, ია - გამნათებელი... მოკლედ, ძალიან გაამართლეს ქალებმა და რაც მთავარია, ცოცხლები დავრჩით...

მსახიობი დარეჯან ხარშილაძე:

—უბედნიერესები ვიყავით რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ დარბაზში, არაჩვეულებრივი ატმოსფერო სუფევდა რეპეტიციებზე, რადგან ბატონი რობიკი მუშაობდა სპექტაკლზე და ჩვენ ვიყავით დაკავებული!.. თან ასე ძალიან დამოკიდებული ერთმანეთზე და ამითაც ბედნიერები... ძალიან მიყვარს რეპეტიცია, მით უმეტეს, როცა ასეთ გენიოსთან მუშაობ... პიესაც ხომ ასევე გენიოს დრამატურგს, მე თუ მკითხავთ, მსოფლიო მნიშვნელობის დრამატურგს, პოლიკარპე კავაბაძეს ეკუთვნის...

როცა რეპეტიციები იწყება, მონაცილებს ტექსტს ურიგენად და მათ იციან, ვინ - რას თამაშობს. აქ კი, ბატონმა რობიკომ მხოლოდ ის გვამბო, რისი გაკეთება სურდა და რეპეტიციების დროს თანდათან შემოგვამატებდა ხოლმე ტექსტებს, მერცხლებივით ვიყავით ავანსცენაზე ჩამომ-

სხდარნი და თანმიმდევრულად გვინაწილებდა ტექსტებს.

თავიდანვე გამოიკვეთა ის მთავარი, რაც სჭირდება ამ სპექტაკლს - რაღაც იდუმალება...

მარიამ ალექსიძესთან მუშაობისას გამოიკვეთა მოძრაობები, რომელიც არ იყო ბალეტი, არც სხვა რამ ცხოვრებისეული, ადამიანები ხომ ასე არ დადიან და არც მოძრაობენ ცხოვრებაში, ეს რაღაც სხვა იყო და ვინც დარბაზიდან გვიყურებდა, მისი აღტაცებითა და აღფრთოვანებით ვხვდებოდით, რომ სწორად მივიღოდით... არც იმას დავმალავა, რომ დიდ სცენაზე გადმოსკვლისას, ეს იდუმალება ცოტა დაგვეკარგია, გაგვეფანტა და დიდი დრო დასჭირდა მის აღდგენას... მაგრამ ვერასოდეს გაიგებ. ზუსტად რა ხდება?.. იქნებ ჩვენ, მონაცილებს რაღაცები გვეჩენება?.. რომ ეს ასე არ არის?.. რაღაც მომენტში ვფიქრობდი, - ვაი, ნეტავ გამოდის რამე?.. ეს ის არის, რაც უნდა რეჟისორს? მაგრამ ჩვენ ხომ მთლიანად ვენდობით ბატონ რობიკოს, რომელიც ყოველთვის შველის საქმეს....

იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ დიდი პაუზის შემდეგ ბატონი რობიკო რუსთაველის თეატრში აკეთებდა სპექტაკლს. მართალია, ორი სპექტაკლი მოსკვეტი დადგა, მერე — არგენტინაში, მერე „კალასი“ — „ფაბრიკაში“ და ყველგან ჩანდა სტურუას ხელწერა, მხოლოდ სხვა ტიპის... მაგრამ მოლოდინი, რაც სუფევდა საქართველოში, თავისთავად ხელისშემშელელი მოლოდინიც იყო, - აბა, ახლა რას გააკეთებს?.. ადამიანს, რომელსაც ამდენი გაუკეთება, თითქოს არაფერს პატიობენ!..

ამ სპექტაკლში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სინქრონს. ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული, ჩვენი სპექტაკლი კორდებალეტივით არის, თითქოს პრიმაბალერინა უფრო კარგად ცეკვას და რთულ ილეთებს აკეთებს, მაგრამ კორდებალეტის სირთულე იმაშია, რომ ყველაფერი სინქრონით უნდა აკეთონ, რაც ძალიან ლამაზი საყურებელია და ძალიან ჩანს, თუ ვინმე ისე ვერ გააკეთებს. ვიზუმრე კიდეც, - ჩვენ ათივეზი პრიმები ვართ და კორდებალეტში დგომა გვიწევს-თქო!..

მე და მარინა ჯანაშია სიამის ტყუპები ვართ!..

თავიდან ბატონ რობერტის სურდა ერთმანეთს გადაბმული სამფეხა არსება ვყოფილიყავით და ამაზეც დიდაბანს ვმუშაობდით, მაგრამ რაღაც არ გამოდიოდა და უკავიყოფილო სტურუას შენიშვნების ობიექტი სულ მე ვიყავი, მომეჩვენა, რომ დავიჩაგრე კიდეც... რეჟისორებს უყვართ ყვირილი, თავისი ძალის ჩვენება, მაგრამ რადგან გარშემო ქალები ვიყავით, ლომბიერად და კარგად გვექცეოდა...

ცხოვრებაში ცოტა უყურადლებო ვარ, რაღაცები გამომრჩება ხოლმე, მაგრამ ვთვლი, რომ ეს ჩემს პროფესიას არ ეხება, ძალიან მიყვარს და ძალიან მონდომებულიც ვარ, მაგრამ ხასიათი მაინც ნარჩუნდება და დღეს რომ რაღაც გააკეთე, მეორე დღეს შეიძლება მთლად ზუსტად

ისე აღარ გავაკეთო, იმიტომ რომ მორნია, ეს ხომ გავაკეთე... მე და მარინა ერთმანეთზე ვართ და-მოკიდებული და თუ ერთი ცოტა ადრე დაიწყებს და ისე არ გააკეთებს, როგორც საჭიროა, საშინალად ჩანს. ამიტომაც გვთხოვთ ბატონი რობიკო განსაკუთრებულ სინქრონს, – ერთმანეთს არ უყუროთ და არც ვიცოდი რამხელაზე უნდა ამერია ხელი, როგორ გამეხედა, ან საით?.. და დაგიძენი... მოძრავი მიმიკა მაქსი, სცენაზე კი ნიღაბივით გრიმი გვიკეთია - შავ-თეთრი, მარიამმა თუ თვითონ ბატონმა რობიკომ მოგვიტანა რომელიდაც ცხოველის სურათი, ძალიან გამოყვანილი თვალებით და სწორედ მისი გრიმი გვაქვს... თან ხომ გამუდმებით ვჩხუბობთ, ვერ გაიგებ კაცები არიან თუ ქალები?..

მარინამ უფრო სწრაფად იპოვნა თავისი სახე, ხასიათი... მე ძნელად გამომდიოდა, პარტერიდან სულ დარეჯანი ისმოდა... ვფიქრობდი ამორიჩემა და ვუთხარი კიდეც, – ეტყობა, ვაფუჭებ რაღაცას-მეთქი... როცა საბოლოოდ ჩაგვაჭედს ყუთში, უცებ რეპეტიციაზე გამოჩნდა, რომ გაცილებით უკეთესია, თანაც ყუთს აწერია - NO SIGNAL ... რაღა დაგიმალოთ და ეს პრემიერამდე ორი რეპეტიციით ადრე მოხდა... .

კიდევ უფრო მთავარი კი ის იყო, როდესაც აღმოვაჩინეთ, რომ სპექტაკლი შედგა!.. და მხოლოდ მეორე სპექტაკლის შემდეგ გვითხრა ბატონმა რობიკომ, – ხომ ხედავთ, მორნ გამოვიდა სპექტაკლი, თუმცა ბოლომდე არ მეგონაო... .

მსახიობი ეკა მინდიაშვილი:

— ყველაფერი ასე დაიწყო...

ივლისის შუა რიცხვებში დაგვირევეს და გვითხრეს, რეპეტიციები იწყებაო... გაგვიკირდა... .

ბატონმა რობერტმა გვითხრა, – ცოტა უცნაური ჩანაფიქრი მაქსი, ზუსტად არ ვიცირა მინდაო... .

ამან უფრო გაგვაკვირვა... და გადავეშვით ბურუსით მოცულ მოცემულობაში... .

პირველი რეპეტიცია – უცნაური... მოძრაობა – „გაურკვეველი“... თითქოს ერთი არსება, ერთ მუშტად შეერული, მრავალი საცეციო, რომელიც ვერ იშლება ცალ-ცალკე, ეშინია და მაინც ერთი ორგანიზმია (თითქოს)... ტექსტი უცნაური: – ქარია!.. არა!.. ქარია!.. გავაღო!.. არა!.. .

ბატონი გია ყანჩელიც გაოცებულია (თან მიჩეული, რა თქმა უნდა) უცნაური მოთხოვნებით... – ამ ტექსტზე მუსიკა მინდა!.. .

ისეთი საინტერესოა და ისეთი უცნაური ეს ყველაფერი, რომ ყველას სუნთქვა გვეკვრის... .

უცნაური აურა – ტანჯული ადამიანების – თუ ქალების ან კაცების, უფრო არსებების, რომელიც, ჩვენდა უნებურად, პირველივე წუთიდან მოვირგეთ, გავითავისეთ... და ისე მოგვერნონა, რომ აღარ გვინდა შესვენება... .

ამასობაში ძალიან ცხელა, აგვისტოც მოგვეპარა. ეს ხომ უბრალოდ მოსასინჯი რეპეტიციები იყო... სექტემბრიდან აქტიურად შევუდგებითო, მაგრამ – არა, არ გვინდა შვებულე-

ბა... .

დასის გამგემ დავით უფლისაშვილმა მორიდებით გვეკითხა, – შეძლებთ რომ აგვისტოშიც გაგრძელდეს რეპეტიციები?.. .

– აუცილებლად!.. ყველამ ერთხმად ვუპასუხობ.

რომ არ ეკითხათ, ალბათ ჩვენ თვითონ ვთხოვდით, რომ არ შეეწყვიტათ, რომ არ მოეკლოთ ჩვენთვის ეს სიმღვნება... . ის ენით აუწერელი წუთები, რომელიც ძალიან იმვიათად დგება ადამიანის, არტისტის ცხოვრებაში.

კიდევ ერთხელ დიდი მაღლობა ბატონ რობერტს, რომ პირადად მე, და დანარჩენების სახელითაც ვატყო, გვაჩუქა ეს ბეჭინიერება. ჩვენ გადავდე დაგეგმილი დასვენება, ზოგს ოპერა-ცია სჭირდებოდა, ზოგს ჩვეულებრივი კოფითი, ოჯახური (გაუთავებელი) პრობლემები ანვა მხრებზე და ახალი შემართებით შევუდექით რეპეტიციებს. და მივხვდით, რომ ვთამაშობთ (ნაწილობრივ, რა თქმა უნდა) ჩვენს თავს (ჩვენც ხომ ამ საზოგადოების ნარმობადებრივი ვართ, თავისი ნეგატიური თუ პოზიტიური მხარეებით. ჩვენ ვართ ეს „არსებები“ – დატანჯული ცხოვრებისაგან, დათრგუნულები, უცობზიციონები (განსაკუთრებით პირველ ნაწილში), ვიღაცის ხელით მართული. მოკლედ, რაც დაიდგა და ვითამაშეთ, ამას აღარ გავრჩევ... ეს არის ერთ-ერთი, თუ ერთადერთი არა, სპექტაკლი, რომელსაც დიდი სიმოვნებით ვთამაშობ და ვგრძენობ იმ ადრენალინს, რაც ამ პროფესიას მოაქვს... .

მსახიობი ნანა ლორთქიფანიძე:

— განსაკუთრებით პრველი ორი კვირა მხოლოდ და მხოლოდ ინტუიციით და გუმანით ვაკეთებდი იმას, რასაც ჩემგან ბატონი რობერტი მოითხოვდა. ასე მგონია, თვითონ ბატონი რობიკოც არალაც ფორმის ძიებაში იყო, სხვადასხვა ვარიანტებს ვთხოვდით. სპექტაკლი საათანახევარი მიმდინარეობს, მაგრამ ერთი ამდენი საათანახევარი, წყალშია გადაყრილი, თუმცა არა, ის მაინც არ დაგვარგვია და ძალიან ბევრ მოგვცა ჩვენცა და თვითონ სპექტაკლსაც, ეს მათლაც მასტერ-კლასი იყო. XX საუკუნეში ვამბობდი, სტურუა XXI საუკუნეშია-მეთქი, ახლა XXI-ში ვამბობ, რომ ის უკვე XXII საუკუნეში აზროვნებს. როცა პირის გაძლევენ, სადაც შენი როლი მარკერით არის გახაზული, მას უნდა მისდიო, შეასრულო ამოცანები, აქ კი ისეთ სილრმეებში წაგვიყვანა ამ კაცმა, რომ ყველანაირად წარმომედგინა კაკაბაძის დადგმა, გარდა იმისა, რაც დაიდგა... .

რეპეტიციები სამი-ოთხი თვე გრძელდებოდა... იყო დღეები, როცა ძალიან დათრგუნულები ვიყავით, ხან პირიქით, ძალიან ამაღლებულ განწყობაზე და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თვითონ რობიკოც სხვაგან მიჰყავდა სპექტაკლს. უკან ვპრუნდებოდით, სხვა ვერსიებზე გადავდიოდთ... პილიკარპე კაკაბაძე მართლაც გენიალური მოვლენა ქართულ დრამატურგიაში და სტურუამ რომ გვერდი არ აუარა მის იუბილეს,

ეს თავისთავად ძალიან სასიხარულოა, ხოლო ის, რომ მუშაობის დროს პიესა ხელში არ გვეჭირა, რომ სამი პიესიდან ყოველ დღე რაღაც ახალი ტექსტები მოჰქონდა, რიმელიც გეგონებოდათ დღეს არის დაწერილი, ეს კიდევ სხვა გაბედვა!.. გაევირვებული ვკითხულობდით, – ეს პოლიკარპესია?.. – დმერთი-რჯული, პოლიკარპესია!.. – გვპასუხობდა. მისი გენიოსობაც სწორედ ამაშია, რომ ის მარადიულია.

ჩვენ, მსახიობები, მთელი რიგი მიზეზების გამო, გადაჩეულები ვიყავით ასეთ დატვირთვას, ფიზიკურ მოძრაობას და სალამოს ხანდახან ვფიქრობდა ხოლმე, – ნუთუ ამას გავუძლებ?.. მართლაც ძალიან ვიღლებოდი, თან – საშინელი სიცხე, უფანგბადობა, პირველსავე რეპეტიციაზე ვიღაცას წელი გაუკავდა, ვიღაცას – ესერი, ვიღაცას – ფეხი და რამდენჯერ რეპეტიციის შემდეგ სახლში მისულს, ჩემთვის გულში მითქვამს, – დმერთო, ეს წვალში წყალში რომ ჩამეყაროს და ის შედეგი არ იყოს, რაც უნდა იყოს, გავვიუდები-მეტები. მარინა კახიანს რეპეტიციებზე მყესი გაუწყდა, მთელი რეპეტიციები კოჭლობით იარა, მტკივანი ფეხით. მე ტერფი მოვიტეხე, რვა დღეში ავდექი და წამოვედო, იმიტომ რომ ვიფერე, – ახლა რომ ამას გამოვაკლდე, შრომა და წვალება წყალში ჩამეყაროს და ამ სპექტაკლში არ ვიყო... შეიძლება მართლაც გავგიურულიყავი. მოვიხსენი თაბაშირი, გამოვიძახე ტარიელ ლოლაძე, ვკოჭლობდი, ფეხს ვერ ვდგამდი, ზახევარი რეპეტიციები ასკინკილით გავიარე, თან ბატონმა რობიკომ მექუთე დღესვე დამირეკა, – ნანა, ვერ მოხვალ? – ბატონი რობერტ, მოვიტეხე-მეტები, ვიფიქრე, იქნებ არ იცის და ჰერნია, ვიგონებ. – ვიცი, მაგრამ ეტლი ხომ გვაქვს, იმაში ჩაგსვამთ, არ დაგტვირთავთო... როგორ შემეძლო უარის თქმა და ამ შეხვეული ფეხით, რომელიც მართლაც საოცრად მტკიოდა, გავდიოდი რეპეტიციებს... და მერე იცით, ბატონი რობიკო თვითონაც კომპლიმენტებს გვეუბნებოდა, – ვაიმე, რა კარგად აკეთებთ კუელაფერსო...

მერე უკვე იოლი გახდა ყველაფერი, უამრავ სცენას შეველიეთ, ძალიან ბევრი მოძრაობა, ქორეოგრაფთან ნამუშევარი ამიყიყარა, ტექსტუ-ალურადაც ძალიან შემცირდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ სპექტაკლი მიდის ზუსტად იმდენ ხანს, რომ გული გწყდება, როცა მთავრდება...

ერთხელ მე და ნინიკო არსენიშვილი სადღაც ჩამოვსხედით დაღლილები და თითქმის ერთ-დროულად ამოვთქვით, – რა ცუდია, რომ ეს ყველაფერი უკვე მაღე დამთავრდება... ერთი კონფლიქტი ან რაიმე დააბულობა არ ყოფილა რეპეტიციაზე, ერთადერთხელ, ჯერ რეპეტიციებიც კი არ გვქონდა დაწყებული, ბატონი რობიკო საშინლად გვეჩხუბა, მერე დაჯდა და გვითხრა, – დაინწყოთ... ჩვენ, შეშინებულებმა, დაბრულებმა ვიკითხეთ, – რა დავაშავეთ ასეთი?.. – ეს ისე, პოლილაქტიკისთვის გავაკეთე, ერთმა მოსკოველმა მუსიკოსმა მასნავლა, ხანდახან საჭიროა

შენი გუნდი შეაჯანჯლაროო... მაგრამ ჩვენ შეჯანჯლარება არ გვეჭირდებოდა.

– ალბათ ველარ მიტანთ არა, დაიღალეთ არა? გვევითხებოდა, ჩვენ კი ვპასუხიბდით, – არა, არ დავიღალეთ!..

იმდენად მონდომებული ვიყავით, რომ როცა პირველად ითქვა, – იქნებ შვებულება კიდევ ორი კვირა გადავდოთო, ულაპარაკოდ ყველანი დავრჩით, არც გვიკითხავს, საერთოდ გვექნებოდა თუ არა შვებულების დღეები?.. ხოლო შემდეგ, როცა თეატრის ხელმძღვანელობამ ველარც კი გაგვიძებდა თხოვნა, გვხედავდნენ რა დღეშიც ვიყავით, თავით ფეხამდე განუწულები, დაღლილები, ჩვენ თვითავაზეთ, – დამატებით დავრჩით რეპეტიციებზე, 15 აგვისტომდეო...

ერთხელ ისიც კი გვითხრა რობიკომ, – გიყურება და სინდის მქენების, რომ ამდენი ხნის განმავლობაში უსაქმოდ იყავითო... ალბათ ბევრი რამ იგულისხმა ამაში... მერე სულ ასე გვეძახდა, – ჩემი ვალიდოლებო, ჩემი გოგოებომა..

არც პირველად მიმუშავია და არც მეორედ ბატონ რობერტთან, მის დადგმულ ძალიან კარგ სპექტაკლები ვთამაშობდი – „მეორმეტე ლამეში“, „საწუნელ კეთილ ადამიანში“, „სტიქსში“, „დედა ენაში“, მაგრამ აქ... დილიდან – დამემდე - სულ მასთან ვიყავით ურთიერთობაში, ეს ძალიან როტული სპექტაკლი თანდათან იხვენებოდა და მსახიობები ერთმანეთს რომ გადავხედავთ, ზუსტად ვევდებით, როდის უნდა გავჩერდეთ, როდის სმას ავუნიოთ, დავუწიოთ...

მამაჩემის გემოვნებიდან გამომდინარე, მგონია, რომ მას ძალიან მოეწონებოდა, რობიკოს ყველა სპექტაკლიდან აღფრთოვანებული გამოდიოდა ხოლმე, გენიოსად აღიარებდა მას და იმ ძნელებობის დღეებში ყველა ტელევიზიას აძლევდა ინტერვიუს, სახლშიც კი გამოიძახა და სმალამოღებული იბრძოდა მის დასაცავად, მიაჩნდა, რომ რობერტ სტურუა მოვლენაა ქართულ თეატრში!..

მსახიობი მარინა კახიანა:

— მსახიობისათვის მინიშნებობა არა აქვს, ახალშედა ის თუ გამოცდილი, ყველაზე აღმაფრთოვანებული სწორედ სპექტაკლის დაბადება. ეს რაღაცნარიად მშობიარობის პროცესს ემსგავსება, თან ახლავს მიღლიდინი, თითქოს გერჩარება კიდეც, რომ შენი ნაშიერი გაჩნდეს და თითქოს გენანება კიდეც ამ პროცესის დასრულება...

ყველაფერი განსაკუთრებით მაშინ ძლიერდება, როდესაც საყვარელ რეჟისორთან კარგ მასალაზე გინევს მუშაობა. მაგრამ ყოველთვის ხომ არ ხდება ისე, როგორც ამ სპექტაკლზე მუშაობისას მოხდა?.. ვიცოდით კი, რას ეხებოდა საქმე?.. ქვეყანაში პოლიტიკურ-სოციალური ცვლილებები მოხდა, ბატონ რობიკოსაც საკმაოდ დიდი პაუზა გამოუვიდა, მსახიობების უმეტესობას კარგა ხანია აღარ ჰქონია მასთან შეხება. ცოტა სკეპტიკურად ვუყურებდით, ვეჭვობდით, დაიდგმებოდა კი საერთოდ ეს სპექტაკლი?

მუშაობას ცოტა მოდუნებულები შევუდექით, თეატრში ყველას უნდა სპექტაკლის განაწილებაში მოხვედრა, რეპეტიციებზე კი ჩნდება პრეტენზიები, სიზარმაცე... ამჯერად კი საოცრება მოხდა, ყველა მსახიობი, განურჩევლად ასაკისა და მდგომარეობისა, ერთხაირად მობილიზებული და ანთებული აღმოჩნდა.

იმ დროისათვის არც დრამატურგია არსებდა, იყო ამაში რაღაც ავანტიურა, ერთგვარი ხიბლი... რეპეტიციების პროცესში ვხვდებოდით, თუ რას გვთავაზობდა ბატონი რობიკუ, ან რას ვასახიერებდით. მან უფრო მეტის სამუალება მოგვცა, ვიდრე სხვა სპექტაკლებზე მუშაობისას და ვიგძენით, რომ ექსპერიმენტი თავადაც სიამოვნებდა, ჩვენი იდეები მოსწონდა... თითქმის სამი თვე აღფრთვანებულები ვმუშაობდით შესანიშნავ მარაბა ალექსიძესთან, თავისი დამახასიათებელი პლასტიკით, ანა ნინუასთან, რომელიც ყველამ ჩათვალა, რომ მამამისის გაგრძელება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ააბ თავისი ფური შემოიტანა. დაპერა ქალთა გარემოცვის სხვა სიომ, რაც ბატონმა რობიკუმ შესანიშნავად იგრძნო... ვერდავდი, რამდენად უფრო ინტერესდებოდა მუშაობის პროცესით. იქნებ ზედმეტად ამბიციურად გამომდის ნათქვამი, მაგრამ ეს პროცესი ჩვენი სამთვიანი თანაარსებობისა, იყო საოცრად ჰარმონიული. ამ პროცესს სიყვარულს ვადარებ... როცა ახალი სპექტაკლი, სახე იქმნება, თუ იქ არ არის სიყვარული მსახიობსა და რეჟისორს შორის, განსაკუთრებული არ დაიბადება. თუმცა შეიძლება კიდეც შეიქმნას, მაგრამ ჩემთვის, როცა სიყვარული და ჰარმონია, ბევრად უფრო საინტერესოა. როცა რეპეტიციაზე მივდივარ, როგორც შეყვარებული შეიგრძნობს ხეს, ფოთოლს, ქუჩაში შემცვედრ ადამიანებს, ხანდაზან სწორედ გზაზე, სახლიდან – თეატრში, იბადება ახალი უესტი, ინტონაცია... ყოველივე ამის სანინდარი, სტიმულის მომცემი კი – რეჟისორია...

მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ძალიან მტკიცნეული და დრამატული რეპეტიციები იყო, საშინელად ვიტყინე ფეხი, ოცი დღე საწოლიდან ვერ ვდგებოდი, ჯერ ეტლით გავდიოდი რეპეტიციებს, შემდეგ – ჯოხით, ჯანმრთელობის სხვა პრობლემებიც შემექნა... როდესაც რეპეტიციაზე ბატონება რობიკომ მოითხოვა, – ეტლი მოუტანეთ! გამიხადა, ვიფიქრე კიდეც, – იქნებ ეტლში დავრჩე, იქნებ ჩემი სახე ეტლში უფრო საინტერესო იყოს მეტე. თითქოს დამეთანხმა კიდეც, მაგრამ მერე თქვა, – ბავშვის ეტლი ხომ არ იყოს?.. მერე ესეც უარყო და ბოლოს, როცა ძალიან მტკიოდა ფეხი და ვცდილობდი არ მეკოჭლა, პრემიერის ნინ თრი თუ სამი დღით ადრე, შემომთავაზა, – აბა იკოჭლეო, მოულოდნებულად ეს იდეა ძალიან მოერინა და... მეც კოჭლობა დავინცე.

მსახიობისთვის განსხვავებული სახის შექმნაა მნიშვნელოვანი. ჩემი როლის რამდენიმე სრულიად განსხვავებული ვარიანტი გავაკეთეთ. სხვა

სპექტაკლებზე მუშაობისას ყოფილა, რომ ბატონ რობიკუს ბოლომდე არ ავყოლილვარ, პატარა წაკამათებაც კი მომსვლია მასთან და მერე ამის გამო მინანია, მივმხვდარვარ, რომ სრულიად სხვა რამეს მთავაზობდა, ძალიან საინტერესოს, მე კი არ ავყევი და ძალიანაც გული დამწყდა, მივხვდი რაც დავკარგე...

არ ვიცი, სიბრძნე მომებატა თუ რა, ვიფიქრე, ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მეტყვის-მეტქი...

თავიდან ჩემი გმირი ძალიან რბილი და ლომბიერი ადამიანი ჩანდა, შემდეგ უფრო რეალისტური გახდა... მას ქვეწის შეცვლა სურს... მოწოდა კიდეც ეს ვარიანტი, მაგრამ სახე კვლავ შეიცვალა და დაბადა იდეა, რომ მაყურებელი ვერ მიმხვდარიყო ვინ ვარ – თბილი, ადამიანური, კეთილ?.. თუ პირიქით?.. მაყურებელი შეცდომაში უნდა შესულიყო...

მორიდებით შევთავაზე, - იქნებ მელოტი ვიყო-მეთქი... – კარგი აზრიან და დაუმატა, – აგრესიული იყოს... და ჩემი ერთადერთი თბილი სიტყვაც რომ უარყო, მაშინ კი ძალიან გავბრაზდი, და – ჴო, კარგი... ბორუსად გითმობ, ისე თქვი, როგორც შენ გინდაო... მეც თავი დავხარე და კოცა გავუგზავნე...

ფეხის გამო, რომელიც ბოლომდე არ მაქვს მოშუმებული და ახლაც მტკივა, შეიძლება ჩემი სახე აბსოლუტურად სხვანაირი გამოსულიყო, არ ვიცი უკეთესი თუ უარესი, მაგრამ დღეს, როდესაც ამ სპექტაკლზე მუშაობას ვისხენებ, ვხვდები, სტურუაში კიდეც ერთი დიდი ბედნიერება მაჩუქა. ჩემი პროფესიის ხიბლიც ის არის, რომ მთელი ცხოვრება შეიძლება ისწავლი... ჩვენ ხომ პირველ რიგში საკუთარი თავისთვის ვთამაშობთ, ნამდვილი მსახიობი თავისი სიამოვნებისთვის აკეთებს ამას, მაგრამ მისი უდიდებულესობა – მაყურებელი – მაინც მთავარია. მაყურებლის გარეშე შსახიობი ვერ იქნება!..

სიყვარული

ახალი ტექნოლოგიების, სამგანზომილებიან ეფექტების, კომპიუტერებისა და რობოტების ეპოქაში ჭეშმარიტი ხელოვნება მეორე პლაზე ინაცვლებს.

ახალგაზრდობას თეატრთან, როგორც მისთვის სრულიად გაუგებარ, სინთეტურ, უინტერესო საგანთან ურთიერთობას კლუბებსა და ბარებში ყოფნა ურჩევნია, მაგრამ ისინი, ვინც მაინც ხვდებიან ჯადოსნურ თეატრალურ სამყაროში, იგი სამუდამოდ უყვარდებათ... უყვარდებათ თეატრალური ფარდის ჩუმი შრიალი, თვალისმოქრეველი და უცნაური დეკორაციები, მუსიკალური ფრაზები, რომლის ნიშანზეც არტისტები მოულოდნელად ხმამაღლა იწყებენ ლაპარაკას ან სულაც ჩურჩულებები... და როდესაც მამაკაცის მუდერი ბარიონი სასიყვარულო ფრაზებს ნარმოთქვამს, აღტაცებული გული ბაგაბუგს ინტებს... ეს შეუდარებელი გრძნობებია... მას თეატრის სიყვარული ჰქვია!..

სპექტაკლები



ლილიპული ტრაგედია ოჯახი და არა მხრილოდ...

ლაშა ჩხარტიშვილი

შექსპირის დრამატურგიული თეზულებების სცენურ ინტერპრეტაციას ქართულ თეატრში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლები ბევრ ნარმატებასა და საერთაშორისო აღიარებას-თანაა დაკავშირებული და ქართული (და არა მარტო) თეატრის „ოქროს ფონდის“ ნაწილია. შექსპირის „მეფე ლილის“ განხორციელებასაც, მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს. მას თითქმის ყველა დიდი რეჟისორის ხელი შეეხო, რომელთაგან ბევრმა, პროფესიული გამოცდილების მიუხედავად, მარცხი განიცადა.

ქართულ სასცენო შექსპირინაში მხოლოდ რობერტ სტურუამ მოახერხა იმ მწვერვალისთვის მიეღწია, რომლითაც „მეფე ლილის“ მისმა ინტერპრეტაციამ მე-20 საუკუნის მსოფლიო დადგმებს შორის გამორჩეული ადგილი დაიკავა (მეფე ლილის რამაზ ჩხიკვაძე ასრულებდა).

დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში დავით დოიაძეილმა მარჯანიძეილის თეატრში, 1995 წელს განხორციელა შექსპირის ამ, ერთერთი ყველაზე რთული, ტრაგედიის დადგმა (ლირი - ოთარ მელვინეთუხევსი).

და აი, ზუსტად 21-წლიანი ინტერვალის შემდეგ ქართულ თეატრს კვლავ დაუბრუნდა შექსპირის ეს ტრაგედია და მასთან ერთად - მაყ-

ურებელსა და სცენას მონატრებული ზურაბ ყიფშიძე.

„შავ-ბრენელ“ (ნემიროვიჩ-დანჩენკო) პიესად წოდებული ტრაგედიის დადგმა გამოცდილი და სახელოვანი რეჟისორებისთვის საუკუნეების განმავლობაში საჯილდაო ქვად არის მიწინეული და მისი განხორციელება დიდ რისკსაც უკავშირდება, ამიტომაც უფროთხიან და თავს არიღებენ რეჟისორები მის სცენურ ხორცშესხმას.

გაცილებით გაბედული და სითამამით გამორჩეული აღმოჩნდა შედარებით დამწყები რეჟისორი ზურაბ გენაძე, რომელმაც თუმანიშვილის თეატრში „მეფე ლილის“ განსხვავებული, სადადგმო ტრადიციებით ნაკვებ-ნასაზრდოები, მაგრამ განსხვავებული აქცენტებით გამოკვეთილი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა.

„მეფე ლილი“ შექსპირის პირველი პიესაა, რომელიც ზურაბ გენაძემ განახორციელა. მანამდე ის, როგორც რეჟისორი, აბსურდის უანრში (ეუენ იონესკოს „მელოტი მომლერალი ქალი“, სლავომირ მროჟევი „პოლიცია“) და თანამე-დროვე დრამატურგიაზე (ლაშა ბულაძის „7 პ.პ.“) მუშაობდა. შექსპირის პიესების განხორციელების გამოუცდელობის მიუხედავად, რეჟისორმა დახვეწილი, გამართული და გააზრებული დადგმა შემოგვთავაზა, რომელიც ლოკალურ ჭრილში ემიანება ჩვენს დღევანდელობას.

ძნელი სათქმელია რატომ ან რა კონკრეტულ პრობლემაზე დადგა ზურაბ გენაძემ „მეფე ლიირი“. დადგმის მოტივი ხომ მხოლოდ მეფე ლიირის როლის კარგი შემსრულებელის არსებობა ვერ გახდება, თუ რეჟისორს არ აღელვებს პრობლემები, რომლებიც შექსპირის ტრაგედიაშია დასტული. როგორც გამოჩნდა, რეჟისორისთვის ტრაგედიადან ის ხაზებია საინტერესო, რომლებიც მამა-შვილის ურთიერთობების ნერგევასა და ადამიანების გადაგვარებას წარმოაჩენს. მაგრამ, როგორც კლასიკას ჩვევია, სცენაზე სხვა შრეებიც იყვეთება, რომლებიც ჩვენ დროშიც აქტუალურია და სიმძაფრეს არ კარგავს. განსაკუთრებით შექსპირთან ყოველთვის მოიძებნება თემები, რომელიც არ ბერდება, ეს გამოცდილება სპექტაკლის დამდგმელმაც გაიზიარა და მაყურებელს დაუხატა ჩვენი სახელმწიფოს დღვევანდელი სურათი, რომელშიც მუდავნდება უფრო ჩინოვნიერი, ვიდრე ტირანი მეფის, რიგითი ადამიანისა და მამის ქმედებების შედეგობრივი ტრაგიულობა.

თუმანიშვილის თეატრის „მეფე ლიირის“ წარმატებას ორმა ფაქტორმა შეუწყო ხელი: ახალი თარგმანის შექმნამ და მსახიობთა ანსამბლმა, რომელმაც მრავალფეროვანი მხატვრული სახეების გალერეა წარმოადგინა სცენაზე.

კლასიკურ წარმოებზე მუშაობისას რეჟისორები დროდადრო ტექსტის ადაპტაციას მიმართავენ. იმის მიუხედავად, რომ არსებობს ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძისეული გენიალური თარგმანი, მიხეილ თუმანიშვილმა მასზე უარი თქვა და 1966 წელს რეჟისორების თეატრში „მეფე ლიირი“ ვახტანგ ჭელიძისეული ახალი ტექსტით განახორციელა. ისე როგორც 1987 წელს რობერტ სტურუამ მოახდინა ტექსტის ადაპტირება ლილი ფოფხაძესთან ერთად.

ამ მეტად მნიშვნელოვან და პროგრესულ ტრადიციაზე არც ზურაბ გენაძემ თქვა უარი და პიესის ახალი ვერსიის შექმნა შექსპირის ჩვენი დროის საუკეთესო მთარგმნელს მანანა ანთაძეს შეუკვეთა. ახალმა თარგმანმა რეჟისორს მისცა იმპულსი დადგმის მოდერნიზაციისა და ახალი აქცენტების დასასმელად, რასაც ვხვდებით კი-ლეც სპექტაკლში, მაგრამ მას, ტექსტის სცენური ინტერპრეტაციისას თითქოს არ ეყო სითამამე და გამტედაობა რადიკალური წაბიჯების გადასადგმელად. ან იმდენად დიდია ტრადიციის გავლენა, რომ მისგან თავის დაღწევას გარკვეული დრო სჭირდება. ამ „გავლენას“, რომელიც სპექტაკლში ციტატების სახით გვხდება (რასაც რეჟისორი მიზანმიმართულად მიმართავს) არაერთხელ ვხვდებით წარმოდგენის მსვლელობისას...

ზურაბ გენაძის სპექტაკლი ლირიკული ტრაგედიაა ოჯახის ნერგევაზე, უმაღური შვილებისგან მიტოვებულ მამაზე (ლირის ხაზი) და პირიქით, შვილისგან გაბრიყებულ მშობელზე (გლოსტერისა და ედმუნდის ხაზი).

მანანა ანთაძის ახალმა თარგმანმა ახალი

არხები გახსნა პიესაში, რამაც რეჟისორსაც გაუკვალა გზა საკუთარი, დამოუკიდებელი ვერსიის შესაქმნელად, რომლის შედეგადაც მივიღეთ ტრაგედია, რომელშიც ლირიზმი უფრო ჭარბობს, ვიდრე პოლიტიკური მოტივები. ამიტომაც ის, რაც შესაძლოა, ჩემი მხრიდან შინაარსის მოყოლა გეგონოთ, სწორედ თარგმანში გამოვეთილი ახალი აქცენტებისა და რეჟისორის ინტერპრეტაციის ნაწილია, რაც განასხვავებს მას სხვა დადგმებისგან.

ზურაბ გენაძის სპექტაკლში მოქმედება შუა საუკუნეებში მიმდინარეობს. ეპოქის ფიქსირებას შეთა გლურჯიძის სცენოგრაფია და კოსტუმები უწყობს ხელს. თუმანიშვილის თეატრის სცენის ცარიელ სივრცეს გოთიკურ-რომანულ სტილში (ადრეული შუა სუკუნები) გადაწყვეტილი თაღები და ოდნავ გვიანდელი ხანის კოსტუმები ავსებს (კოსტუმების ეპოქა უფრო ვრცელ პერიოდს მოიცავს). სპექტაკლის გმირები კი თანამედროვე, მაგრამ დახვეწილი (და არა სასაუბრო) ენით ლაპარაკობებს, ყოველგვარი პათეტიკისა და ფსევდო თეატრალურობის გარეშე. ამიტომაც, ოდნავ, მაგრამ მაინც რჩება ეკლესტურობის განცდა.

შემთხვევითი თუ გამიზნული ეკლესტიკა სპექტაკლის კომპოზიციურ სტრუქტურაზე გავლენას ვერ ახდეს და არ არღვევს, დრამატურგიული პირველწყაროს სირთულის მიუხედავად, თხრობის ერთიან, თანმიმდევრულ სტილს. შექსპირის ტექსტის მანანა ანთაძისეული ვერსია (რომელიც თანამედროვე ჟღერადობის მიუხედავად, აკადემიურობას არ კარგავს) და რეჟისორის დასმული გარკვეული აქცენტები ის ფაქტორებია, რომლებიც დადგმას თანამედროვეობასთან აკავშირებს, ხოლო ვიზუალური თვალსაზრისით სპექტაკლი გასულ საუკუნეებში გვაძრუნებს და ახდენს დისტანცირებას ჩვენ ეპოქასთან, რასაც პიესაში დასმული პრობლემები და მსახიობთა თამაშის მანერა აპალანსებს, რათა ის რეალობა ალვიქვათ, რომელშიც ვცხოვრობთ. მით ხაზი ესმება პრობლემის სიძველეულაც და აქტუალურობასაც.

ქართულ თეატრში „მეფე ლიირის“ დადგმების ტრადიციის თვალის გადავლებისას იკვეთება ორი მიმართულება: 1. როცა სპექტაკლი ხორციელდება ლირის როლის შემსრულებლის ინიციატივით და 2. როცა ყველაფერი ემორჩილება რეჟისორის კონცეფციისა, რომელიც გამიზნულია დიქტატურისა და ტრანი მეფის ადამიანად ცეკვის პროცესის ჩვენებაზე.

ზურაბ გენაძის დადგმა კი არც ერთ მიმართულებაში არ თავისდება, რადგან მეფე ლიირის როლის შესრულება არც ზურაბ გენაძე აკეთებს აქცენტს დესპონტ მმართველზე. მისი მიზანი მეფისა და სახელმწიფოს ნერგევის ჩვენება კი არაა, არამედ პირვენების ტრაგედიის. მისთვის მთავარი ადამიანები, მათი ურთიერთობები, მეტამორფოზებია საინტერესო. რეჟისო-

რო გვიჩვენებს და იყვლევს პროცესს, თუ რა ემართებათ უსიყვარულოდ დარჩენილ ადამიანებს.

სიყვარულგაძარცეული ადამიანების მუდმივი ცვალებადობის პროცესის ჩვენების ფონზე სპექტაკლში არ იყარება მეორე კონცეპტუალური ხაზი: ოჯახის, როგორც სახელმწიფოს სიმბოლოს, დაშლისა და დაქუცმაცების პროცესი. ავტორი გვიჩვენებს, როგორც ეცლება ფსერი სახელმწიფოს, რომელიც ეგოზმზე, გაუტანლობაზე, მიუტევებლობაზე დაფუძნებული. მაგრამ ტრაგიკული ფინალი ოპტიმისტურია - „მიცვალებულები გაასვენეთ, ქვეყანას შველა სჭირდება!“ - ამბობს ოლბენის მთავარი (თემო ნატროშვილი). მსგავს იმატიმისტურ ფინალს „მეფე ლირის“ დადგმებს შორის ქართული თეატრი არ იცნობს.

დასაწყისში ზურაბ გენაძე იდეალური და იდილიური საზოგადოების სურათს ხატავს. საექსპოზიციო ნაწილში, სადაც მეფის საბედის-წერო გადაწყვეტილებამდე პერსონაჟებს ვეცნობით, ჩვენს წინ კულტურული და ერთმანეთზე შეყვარებული ადამიანების პორტრეტების ესკიზები იქმნება. ამ იდილიურ საზოგადოებაში თითქოს ყველაფერი წესრიგს ექვემდებარება. ვინც ამ ჩარჩოებიდან „ამოვარდნილია“ მეფის უმცროსი ქალიშვილი კორდელია (კატო კალატოზიშვილი), რომელიც სასახლის საგანგებო შეკრებაზე აგვიანებს, რითაც პროტოკოლსაც არღვევს. მაგრამ ეს იდილია და წესრიგი ფასადურია. სინამდვილეში ყველაფერი პირიქითა. ამ მოჩვენებით წესრიგს ერთადერთი ამრევი ჰყავს კორდელიას სახით, რომელიც სამეფოს განაწილების სცენასაც ირონიულად უყურებს. მისთვის მემკვიდრეობა და ფორმალობები კი არ არის მთავარი, არმედ მამის სიყვარული.

ლირის განრისტების მაპროვოცირებელი კორდელიაა, რასაც მოვლენები ტრაგედიებამდე მიჰყევს. გამორჩეულად საყვარელი ქალიშვილის გულწრფელობა თავმოყვარე და ამაყი მეფისთვის ლირსების შელახვა აღმოჩნდება.

კატო კალატოზიშვილი უსიტყვოდ, რამდენიმენამიან ეპიზოდში გადმოსცემს, თუ როგორ ეპრძევის მისი გმირი საკუთარ პრინციპებს, როგორ არ ძალუს და არც გამოსადის, მცდელობის მიუხედავად, ფარისევლობა. კორდელიას სახეში ნათლად იკვეთება ირონია დადგმული, ფარისევლური ცერემონიების მიმართ.

ლირის უფროსი ქალიშვილები (გონერილი - ნანუკა ლითანიშვილი, რიგანი - მაია გელოვანი) კი პირიქით, ყოველგვარ მორალურ წეს-კანონებს ინტენსიურად არღვევენ. მათი ფარისევლობა მალევე ცხადდება. ჯერ კიდევ სცენაში, როცა მეფე მათგან სიყვარულის დასაბუთებას მოითხოვს. ეს ფსევდოსიყვარული მალე სიძულვილში გადაეზრდებათ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დების როლების შემსრულებელი მსახიობები ერთმანეთისგან განსხვავებული ხერხებით და მხატვრული ამოცანებით ლოგიკუ-

რი თანმიმდევრობით გვიჩვენებენ გმირების უკიდურესი დაცემის პროცესს. რეჟისორი მათი რეალური სახის დემონსტრირებას ეტაპობრივად ახდენს და არა ერთბაშად.

მნიშვნელოვანი ვერსიაა, როცა შვილები ლოგიკურად უყენებენ გადამდგარ მეფეს პრეტენზიებს ამაღლის შემცირებისა და აღვირახსნილობის აღვევთის შესახებ, მაგრამ ვხვდებით, რომ ეს მხოლოდ საბაბია მეფის ავტორიტეტის შესალახად და მისი გავლენის მაქსიმალურად შესავინროვებლად.

ქართულ თეატრში ამ პიესის აქამდე განხორციელებულ დადგმებში ლირის ქალიშვილების ამგვარი ხაზის განვითარება, როცა რეჟისორი მიზანმიმართულად კი არ ცდილობს გონეროლისა და რიგანის ნებატიურ პერსონაჟებად წარმოჩენას, არამედ ეტაპობრივად და ლოგიკურად, არავის უცდია. ისინი სასტიკინი და დაუნდობლები სწორედ მაშინ ხდებიან, როცა ძალაუფლებას გემოს გაუგებენ.

სპექტაკლში ორი პერსონაჟის - მეფე ლირისა და გლოსტერის (აკაკი ხიდაშელი) სიუჟეტური ხაზი ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს. ისინი მხოლოდ ფინალში კვეთენ ერთმანეთს, როდესაც ალარც ერთს აღარ აქვს იმედი, მაშინ, როცა ყველაფერს საპოლოოდ კარგავენ. მაგრამ ილებენ მთავარს - იგებენ სიმართლესა და ჭეშმარიტებამდე მიდიან.

იმის მიუხედავად, რომ ლირი და გლოსტერი ერთ ბედქევებ მოქცეული მამები არან, ზურაბ გენაძის ინტერპრეტაციაში მათ ტრაგედიას ერთი მთავარი ფაქტორი განასხვავებს: გლოსტერი მუხანათობის და ტყუილის მსხვერპლია, ხოლო მეფე ლირი - საკუთარი ხასიათის. ყველაფერი, რაც ზურაბ გენაძის ლირს გადახდა თავს, იმ ქმედებების შედეგია, რომელსაც თესდა და ბუმერანგივით დაუბრუნდა უკან გაკეთილშიბლების ხარჯზე. ხოლო გლოსტერი ტყუილის, ერთგულებისა და დაუდევრობის მსხვერპლია.

ზურაბ ყიფშიძე, როგორც ოსტატი მსახიობი, გვიჩვენებს მეფე ლირის მეტამორფოზის პროცესს მეფიდან ჩვეულებრივ მოკვდავამდე. სტატუსის დაცემის საპირისპირო მალლებება მისი ადამიანურობა და შინაგანი სამყარო. მსახიობი იზიარებს კონცეფციას, რომელიც რეჟისორმა შესთავაზა. გვიჩვენებს ეგონისტი და თავმოყვარე კაცის (ვიდრე მეფის და სახელმწიფო მოხელის) გაადამიანურება-გაპუმანურების პროცესს. ამპარტავანი მეფისთვის, რომელსაც, ფაქტია, სიცრუუში ცხოვრება ერჩივნა, ვიდრე სიმართლეში, მოულოდნელი აღმოჩნდა დაუნდობელი და სასტიკი ქალიშვილების დამოკიდებულება. ხოლო საყვარელი ქალიშვილის გულწრფელობას კი გადააყოლა დარჩენილი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნებები, რომლებიც, გეგმის მიხედვით, სიმშვიდეში სურდა გაეტარებინა.

მნიშვნელოვანია ლირის სამეფოს გაყოფის

მოტივიც, რომელიც აქამდე სხვა სცენურ ინტერპრეტაციებში (ყოველ შემთხვევაში, ქართულ თეატრში) აქცენტირებული არ იყო. ზურაბ ყიფშიძის გმირი ახალგაზრდა თაობას უთმობს ასპარეზს. ის იოლად, მშვიდად თმობს ძალაუფლებას. ფიქრობს, რომ ეს გადაწყვეტილება დებს შორის მომავალში დაპირისპირებასა და შუღლის მიზეზსც გააქრიბს, ვინაიდან სამეფოს თანაბრად ჰყოფს.


ზურაბ ყიფშიძის ლირი დესპოტი და ტირანი მმართველია. ის დაღლილია და სურს ცხოვრება სიმშვიდეში გაატაროს. მისთვის მნიშვნელოვანია სამეფოს გაყოფის პროცესის ვიზუალური მხარე. მშვენივრად იცის, რომ კორდელიას უყვარს (რადგან დაგვიანების მიუხედავად, კი არ უწყრება, არამედ ეფერება), მაგრამ მაინც ატარებს ცერემონიას. ამავე დროს, სურს, ალბათ უკანასკნელად, პატივმოყვარეობის დაქმაყოფილება და შვილებისგან თუნდაც ფორმალურად თბილი სიტყვების მოსმენა (ბოლო-ბოლო, დაიმსახურა!). მეტის წყრომა სწორედ კორდელიას მიერ თავმოყვარეობისა და პატივმოყვარეობის შელახვამ გამოიწვია.

ზურაბ ყიფშიძე თანმიმდევრულად ხატავს ადამიანად ქცევის რთულ და მოულოდნელობებით სავსე გზას. არტისტული ზომიერებითა და სცენური გულწრფელობით რეაგირებს ყოველ მოულოდნელ მოვლენაზე, რომელიც გარშემოხდება.

პირველივე ასეთი ნინააღმდეგობისას, რომელიც კორდელიას გულწრფელ პასუხში გამოიხატა, ზურაბ ყიფშიძის ლირი გაურბის სიმართლეს და საყვარელ ქალიშვილს უბრძანებს ტონი შეცვალოს, ვინაიდან გულწრფელობა არ სიბლავს (და არც ანყობს, რადგან ცერემონიას უცხოებიც ესწრებიან). ის საყვარელ ქალიშვილს შანსს აძლევს, გამოასწოროს „შეცდომა“. რადგან ვერაფერს გახდება და კორდელიას-გან საჯარო დაუმორჩილებლობას იგრძნობს, საბედისწერო გადაწყვეტილებას იღებს.

მეორე შეკიზურაბ ყიფშიძის ლირისთვის მეორე ქალიშვილთან, გონერილთან შეხვედრა აღმოჩნდა, რომელმაც თავისი სითამამით გააოცა ტახტიდან გადამდგარი მეფე.

ლირში საფუძვლიანი გარდატეხა ე.ნ. ქარიშხლის ეპიზოდში ხდება, რომელიც საგანგებოდ დადგმულია და გათვლილია მაყურებლის აპლოდისმენტებზე. გადამწყვეტ ეპიზოდში, ზურაბ ყიფშიძეს (რომელიც, ჩემი აზრით, ნებისმიერ მხატვრულ ამოცანას დამოუკიდებლად გაართმევდა თავს სცენური ეფექტების გარეშეც) თანამედროვე თეატრალური ეფექტები „ეხმარება“. მუსიკალური ფონი, ქარბუქისა და თოვლის იმიტაცია, ხელოვნური წვიმა, განათების მუდმივი ცვლა ორგანიზებულ ქაოსს ქმნის, რაც კარგას (ფარავს) მსახიობის ხმას, ტექსტსაც და განცდებსაც. ეპიზოდი ისე ჩაივლის, ძნელია გაარჩიო, რას განიცდის ლირი შინაგანად, რადგან მიზანსცენაში აქცენტი მთლიანად გარ-



ეგნულ ხერხებსა და ვიზუალზეა გადატანილი. სწორედ ამ ეპიზოდიდან „ტვინში იჭრება“ მეფე, „ბრძნული სიგიუსი“ მდგომარეობა ფინალმდე გასტანს და გიჭირს დაიჯერო, მართლა გაადამიანურდა ლირი, მიხვდა ცხოვრების ამაოებას და გააცნობიერა დაშვებული შეცდომები, თუ ჭკუიდან შეშლილმა მოირგო ახალი ნიღაბი.

ქარიშხლის სცენა ერთადერთი ეპიზოდია, როდესაც ზურაბ ყიფშიძე კარგავს სცენურ გულნრფელობას და მისი გიუად ქცევის ეპიზოდი ყალბ, პათეტიკურ ყვირილს (გნებავთ, ღრიალს) უახლოვდება. ამ ეპიზოდის შემდეგ კი, ლირი ბოლომდე ადამიანური, ბუნებრივი და გულნრფელი რჩება ფინალმდე. ამის დასტურად, სცენის სიღრმეში დაშვებული შავი ფარდა ზევით იწევა და თეთრი აგურის კედლის ფონი ცვლის. ეს იმის ნიშანია, რომ ბოროტებას სიკეთე მაღლ ჩანაცვლებს.

მსახიობი მხოლოდ შინაგანი განცდით გადმოსცემს ლირის მდგომარეობას და იმდენად შეიგრძნობს ტკივილს, რომ მაყურებელსაც თავისი სამსახიობო ოსტატობის ტყვედ აქცევს. განსაკუთრებით გამოიჩინა მიტევება-შერიგების სცენა კორდელიასთან.

კატო კალატოზიშვილი (კორდელია) სცენის ოსტატის ლირეული პარტნიორი ალმოჩნდა. ახალგაზრდა მსახიობის თვალებში (მას მხოლოდ ორი უმნიშვნელო ეპიზოდი აქვს, რომელიც არა მხოლოდ სიუჟეტის, არამედ როლის შესრულების ხარისხის გამო გამახსოვრდება) სიკეთე და სათონება გამოსჭვივის, ხოლო ყიფშიძის გმირს თითქოს ერიდება, რცხვენია მასთან შეხვედრა, რადგან იცის, რომ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და ახლა ცდილობს მის გამოსწორებას. უყიდურეს სცენურ სისადავება და უშუალობას აღნევენ მსახიობები ამ ეპიზოდში, რომელიც მაყურებელში გამოწვეული დაუვიწყარი ემოციების თანხლებით მიმდინარეობს.

ხანგრძლივი სიგიუსია და შეშლილობის პერიოდში ლირი აცხობიერებს, რომ განიჩინეს მათ, ვისაც ემადლიერებოდა, ხოლო ვინც გარიყა და სიმართლის თქმა არ აპატია, ყველამ ირგვლივ მოიყარა თავი - გლოსტერმა, კენტმა, ედგარმა და მისთვის ყველაზე ძვირფასმა კორდელიამ.

ზურაბ გენაძე ცდილობს წარმოაჩინოს დაუნდობელი ადამიანები, რომლებიც ყველაფერს იყადრებენ ძალაუფლების შესანარჩუნებლად, მაგრამ არსებობენ უანგაროებიც, რომლებსაც ერთგულება შეუძლიათ, მაგრამ მათი თანაგრძნობა უკვე დაგვიანებულია. ჩვენ გარშემო ვერ ვაფასებთ მოვლენებს ისე, როგორც საჭიროა. ვკრითით და ვლიზიანდებით განსხვავებულ მოსაზრებაზე, რომელიც სინამდვილეში ჭეშმარიტებას შეიცავს. სწორედ ამ თეზას ავითარებს ზურაბ გენაძე თავის ინტერპრეტაციაში მსახიობებთან ერთად.

ლირის ტრაგედია უფრო ადამიანისა და მამის ტრაგედია, ვიდრე მეფის. იგი მთელი სპექტაკლი, პირველი მოულოდნელი წინააღმდე-

გობისთანავე, ეძებს ნუგეშს ჯერ უფროს ქალიშვილებთან, შემდეგ - მასხარასთან, თომად „შესაღებულ“ ედგართან. ბოლოს მისი მანუგეშ-ებელი კორდელია ალმოჩნდება, სწორედ ის, ვის გამოც ლირმა დაინტენუგეშის ძიება. გონერილ-თან კონფლიქტის შემდეგ ერთადერთ იმედად რიგანი რჩება. თუმცა ზურაბ ყიფშიძის გმირი ბოლომდე არ არის დარწმუნებული ქალიშვილის ჰემანურობაში და მას ავანსად სინდისტეც ააგდებს, თუმცა უშედეგოდ. იმედის საბოლოო დაკარგვის შემდეგ ლირი გიუდება და მასში ღირებულებების გარდატებისა და მოვლენათა გაცნობიერების ხანგრძლივი პროცესი იწყება.

ქარიშხლის სცენის შემდეგ ის ლირის აჩრდილად იქცევა, რომელმაც თავშესაფარი და ლირსება (რომელიც სამეფოს განაწილებისას ოფიციალურად დაიტოვა) დაკარგა. მანუგეშებელი მასხარაა (ვანო თარხნიშვილი), რომელსაც მხოლოდ მაშინ იხმობს, როცა ძალიან უჭირს. აქედანაც კარგად ჩანს, რომ მეფე სიმართლის მთქმელს არ დევნის და კორდელიას გამო განრისხება თავმოყვარეობის შელახვით იყო განპირობებული.

ზურაბ ყიფშიძის ლირი არ არის მონსტრი, რომელიც სძულთ. მისი ერიდებათ და პატივს სცენები. მსახიობი თანმიმდევრულად ააშკარავებს შეილებისგან მიღებული მეფის სტრესის შედეგებს. კულმინაციურ და მწვავე ფორმას, როგორც ვროტესტს, როგორც აღვინშენ, სწორედ „ქარიშხლის ეპიზოდში“ ვხვდებით.

სპექტაკლში, ისე როგორც ლიტერატურულ პირველყარიში, ერთი მხრივ, მოთხოვნილია ლირის ოჯახის ნგრევა და ტრაგედია, ხოლო, მეორე მხრივ, გლოსტერის ოჯახის დაცემა-განადგურება. აკავი ხიდაშელი ფაქიზი და მიამიტი, კეთილშობილი გრაფის სახეს ხატავს. მსახიობი ცდილობს გააკონტროლოს ემოციების ნაკადი და გმირის აპბონის დროს, როდესაც გლოსტერის ხასიათის განვითარების კვანძი იხსნება, წარმოაჩინოს უყიდურესად ლირსებაშელაბული, მორალურად განადგურებული მამის ტრაგედია. მისი ნუგეში, ლირის მსგავსად, შვილია - ედგარი (პაატა ინაური), რომელიც, ისევ, როგორც კორდელია, უმძიმეს ნუთებში მამის გვერდითაა.

საინტერესოდ და ორიგინალურად წარმოაჩენს პაატა ინაური კეთილშობილი ედგარის მხატვრულ სახეს. მსახიობს ორი ტიპაჟის — დახვეწილი ედგარის და ძონძებში გამოწყობილ გამოგონილ პერსონაჟ თომას — განსახიერება უწევს. მისი გმირი მორალური ტრავმით გამოწვეულ უდიდეს ტკივილს დაატარებს, სულიერად წელში გატევის მოუხედავად ახერხებს შურისძიებას. მსგავს ამპლუაში (გარდასახვისა და ტიპაჟის შექმნის თვალსაზრისით) პაატა ინაური აქამდე არ გვინახავს, რამაც მისი სამსახიობი დიაპაზონი კიდევ უფრო გაზარდა.

არანაკლებ ოსტატურად ხატავს გიორგი ყიფშიძე ედმუნდის სახეს. მსახიობი აჩვენებს კომპლექსებით სავსე გმირს, რომელსაც მხოლოდ

ის ანუხებს, რომ უკანონო შვილია. გიორგი ყიფშიძისეული ინტერპრეტაციით ედმუნდი საკმაოდ მოხერხებული და გაიძერა პერსონაჟია, ჭკვიანი, რომელიც იდეალურად აღწევს ძმის ჩამოშორების მიზანს (წერილის გადაცემის ეპიზოდი, როდესაც ედმუნდის მზაკვრულ გეგმაში ეჭვს ვერ შეიტან). იმის მიუხედავად, რომ ტექსტიც ხელს უწყობს, გამომსახველობითი სამუალებებითა და ტექსტის ქმედითი გააზრებით, ედმუნდი ორიგინალურად ხლართაგს ინტრიგებს ლირის სამეფო კარზე და ბოლომდე ეშვება წუმშეში, სადაც უკვე აღარც უკან დახევის გზაა და არც გამოსავალი არსებობს.

იმის მიუხედავად, რომ გონერილი და რიგანი წეგატიური პერსონაჟები არიან, მათ ბევრი განმანსხვავებელი თვისებაც და ლოგიკაზე დაფუძნებული სიმართლეც აქვთ.

ნანუკა ლითანიშვილის გონერილი ყველა ნამოწყების ლიდერია. აკონტროლებს ყველასა და ყველაფერს, აქვს თვისებები, რომლებიც არ გააჩნიათ მის დებს — გამბედაობა, სითავხედე, მიზნის მიღწევის დაუცხრომობელი წყურვილი და სხვათა შორის, გონიერებაც. გონერილი, მამისგან განსხვავებით (ლირს შეუძლია მასხარის კრიტიკის მოსტენა), ცდილობს გზიდან ჩამოშოროს ყველა, ვინც მას აკრიტიკებს, მათ შორის ქმარიც და დაც. გონერილის ხასიათი უმნიშვნელო და თითქმის შეუმრნეველ დეტალებშიც იკვეთება. სამეფოს განაწილების სცენაში ნანუკა ლითანიშვილი მიმიკით ავლენს დამოკიდებულებას კორდელიასადმი, ისევე, როგორ დამაჯვერებლადაც თხოვს მეფეს ამალის შემცირებას. მისი პრეტენზიები საკუთარი წეპით გადამდგარი მეტისადმი თითქოს სახელმწიფოს ინტერესებით

არის ნაკარნახევი... ის ცდილობს აღკვეთოს სასახლეში არსებული განუკითხაობა და ლრეობა, თავად კი იმდენად იხრწნება, რომ ედმუნდთან აპამს რომანს. (ერთგან ეუბნება კიდეც მეფეს - აქაურობას საროსკიპოდ ნუ გადააქცევონ და თავად ხდება ორმაგი როსკიპი). გონერილის პროტოტიპები უხვად არიან ჩვენს გარშემო როგორც საჯარო სექტორში, ისე ინტელექტუალურ (გნებავთ, ბურჟუაზიულ) საზოგადოებაშიც. პერსონაჟის გონიერება იკვეთება იმ ეპიზოდშიც, როცა სამეფოს განაწილების სცენის შემდეგ ნანუკა ლითანიშვილის გმირი მომავლის პროგნოზსა და ანალიზს აკეთებს, რომელიც ლირის ქმედებებს ეფუძნება.

ოდნავ სუსტი, მაგრამ გულქვა ქალიშვილის მხატვრულ სახედ წარმოაჩენს მაია გელოვანის რიგანი. თუკი ნანუკა ლითანიშვილის გონერილი ფიცხი და პირდაპირია, მაია გელოვანის რიგანი უფრო მორიდებული ჩანს, მაგრამ ეს პოზაა, სინამდვილეში უფრო სასტიკი და დაუნდობელია, ვიდრე უფროსი და. ნამდვილ სახეს რიგანი ლითან შელაპარაკების დროს ავლენს, როცა მამას, რომელმაც სამეფო (შესაბამისად, დალაუფლება და დამოუკიდებლობა აჩუქა) ეუბნება: ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგახარო. სხორცედ ის ექცევა სასტიკად გლოსტერსა და კენტს (როგორც მეფეს შიკრიკს). მიზნის მისაღწევად არც საკუთარი დის (თუნდაც, როგორც მოკავშირის) გზიდან ჩამოშორებაზე იტყვის უარს. უბრალოდ, მოვლენათა განვითარებამ შეუძალა ხელი.

მაია გელოვანი ოსტატურად აჩვენებს რიგანის ორსახოვნებას სანყალი და მორჩილი ქალიშვილიდან - სასტიკ და დაუნდობელ მონსტრამდე.



ნეგატიური პერსონაჟის, ოსვალდის მხატვრულ სახეს ახალგაზრდა მსახიობი ვანო ფუგლაძე განასახიერებს. ქმნის ტიპაჟს, რომელიც ავლენს მიზანდასახულობას საკუთარი კარიერის შესაქმნელად. ის ისეთივე გარენარია, როგორც მისი ქალბატონი. ვანო დუღლაძე ზედმინევნით ზუსტად ხატავს გარენარი ოსვალდის ტიპაჟს. მსახიობი იმდენად დამაჯერებლად ასახიერებს ოსვალდს, რომ მის მიმართ პროტესტის გრძნობა გიჩნდება და გავიწყებს, რომ ეს ყველაფერი სცენაზე ხდება და არა რეალობაში.

ორიგინალურად და საკუთარი კონცეფციის ლოგიკით გადაწყვიტა ზურაბ გენაძემ სპექტაკლში მასხარას მხატვრული სახე, რომელსაც ვანო თარხნიშვილი ასახიერებს. მსახიობს იუმორთან ერთად სიმართლის ნაპერწკალიც შემოაქვს, რომელიც ეხმარება ლირს მის წინაშე არსებული პრობლემების გაცნობიერებაში. როგორც ცნობილია, პიესაში მასხარა ქრება, რაც დღემდე გამოუცნობ გამოცანად რჩება სხვადასხვა ეპოქის რეჟისორებისთვის.

ჯორჯო სტრელერმა მასხარა და კორდელია გააერთიანა, რობერტ სტურუამ კი, მეფე ლირს მოაკვლევინა. ზურაბ გენაძესთან მასხარას ოსვალდი ახრჩიობს, რაც ამ ინტერპრეტაციაში ლოგიკურია, ვინაიდან ოსვალდი ნებისმიერი მისის შესასრულებლად მზად არის. ის ნებისმიერ დაკვეთას შეასრულებს კარიერისთვის.

სპექტაკლში ასევე მონანილეობები: ერეკლე გენაძე (საფრანგეთის მეფე), თორნიკე ქასრაშვილი (ბურგუნდის მთავარი), ნიკა ნერედიანი (კორნულის მთავარი, კაპიტანი), თემო ნატროშვილი (ოლბენის მთავარი), იმედა არაბული (კენტის მთავარი), გუგა კახანი (მეფის რაინდი), ანრი ბიბინეიშვილი (მაცნე, შივრიკი).

შოთა გლურჯიძის სცენოგრაფია არ ექვემდებარება სტატიკური სცენოგრაფიის კანონებს. გოთიკურ-რომანული თალედი, რომელიც პირობითად ცვლის მოქმედების ადგილს, მოძრავია და მუდმივად გადაადგილდება. ამ მოძრავ კონსტრუქციას ემატება სცენის მარჯვენა და მარცხენა აივნებზე შემომსხდარი მაყურებლის ფიტულები, რომლებიც რეჟისორის კონცეფციის ნაწილია. ამბების, რომლებიც სცენაზე ხდება, ზემოდან დამკვირვებელი მაყურებელი ფინალში გვამებად იქცევა.

რობერტ სტურუას ამ ციტატას რეჟისორმა „გათამაშების“ ახალი ხერხი მოუქებნა, რომელიც სიმბოლურად ჩვენთან, მაყურებელთან იგივება, რომელიც ნარმოდებენის მსვლელობისას არ აპროტესტებს და წინ არ აღუდგება სპექტაკლში დატრიალებულ მრავალ უსამართლობას.

„ხედავდე უსამართლობას და არ ჩაერიო, ნიშნავს, რომ მონანილე ხარ მისი“ - ამ თეზას თუ რეჟისორის კონცეფციის მიუსადაგებთ, გამოდის, რომ თითოეული ადამიანი, მოქალაქე, რომელიც წინ არ აღუდგება უსამართლობას, იქცევა სიმბოლურ გვამად, როგორც სცენაზე.

სპექტაკლში მუსიკას ემოციური ფონის შექმნის დატვირთვა აქვს, რომლის ავტორიც ერეკლე გენაძეა. მუსიკის ავტორი კომპილაციას არ მიმართავს და გარემოს შესაბამის მუსიკალურ ფონს ქმნის, რომელიც სხვადასხვა სცენას ერთ სამყაროდ აქცევს.

ზურაბ გენაძეს ერთგვარი გადაძახილი თავისი ბედაგოგის, მიხეილ თუმანიშვილის „მეფე ლირთანაც“ აქვს. დიდი მაესტროს სპექტაკლიდან სიმღერა „პილიკოვი შემომჯდარა პილიკოვის ხეზედა“ ერთგვარი ციტატაა, რომელიც აქ პაატა ინაურის ედგარის თემად იქცევა. (თუმანიშვილის სპექტაკლში კი ლირის - სერგო ზაქარიაძის მუსიკალური თემა იყო).

ზურაბ გენაძე ლირის მითურ ამბავს შექსპირის ტექსტით ჩვენ დღევანდებლობაზე გვიყვება, იმ წამხდარ ურთიერთობებზე, რომლებიც მამებსა და შვილებს შორის დაკანონდა, როგორც ნორმა; იმ მუდმივ ღალატსა და ფარსველობაზე, რომელიც ჩვენს ირგვლივ ჭარბად არსებობს.

რეჟისორი ამ იდეას ერთი თეატრალური ხერხით ხდის ვიზუალურს. სპექტაკლი მაყურებლისკენ ზურგით მიბრუნებული, სცენაზე კომპოზიციურად განლაგებული პერსონაჟების სილუტებში იკვეთება, რომლებიც მკრთალ შუქში ჩანან, როგორც ქანდაკებები, შემდეგ შუქი დარბაზში გადმოდის და ამბავი იწყება. ქნიდაკებები ჩვენს ნინაშე ცოცხლდებიან და მოვლენებში გვრთავენ, ისე გვითრევენ, ძნელია მონყდე და თვალყური არ მიადევნო დრამატულ ისტორიას, რაც რეჟისორთან ერთად მსახიობების დამსახურებაცაა.

ზურაბ გენაძე „მეფე ლირში“ სხვადასხვა ადამიანთა გარდასახვის ფონზე ხატავს ჩვენი სამყაროს სურათს, რომელშიც უხვად არიან კეთილი და ბორიტი, ვინორ და ფართო აზროვნების ადამიანები, გაუტანლები და მიმტევებლები, პრინციპულები და უპრინციპობები, შეუდრეველები და იოლად დამთმობები... სპექტაკლში შექმნილი მსახურული სახეები სწორედ მათ რეალურ პროტიპებს გვახსენებენ.

ზურაბ გენაძის „მეფე ლირი“ კამერული სპექტაკლია, შექმნილი კამერული სივრცისთვის, რომელიც უარს ამბობს პიესაში არსებული მრავალმიმართულებიანი შრეების კვლევაზე, რაც წარმოდგენას მეტ მასშტაბს მისცემდა. რეჟისორის თვალსაზრისით, მთავარი ადამიანია გარკვეულ მოცემულობაში. საკითხის სიმწვავე მასტებაზურიცაა და უაღრესად აქტუალურიც, მაგრამ რეჟისორი მას ლოკალურ ჭრილში განიხილავს.

თუმანიშვილის თეატრის „მეფე ლირი“ ის პროდუქტია, რომელიც იცავს ოქროს შუალედს ტრადიციასა და პიესის ახლებურ წაერთხვას შორის, რომელიც დებს ხიდს გასულ და დამდგარ ახალ საუკუნეებს შორის და ასკვნის, რომ ეპოქათა მონაცემებისა და ადამიანებზე გავლენას არ აძლევს.



საქართველოში მიმდინარე პროცესებს, როდესაც უახლოესი მეგობრები, თუ ბიზნესარები ერთმანეთის „გადაგდებას“ არ ერიდებოდნენ და საკუთარი კეთილდღეობისთვის ყველაფერზე მიდიოდნენ. დღეს ეს პრობლემა აქტუალური აღარ არის, მაგრამ რეჟისორმა ყურადღება გააძლიერა ადამიანთა მორალურ მხარეზე, მათი ურთიერთობების ზნეობრივ-ეთიკურ პრობლემებზე. ამიტომაც, პიესისეული გმირები, ნაზიკო და გიორგი მხოლოდ ქალისა და კაცის, ხოლო ბესიკო მეზობლის სახელით მოიხსენიება, ამით ნიველირებულია მათი პიროვნებები, ისინი ცხოვრებაში უსახურ ადამიანებად ქცეულან და მხოლოდ ბედის ორომტრიალს არიან მინდობილნი.

თუ პიესაში მოქმედება სააგარაკო სახლში მიმდინარეობს, სცენაზე, სპექტაკლის დაწყებამდე, სოფლის ეზოს მწვანე მოლზე ვხედავთ სავარძელს, საწოლს, მაგიდას, მანეკენს, ქვებს, ტომრებს. უკანა პანოზე თითქოს სარკებია, სადაც მოქმედება უნდა აირეკლებოდეს. სხვადასხვა კუთხეში მგლისა და ვირთხის ფიტულებია, რომლებიც მოქმედების მსვლელობისას ალეგორიულ მნიშვნელობას იძენენ, ცხადყოფენ, თუ როგორ მტაცებელთა გარემოში უხდებათ ადამიანებს (ცხოვრება).

თავიდანვე მოქმედება ნელა ვითარდება. თითქოს არც არაფერი ხდება — ნინელი ჭანკვეტაძის გმირი, ნაზიკო, საწოლზე წვება, ფეხს აყოლებს მუსიკას, შემდეგ მანეკენზე ჩამოცმულ ქუდს და ახურავს და სარკეში იყურება. მერე ეზოს დალაგებას იწყებს, ჩანთიდან საჭმელს იღებს და მაგიდაზე ალაგებს. ეს მექანიკური მოქმედება მისი ცხოვრების უაზრო რიტმზე მეტყველებს, მას კონკრეტული ცხოვრებასეული მიზანსწრავა არ გააჩნია. თუ ყურადღებას მივაქცევთ რადიოს ხმას, რომელიც მოქმედებაში შეიგადაშიგ ერთვება მწვავე ახალი ამბების გამოცხადებით, იკვეთება მოქმედ პირთა რეალურ ცხოვრებასთან გაუცხოება, საზოგადოებრივი ინტერესებისა და კარგვა და სოფლის მყუდრო გარემოში ჩაკეტვა. ამ შეგრძნებას ამაძლევებს დათორ როინიშვილის შემოსვლა. მისი გმირი ყველაფერისადმი ინდიფერენტულია, მხოლოდ „პასმელიაზე“ ყოფნა ანუხებს. ხელში ცალი ფეხსაცმელი უჭირავს და გარემოს ათვალიერებს, რა დროსაც ვირთხის ფიტულს შენიშნავს. ჯერ შეეშინდება, მერე კი მოეფერება კიდევაც. ეს უსიტყვო ეპიზოდი გმირთა პირველ დახასიათებას გვაძლევს, მიგვანიშნებს მათ დაბნეულ, სუსტ პიროვნულ თეისტებზე. მათთვის ცხოვრებისეულ ინტერესთა სფერო შეზღუდულია. სასურველია, რომ ეს სცენა შემცირდეს, ვინაიდან საკმაოდ განელილია და მაყურებლისთვის თავიდანვე მისახვედრია შექმნილი სიტუაცია.

ასეთი პროლოგის შემდეგ იწყება მათი დიალოგიც, რომელშიც თანდათან იკვეთება გმირთა შორის არსებულ კონფლიქტი. ნაზიკო მას ნიშნის მოგებით ელაპარაკება, დასციინის მის პიროვნებას — ახსენებს გუშინ რესტორანში ლოოთობასა და ცოლის სხვაზე გათხოვებას. მათი დიალოგი დააბულად, ურთიერთებიშპობასა და წვრილმანებზე კამათში მიმდინარეობს. მართალია, დ. როინიშვილი საქმეზე ლაპარაკს ცდილობს, მაგრამ ნაზიკოს სხვა თემაზე გადააქცის, რადგან არ უნდა საზღვარგარეთ გადაკარგული მეუღლის გახსენება, რაზეც ბრაზობს და რაც გულს სტკენს. ასეთ ვითარებაში დ. როინიშვილის გმირს, მეგობრის ჩამოსვლისა და შეპირებული საქმის დაწყების მოლოდინში დრო ლოოთობით გაჰყავს.

ამ გარემოში კიდევ ერთი პერსონაჟი, ბესიკო, შემოდის. ზაზა თაგოშვილის გმირი კარგ ხასიათზეა, მხიარულობს, რადგან მისი გეგმები წარმატებით ხორციელდება და ნაზიკოს სახლის ყიდვის მოლოდინშია. თითქოს გულუბრყვილო ბიჭის უკან კი გაიძერა, დაუნდობელი ადამიანი იმალება, როგორიც მგლის ფიტულია. ჯერ ღობესთან დაგდებულ დ. როინიშვილის გმირის დაკარგულ ცალ

პიროვნელი

ღირსებისპე

მიბრუნება

გუგაზ ხეგრებიძე

ალექსანდრე ქოქრაშვილის პიესა „მეზუნია ჩიტები“ უურნალში „ცისკარი“ 2002 წელს დაიბეჭდა. 2006 წელს დაიდეგა კიდევაც ახმეტელის თეატრში, მაგრამ რეჟისორმა ყურადღება გააძლიერა ადამიანის თეატრი“ დაინტერესდა და რეჟისორმა დავით ანდოულაძემ თავისი ვერსია შემოგვთავაზა. პიესა ეხება გასული საუკუნის დასასრულს

საქართველოში მიმდინარე პროცესებს, როდესაც უახლოესი მეგობრები, თუ ბიზნესარები ერთმანეთის „გადაგდებას“ არ ერიდებოდნენ და საკუთარი კეთილდღეობისთვის ყველაფერზე მიდიოდნენ. დღეს ეს პრობლემა აქტუალური აღარ არის, მაგრამ რეჟისორმა ყურადღება გააძლიერა ადამიანთა მორალურ მხარეზე, მათი ურთიერთობების ზნეობრივ-ეთიკურ პრობლემებზე. ამიტომაც, პიესისეული გმირები, ნაზიკო და გიორგი მხოლოდ ქალისა და კაცის, ხოლო ბესიკო მეზობლის სახელით მოიხსენიება, ამით ნიველირებულია მათი პიროვნებები, ისინი ცხოვრებაში უსახურ ადამიანებად ქცეულან და მხოლოდ ბედის ორომტრიალს არიან მინდობილნი.

თუ პიესაში მოქმედება სააგარაკო სახლში მიმდინარეობს, სცენაზე, სპექტაკლის დაწყებამდე, სოფლის ეზოს მწვანე მოლზე ვხედავთ სავარძელს, საწოლს, მაგიდას, მანეკენს, ქვებს, ტომრებს. უკანა პანოზე თითქოს სარკებია, სადაც მოქმედება უნდა აირეკლებოდეს. სხვადასხვა კუთხეში მგლისა და ვირთხის ფიტულებია, რომლებიც მოქმედების მსვლელობისას ალეგორიულ მნიშვნელობას იძენენ, ცხადყოფენ, თუ როგორ მტაცებელთა გარემოში უხდებათ ადამიანებს (ცხოვრება).

თავიდანვე მოქმედება ნელა ვითარდება. თითქოს არც არაფერი ხდება — ნინელი ჭანკვეტაძის გმირი, ნაზიკო, საწოლზე წვება, ფეხს აყოლებს მუსიკას, შემდეგ მანეკენზე ჩამოცმულ ქუდს და ახურავს და სარკეში იყურება. მერე ეზოს დალაგებას იწყებს, ჩანთიდან საჭმელს იღებს და მაგიდაზე ალაგებს. ეს მექანიკური მოქმედება მისი ცხოვრების უაზრო რიტმზე მეტყველებს, მას კონკრეტული ცხოვრებასეული მიზანსწრავა არ გააჩნია. თუ ყურადღებას მივაქცევთ რადიოს ხმას, რომელიც მოქმედებაში შეიგადაშიგ ერთვება მწვავე ახალი ამბების გამოცხადებით, იკვეთება მოქმედ პირთა რეალურ ცხოვრებასთან გაუცხოება, საზოგადოებრივი ინტერესებისა და კარგვა და სოფლის მყუდრო გარემოში ჩაკეტვა. ამ შეგრძნებას ამაძლევებს დათორ როინიშვილის შემოსვლა. მისი გმირი ყველაფერისადმი ინდიფერენტულია, მხოლოდ „პასმელიაზე“ ყოფნა ანუხებს. ხელში ცალი ფეხსაცმელი უჭირავს და გარემოს ათვალიერებს, რა დროსაც ვირთხის ფიტულს შენიშნავს. ჯერ შეეშინდება, მერე კი მოეფერება კიდევაც. ეს უსიტყვო ეპიზოდი გმირთა პირველ დახასიათებას გვაძლევს, მიგვანიშნებს მათ დაბნეულ, სუსტ პიროვნულ თეისტებზე. მათთვის ცხოვრებისეულ ინტერესთა სფერო შეზღუდულია. სასურველია, რომ ეს სცენა შემცირდეს, ვინაიდან საკმაოდ განელილია და მაყურებლისთვის თავიდანვე მისახვედრია შექმნილი სიტუაცია.

ასეთი პროლოგის შემდეგ იწყება მათი დიალოგიც, რომელშიც თანდათან იკვეთება გმირთა შორის არსებულ კონფლიქტი. ნაზიკო მას ნიშნის მოგებით ელაპარაკება, დასციინის მის პიროვნებას — ახსენებს გუშინ რესტორანში ლოოთობასა და ცოლის სხვაზე გათხოვებას. მათი დიალოგი დააბულად, ურთიერთებიშპობასა და წვრილმანებზე კამათში მიმდინარეობს. მართალია, დ. როინიშვილი საქმეზე ლაპარაკს ცდილობს, მაგრამ ნაზიკოს სხვა თემაზე გადააქცის, რადგან არ უნდა საზღვარგარეთ გადაკარგული მეუღლის გახსენება, რაზეც ბრაზობს და რაც გულს სტკენს. ასეთ ვითარებაში დ. როინიშვილის გმირს, მეგობრის ჩამოსვლისა და შეპირებული საქმის დაწყების მოლოდინში დრო ლოოთობით გაჰყავს.

ამ გარემოში კიდევ ერთი პერსონაჟი, ბესიკო, შემოდის. ზაზა თაგოშვილის გმირი კარგ ხასიათზეა, მხიარულობს, რადგან მისი გეგმები წარმატებით ხორციელდება და ნაზიკოს სახლის ყიდვის მოლოდინშია. თითქოს გულუბრყვილო ბიჭის უკან კი გაიძერა, დაუნდობელი ადამიანი იმალება, როგორიც მგლის ფიტულია. ჯერ ღობესთან დაგდებულ დ. როინიშვილის გმირის დაკარგულ ცალ

ფეხსაცმელს პოულობს, მაგრამ ყურადღებას არ ამახვილებს, ვინაიდან მთელი გულისყური გარემოს დათვალიერებისკენ აქვს მიპყრობილი და ნაზიკოს სახლის ფასზე ევაჭრება. ნ. ჭანკვეტაძის გმირი ჯერ თანხმდება ბესიკოს შემოთავაზებულ დაბალ ფასს, მაგრამ მერე უარს ეუბნება, რითაც დაგეშილ მოვაჭრეს ქვეცნობიერად დასცირის. იგი ელოდება ბესიკოს რეაქციას, რომ შემდგომ მორალურად კიდევ უფრო დაამციროს. აქ კარგად ჩანს ორივე გმირის სხვადასხვა მისწრაფება და შინაგანი კონფლიქტი, რომელიც ნაზიკოსთვის საპირისპიროდ ვითარდება. უარით გულმოსული ბესიკო მზაკვრულ ხერხს მიმართავს და ნაზიკოს უყვება, თუ როგორ ჩამოჰყავდა მის მეუღლე მურმანს ერთი ლამით ქალები. მასში ეჭვანობის ალივრით უნდა ნაზიკოს თანხმობა მიიღოს. ამიტომაც ზ. თაგოშვილის ბესიკო სულმოუთემელად ელოდება მის ქალურ რეაქციას. თანაც მასთან დაახლოვებასაც ცდილობს. თავდაპირველად, ნაზიკო ვერ იაზრებს ამ საუბარს, რადგან ჩანთის ამოლაგებითა დაკავებული, მაგრამ უცებ უკვირდება გაგონილს, ნერვიულობს, ხან ჩანთას გადაადგილებს, ხან ეზოში დადას. მიზანი ნანილობრივ მიღწეულია — ნაზიკოსთვის ისევ პატარა ბიჭად ალქმული ბესიკო, რომელსაც ისევ ბავშვური და ირონიული ტონით ელაპარაკება, კეთილი ადამიანის ნილბით მოვლენილი, ყველაფერზე ნამსვლელი მტაცებელია, რომლის მსგავსი ფიტულების გარემოცვაში უხდებათ ცხოვრება.

ამ საუკისის ბესიკო ხმაურს გაიგონებს და გაუხარდება, რადგან მურმანის ჩამოსვლას ელოდება, მაგრამ რეალურად დ. როინიშვილის პერსონაჟი შერჩება ხელთ. იგი გზააბნეული დაბორიალობს ეზოში და ვართხების დევნაში ტახტის ქვეშ რაგბის ბურთს აღმოაჩენს, რაც მას ახალგაზრდობასა და ღირსებას ახსენებს. ამიტომ ნამიერად თითქოს ჩაფიქრდება, თითქოს უხერხულად გრძნობს თავს. ნაზიკოც ცდილობს მის გამოფხილებას, ბურთს (ახალგაზრდობისა და კაცობის სიმბოლოს) ართმევს, დასცინისა და ახსენებს, თუ როგორ დაუთომ მისი თავი მურმანს... შემდეგ ბესიკოზე ცდილობს აეჭვიანოს, ამით მისი თავმოყვარეობა შელახოს და კაცობის გრძნობა გაუღვიძოს. აღსანიშნავია, რომ ნაზიკო რთულ, გამოუვალ სიტუაციებში და თავისი პარტნიორის გამოსაფხილებლად სასტვენს ჩაბერავს ხოლმე, რაც შველისა და ხსნის სიმბოლოდ აღიქმება, მაგრამ ძახილი თითქმის გაუკაცირებულ სოფელში არავის ესმის...

ადსანიშნავია, რომ პიესაში დ. როინიშვილის გმირს გიორგი ჰქვია, სპექტაკლში კი სახელი არა აქვს და ხანდახან მონადირედ მოიხსენიებენ. იგი ე. ნ. არშემდგარი ადამიანია, რომელიც არარეალური იმედებით საზრდოობს. ამიტომაც, ნაზიკოს საქმეზე — მურმანის მიერ დანადგარების ჩამოტანასა და ქარხნის ამუშავებაზე - ელაპარაკება, თუმცა ნაზიკო სიტყვას ბანზე უგდებს, რითაც მის იმედებს აპათილებს. ამ მომენტში ორივეს პიროვნული დრამა იკვეთება — ისინი მურმანმა „გადააგდო“ და ოცნებების სამყაროში დატოვა. სულიერ ექსტაზი ნაზიკო „შაყირობს“, თითქოს მურმანმა პარიზში წაიყვანა, დ. როინიშვილის გმირი კი ბრაზობს მურმანის სიცრუის გამო, რისთვისაც სახლი, მამის უნიკალური ბიბლიოთეკა და ანტიკვარული როიალი გაყიდა. სულიერ დაძაბულობას ფრანგული სიმღერით გამოხატავს, სადაც მისი დრამა, სასოწარკვეთა და უიმედობა ჩანს. იგი თანადათან აცნობიერებს რეალობას, რაშიც მატერიალურად და მორალურად განძარცვული აღმოჩნდა. ამიტომაც შეშინებულია ინფორმაციით, რომ ადამიანებს ვირთხები დასდევენ, როშელთა ნაკერითაც ისინი იხოცებიან, რაც მის დემორალიზებას იწვევს. ამას რეალურად აღიქვამს, რადგან საკუთარ მდგომარეობას ხედავს.

ორივენი მოულოდნელად თაღლითთა გარემოცვაში აღმოჩნდნენ, ეთრუსკებივით გადაშენების გზაზე დამდგართ, სულიერი მდგომარეობიდან გამოსასვლელად თამაშის მეტი არაფერი დარჩენიათ. ტაქტიკას ცვლის ბესიკოც, რომელიც მათ უცხოურ სასმელზე ეპატიულება. ამდენად, სამივე საკუთარ თამაშს თამაშობს. ზ. თაგოშვილის გმირი თავს აცოდებს, რომ სანცალი კაცია. ამ „აღიარებით“ დ. როინიშვილის პერსონაჟი ხვდება, რომ ბესიკომ იგი მოატყუა. თავისი მდგომარეობის გასაცნობიერებლად იგი ბესიკოს ეთრუსკეთა ისტორიას უყვება, რომლის უნიკალური ბიბლიოთეკა მასვე მიჰყიდა, თუ როგორ გადაშენდა ეს ისტორიულად განვითარებული ერი. ნაზიკოს ესმის ეს ალეგორია და საკუთარ თავსაც ხედავს, ხოლო ბესიკო ვერაფერს ხვდება და სასმელს ეძალება. დ. როინიშვილის გმირი აცნობიერებს თავის ზნეობრივ დაცემასა და დრამატულ ვითარებას. სინაძღვილიდან კვლავ გასაქცევად ამჯერად ჰამლეტის მამის აჩრდილის მონოლოგს კითხულობს, თუ როგორ მოკლა ძმამ ძმა, ცოლმა ქმარი გაიმეტა და ყველამ ერთმანეთი მონამლა.

საკუთარი დარდის გასაქარნებლად ნაზიკოც აჲყვება არტისტობაში და მღერის „კურკუზან და ფაცურას“ სიყვარულზე. ამ თამაშით უჩვენებენ ბესიკოს საკუთარ სულიერ სიმღედრეს. კურკუზანისა და ფაცურას სიყვარულის მოყვლით თავიანთ ურთიერთობაზე საუბრობენ და ამ მოგონებით ბედნიერი არიან, რაც მათ ცეკვაში გამოიხატება. ეს არის ორივეს ნამიერი სულიერი აღზევება რეალობაზე, მაგრამ ბესიკო აფხიზლებს ნაზიკოს ვერაფერს შეკითხვით — მურმანმა პარიზში რატომ არ ნაგიყვანაო. ზ. თაგოშვილის გმირის მოჩენებით კეთილგანწყობაში იკვეთება მისი იძულებითი თმენა ამ გათამაშებული სიტუაციისა, რათა საბოლოოდ მიზანს მიაღწიოს, თუმცა ამ თამაშის არსში ვერ ერკვევა. ამ დაძაბულ ვითარებაში ხდება ურთიერთობათა კვანძის გახნა და ყველაფერი მუდავნდება — უცოდველი კრავის სახით მოვლენილი ბესიკო თურმე მურ-



მანის მზაკვრული დავალებების შემსრულებელია... ნაზიკოს სიმწრის სიცილი წასკდება, რადგან თავს მოტყუებულად გრძნობს და ბესიკოზე შურისძიებას გადაწყვეტს. 6. ჭანკვეტაძის გმირი დიდი სიფრთხილითა და შემპარავი იროვნიით ინყებს მის „გაშაყირებას“, რომ მურმანი ახალ პარტნიორთან ერთად მუშაობს და იგი აღარ სჭირდება. ნაზიკო მორალური კმაყოფილებით შესცქერის ბესიკოს გაცოფებასა და მდგომარეობიდან გამოსვლას. 8. თაგოშვილის აქამდე მოთმინებით აღსავსე პერსონაჟი უცებ მძვინვარე მხეცად წარმოგვიდგება, რომელიც ადამიანურ თვისებებს ივიწყებს, თავის გადარჩენისთვის იბრძვის და ნაზიკოს შეურაცხყოფაზეც გადადის. ამ დროს იქვე ჩუმად მდგომ დ. როინიშვილის გმირში ძველი კაცური თავმოყვარეობა იღვიძებს და ბესიკოს ფიზიკურად უსწორდება. ეს არის ის პიროვნული აღორძინების დასაწყისი, რომელმაც ნაზიკო მოხიბლა და მათი დავიწყებული გრძნობები განაახლა. 6. ჭანკვეტაძის გმირში ქალური ვნებათაღელვა იღვიძებს, რადგან გრძნობს სულიერ ერთობას, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე აკლდა, ეუბნება — აღარსად გაგიშვებო... ეს არის აღსარებაცა და მტკიცე გადაწყვეტილებაც. ისინი ერთმანეთს უყურებენ, რადგან ერთმანეთის გარდა არავინ დარჩათ — ფიზიკურად გაძარცვულნი, მაგრამ მორალურად ამალებულნი მომავალი თანაცხოვრებისადმი ოპტიმისტურად არინა განწყობილნი. 6. ჭანკვეტაძე გვიჩვენებს გმირის განვითარების პროცესს, როდესაც მისთვის რთულ სოციალურ-ფსქოლოგიურ გარემოში შერჩა ცხოვრების შეცვლის ენერგია და საკუთარ თავში წინააღმდეგობის დაძლევით დ. როინიშვილის გმირსაც უბრუნებს რჩმენას. ამ ემოციურ ფონზე ეს გმირები ბესიკოს საუბარს ყურს აღარ უგდებენ, ეს უკანასკნელი კი მანეკენის შარფსა და ქუდს იხურავს და მანეკენსაც ისევე შიშველს ტოვებს, როგორც ისინი დარჩნენ. სამაგიეროდ, ლირსტადაბრუნებული დ. როინიშვილის გმირი ნაზიკოს გულში ჩაიკრავს, ნაზიკო კი სასტვენით უსტვენს, რაც საზოგადოებისთვის გაფრთხილების ნიშანია... .

წარმოდგენა მთავრდება, მაგრამ მაყურებელი ახლა ინყებს ფიქრს სპექტაკლში წამოჭრილ პრობლემებზე, რომლებიც თანამედროვე ცხოვრებაში მრავლდადა. ადამიანები ერთმანეთისადმი მეტ ყურადღებასა და სითბოს უნდა იჩენდნენ, რომ სცენაზე არსებულ ცხოველთა ფიტულებს არ დაემსგავსნონ და მორალური ლირებულებებით იცხოვრონ, რომლებიც მატერიალურ სიკეთეზე გაცილებით მეტია, რადგან რთულ სიტუაციებში ადამიანური ფასეულობების შენარჩუნება პიროვნების გადარჩენის საწინედარია.

პველები უთევენ...

(ორი პრემიერა)

ხარაბ გეგია

ჩახოვის სარპასტულ-სევდიანი ღიმილი

ყველა კარგი სპექტაკლი ერთმანეთს ჰქონდა, ყველა ცუდი - ცუდია თავისებურად. ლევ ტოლსტოის „პერიფრაზი“ რომანიდან „ანა კარენინა“ ზუსტად ესადაგება თეატრალური ნაწარმოების ზოგადი შეფასების კრიტიკიუმებს.

კარგი სპექტაკლის „ინგრედიენტებია“: ცხოველმყოფელი სცენური მასალა, ანუ ღრმა შინაარსის და სცენური გაქანების მქონე დრამატული პირველწყარო;

მსახიობთა ანსამბლურობა - ანუ შესრულების თანაბრად მაღალი დონე;

სცენოგრაფიისა და მუსიკალური თანხლების სრული პარმონია სცენურ მოქმედებასთან;

დრამატული მასალიდან ამოზრდილი რეჟისორული გამომგონებლობა და შესატყვისი სემიოტიკური პარადიგმები;

ვნება, ანუ სცენური აზარტი, რაც მსახიობების მხრიდან სცენური ქმედებით გატაცების უტყუარი ნიშანია. საკვარისა ამ „ინგრედიენტთაგან“ თუნდაც ერთი გამოვაკლოთ, თეატრალური ზეიმი ვერ შედგება.

სწორედ ასეთი ზეიმის მომსწრენი გავხდით თეატრში „გლობუსი“, რომელიც ამჟამად რუსთაველის გამზირზე მდებარეობს, უშუალოდ თეატრისა და კინოს უნიკარსიტეტის ვერდით. თეატრმა ახალსახლობა სულ ახლახან აღნიშნა და უკვე არაერთი მნიშვნელოვანი განაცხადით წარსდგა მაყურებლის წინაშე.

ამჯერად დასადაგმელად შერჩეულ იქნა ჩეხოვის ორი მოთხოვობა - „ჩინოვნიკის სიკვდილი“ და „ფიცი ადამიანის ჩანაწერები“ საერთო სათაურით - „ჩეხოვის ღიმილი“... ეს ხომ მართლაც ყველასაგან განსხვავებული ღიმილია, სათხოც და სარკასტულიც, შემწყნარებლურიც და მამხილებელიც ერთსა და იმავე დროს. დიდი მწერლის მიერ მოვლენები და პერსონაჟები ასახულია საოცრად რეალისტურად, მაგრამ ამასთანავე მისტიკის ზღვარზე მყოფი ფონით. ამბავი, როგორც წესი, ყოფითისა და ფილოსოფიურის საკვირველი ნაზავია, გულდია, მხიარული და იმავდროულად სევდის შემცველიც.

და ახალგაზრდულმა თეატრმა „გლობუსი“, მათი სამსატვრო ხელმძღვანელის სანდრო მრევლიშვილის ძალისხმევით, შეძლო მთელი

სისაცით აეჭლერებინა ანტონ ჩეხოვის ეს მართლაც უნიკალური მხატვრული და ფილოსოფიური მრევები.

ოსტატურად შექმნილმა ინსცენირებამ, რომელიც ასევე დამდგმელ რეჟისორს ეკუთვნის, როგორც პირველ, ისე მეორე მოთხოვიდან ამოკრიბა სცენური ქმედებისთვის აუცილებელი სიტყვიერი და სამოქმედო ატრიტუტიკა და თანაც ისე, რომ მოთხოვიდების კომპიზიცია არ დარღვეულა.

რეჟისორმა სპექტაკლი შექმნა უკიდურესად პირობითი თეატრალური ხერხების გამოყენებით, მაგრამ მსახიობები იმდენად დატვირთა მიზნობრივი ქმედებით, რომ მთლიანად თვალწინი გადაგვიშალა ჩეხოვისეული ატმოსფერო, გრძელება და ბუნება და ხასიათების მრავალწახნავონება.

სასიხარულოა, რომ რეჟისორი მთლიანად იზიარებს და განახორციელებს კიდეც იმ იდეას, რომ დრამატულ თეატრში ყველა რეჟისორული გამომგონებლობა, სიმბოლურ-მეტაფორული ასახვის ხერხები უნდა გადმოიცეს მსახიობის მეშვეობით. მხოლოდ ამ შემთხვევაში არ დაკარგავს ნაწარმოები თავის ადამიანურ და მოქალაქეობრივ ულერადობას, მხოლოდ ასეთ დროს ჩვენამდე აღწევს ამბავი, ესოდენ მივწყებული გამომგონებლობით გატაცებულ ქართულ თეატრში.

და მართლაც, როგორც ერთ, ისე მეორე სცენურ ნოველაში ჩვენ ვიხილეთ სამსახიობო ანსამბლი, რომელმაც გამოხატა მკაცრი კრიტიკაც და პუმანურ თავის ადამიანურ მიმართ, რომელებსაც არ ძალუქმ გადალახობან სოციალურ დაბრკოლებანი, არ გააჩინათ ძალა საკუთარი „მე“-ს დასაცავად. და თუკი პირველ ნოველაში ჩინოვნიყო ენიჭება საკუთარ შიშს მაღალი სოციალური სტატუსის მქონე პირის მიმართ, მეორე ნოველა მკაფიოდ გვიჩვენებს გაუპიროვნებული მამაკაცის უსუსურობას ქალურ ინტრიგებთან მიმართებაში.

როცა ვამბობთ სამსახიობო ანსამბლი, უთუოდ ვგულისხმობთ როგორც სტილურ მთლიანობას, ისე შესრულების მაღალ დონეს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მთავარი როლის შემსრულებელი, ახალგაზრდა მსახიობი ბექა ქამხაძე, როგორც პირველ, ისე მეორე სცენურ ნოველაში ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ფუნ-

ქციები აკისრია სპექტაკლის პროტაგონისტს — მეტყველების და პლასტიკის მაღალი კულტურა, ტემპისა და რიტმის გრძნობა, როლით გატაცება, სათქმელის სცენური ქმედებით გაყდება — ყოველივე ეს რელიეფურად გასდევს მის შესრულებას.

ცხადია, სცენური ასახვის ესოდენ მაღალი დონე მხოლოდ მისი დამსახურება ვერ იქნება. მით უფრო, რომ როლი მთლიანად სტილიზებულია და მეტყველებისა თუ პლასტიკის ფორმის მიღმა აშკარად იყითხება რეჟისორული მითითებები. სწორედ ეს გვჭირდება მოდერნიზმით გატაცებულ თანამედროვე ქართულ თეატრში, რომ რეჟისორი და მსახიობი კი არ დაუპირასპირდნენ ერთმანეთს, არამედ თანაშემოქმედებითად შექმნან მხატვრული სიმბიოზი.

ბექა ქამხაძემ შესანიშნავად გაართვა თავი ამ საკმაოზე მეტად როტულ ამოცანას.

რაც შეეხება პ-ნ სანდრო მრევლიშვილს, აქ გასაკვირი არაფერა. გიორგი ტოვსტონოვის მონაფეს და არაერთგზის ახალგაზრდული თეატრის დამარსებელს არ ესწავლება მსახიობთან მუშაობის კლასიკური ნორმები და მეოდებები. ჩვენც ხომ გამუდმებით ამას ვუკიუნიებთ ახალგაზრდა რეჟისორებს და მსახიობებს. ჯერ აკადემიური ასახვა ისწავლეთ და მერე მიმართეთ ნებისმიერ მხატვრულ მოდიფიკაციას.

თამაშის წესში სრულიად განზავებული და ვიტყოდი ასე, მხატვრულად იმპოზანტურია გუგა ბერეკაშვილი გენერლის როლში. აქაც

იგრძნობა მისი „ყოფნა“ მოცემულ სცენურ გარემოში, აქაც იგრძნობა როლით გატაცება, სპექტაკლის სტილის შეგრძნება და მაღალი სცენური კულტურა.

პირადად ჩემთვის, აღმოჩენად იქცა ელენე ქასრაძე მაშენებას როლში. სამსახიობო ტალანტებით განებივრებული ქართული თეატრისთვისაც კი სახასიათო პლანის მსახიობი ქალი საკამაოდ დიდი იშვიათობაა, ხოლო თუკი ამას დავუმატებთ დაურკებელ ტემპერამენტს, მაღალ საშემსრულებლო კულტურას და მშვენიერ გარეგნულ მახასიათებლებს, აშკარა, რომ საქმე გვაქვს ახალი სამსახიობო ძალის შემომატებასთან.

სანდრო მრევლიშვილის რეჟისურამ უნებლიერ გაგვახსენა ეუი გროტოვსკის „დატაკი თეატრი“. ცარიელი სცენა, მინიმალური რევეზიტიტი, სცენურ დეკორს ქმნიან თავად მსახიობები, და ყოველივე ეს უაღრესად ორგანულად ენერება მოქმედების გარემოს, ინვევს თეატრალურ სახისმეტყველებას, ესოდენ გამრთობსა და შინაარსიანს.

აგრე, უნიფორმაში გამოწყობილმა გოგონებმა და ვაჟებმა (გოგონები ლია, ვაჟები — მუქ ტონებში), ანი ბებიამ, ნათია ნიკოლაშვილმა, ბექა ლემონჯავამ და თორნიკე თონთლაძემ ჯერ სკამები მოიტანეს, მერე კი სცენის მარცხენა გასასვლელში ფარდა ჩამოვიდეს. ეს იმის მიზნებაა, რომ სკამებზე განთავსებული დამსწრენი — მარი არღუთაშვილი, ქეთი ლუარსაბაშვილი,



სოფო მექმარიშვილი, ელენე ქასრაძე და, რაც მთავარია, წინ მჯდომი გენერალი ბრიზენგალოვი და მის უკან მჯდომი ჩინოვნიკი ჩერვიაკოვი რიპერ პლანეტის კომიკური ოპერის (გენებავთ, ოპერეტის) მოსასმენად და სანახავად მოსულან.

მართლაც, გაისმის ჩეხოვის მიერ მითითებული ამ „შესანიშნავი ნანარმოების მელოდიები“, რაც შემდგომში ფონად გასადევს მთელ სპექტაკლს, ოსტატურად ესადაგება მოქმედებას და ასევე მიუთითებს რეჟისორის სწრაფვაზე გადღის ხიდი წარსულსა და ანშეყო შორის.

და აი, ჩინოვნიკი ჩერვიაკოვი (ანუ ქართულად, ჭიაძე) ცხოვის დააცემინებს და დადორბლავს გენერალ ბრიზენგალოვს (ანუ ქართულად, შენეფიაშვილს) და იწყება ტრაგიკომიკური დრამა, რომელიც საბრალო „ჭიაძის“ სიკვდილით მთავრდება.

მშვენივრად არის გათამაშებული სცენები, სადაც შიშით გათანხული ჩინოვნიკი აშკარად აღარ აცლის ცხოვრებას გენერალს, აღარც სპექტაკლს აყურებინებს, არც ქალთან აშიკობის „ნებას რთავს“ და აღარც დროს უტოვებს სახელმწიფო საქმიანობისათვის, ვიდრე არ დაიმსახურებს ზღვარგადასულ რისხვას სიტყვებით „გაეთრიეეე!!!“

და აი, ბოლომდე განადგურებული ქამხაძე-„ჭიაძე“ გამოლასლასდება გენერლის კაბინეტი-დან, სცენის შუაგულში გაიშოტება და, რაც მთავარია, ნელა, სასოწარკვეთით და ზღაზვნით, სადაც გამხელილია სიკვდილის იმიტაცია, დაიკრეფს ხელებს...

დარბაზი ერთსულოვნად იცინის.

მეორე ნოველა – „ფიცხი ადამიანის ჩანაწერები“.

აგრე, მაშენკა-ელენე ქასრაძემ თავისთან სუფრაზე შეიტყუა „ფიცხი ადამიანი“ წიკოლაი ანდრეიჩი. და რას ვხედავთ? ტრადიციული მაგიდის, ჭიქებისა და ჯამ-ჭურჭლეულის ნაცვლად მაშენკას დედამ – ნათია ნიკოლაშვილმა და ასევე დამ – ნატუკა ფილიამ რომბისებური გადასაფარებელი მუხლებზე დაუფინეს ნიკოლაის და აფექტურად, მიმიკის და ჟესტის გამოყენებით შეუდგნენ მის გამოკვებას.

თითქოსდა ასეთმა უკიდურესმა პირობითობამ როგორ უნდა შექმნას სინამდვილის იღუზია? მაგრამ ქმნის, რადგან აქ მთავარი სასიძოს „შექმა-შეერვაა“ და ამ განწყობას მსახიობები შესანიშნავად გადმოსცემენ.

ერთ სპექტაკლად ღირს ნიკოლაის კისერზე ჩამოკიდებული ელენე ქასრაძის ათამაშებული ფეხები. ამ მეტაფორით ყველაფერი ნათქვამია. ხომ აშკარაა, რომ ელენე-მაშენკა ცხოვრების თავშესაფარს ეძებს და ასეთ თავშესაფრად სწორედ ნიკოლაშანარმოუდგენია. ხომ აშკარაა, რომ მისი მოპოვებით, მაშენკა უზრუნველყოფს საკუთარ ცხოვრებას. რომანტიკა? ლირიკა? ეს ყოველივე მამაკაცთა ხვედრია. მთავარია მაშენკა ვინმეს კისერზე ჯერ ჩამოეკიდოს,

მერე კი შემოაჯდეს. სხვა ყველაფერი თავისით მოწესრიგდება.

და უბრალოდ თავზარდამცემი მეტაფორაა ქოლგა, რომელიც ჯერ თავშესაფრად, შემდეგ კი ხაფანგად გადაიქცევა. „ჩიტი“ ნიკოლაი გაბმულია „მახეში“ და უჯობს „გაჩერდეს და არ იფრთხიალოს!“ ვისაც ენიშნება, მხოლოდ ის მიხვდება, რაოდნე ცხოვრებისეულია ეს მეტაფორა.

მაყურებელთა „ბრავოს“ შეძახილებით თავდება სპექტაკლი. ერთსულოვანი ტაში წარმატების მაუწყებელია. აშკარაა, თეატრალური აქტი შედგა...

ყველა კარგი სპექტაკლი ჰგავს ერთმანეთს... მაგრამ რითი?

პირადად ჩემთვის იმით, რომ ანათებს.

ნათება, ნათება მთავარი და „ჩეხოვის ღიმილიც“ ანათებს ისე, როგორც ეს მსოფლიო კლასიკას, სანდრო მრევლიშვილს და ქართულ თეატრს ეკადრება...

ყოვლის შავლებაზი ბრძოლა ხელისუფლებისათვის...

ყველასათვის კარგად ცნობილი რეჟისორი და მსახიობი გოგი ქავთარაძე სცენის ფიცარნაგი-დან უკვე მეორედ აღძრავს ერისა და ხელისუფლების პრობლემას. პირველად იბსენის დრამის დადგმა „ბრძოლა ტახტისათვის“ მან განახორციელა სოცეუმის დრამატულ თეატრში გასული საუკუნის 80-იან წლებში, რასაც ფართო რეზონანსი მოჰყვა. და აი, 30 წლის შემდეგ იგი კვლავ მიუბრუნდა ამ თემას, ამჯერად რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელმის თეატრში და კიდევ უფრო დიდი სამშვავით გვაგრძნიობინა აღნიშნული საკითხის მწვავე აქტუალობა. სათაურიც იმიტომ შეუცვალა – „ბრძოლა ხელისუფლებისათვის“ (და არა ტახტისათვის). „ტახტი“ და მისთვის ბრძოლა უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა, თუმცა არსებოთად არაფერი შეცვლილა. „პირველკაცობა“ ისეთივე მიმზიდველი, საპასუხისმგებლო, სახიფათო და რთულია, როგორც მეფიობა.

უკვე 25 წლია, რაც საქართველოში მომსწრენი ვართ პარტიების, უფრო კი, პიროვნებების დაპირისპირებისა „პირველკაცობისაკენ“ მანიაკალური სწრაფვის გამარჯობილი, რომ ცნობილია, რომ თვითი ნარკოტიკული ზემოქმედების რეიტინგში ძალაუფლებას უყოფმანიდ მიკუთვნებული აქვს პირველი ადგილი. მაშ რა გასაკვირია, თუკი ნარკოტიკების მსგავსად ამ „კაფის“ მისაღებად ადამიანები, ხშირად უაღრესად ნიჭიერები და გონიერები, დაუფიქრებლად თავს წირავენ. გზაც იქითკენ ჰქონიათ! მაგრამ ვაი, რომ მათ მანიაკალობას ენირება ერის ინტერესები, ენირება უამრავი პრობლემა თუ სატკივარი, რომელთა გადაჭრის ნაცვლად, მათი „გლადი-

ატორული“ დაპირისპირების მონშენი ქმდებით.

არც ერთი „პირველკაცობის მსურველი“ არ დაფიქრებულა იმაზე, რატომ გაჩნდა მაინცდა-მაინც ქართველად. მათი აზრით, ეს შემთხვევით მოხდა.

არც ერთ მათგანს აზრად არ მოსვლია, რომ ერთი ადამიანის სხეულივითაა – ყველა ორგანო სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ყოველ მათ-განს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია.

არც ერთი მათგანი არ იჯერებს, რომ ალტრუიზმი თვით ღმრთოს მიერ კურთხეული ეგოიზმია, მით უფრო მაშინ, როცა სასწორზე დევს ერის ინტერესები.

რას იზამ... ვისაც არ გააჩნია ეროვნული იდენტობის გრძნობა, ვინც ვერ ხვდება, რომ ძალა მხოლოდ ერთობაშია (რაოდენ ბანალურადაც არ უნდა ჟღერდეს ეს გამოთქმა), მასთან ვერაფერს გააწყობ. და პა, ვართ კიდეც ამ სამწუხარო სეირის მონშენი...

და მადლობა ვოგი ქავთარაძეს და რუსთავის თეატრის დასს, რომ ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ შეგვახსენა და თანაც დახვენილი მხატვრული ფორმით, მაღალი საშემსრულებლო კულტურით, თეატრალური ვნებით.

ეს სწორედ ის სპექტაკლია, რომელიც მსოფლიო კლასიკის ათვისების ნიმუშად გამოდგება. მასში განხორციელებულია აკადემიური თეატრალური სკოლის და მოდერნისტული ტენდენციების სინთეზი.

ნაწარმოები მთლიანად მოდიფიცირებულია და ექვემდებარება სპექტაკლის სათქმელს.

აბბავი შეკვეცილია და მისადაგებულია თანამედროვე პრობლემატიკასთან.

პერსონაჟები ატარებენ ეპოქის ნიშნებს და ამასთანავე გამოხატავენ მიმდინარე მოვლენებ-

ის სულისკვეთებას. როლში გარდასახვას თან ახლავს გამოსახვის პირობითი საშუალებები, თვით „აპარტეს“ ჩათვლით.

მოქმედების ტემპო-რიტმი ამოზრდილია დრამატული პოეტიკიდან და მასში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვას. სცენიდან წარმოთქმული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიტყვები აქცენტირებულია მუსიკის, ხმაურის ეფექტის, სცენური განათების მეშვეობით.

და ყოველივე ამის შემნებით რას გვიქადა აებს რესტავრაციას სპექტაკლი?

აյ ყველაფრის განმსაზღვრელია მეფე პოკონ პოკონსენის სიტყვები – ჩვენ უკვე ვართ სახელმწიფო და უკვე დროა, რომ ერად ვიქეთ. ხომ არ გენიშნა, მყითხველო?

მაინც რა განსხვავება ერსა და სახელმწიფოს შორის?

სახელმწიფო სისტემაა, სადაც ყოველივე ექვემდებარება კანონის მექანიკას. იგი არ ითვალისწინებს ცალკეული სოციალური ჯგუფების და მით უფრო, ცალკეული პიროვნებების ინტერესებს. მისი დევიზია – მიზანი ამართლებას საშუალებებს.

ხომ არ გენიშნა, მყითხველო?

ერი კი მაშინ გქვია, როცა არათუ სოციალურ ჯგუფებს, არათუ ცალკეულ ადამიანებს, არამედ ყველა სულდგმულს, თვით მცენარეების ჩათვლით, აღიქვამ ერთ მთლიან არსებად და ერთი წამითაც კი არ აკლებ მოვლა-მზრუნველობას.

ხომ არ გენიშნა, მყითხველო? იქნებ სწორედ ეს გვაკლია დღეს?

და რა უშლის ხელს სახელმწიფოს, რომ ერად გადაიქცეს?

რა და, ცალკეული პიროვნებების მანიკალუ-



რი ამბიციები და კლანებად ქცეული ჯგუფების ვიწრო პარტიული თუ ეკონომიკური ინტერესები.

და კიდევ, სიხარბე, ანგარიშმიუცემელი ლტოლვა სიმდიდრისაკენ, თვით ერის ინტერესების საზიანოდაც კი. ასეთი უკუღმართი გზით ხაზინაში მოხვედრილი მილიონიც კი ვერ შეედრება ხუთ თერტს, რომელსაც მათხოვრის ხელში დებს თავადაც საკმაოდ შეჭირვებული მოქალაქე.

სახელმწიფოებრივი აზროვნება არაფერია ეროვნული აზროვნების გარეშე და სწორედ ამას შეგვასხენებს რუსთაველთა სპეცტაკლი.

ახლა პიროვნული დაპირისპირების შესახებ.

სპეცტაკლში ისევე, როგორც იბსენის დრამაში, ერთმანეთს უპირისპირდებიან მეფე პოკონ ჰიკონსენი, ჰერცოგი იარლ სკულე და ეპისკოპოსი ნიკოლაი.

სამივე მათგანი ილტვის ერთპიროვნული ძალუფლებისკენ.

სამივე მათგანს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკუთარი ხედვა აქვს.

იარლი თვლის, რომ „გათიშე და იბატონე“ მოქალაქეთა დამორჩილების ერთადერთი გზაა, რასაც კატეგორიულად არ იზიარებს პოკონი.

ეპსკოპოს ნიკოლაის მიაჩნია, რომ ქვეყანას უნდა მართავდეს რელიგიური ერთობა და თავად უნდა იყოს ქვეყნის სულიერი წინამდლვარი.

პოკონის აზრით, მრნამსის პლურალიზმი გამორიცხავს რელიგიური ფანატიზმის საშიშროებას. მრნამსთა სხვადასხვაობას შეუძლია მოქალაქეთა შორის განხეთებილების შეტანა.

და ბოლოს, პოკონის ისტორიულ-პილიტიკური ხედვა – ერის წინსვლის ერთადერთი სანინდარი მისი სულიერი და ფიზიკური მთლიანობაა. და ეს მიდგომა, თვით შემოქმედის მიერ არის ნაკარნახევი. და რომ მეფობის მიზანი ძალაუფლება კი არა, მასზე დაკისრებული ერის გამთლიანების მისიის აღსრულებაა.

ამრიგად, ეს ნაწარმოები, ისევე როგორც სპეცტაკლი, იდეათა დრამაცაა... და ეს ასეც უნდა იყოს. იბსენი მაძიებელი დრამატურგია და ისეთ პირობლებებს აღძრავს, რაც შემდგომ ფართო დისკუსიის საგანი ხდება.

იარლთან შეკავშირებული ეპისკოპოსი მარცხდება და იღუპება, ისევე როგორც იარლი, რომელიც ეპისკოპოსისგან განსხვავებით აღიარებს თავისი პოზიციის შეცდომას და სიკედლით გამოისყიდის ერის მიმართ ჩადენილ უნდილი დანამატება.

რა უნდა იყოს ამაზე აქტუალური ჩვენთვის, ზიგზაგებით მოსიარულე, თითქოსდა ესოდენ პოტენციური ერისათვის?

განა ამ ნაწარმოებში და მის საფუძველზე შექმნილ სპეცტაკლში არ გამოსჭვივის ჩვენი ეროვნული განვითარების უმნიშვნელოვანესი ვექტორი?

მაგრამ ესეცაა, რაოდენ კეთილშობილურიც

არ უნდა იყოს იდეური ჩანაფიქრი, იგი ვერ მივა მაყურებლამდე, თუკი ვერ პპოვებს მხატვრულ განსხვაულებას.

და გოგი ქავთარაძის, ისევე როგორც სპექტაკლში მონაწილე მსახიობების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ არა მხოლოდ გაართვეს თავი დაკისრებულ ამოცანას, რუსთავის თეატრის საუკეთესო, გასული საუკუნის 60–70–იანი ნლები გაგვასხენება.

მწყობრი ანსამბლურობა, რომანტიკული შემართება, პერსონაჟში არქეტიპის ძიება, მეტყველებისა და პლასტიკის მაღალი კულტურა, გარდასახვა – ეს მახასიათებლები მრავლად არის მოცემული ამ უაღრესად შინაარსიან სპეცტაკლში.

დავინწყოთ ეპსკოპოსით, რომლის კრებისთ სახეს ქმნის ირაკლი (კუკური) ბექაა. მისი შემწილით თვალი წარმოგვიდგება კათოლიკ მლვდელმთავრები, ესოდენ ინიჯნი და დარწმუნებული თავის უნიკალობაში, ესოდენ ჩახედული პოლიტიკურ ცხოვრებაში და, რაც მთავარია, სამეფო კარის ინტრიგებში. მსახიობი დახვეწილი პლასტიკისა და მეტყველების შემწეობით დამტკერებლად წარმოაჩენს სასულიერო პირის მიღრეკილებას გახდეს სახელმწიფოს პირველი პირი. აქაც, ისევე როგორც მთლიანად სპეცტაკლში, ერთმანეთში განზავებულია მხატვრული სიმართლე და პირობითობა.

პირობითობის დეფიციტი ქართულ თეატრში ნამდვილად არ გვაქვს, აი მხატვრული სიმართლესა კი – რა მოგასხენოთ...

მეფე პოკონ პოკონსენი – ამ როლის შესასრულებლად რუსთაველის თეატრიდან მონვეული მსახიობი ზურა ინგოროვა ელეგანტურად და პლასტიკური დამაჯერებლობით წარმოსახავს ჩვენთვის ესოდეს სიმპათიურ სცენურ გმირს. როლი მთლიანად ნახევარტონებით არის შექმნილი, რაც კიდევ უფრო გამოკვეთს მეფის რწმენას და სულიერ სიმშვიდეს. და ჩვენც ვიჯერებთ, რომ მისი პოზიცია მართლაც ღვთით არის ნაკარნახევი...

ტემპერამენტულად, აქტიორული გზნებით და ვიტყოდი, რომანტიკული გატაცებით გვიხატავს თავის გმირს მსახიობი ზვიად დოლიძე. შესანიშნავი პლასტიკური გამომსახველობა და მეტყველების მაღალი კულტურა ქმნის იმ სცენურ პლაცდარმს, სადაც მკაფიოდ იხატება ვნებებით შეპყრობილი ჰერცოგი იარლ სკულეს ადამიანური პორტრეტი. განა რა, მას არ გააჩნია თავისი სიმართლე? განა ურთიერთდაპირისპირება, თუკი იგი არ გადაიზრდება სისხლისღვრაში, არ ამორჩავებს პროგრესს? განა საზოგადოების მართვის მანიშულაციურ მეთოდს არ აქვს თავისი პოზიციური მხატვები?

მაგრამ არა. რწმუნდება რა პოკონის უანგარობასა და სიმინდები, ჰერცოგი იარლი აღიარებს თავისი შეხედულებების სიმდგრეს. მსახიობი უაღრესად დახვეწილი, ვიტყოდი,

ლაკონურ-ლაპიდარული ხერხებით გადმოსცემს დამარცხებული გმირის ტრაგედიას, რითაც კიდევ უფრო გამოკვეთს თავისი გმირის სულიერ ამაღლებას.

იბსენს შემთხვევით არ უწოდეს სკანდინავიელი შექსპირი. თემები, რაზეც ვილაპარაკეთ, განასკმარისი არ იყო დრამის გაშლისათვის?

მაგრამ არა. იბსენმა აქ კიდევ ერთი მოტივი გაათაბაშა. მეფე ჰოკინი ცოლად ირთავს ჰერცოგ იარლის ქალიშვილს, რითაც დრომა იძენს კიდევ ერთ, კლასიკიზმისათვის დამახასიათებელ რაკურსს. აქაც გათამაშდება შინაგანი კონფლიქტი გრძნობებსა და მოვალეობას შორის. და ამ რაკურსს ყველაზე სრულყოფილად გადმოსცემს იარლის ქალიშვილის როლის შემსრულებელი ანა შარვაძე, ოლონდ სიტყვებით არა, მიმიკით, უესტით, ქლასტიკით, თვალებით. ალბათ დამეთანხმებით, მცირეოდენი ტექსტით რელიეფური სცენური სახის შექმნა არცთუ იოლი ამოცანაა. არადა, ასეთი სახე ნამდვილად შექმნილია ამ ახალგაზრდა მსახიობის მიერ.

ზემოთ ვახსენე რუსთავის თეატრის „ოქროს ხანა“. გიგალორთქითანიძის ძალისხმევით, ყველაფერთან ერთად, სცენაზე წარმოდგენილი იყო ქართული ჯიშის რასობრივი ნიშანი, რაც ქმნიდა თეატრის საერთო აქტიორულ ქარიზმას. მახსოვს, რუსთავის თეატრის გასტროლებზე უნგრეთში, ფინალური აკორდის შემდეგ მსახიობები სცენაზე რომ გამწკრივდნენ, უნგრელებმა განცვილება ვერ დაძალეს – ამდენი მოხდენილი ქალი და კაცი სცენაზე ერთად გამოსული არასოდეს გვინახავს.

ამ სპექტაკლშიც, დარწმუნებული ვარ, რომ გოგი ქავთარაძის ინიციატივით, სცენაზე წარმოდგენილი არიან ერთმანეთზე უფრო ქარიზმატული მსახიობები: ჰერცოგის ცოლი – ანა მატუშვილი, ახალგაზრდა ბერი – სოსო ელიზბარაშვილი, შაორანი ქალი – ნათა მელაძე, ჰერცოგის და – მაია ჯავახიშვილი, ეზოს მოძღვარი – ზურა ჯინჭარაძე, ჰერცოგის მომხრე – ზაზა თაგოშვილი, პოეტი – ვალერი კობერიძე, სარდლის მომხრე – ლაშა კანკავა, მეფის დაცვა – ზურა ფიორსამანიშვილი, კაპელანი – ლეონტი შიოშვილი. ყველა მათგანის როლი ინდივიდუალიზებულია და ნამდვილად შეგვიძლია განვიხილოთ როგორც დამოუკიდებელი სამსახიობო ნამუშევარი.

სულ რამდენჯერმე ჩნდება სცენაზე მსახიობი ნათელა მუხულიშვილი, ჰოკინის დედა. თითქმის უსიტყვო როლია, მაგრამ რა არტისტული მუხტი შემოაქვს, რა აქტიორული გამოსხივება...



თამარ ჭავჭანიძის მიერ შექმნილი სპექტაკლის დეკორაცია აგებულია სიმულტანურ პრინციპზე, ანუ მოქმედებისთვის საჭირო ყველა ატრიბუტი, გარემო, საგანი თუ რეკვიზიტი თავიდანვე სცენაზეა განასაზღული და საჭიროების მიხედვით თამაშდება. აქაც შესანიშნავად არის შეზავებული პირობითობა და სინამდვილე, მინიშნება და რეალობა. სცენოგრაფია კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს „დღია თეატრის“ პრინციპს, მაყურებელთან გახსნილი ურთიერთობის წესს, თუმცა კი ამასთანავე ასახავს კონკრეტულ ატმოსფეროსაც. არცთუ იშვიათად, იგი მისტიკურ შეფერილობასაც იძენს.

სცენოგრაფიის პირობითობას ერთგვარ პარტიითობას უწევს განათება და მუსიკალური თანხლება, შექმნილი თვით დამდგმელი რეჟისორისა და გორგა გოლიჯაშვილის მიერ. სცენური კომპონენტების ესოდენ ჰარმონიული შერწყმა ხელს უწყობს დრამატურგის გრძნობათა ბუნების გადმოცემასაც, სწორედ იმას, რასაც უკვე ლამზეს გადავეჩვით ქართულ თეატრში... სამწუხაროდ...

და ბოლოს, „ჰეპი ენდი“. მეფე ჰოკინი იმარჯვებს, ანუ იმარჯვებს გონიერება, სულიერი სიძალულე, ღვთით ხაკარნახევი მისია. მისი გამარჯვება ერთგვარ ტრაგიულ პოთეოზად გაისმის, რამეთუ შეინირა არაერთი კარგი მამულიშვილი. მაგრამ ნორვეგია ხომ იმარჯვებს, და ეს არის ყველაფერზე უფრო მთავარი.

ღმერთო, ღმერთო, ეს ხმატკბილი გამაგონე ჩემს მამულში...

სპექტაკლი დამთავრდა. მაყურებელი, სულგანაბული რომ შესცეკროდა და ისმენდა სპექტაკლს, ერთსულოვანი ტაშით ეგებება სპექტაკლის შემქმნელებს და მონანილეებს. და ისინიც განლაგდნენ სცენაზე და...

რა ვენა, ისევ ველი რუსთავის თეატრი გამახსენეს...

ჰო, დიახ, დიახ, ძველები უტევენ.

ხვალ შეიძლება გვიანი იყოს

რიკოლოზ ცულუკიძე



იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობენ თეატრები, რომელთა ფუნქციონირებას შემოქმედებითზე უფრო მეტად, ეროვნული ინტერესი გააჩნია. სწორედ ასეთ თეატრთა რიცხვს მიეკუთვნება კახის რაიონის, სოფელ ალიბეგლოს ქართული დრამატული თეატრი, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს. ალიბეგლოს თეატრს ანალოგი არ აქვს. ის ერთადერთი სახელმწიფო, ქართული თეატრია მსოფლიოში, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ფუნქციონირებს. ამ თეატრის დაარსებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის რეჟისორ ანზორ დოლენჯაშვილს, მან ფაქტობრივად შექმნა ქართული კულტურის კერა კახის რაიონში და შემოიკრიბა თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებული ახალგაზრდები. დღეს ბატონი ანზორი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია და მისივე დაარსებული თეატრის მსგავსად, მასაც მოვლა და გადაჩინა სჭირდება.

ჰერეთში, რომელსაც ჩვენ ხანდახან საინგილოდ მოვიხსენიებთ, ათი ათასამდე ქართველი ცხოვრობს და მათთვის თეატრი სამშობლოსთან დაახლოების საუკეთესო საშუალებაა. ისინი ძირითადად ქართულ პიესებს დგამენ და სცენაზე, შეთხზულ დროსა და სივრცეში, მაინც მოგზაურობენ საქართველოში.

2016 წლის 25 ოქტომბერი ალიბეგლოს თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული დღეა, რადგან მათ შეძლეს და მიუხედავად ურთულესი პირობებისა, მაინც წარმოადგინეს ორი პრემიერა: იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“, რეჟისორი ლერი შიოშვილი და თამარ ბართაიას „მუყაოს სახლი“, რეჟისორი ნაილი თოფალაშვილი. პრემიერა ითამაშეს შენობაში, რომელსაც საძირკველი არ გააჩნია. პარტერში, სადაც ისევე წვიმს როგორც გარეთ. სპექტაკლის მსვლელობის დროს სულ მქონდა განცდა, რომ სცენა ჩატყდებოდა და რომელიმე მსახ-



იობი ჩავარდებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, რეჟისორებმა შექლეს მთავარი სათქმელი მაყურებლამდე მიეტანათ და მათი თანაგანცდა გამოეწვიათ. რეჟისორ ლერი შოთვილის გადაწყვეტა მეტად საინტერესო და ნატურალისტური გახლდათ, მან სპექტაკლში ქართულ თეატრალურ საწყისად მიჩნეული ბერივაობის ელემენტებიც კი გამოიყენა და მუსიკალური გაფორმება კულტურის სახლთან არსებული ანსამბლ „ფესვების“ შემოქმედებით გააჯერა. რაც შეეხება თამარ ბართაიას პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს, „მუყაოს სახლი“ აქ რეჟისორმა ძირითადად მეტაფორობდა გვითხრა მთავარი სათქმელი. ორივე სპექტაკლი გაჯერებული იყო ქრისტიანული თემატიკით. „ივნანა-ამ რა ჰქმნაში?!“ თუ მთელი სპექტაკლის მსვლელიბის დროს დვითისმობილის ხატი ეკიდა და სანთელი ენთო. „მუყაოს სახლი“ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორეს ქადაგებით დამთავრდა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ადგილობრივი ხელმძღვანელების კეთილგანწყობა ქართული თეატრისადმი, ბაქოს და განჯის, საქართველოს საელჩოსა და საკონსულოს თანამშრომელების დიდი ძალისხმევა, რომ თეატრი მუდმივმოქმედება შეინარჩუნოს და ახალგაზრდა თაობას გამართული ქართული მეტყველება სცენიდან გააგონოს. თუმცა, მარტო მათი შრომა შედეგს ვერ გამოიღებს თუ ჩვენც, საქართველოს მო-

ქალაქებმა არ მივიღეთ ზომები.

დღეს რომ ალიბეგლოში თეატრს საკუთარი შენობა არ აქვს და თითქმის დანგრეულ კულტურის სახლში ფუნქციონირებს. ეს ჩვენი ყოფილი მაღალჩინოსნების დამსახურებაა, რადგან თეატრისთვის განკუთვნილი თანხა სადღაც გაქრა. ალიბეგლოდან საქართველოში გამომგზავრებისას თეატრის თანამშრომელმა, ქალბატონმა ლიანამ მითხრა - საქართველოს მოსახლეობის უმეტესობამ ალბათ, არც იცის ჩვენი არსებობის შესახებ... ვერაფერი ვუპასუხე გარდა იმისა, რომ ძალიან შემრცხვა იმ დაკარგული წლების, როდესაც ჩვენ არაფერს არ ვაკეთებდით ჰერეთელი ძმების ურთულესი ყოფის შესამსუბუქებლად. იმედს ვიტოვებ, რომ სულ ცოტა ხანში მოგვეცემა შესაძლებლობა, რომ დღევანდელი ქართული თეატრის მიერ შეგროვებული ძღვენი, ტრილერით გავუგზავნოთ ჩვენს კოლეგებს და ასევე საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის ინიცირებული მასტერკლასები ჩავატაროთ, როგორც სასცენო მეტყველებაში, ასევე სამსახიობო სატატობაში. მანამდე კი ისევ ისეთი უსახელო გმირების ამარა უნდა დავტოვოთ სანგილო, როგორიც თუნდაც ბატონი კოტე ბარისაშვილია, ადამიანი, რომელიც თეატრის დაარსების დღიდან ყველაფერს აკეთებს ამ უნიკალური კერის გადასარჩენად.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის უცხოური პროგრამა – 2016

თამარ პოპურავა

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი შევიდი წელია არსებობს და, ვთქიერობ, უკვე შეიძლება საუბარი იმ ზეგავლენაზე, რომელიც მან თანამედროვე ქართულ თეატრსა და თეატრალური კრიტიკაზე მოახდინა. ფესტივალის უცხოური პროგრამა მსოფლიო სათეატრო პროცესს რამდენიმე რაკურსით წარმოგვიდგენს. ის აცნობს მაყურებელს ცნობილ რეჟისორებსა და დასებს, სათეატრო ტენდენციებს, მცირე თუ დიდ სათეატრო ფორმებსა და უანრებს. ქართული შოუქეისის საშუალებით, საერთაშორისო ფორუმში ფართოდ და მეთოდურად არის ჩართული ქართული სათეატრო სივრცეც, რაც მსოფლიო პროცესთან კავშირის, მასში თანამონანილების პერსპექტივასა და მორალურ განცდას აჩენს. კრიტიკოსებისათვის იქმნება საშუალება, რომ უკეთ გაეცნონ როგორც ზოგად მსოფლიო ტენდენციებს, ისე ცალკეული რეჟისორების შემოქმედებას, სხვადასხვა ქვეყნისა თუ კულტურის თეატრს, იმჯელონ სათეატრო პროცესის გლობალურ და ინდივიდუალურ ასპექტებზე. ყოველივე ეს საკუთრივ ქართული თეატრის დღევანდების შეფასების, მისი პერსპექტივებისა და განვითარების გზების დანახვის შესაძლებლობას იძლევა.

წლევანდელ ფესტივალზე დრამატულ თეატრებთან ერთად, ქორეოგრაფიული თუ ფიზიკური თეატრის დასები თანაბრად იყო წარმოდგენილი. გამოჩენდა ქუჩის სანახაობებიც, რომელებიც ახალი თბილისის ურბანულ სივრცეში ორგანულად ჩაეწერა. პოლონურმა თეატრმა „კტო“-მ თავისი „პერეგრინუსი“ ალბაშენებლის გამზირის ახლადაღდგენილ ნაწილში ითამაშა. მსახიობები მაყურებლით იყვნენ გარემოცული, ადამიანები თან დაჲყვებოდნენ მოძრავ სანახაობას, კონტაქტში შედიოდნენ მსახიობებთან, თითის წვერებზე შემდგარნი ადევნებდნენ თვალს საქმიან კოსტიუმებში გამოწყობილ დიდთავა უპრობორციო ფიგურების ერთსულოვან და უემოციო ქცევას, მათ „ყოველდღიურ“ რეტინას, ასე რომ ჰეგავდა ჩვენი ცხოვრების მექანიკურ, ავტომატურ სვლას. ინგლისური დასის „სთილ ჰაუზის“ საცეკვაო კომპოზიცია „მხედრებსა და გაჭენებულ ცხენებზე“, პირიქით, ახალგაზრდა, თავისუფალი ადამიანების იმპროვიზაციას წარმოადგენდა, რომელიც შეკრებილ მაყურებელთან ერთად

საერთო ცეკვით დასრულდა.

ფესტივალი ადიტი მანგლადასის კომპანიის „მისტერიით“ გაიხსნა, რომელიც ტრადიციული ინდური ცეკვისა და თანამედროვე ქორეოგრაფიის სინთეზზე იყო დამყარებული. სპექტაკლი სახელწოდებით „შიგნიდან“ მარადიული საწყისების ბრძოლას, ადამიანში მათ თანაარსებობას და მათი დაპირისპირების გადალახვისენ სწრაფვას ასახავდა. სპექტაკლის სიმბოლიკაში, განათებასა და ფერში, მოცეკვავეთა კოსტიუმში, მოძრაობებში, ნაციონალური საკრავების უღერადობაში ინდოელთა მსოფლგანცდა, სამყაროს დიდი წრებულვის გზა იკითხებოდა, ტანჯვით, ტკივილით, სიხარულით, განადგურებითა და განახლებით. ხორვეგიულმა თეატრმა „კარი პოას პროდაქშენ“ ფესტივალზე პლასტიკურ-ქორეოგრაფიული სპექტაკლი „იყავი როგორც წყალი“ აჩვენა და სცენაზე წყლის სტიქიის, მისი დინების, უღერადობის, საყოველთაობის, სახიფათობის წარმოდგენას შეეცადა. უკრაინელი გოგნების „ფრიკ-კაბარემ“ სახელწოდებით „დახ დოტერზ ბენდი“ ფოლკისა და როკის სინთეზი წარმოადგინა. მთელი სპექტაკლის მანძილზე არ წყდებოდა ვიდეოგამოსახულების უსასრულოო, ინტენსიური, ზოგჯერ აგრესიული რიგი, რომელიც მუსიკალურ თხრობაზე აგებულ სანახაობას სიმწვავესა და განზოგადოებას სძენდა. ამ ენერგიულ, შემტევ, მეამბოხე მუსიკალურ სანახაობაში ნაციონალურის, საყოველთაოს, საკრალურისა და მდაბალის საკირველი სინთეზი განხორციელდა. სპექტაკლ-კონცერტი ქალის ხვედრზე, მის ძლიერებაზე, სამყაროს ფარისებლობაზე და მორყეული საფუძვლების წინააღმდეგ ჯანყზე მოგვითხრობდა. „კომპოზიცია“ „ვარდები“ საკაცობრიო კულტურას, ცნობიერებას, ლირებულებებს აჯანყებული ქალების განრისხებული და დამცინავი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა. შეიდი გოგონა არაჩვეულებრივი არტისტიზმით, მუსიკალობით, მაღალი საშემსრულებლო ტექნიკით, ყოველგვარი სენტიმენტალობის გარეშე გამოხატავდა თავის პროტესტს, განადიდებდა ქალის თავისუფლებას და ძლიერებას. პოლონურმა თეატრმა „თხის სიმღერამ“ თავისი მუსიკალურ-დრამატული წარმოდგენა ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ მეოთხე (ბოლო) აქტზე ააგო. როგორც რეჟისორმა გვევორი ბრალიმ განმარტა, ამ სპექტაკლის იდეა დასის მიერ თეატრალური



სცენა სპექტაკლიდან „ალუპლის პალის პორტრეტებიდან“

შენობის დაკარგვის შემდეგ გაჩნდა. თეატრმა „ალუპლის ბალი“ გაიაზრა როგორც მითოლოგება, რომელიც დანაკარგის გარდუვალობას გამოხატავს. ბალი მაინც დაიკარგება, თუმცა, ადამიანებს იმედი ბოლომდე არ სტოვებს და სასწაულს ელოდებიან.

დრამატული თეატრის ნაწილში წელს მაყურებელმა ბერლინის „შაუბიუნეს“ სამხატვრო ხელმძღვანელის თომას ოსტერმაიერის „უკვე მეორე სპექტაკლი იხილა. ოსტერმაიერის შემოქმედების პროვოკაციული მომხიბვლელობა, მის სპექტაკლებში არსებულ ფარულ ინტრიგაში, საპროტესტო სულში, ინტელექტუალურ ირონიაში, საზოგადოებისა და ადამიანის მიმართ ერთსა და იმავე დროს თანამედრობსა და მძაფრად კრიტიკულ დამოკიდებულებაში ვლინდება. სახელგანთქმული რეჟისორი ზღვარზე „ბალანსირებს“, თანამედროვე ისტაბლიშმენტსაც ეკუთვნის და სათეატრო ავანგარდშიც რჩება, ერთსა და იმავე დროს, ტრადიციონალისტიცაა (როგორც ამას თავადვე ამბობს) და მეამბოხეც. 90-იან წლებში ოსტერმაიერი ინგლისურმა „in your face“ (შივ სახეში) დრამატურგიამ გაიტაცა, რომელსაც სხვებთან ერთად მარკ რავენტილსა და სარა კეინს მიაკუთვნებენ. მისი პატარა, მაგრამ საკულტო თეატრ „ბარაის“ პოპულარულობაში დიდი როლი ითამაში ინგლისურენოვანი დრამატურგის „უხეშმა რეალიზმა“. თანამედროვე ქალის თემით გატაცება, აშკარად, სარა კეინის შემოქმედებასაც უკავშირდ-

ება, რომლის მიმართ ინტერესი ოსტერმაიერს დღესაც არ უნელდება. ერთი შეხედვით, თომას ოსტერმაიერის წლევანდელი სპექტაკლი სრულიად განსხვავდებოდა შარშანდელი — იბსენის „ხალხის მტრისაგან“ — ესთეტიკით, სტილისტიკით, მაყურებელთან მიმართების ფორმით. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რეჟისორი ახალი დრამის მიერ XIX საუკუნის ბოლოს დაწყებულ რეფლექსისა და ძირეული პრობლემების „კვლევას“ აგრძელებს. მას კვლავაც აინტერესებს თანამედროვეობის პირობებში საზოგადოებრივი მორალის, ოჯახის, სქესთა შორის ურთიერთობების ფუნდამენტური საკითხები, თანამედროვე მითები და მათი ტრანსფორმაცია. „მარია ბრაუნის ქორნინებაში“ მკაფიოდ იკითხება ევროპული სახლის ალუზიები, სიმბოლიკა, რომელსაც იბსენთან სტრინგბერგთან, ბერნარდ შოუსთან და სხვებთან ვხვდებით. რეჟისორს მიაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ას წელინადზე მეტი გავიდა, თანამედროვეობაში კვლავაც აქტუალურია იგივე პრობლემები, რომელსაც XIX საუკუნის მიზურულს ახალი დრამა აყენებდა. „თოჯინების სახლში“, „ჰედა გაბლერში“, „დაკვეთილ კონცერტში“ ოსტერმაიერი ქალისა და სახლის თებაზე ვარიაციებს ქმნის, მისი ქალი ბერსონაჟების ტოტალურ მარტობას და განწირულობას გვაჩვენებს. „თოჯინების სახლში“ ოსტერმაიერს მხატვარ იან პაპელბაუმთან ერთად, მოქმედება თანამედროვე ბერლინურ პენთჰაუზში გად-

მოაქვს, „ელექტრონული სამოთხის“ გარემოში, რომელიც კეთილდღეობისა და კომფორტის უძალლესი სტანდარტების შესახებ დღევანდელ წარმოდგენებს შესაბამება, თუმცა, ამ სახლის „ჰაიტექური“ ფუფუნება მისი ბინადრებისათვის ბედნიერების მომტანი არ არის. „მარია ბრაუნის ქორნინება“ ამ „ფემინისტური“ პიესების კონტექტსში ხვდება. სპექტაკლის სცენოგრაფიას (სცენოგრაფი ნინა ვეტცელი, კოსტიუმები ულრიკე გუტბროდის), ამჯერად, 50-იანი წლების ენიონთეატრის ფოიეში გადავყავართ, რომელიც ეპოქის შესატყვისი დიზაინის სავარძლებით და მაგიდებით მოუწყვიათ, გლამურსა და ფუფუნებაზე პრეტენზით. უკან, სცენის სიღრმეში მოთავსებული ეკრანი მოქმედების ერთ-ერთი ნარატორია, ძველი ფოტოებისა და კინოქრონიკების ვიზუალური რიგით ის დროში უკან „გადაგვისვრის“ – ნაცისტური გერმანიის ადრეულ დღეებში, ეიფორიის, აუიოტაუისა და საყოველთაო ექსტაზის ატმოსფეროში გადაგვიყვანს. ეკრანზე გოგონების გაღიმებული სახეებია, გოგონები ყვავილებით, გოგონები ახალგაზრდული ნაცისტური ორგანიზაციების სიმბოლიკით. „ეკრანული“ ხალხი ბედნიერია. მოქმედება ავანსცენაზე გადმოდის. ჰიტლერზე შეყვარებული ქალი სათაყვანებელ ფიურერს წერილს წერს და სიყვარულს უხსნის. ქალს მარია ბრაუნის – ჰერმანის როლის შემსრულებელი მამაკაცი განასახიერებს (სეპასტიან შვარცი), მისი ახალგაზრდა, სავსე და მსხლისებური სხეული წელს ზემოთ შიშველია, ხელი მკერდზე

მორცხვად მიუფარებია და ისე მიმართავს თავის კუმირს. ოსტერმაიერის სპექტაკლში ერთი ქალი და ოთხი მამაკაცი მონაწილეობს. სწორედ მამაკაცები ასრულებენ სპექტაკლის 27 პერსონაჟის როლს, მარიას (ურსინე ლარდი) როლის გარდა. მსახიობები ამას საოცარი სიმსუბურით, იუმორითა და დასხვენილობით აკეთებენ. ასეთი გადაწყვეტილებით რეჟისორი მარიას სახის ცენტრალურ მნიშვნელობას გამოკვეთს, მისი ისტორიიდან ეპიკურ ამბავს ქმნის, რომელშიც გერმანიისა და გერმანელების ბედი ისახება. ეკრანზე, ომსშემდგომი ისტორიის მოვლენების ვიზუალური თხრობა გრძელდება, მას თავისი ლოგიკა აქვს და გერმანული ეკრანომიკური სასწაულის ქრონიკას გვაჩვენებს, სრული კრახიდნა აყვავებულ ქვეყნამდე. რეჟისორი ეკრანულ რეალობას სცენურს უპირისპირებს, ხანდახან ეკრანზე სცენაზე მიმდინარე მოვლენები აისახება და იფიციალურ ისტორიაში ადამიანური განზომილება შეაქვს. აი, გამოსახულება მარიას სხეულზე კონცენტრირდა, თითქოს ეპოქა მის არსებაშია მოქცეული, მთელი თავისი წინააღმდეგობებით, მოვლენებით, სიმძიმით, როგორც ქიმერული ქორნინების სიცოცხლესთან შეუთავსებელი ვეებერთელა ნაყოფი. ამ შეშლილ სამყაროსთან დაწყვილებულ მარიას ფიქრისთვის დრო არ რჩება, მან ნარმატებაზე უნდა იზრუნოს, მამაკაცთა წესებით ცხოვრება უნდა ისწავლოს, თავისი ქალურობა იარაღად უნდა აქციოს, სხეული, გონება, სიყვარული მომავლის სამსახურში უნდა ჩააყენოს.



სცენა სპექტაკლიზარ „მარია ბრაუნის ეორნიერა“



სცენა საექტაკლიდან
„რუსი რაცდევუზე“

ოსტერმაიერს არ უყვარს, როდესაც გერმანიას მსხვერპლად წარმოაჩენენ, ტრადიციულად ირობიული და კრიტიკული, ტომტალური ილუზიების ტყვეობაში მოქცეული ქალის ტრაგიკულ ისტორიას მოგვითხობს. ის გარეშე დამხა-შავებს არ ეძებს და ყველაფრის მიზეზს დე-ფორმირებულ ცნობიერებასა და ეგოცენ-ტრიზმში ხედავს. მარიას ცხოვრება, მისი ნიჭი, ენერგია, სიყვარულისა და ერთგულების ულევი მარაგი ფუჭად და უმისამართოდ ითლანგება. მან ჰერმანისგან, ისევე, როგორც გერმანიამ ჰიტლერისგან, პირადი მითი და იდეალი შექმნა, მისი ცხოვრება ორ რეგისტრში მიდის, რე-ალურსა და წარმოსახვითში. ყველაფერი ჰერ-მანისთვის კეთდება, ჰერმანისთვის, რომელიც მის გვერდით არასდროსაა, ხან აღმოსავლეთის ფრონტზე იძრდების, ხან ციხეში ზის, შემდეგ კი საკუთარი უსუსურობის განცდით დათრგუნული, საზღვარგარეთ მიემგზავრება. ქალი სულ მარტო, დემენციური დედის (რობერტ ბეიერი), სხვა მამაკაცების პირისპირ, მამაცი, ძლიერი, თავგანწირული. ერთი რამ აძლევს სიამაყის საფუძველს, საკუთარი ძალის, მნიშვნელობის, ფამოუკიდებლობის შეგრძნება. ის ხომ ასეთი თავგამოდებით აშენებს თავის საოცნებო სახ-ლსა და სასურველ კეთილდღეობას, თავისი და თავისი ქრისტიანი მომავალს. თუმცა

მალე ეს ილუზიაც ენგრევა, რადგან გაიგებს, რომ მისმა საყვარელმა ოსვალდმა (თომას ბადინგი) და ჰერმანმა მის ზურგსუკან გარიგება დადეს, მისი ლირსება დაამცირეს, მთელი მისი ცხოვრების შრომა და ღვაწლი არად ჩააგდეს. მარია მამაკაცთა პატივმოყვარეობის სათამაშაშო აღმოჩნდა მხოლოდ. ცალკე უნდა აღინიშნოს მსახიობთა სცენური ტრანსფორმაციების ვირტუოზულობა, სახიდან სახეში გადასვლის დახვეწილი ტექნიკა. ამ სახემონაცვლეობით ისტერმაიერი კიდევ ერთ ამბავს გვიყვება, ჰერ-სონაუებს შორის იორინიულ და აზრობრივ კაუ-შირებს ამყარებს, მარიას ირგვლივ არსებულ სამყაროს ილუზიურ, მერყევ სურათს ქსოვს – აյ არაფერია სანდო, არც დედობრივი სიყვარული, რომელიც მოქმედი გრძნობად ქცეულა, არც ნარკომანი ექიმის თანაგრძნობა, არც ქმრის სიყვარული და არც საყვარლის თაყვანისცემა. ფინალში, ფასპინდერის ფილმისა-გან განსხვავებით, სადაც მარია შიგულას გმირი სპეციალურად აწყობს სახლში ხანდარს და თავს იკლავს, მარია ადგილიდან არ იძროს, მისი ოცნების სახლი კი თავისით ეხვევა ცეცხლის აღმზ.

თეატრი ბარბიკანის „პამლეტში“ ტოტალური ომი სასახლის ინტერიერში შემოდის, დეკო-რაცია ამ ვიზუალური თხრობით დატვირთული სპექტაკლის მეტანიშანი ხდება. სასახლე, რომელიც დანის სამეფო კარის გარდასული დიდების დახვეწილ კვალს ინახავს, მეორე მოქმედებაში ნაცარტუტით დაფარულ ბრძოლის ველად გარდაიქმნება. სპექტაკლის ცოცხალი ჩანაწერი ფესტივალზე „ეკრანიზებული თეატრის“ სახით იქნა წარმოდგენილი. ბენედიქტ ჟამპერბეტჩის დანის პრინცი ამ პამპეზური დადგმის „თანამდევი სულია“, დანის დაცემის ჭირისუფალი ის უდიდესი თანაგრძნობითაა განმსჭვალული დაღუპვის პირას მისული ქვეყნის მიმართ. ამ სცენურ კალეიდოსკოპში მას თავისი განცალკევებული სიცოცხლე აქვს, მგრძნობიარე, გახმცდელი, ტკივილით საგსე-თვით სცენური განათებაც კი ხაზს უსვამს ჰამლეტის მარტისულობას, მშობლიური სამყარო უცხო გახდა ჰამლეტისათვის, ამიტომ, როგორც არ უნდა ეცადოს, მისი ხსნა, დროთა კავშირის შეკვრა არ შეუძლია. დანის დეკადანის სურათი სხვადასხვა საშუალებით იქმნება – სასახლის ნადიმზე დარბაზის მორთულობით, რომელშიც შემოდგომის ვიზუალური ინტონაციები სჭარბობს, მამის აჩრდილის სხეულის ფიზიკურობით, რომელიც ხრნნაშეპარულ გვამს უფრო წააგავს, ვიდრე მოჩვენებას. კირან ხაინდსის კლავდიუსი სუსტი მმართველია, საკუთარ სურვილებსაც ვერ უმკლავდება, მთელი გაბედულება საკუთარი ძმის მკვლელობაზე დახარჯა, ეხლა კი კატასტროფის პირისპირ დარჩენილს, მხოლოდ აგონიაში მყოფი ქვეყნის მართვის ხანძოებელ სიამოვნებით შეუძლია დატკბეს. ჰორაციო – ზურგჩანთიანი სტუდენ-

ტი ახალგაზრდა პაციფისტისა და უფლებად-ამცველის „შთაბეჭდილებას სტოვებს, ის ტურ-ისტივით „მოგზაურობს“ ჰამლეტის სივრცეში, ალექსონთებული, ინფორმირებული, მაგრამ უცხო და დისტანციური. ჰამლეტის „სიგიურ“ მის მშვიდობისმოყვარე ბუნებას ამხელს, სათა-მაშო ჯარისკაცივით ჩატვირთ ბანაკს“ და ანანიაში გამართულ უსუსურ ომობანას ამასხ-არავებს. სპექტაკლში მოულოდნელად წინაუ-რდებანან როზენკრანცი და გილდერნსტერნი, განსხვავებულ ხასიათებსა და ინდივიდუალურ ნიშნებს იძენენ. ჩანაწერით ისეთი შთაბეჭდილე-ბა იქმნება, თითქოს ორ წარმოდგენას ვუცქეროთ – „მონოპამლეტს“ და დანიის დაცემის ამშავს, რომელსაც ემოციური თანაგანმცდელი და კო-მენტატორი ჰყავს დანიის უფლისნულის სახით. ეს ეფექტი სპექტაკლის სტრუქტურული, კომ-პოზიციური და ესთეტიკური ეკლექტურობით იქმნება. ბენედიქტ ეამბერმენის პერსონაჟი ინ-ტიმური, ფილოსოფიური თეატრის სივრცეში ცხოვრობს, დანარჩენი დანია კი დეკადანტურ-ეპიკურ ველში განვითარება. კავშირი დანიასა და ჰამლეტს შორის იმთავითვე დარღვეულია, მას არაფერი აქვს საერთო ამ ეპოლეტებიან, პორტრეტებიან, იარაღიან სამყაროსთან. ბარ-ბიკანის ჰამლეტის სამყარო იმთავითვე განწირ-ულია თავისი ესთეტიკური იდეალებით, დიადი წარსულით, მამაცი მეომრებით, დახვეწილი კარისკაცებით, დიდებული ქალბატონებით, ინ-ტრიგებითა და ძალაუფლებისათვის ბრძოლით. მთავარი ბრძოლა უკვე წაგებულია, ისტორიის

სარბიელზე ახალი ძალა მოდის – ახალგაზრდა ფორტინბრასი, რომელიც სასახლის ნახანძრალ და გვამებით დაფარულ დარბაზში შემოაბი-ჯეს, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ გათამაშე-ბული ტრაგიკული ისტორიის მონაწილეთა უსუ-ლო გვამები დასვედება მხოლოდ.

„ფორმენტის სახელოსნოს“ სპექტაკლი „რუსი რანდევუზე“ რადაცით რეჟისორის ადრეულ სპექტაკლებს გვას. მისი ხალისიანი, რომან-ტიკულად უტრირებული იორნიული მანერის მიღმა ნაციონალურ ხასიათზე სერიოზული რე-ფლექსია დაფარული. სპექტაკლი სახელო-ნოს მეორე თაობის კურსდამთავრებულებთ-ან ევგენი კამენკოვიჩმა დადგა. ტურგენევის „გაზაფხულის წყლების“ მიხედვით შექმნილ ინსცენიებას ჩერნიშევსკის წერილის სახელი დაერქვა. „რუსი ადამიანი სუსტი და ინერტუ-ლია... — წერს ჩერნიშევსკი წერილში „რუსი ადამიანი რანდევუზე“, - სიტუაციაში, სადაც მისი ძედი წყდება, გადაწყვეტილების მიღების, დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმის უნარი არ აღმოჩნდება ხოლმე. ის მხოლოდ დინებას მი-ჰყვება უკანმოუხედავად, აქეთ-იქით იცქირება, თუმცა, არც იმის დანახვას ცდილობს, რაც წინ ელოდება“. ევგენი კამენკოვიჩმა სპექტაკლი სტაუირებთან შექმნილი ეტიუდებისგან შეკრა, ერთიანმა ნანარმოებმა პირვანდელი ეპიზ-ოდების სიმსუბუქეს, ხალისსა და ექსცენტრი-კასთან ერთად სიღრმე, დელიკატურად შენიღ-ბული ტრაგიზმი, იორნია და გროტესკულობა შეიძინა. ინსცენირების მთავარი გმირი სანინი რაღაცით იბსენის პერ გიუნტს მოგვაგონებს და

სცენა სპექტაკლიდან „ტრიალი ქალები“



სიორენ კირკეგორის „ესთეტიკურ“ ადამიანს გვახსენებს, რომელიც საკუთარი არსებობის საზრისს და გამართლებას შემთხვევით ბეჭ-ნიერ გარემოებებში ეძებს. ახალგაზრდა დიმიტრი სანინის ცხოვრებას (ფიოლორ მალიშვილი) ბეჭდის მოულოდნელი და მხიარული ვირაჟები მართავს, ის თავდავიწყებით მიჰყვება თავ-ბრუდამზვევ მოვლენებს, ცხოვრება ასე უხვად რომ ანებივრებს. დახვენილი, ახალგაზრდა, მომხიბვლელი საკუთარი კეთილშობილებით, მიმზიდველობითა და გარემომცველთა აღტაცებით ტკბება. სანინის ცხოვრება ერთ დიდ რომანტიკულ და მათრობელა თავგადასავლად ეწვენება. აღტაცებულ გრძნობათა გავლენით დაუფიქრებლად ექცევა სხვებსაც და საკუთარ თავსაც, თვითონაც ვერ ხვდება, ისე დაივინწყებს მოკრძალებულ ახალგაზრდა ჯემას, რომელიც ფრანკფურტში შემთხვევით გაიცნო და დანიშნა. სანინი თავისუფლებისმოყვარე და თავნება მარია პოლოზოვას (ეკატერინე სმირნოვა) შეიყვარებს მგზნებარე სიყვარულით. ეკატერინე სმირნოვა სპექტაკლში რამდენიმე სახეს ქმნის, მათ შორის ქვრივი ფრაუ როზელის, რომელსაც ჯერ კიდევ დაუცხრომელი სურვილები აფორიაქებს. ძლიერსა და ძალაუფლებისმოყვარე მარია პოლოზოვას დამანგრეველი და აზარტული ეგოცენტრიზმი დოსტოევსკის ირაციონალურ გმირებთან ანათესავებს. გამდიდრებული გლეხის ქალიშვილი ღრმა შინაგანი პრობლემების კომპენსაციას სხვისი ნების მართვასა და

გამომწვევ თავისუფლებაში ხედავს. სანინი მოსწონს, თუმცა, სიყვარულში მხოლოდ ლიდერის როლზეა თანახმა. სპექტაკლის ფინალში მაყურებელი ისევ ფრანკფურტში ხვდება სანინი. პოლოზოვასთან რომანი დიდი ხანია დასრულდა, მშვენიერი ჯემას ძიებაში დიმიტრის ამერიკაში წასვლა განუზრახავს, სადაც მისი სატრფო ბეჭნიერ ქორწინებაში უნდა ცხოვრობდეს... სცენა ბეჭლდება, დეკორაციის თეთრი კორინა იხსნება და საოცეანო ხომალდის საკვამურად და კიბებად გარდაიქმნება (უნდა აღინიშნოს, რომ ვლადიმირ მაქსიმოვის დეკორაცია ძალზე ზუსტად გადმოსცევს ნანარმოების ორმაგ ასპექტებს და სივრცის ტრანსფორმაციისა და ატმოსფეროს შექმნის განსაკუთრებული პოტენციალით ხასიათდება). დიმიტრი სანინი კიბებზე ადის, კვლავაც უცნობ ბეჭს მინდობილი, სიყვარულისა და საკუთარი თავის ძიებაში დაკარგული...

სუქუმი ტადაშის მსახიობთან მუშაობის მეთოდი სხეულის ენერგიის კონცენტრაციისა და კონტროლის პრინციპზეა დამყარებული. მისთვის მსახიობის, თეატრის დასი თანამოაზრეთა ჯგუფია, რომლებიც თეატრს საკუთარი თავითა და სამყაროს შესაცნობად მიმართავენ. ეს თანაცხოვრების, თანაშემოქმედების და გარემოსთან ურთიერთობის ფორმაა. უკვე 35 წელია, რაც კოლექტივი იაპონიის მთის პატარა სოფელ ტოგასაა „შეფარებული“. აქ ფიქრის, მუშაობის და „სამყაროს უკეთესობისაკენ შეცვლის“ გაც-



სცენა საექტაკლიდან „მხედრებსა და გაზარებულ ცხენებზე“

ილებით მეტი შესაძლებლობაა, დიდ ქალაქებში. ტადაშისთვის თეატრი მსახურებაა, ყვისისტენ-ციური არქეგანია, ყოფიერების ფუნდამენტურ კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებაა. „ჩვენი სიკვდილის დღემდე უნდა მივდიოთ ჩვენს იდეალებს, სწორედ ეს ანათესავებს თეატრისა და სიცოცხლის ეფემერულ ბუნებას, მსგავსი მიმართება დროსთან, რაც ასე მჭიდროდ აკავშირებს მათ ერთმანეთთან“, ფიქრობს სუმუკი ტადაში. ბერძნული დრამა რეჟისორს, ფილოსოფოსასა და მწერალს დიდი ხანია იზიდავს. ნანარმოებისადმი მისი დამოკიდებულება სტანდარტულისგან განსხვავდება, პიესის ქსოვილში მოქმედება სიცოცხლის საფუძვლებში განმეორებითი წვდომის, არქეტიპული ვითარებების ხელახალი განცდის შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ არ ძველდება ტადაშის სპექტაკლები. „ტროელი ქალების“ პრემიერა 1974 წლის 10 დეკემბერს შედგა. მას შემდეგ 42 წელი გავიდა, თუმცა სპექტაკლი ისე ცოცხალია, თითქოს ეს გუშინ მომზღვდით. თეატრის მკვლევარი მარიანა მაკლონალდი ტადაშის თეატრს საკრალური თეატრის კატეგორიას მიაკუთვნებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს „წმინდა ენერგიის“ თეატრი. ეს განსაკუთრებული ენერგიაა, ცხოველი ენერგია, რომლითაც ყოველი ცოცხალი არსება საზრდოობს. ტადაშის გზა სასცენო ინსპირაციისკენ მუდმივ შრომაზე, საკუთარი „უხილავი“ სხეულის ფლობაზე გადის. მისითვის სხეული და მისი მართვა ქვეყნის მაღალი კულტურის მაჩვენებელია, რაც უფრო მეტად იყენებს ადამიანთა ჯვეუფი „ცხოველურ“ ენერგიას, მით უფრო მაღალკულტურულია ის. თანამედროვე მსოფლიოში ცივილიზებულობა „არაცხოველური“ ენერგიების გამოყენების მასშტაბით იზომება, აბბობს ის. ელექტრობის, ატომური ენერგიისა და სხვა ამგვარი. ტადაშისათვის კულტურას სულ სხვა ინდიკატორები აქვს, ისეთები, რომლებიც სიცოცხლის საფუძვლებთან, მის ვიტალურ ბაზისთან სიახლოვეს ავლენს. სწორედ არქეტიპის, ცოცხალი მითის წიაღში გვაძრუნებს „ტროელი ქალები“. მსახიობთა დაძაბული, ერთ მუძტად შეკრული სკულპტურული სხეულებით, მათი სხეულის ფუძისეული წიაღიდან ამოსული ხმით, რომელიც დროისა და

სქესის მიღმაა, ძლიერი, პირველადი, მუღლერი. ეს ხმა იმ საწყისებთან გვაძრუნებს, რომლებშიც ადამიანები ბუნებისა და ყოფიერების წინაშე ერთნი არიან ყოველ ცოცხალ არსებასთან ერთად. ეს თავად სიცოცხლის ხმაა, ხმა, რომელსაც ჰყეუბა გამოსცემს, სამეფოდაკარგული დედოფალი, დაქვრივებული და დაობლებული ქალებით გარემოცული, ასე ძლიერი და ასე განწირული. ეს თითქოს პროტესტია სამყარო-სეული კანონის წინაშე, რომელშიც სიცოცხლე სიცოცხლეს სპობს. იაბონელი სამურავებივით გამოწყობილი ბერძენი მხედართმთავრები ტროელ ტყვეებს იყოფენ, ანდრომაქეზე ძალადობენ, ჩვილ ასტრინაქს კლავენ, პოლიქსენეს აქილევსის აჩრდილს სწირავენ. ჩვენს წინაშეა მოძალადისა და მსხვერპლის განუყრელი და საზარელი დაწყვილება და ჰყეუბაში განსხეულებული საყოველთაო სიცოცხლის პროტესტი, პროტესტი ადამიანებისა და ღმერთების წინაშე. მთელი სპექტაკლის გამამავლობაში სცენის ცენტრში გაუნძრევლად დგას ღმერთი, დიდებული და უტყვა. ნიღაბივით უძრავია მისი სახე, უცხოსავით გულგრილია მისი გული. სწორედ მას მოსთხოვს პასუხს ჰყეუბა, დასახიჩრებული შვილიშვილის ცხედრით ხელში, ძლიერი, სასონარეკვეთილი და თავად ბედისწერასავით თავისუფალი. ტადაში სუმუკის სასცენო კომპოზიციაში უსახელო მწერლისა თუ მკითხველის ფიგურა შემოჰყავს, ინვალიდის ეტლში მჯდომი დიდ ფოლიანგს ფურცლავს. ვინ იცის რას კითხულობს? ვინ უწყის ვინ არის? ერთი რამ წამდვილად ამოიკითხა უსახელო ავტორმა თუ მწერალმა წიგნი, ეს კასანდრას წინასწარმეტყველებაა, სასკვდილოდ განწირული ქალის ნათელზოგა, ძალადობისა და ძალადობისათვის საზღაურის მარადი დაბრუნების ისტორია.

ასეთი იყო თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2016-ის უცხოური პროგრამის სპექტაკლები, უანრობრივად მრავალფეროვანი, განსხვავებული, ზოგჯერ საკამათო, მაგრამ, ტრადიციულად საინტერესო (ამ მიმოხილვამ მხოლოდ ერევნის ნაციონალური თეატრის „მეფე ჯონი“ ვერ მოხვდა, რადგან, სამხურალი, მისი ნახვა ვერ მოვახერხე). ასეთი იყო თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2016-ის უცხოური პროგრამის სპექტაკლები, უანრობრივად მრავალფეროვანი, განსხვავებული, ზოგჯერ საკამათო, მაგრამ, ტრადიციულად საინტერესო (ამ მიმოხილვამ მხოლოდ ერევნის ნაციონალური თეატრის „მეფე ჯონი“ ვერ მოხვდა, რადგან, სამხურალი, მისი ნახვა ვერ მოვახერხე).

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის 2016 ქართული საექტაკლების პროგრამა (Georgian Showcase)

მაკა ვასაძე

2016 წლის თბილისური (და არა მარტო) შემოდგომა ერთობ გადატვირთულია სხვადასხვა ამბით. რამდენიმე წელია, ხელოვნების მოყვარულებისა და პროფესიონალებისთვის, სექტემბრის ბოლოდან მოყოლებული ახალ წლამდე, თითქმის შეუსვენებლად, ფესტივალს ფესტივალი ებმის. ფესტივალები ხელოვნების ამა თუ იმ დარგს, მიმართულებას წარმოაჩენენ: თეატრი, კინო, მუსიკა, ფილმები, ახალი დრამა, რაც „საფესტივალო ციებ-ცხელებაზ“ მთელი წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონი და ქალაქი მოიცვა. მაგალითად: ბათუმი, ფოთი, თელავი, ახალციხე, გორი... სახელოვნები კრიტიკაც, მაისიდან ნოემბრის ჩათვლით, გადატვირთული სამუშაო რეჟიმით „ცხოვრობს“. ჩვენ, კრიტიკოსები, ვცდილობთ არ ჩამოვრჩეთ მოვლენათა განვითარებას, ყველაფერი ვნახოთ, მოვისმინოთ და შევაფასოთ.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, სახელოვნებო კრიტიკის განვითარებას ხელშეწყობა არა აქვს. ჩვენ, საქართველოში მოღვაწე კრიტიკოსები, საკუთარ საქმეზე თავდავიწყებით შეყვარებულ, „რომანტიკოს“ - ენთუზიასტებად მოვიაზრებით. სათეატრო კრიტიკოსებისთვის კი მხოლოდ ერთი პროფესიული, ბეჭდებითი უურნალი არსებობს - „თეატრი და ცხოვრება“. ისიც, წელიწადში 6 წლის გამოდის. უურნალს უკვე მეორე წელია კულტურისა და ძეგლთა დაცვისა სამინისტრო აფინანსებს. ასევე, არსებობს ახალგაზრდა „რომანტიკოსების“ შექმნილი ინტერნეტ უურნალი www.georgiantheatre.ge. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო, ხშირად ვერც ის ახერხებს უახლეს სათეატრო მოვლენებზე (თუნდაც, მარტი საქართველოში განვითარებულება). მყისიერ გამოხმაურებას, ვებგვერდის განახლებას (პონორარზე საუბარიც კი არა).

შეიძლება ითქვას, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან დღემდე ერთი უურნალის ამარა დავრჩით. არ გვაქვს აზრის გამოხატვის, შეფასების, ობიექტური (თუ სუბიექტური) კრიტიკის ასახვისთვის განკუთვნილი სივრცე. ამისდა მიუხედავად, ვცდილობთ, ჩვენი „თავდავიწყებული სიყვარული“ მომავალ თაობებსაც გადავცეთ. რამდენად მართლები ვართ, არ ვიცი. ერთი კი უდავო, შეიძლება ითქვას, აქსიმაა - კრიტიკის გარეშე ვერცერთი სახელოვნებო სფერო ვერ განვითარდება... მოკლედ - „რა გითხრათ, რით გაგახაროთ!“, მაგრამ... მაგრამ...“ - ჩვენ მაინც ვარსებობთ... სიტყვა გამიგრძელდა სახელოვნებო კრიტიკაზე (ჩვენთვის უმტკივნეულეს საკითხზე).

საქართველოში, თბილისისა თუ რეგიონებში, არსებულ სათეატრო ფესტივალებზე ერთი თვალის გადავლებით სურათი ნათელია: სახელმწიფო მმართველობა ხელს უწყობს სათეატრო (და არა მარტო სათეატრო) საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებას. ჩანს, რომ ჩვენი ხელოვანებისა და სახელმწიფოს მიზანია, საქართველო, თბილისი კულტურული ტურიზმის ქვეყნად თუ ქალაქებად ვაქციოთ. მთავარია, მომავალში ჩვენი გზები არ გაიყაროს... ხშირად გაიგონებთ: როდესაც ქვეყანა ეკონომიკურ გასაჭირებია, საჭიროა კი ამდენი ფესტივალი? (ამას ზნიათ, ჩემმა უახლოესმ მეგობარმაც კი მსგავსი შეკითხვით მომმართა). წლევანდელი „ქართული სპექტაკლების პროგრამის“ (Georgian showcase) მიმოხილვით, პირდაპირ თუ ირიბად, შევცდები დასტულ კითხვას ვუპასუხო.

მოუთმენლად ვეღლიდები ხოლმე სექტემბრის ბოლოს — პერიოდს, როდესაც მერიის მიერ დაარსებული თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი - იწყება. ეს სათეატრო ზეიმი წელს უკვე მერვედ გაიმართა. ის წლიდან წლამდე იხვენება, რაც, რა თქმა უნდა, ფესტივალის დირექტორის - ეკატერინე მაზმიშვილისა და მისი არაჩეულებრივი საფესტივალო გუნდის: თინათინ კალატოზიშვილის, თამარ ლალიაშვილის, ნატო ებანოიძის, ნუცა ბურჯანაძის, რუსუდან ზირაქიშვილის, არჩილ დვალიშვილისა და ალექსანდრე წერეთელის დამსახურებაა. მამაკაცები ჩამონათვალის ბოლოს შემთხვევით არ დამისახელებია. მართალია, არჩილ დვალიშვილი (ტექნიკური დირექტორი) საფესტივალო გუნდს დასაწყისიდანვე გვერდში უდგას და, როგორც გუნდის „გოგოები“ ამბობენ, მის გარეშე ფესტივალი ვერ იარსებებდა, წლების განმავლობაში იგი მამაკაცთა სქესის ერთადერთი ნარმომადგენელი იყო მშვენიერ, ჭკვიან, ნიჭიერ ქალთა გარემოცვაში.

ეს ფესტივალი სწორედ ქალებმა შექმნეს, დააყენეს ფეხზე, განავითარეს და ერთ-ერთ პრესტიულ თეატრალურ ფესტივალად აქციეს. რისთვის? იმისთვის, რომ აგერ უკვე 30 წელზე მეტია, ჩვენს თავს დატეხილი პოლიტიკურ-სოციალური ქარტეხილების მიუხედავად, მთელ მსოფლიოს ვუთხრათ: „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“, ჩვენ უდიდესი სათეატრო ტრადიციები და ნოვაციები

გვაქვს.

საერთაშორისო ფესტივალი ზოგადად ქვეყნის სახეს ქმნის. ჩვენთან ჩამოდიან სათეატრო დასკბი, მათ მოპყვებიან უცხოელი ექსპერტები, კრიტიკოსები, მენეჯერები, პროდიუსერები და ა.შ. ნელ-ნელა, ფესტივალების წყალობით თბილისში (საქართველოში) კულტურული ტურიზმი განვითარდა და წელს, ვფიქრობ, ტურისტთა რაოდენობის მიხედვით, პისაც კი მიაღწია. თბილისი, თანდათან, თანამედროვე მსოფლიო კულტურის ერთ-ერთ მექად შეიძლება იქცეს (ჩემი ოცნება, რომელიც შეიძლება ახდეს).

ერთი სასიხარულო ფაქტი უნდა აღვნიშნო. ფესტივალი წინასარჩევნო „ქარტეხილების“ პერიოდში - 24.09-08.10.2016 - მიმდინარეობდა. „თბილისის საერთაშორისო ფესტივალი“ არჩევნებს ოთხ წელიწადში ერთხელ ემთხვევა ხოლმე. თავის დროზე, ამ ეტილ წამოწყებას სწორედ წინასარჩევნოდ, 2009 წელს ჩატარა საფუძველი. 2016 წლის *Georgian Showcase*-მა, უშუალოდ არჩევნების დღეს, 8 ოქტომბერს 8 სპექტაკლი შესთავაზა უცხოელ თუ თბილისელ მაყურებელს. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ფესტივალის უკვე სათამაშო მოედანი, სივრცე, დარბაზი შეისო. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ფესტივალის უკვე მოპოვებული სახელი - სწორი მენეჯმენტი, მარკეტინგი, პიარი, სწორი საფესტივალო პოლიტიკა, კონცეფცია, მონანილეთა სახელები და, რაც მთავარია, ღიაობა.

ალბათ, ამიტომაც, 2016 წლის საფესტივალო კატალოგში ასეთ შეფასებას ვკითხულობთ:

„თავად წარმოვადგენ ფესტივალს, რომელმაც სულ ახლახან იზემა 53-ე იუბილე და გაოგნებას ვერ ვმაღალავ, როგორ მოახერხს თბილისის საერთაშორისო თეატრალურმა ფესტივალმა ასეთ მოკლე ხანში მოეპოვებინა უპრეცედენტო პრესტიჟი და საერთაშორისო რეპუტაცია“. - იმავე ტალგანი, ისრაელის ფესტივალებისა და თეატრების მრჩეველი. იერუსალიმი, ისრაელი.

„თბილისის მაცხოვერებელს შეუძლიათ იამაყონ ამ ფესტივალით. მსოფლიოს კი, თავის მხრივ, შეუძლია იამაყოს, რომ მათ შორის, ამ ფესტივალს წყალობით, არსებობს ქალაქი თბილისი - უდიდესი თეატრალური ტრადიციებისა და ამოუწურავი შემოქმედებითი ძალების მქონე ქალაქი“. - რომან დოლუანსკი, ფესტივალების „NET“ და „ტერიტორია“ არტ დირექტორი; თეატრი „ნაციის“ სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე; იბსენის პრემიის უკურის წევრი; გაზეთ „კომერსანტის“ მიმოხილველი, თეატრალური კრიტიკოსი.

„*Georgian Showcase*“ 2009 წელს საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში დაფუძნდა და ვფიქრობ, საქართველოს სათეატრო ხელოვნებისთვის უმთავრესი საფესტივალო პროგრამა. ეს ფაქტი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა, მიხეილ გორგაძემ და თბილისის ვიცე-მერმა ნინო ხატისკაცმაც აღნიშეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში პროგრამის წარდგინებისას (05.10..16).

წელს ქართული სპექტაკლების პროგრამას - 50-ზე მეტი სტუმარი (სათეატრო ექსპერტი) ეწვია: საფრანგეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, ისრაელიდან, ნორვეგიიდან, ინდოეთიდან, ირანიდან, ყაზახეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ბელორუსიდან, პოლონეთიდან, ესტონეთიდან, ბელგიდან, ავსტრიიდან, ლიტვიდან, თურქეთიდან, საბერძნეთიდან. მათ შორის: ანიეს ტროლი - ავინიონის ფესტივალის (*Festival D'Avignon*) მხატვრული პროგრამების დირექტორი; დიდი ტიბო - ევროპაშირის ფესტივალის „ქარების გვირგვინი“ (*La Rose Des Vents*) გენერალურ და მხატვრული დირექტორი; მარი სორბი - ფესტივალების მიმომხილველი გაზეთის (1/0 Gazette) მთავარი რედაქტორი; პიტერ სპულერი - კარლსრუეს თეატრის (*Badisches Staatstheater Karlsruhe*) სამხატვრო ხელმძღვანელი; მიშელ დევიდი - ბერლინის დოიჩე თეატრის (DT) სამხატვრო დირექტორი; ებერჰაუდ ვაგნერი - გერმანიიდან, ინტერნაციონალური სათეატრო ინსტიტუტის წარმომადგენელი; რუზე კრეგუდატე - ლიტვის მუსიკისა და თეატრის აკადემიის ლექტორი, „ხელოვნება და სამეცნიერო ლაბორატორიის“ დამფუძნებელი (*Lithuanian academy of music and theatre/Arts & Science Lab*); პიეტრო ვალენტი - ემილია რომანას სათეატრო ფონდის (*Emilia RomagnaTeatro Fondazione*, ლევან წულაძის „შექლილის წერილების“ თანადამფინანსებელი, თანაპროდიუსერი, კოპროდუქციის იტალიური მხარე) - წარმომადგენელი იტალიიდან; ჰაკან სილაპასიზოგლუ - ატრა ფესტივალის (*Atta Festival*) დამფუძნებელი, პროდიუსერი და მრავალი სხვა. ვფიქრობ, ეს სახელები და გვარები უკვე ბევრის მთემელია. უპირველეს ყოვლისა, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის საორგანიზაციის ჯგუფი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართული სათეატრო ხელოვნების პოპულარიზაციასა და საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანას.

ამასვე მეტყველებს 2009-2015 წლების მშრალი სტატისტიკური მონაცემებიც: ქართული პროგრამის ფარგლებში ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა - 250; მსოფლიოს სხვადასხვა კუთხით ჩამოსული სტუმრების რაოდენობა - 385.

რამდენიმე წელია ქართულ პროგრამაში წარსადგენ სპექტაკლებს ქართველი სათეატრო კრიტიკოსები უწევენ რეკომენდაციას. წელს ქართველ ექსპერტთა (5 კრიტიკოსი) ჯგუფი თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის საბჭომ დაასახელა. მათ შორის მეც გახლდით. გვქონდა რამდენიმე შეერება, აზრთა გაზიარება, კამათიც. ამა თუ იმ სპექტაკლის რეკომენდებულთა სიაში მოხვედრას ხმათა უმრავლესობა წყვეტდა. საბოლოოდ, უცხოელი, პროფესიონალი სტუმრებისთვის წარსადგენად 12 სპექტაკლი ავარჩიეთ. უნდა აღვნიშნო, რომ რიგით მეთერთმეტე და

მეთორმეტე წარმოდგენების სიაში მოხვედრა ფოთის რეგიონული თეატრების ფესტივალის დამსახურებაა. სწორედ იქ ვნახეთ ქუთაისისა და ჭიათურის თეატრების კოპროდუქცია: ორაკლი სამსონაძის პიესის მიხედვით, გიორგი შალუტაშვილის დადგმული - „მეთვეზე ერთი, ორი...“, დავით რომიშვილისა და გიორგი ჩახანიძის მაღალი პროფესიონალიზმით შექმნილი პერსონაჟებით. და, ასევე, ამავე ფესტივალის დახურვაზე წარმოდგენილი, პენრის იბსენის „ხალხის მტერი“, დავით მლებრიშვილის რეჟისურით, თამარ ხოიკიანის სცენოგრაფიით, გია სურმავას თომას სტკომანით. ორივე სპექტაკლი, სხვადასხვა მიზეზთა გამო, აღარ, არასდროს დამავიწყდება...

აქვე აღვნიშნავ, რომ წელს ქართულ პროგრამაში ცვლილებები მოხდა. ბუკლეტის პროგრამაში გამოცხადებული სპექტაკლებიდან ზოგიერთი შეიცვალა, ზოგიც ამოვარდა. მართალია, ორგანიზატორებმა უცხოელებისთვის Georgian Showcase-ის წარდგინების დღეს სტუმრებსა და ქართველ კრიტიკოსებს დახახედრეს ფურცლებზე ამობეჭდილი ცვლილებები, „მაგრამ... მაგრამ... მაგრამ...“ ვფიქრობ, ასეთი რაზე აღარ უნდა განმეორდეს. მით უმეტეს, როდესაც ცვლილება რეკომენდებულ სპექტაკლს ეხება. მაგალითად, დავით დოიაშვილის - „ცხოვრება იდიოტისა“ - მაგივრად მუსიკისა და დრამის თეატრმა დაუგეგმავი პრემიერა ითამაშა. მართალია, სტუმრებს სულ ახალი (და ამბობენ, მაღალი მხატვრული დონის), ირლანდიელი დრამატურგის მარტინ მაკდონას, მანანა ან-თაძის პროფესულად თარგმნილი, დავით დოიაშვილის დადგმული „ბალშის კაცუნა“ უჩვენეს, მაგრამ მანც...

ასევე, კატალოგში გამოცხადებული პროგრამიდან სამი საპრემიერო სპექტაკლი ამოვარდა: გორა კაპანაძის „კვაჭი“ (ივანე მაჩაბელის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრი); გიორგი სიხარულიძის „რევიზორი“ (ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრი); გაბრიელ (გაგა გომაძის) „წმინდა ანტუანის სასწაული“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (ილიაუნის) თეატრი. რა თქმა უნდა, სხვადასხვა მიზეზთა ვფიქრობ, ეს თეატრების უპასუხისმგებლობის ბრალია და არა ორგანიზატორებს. ძალიან გამიკვირდა და გული დამწყდა, როდესაც გავიგე, რომ გიორგი სიხარულიძემ, ქართული პროფესიული კრიტიკისგან შექებული „რევიზორი“ არ უჩვენა უცხოელ ექსპერტებსა და თბილისელ მაყურებელს (მიზეზი არ გამომიკვლევა). ილიაუნის თეატრმა პრემიერა მსახიობის ავადმყოფობის გამო გადადო. ცხინვალის თეატრის ამბავი, მართალი გითხრათ, არ ვიცი... ალბათ, უკეთესი იქნება, რომ საორგანიზაციო ჯგუფმა გარკვეული, დანერგებული თარიღის შემდეგ, საპრემიერო სპექტაკლები აღარ შეიტანოს კატალოგში... თეატრები კი, მეტი ჰასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ფესტივალის ქართულ პროგრამაში წარდგინებას... აქვე აღვნიშნავ, რომ საფესტივალი ვებგვერდზე - <http://www.tbilisiinternational.com/ge/program/georgian-showcase-program> - ყველაფერი სწორადაა მოწოდებული, აქაც, მხოლოდ დავით დოიაშვილის არც რეკომენდებული და არც საპრემიერო სპექტაკლი არ ასახულა.

რეკომენდებული სპექტაკლების სია ასე გამოიყენება (ჩამონათვალი რიცხვების, დღეების მიხედვითა): „მეთვეზე ერთი, ორი...“, ქუთაისისა და ჭიათურის თეატრების ერთობლივი ნამუშევარი - (04.10.16); „სტუმარ-მასპინძელი“, ახმეტელის თეატრი - (05.10.16); „13 თიბათვისა“, გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი; „წუხილი“, დამოუკიდებელი პროექტი; „ხალხის მტერი“, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი; „მოხუცი ქალის ვიზიტი“, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული პროფესიული თეატრი; - (06.10.16) „შელის ნუკრის ნაამბობი“, ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული პროფესიული თეატრი; „Begalut - უცხოობაში“, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული პროფესიული თეატრი; „მეცე ლირი“, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კიონმასახიობთა თეატრი; - (07.10.16) „ხომ ხოცავენ ქანცგანვეტილ ცხენებს“, თავისუფალი თეატრი; „დაკანონებული უკანონობა“, შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული პროფესიული თეატრი; „Begalut - უცხოობაში“, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული პროფესიული თეატრი; - (08.10.16). ახლა საპრემიერო ჩვენებებს გადავავლოთ თვალი: „მარჯვენა მარცხენა მაღალ ქუსლებზე“, კოპროდუქცია, პოლონეთი-საქართველო, პოლონერი ცენტრი „ასიტეში“ და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული პროფესიული თეატრი; „აურზაური არაფრის გამო“, ნოდარ ღუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი; „კატარინა ბლუმის შელახული ღირსება“, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული პროფესიული თეატრი - (04.10.16); „აურზაური არაფრის გამო“, ნოდარ ღუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი; „კატარინა ბლუმის შელახული ღირსება“, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული პროფესიული თეატრი; „პრომეთე / დამოუკიდებლობის 25 წელი“, სამეფო უბნის თეატრი - (06.10.16); „შემშილის ღმერთი“, დამოუკიდებელი პროექტი; გამოუქვეყნებელი ნოველა, გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი; „ქარიშხალი“, კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი - (07.10.16); „პრომეთე / დამოუკიდებლობის 25 წელი“, სამეფო უბნის თეატრი; „ქარიშხალი“, კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი - (08.10.16). სულ: 19 სპექტაკლი, აქედან 11, რეკომენდებული, 7 პრემიერა და ერთი, სპეციალური სტუმრის სტატუსით: „მარშალ დე

ფუნქციეს ბრილიანტი“, გაბრიაძის თეატრი - (05.10.16).

თვალის ერთი გადავლებითაც კარგად ჩანს, რომ პირველი ორი დღე არაა დატვირთული. პირველ და მეორე დღეს უზენეს 4-4 სპექტაკლი, აქედან თითო, რეკომენდებული („მეტევზე, ერთი, ორი...“, „სტუმარ-მასპინძელი“) და 3-3 პრემიერა; მესამე დღეს 5 წარმოდგენა, აქედან ერთი პრემიერა და 4 რეკომენდებული („13 თიბათვისა“, „ნუზილი“, „ხალხის მტერი“, „მოხუცი ქალის ვიზიტი“); მეოთხე დღეს 5 სპექტაკლი წარმოადგინეს: აქედან სამი რეკომენდებული („შვლის ნუკრის ნამბობი“, „Begalut - უცხოობაში“, „მეფე ლირი“) და ორი პრემიერა; მეხუთე დღესაც 5 წარმოდგენა გაიმართა, აქედან 3 რეკომენდებული („ხომ ხოკავენ ქანცგან ყვეტილ ცხენებს“, „დაკანონებული უკანონობა“, „Begalut - უცხოობაში“) და 2 საპრემიერო.

ნათელია, რომ წინა წლებთან შედარებით (ბოლო 2-3 წლს არ ვგულისხმობ), პროგრესი სახეზეა. უცხოელი ექსპერტებისთვის შეთვაზებული სპექტაკლების რიცხვმა საგრძნობლად იყლო. ეს, რა თქმა უნდა, იმაზე მეტყველებს, რომ საორგანიზაციო ჯგუფის მუშაობა ქართულ პროგრამაზე დაიხვენა და გაუმჯობესდა. არ შეიძლება (ფიზიკურადაც შეუძლებელია) 40-50 სპექტაკლის 4-5 დღეში წარდგენა და, მით უმეტეს, ნახვა. აუცილებელად და სწორი ნაბიჯი იყო პროფესიული კრიტიკოსებისგან შემდგარი ჯგუფის შექმნა, რომელიც მიუკერძოებლად არჩევს სპექტაკლებს საქართველოს მასშტაბით. ამის დასტურია ფაქტი, რომ შარშანაც და წელსაც რეგიონული თეატრების წარმოდგენები რეკომენდებულთა სიაში მოხვდა. წელს - ფოთისა და ზუგდიდის თეატრების წარმანის წარმოდგენები, შარშან - თელავის, ქუთაისის, ფოთისა და სოხუმის.

მინდა საორგანიზაციო ჯგუფს მოკრძალებულად ვურჩიო - მომავლისთვის საქართველოს თეატრების მიმართ კიდევ უფრო მეტი „სიმკაცრე“ გამოიჩინოს. პრემიერები წარსადგენ სიაში იმ შემთხვევაში შეიყვანოს, თუ დარწმუნდება, რომ ნამდვილად შედგება (ორგანიზატორებმა აგვისტოს ბოლოს, სექტემბრის დასაწყისში მოითხოვონ ნამუშევრის, თუნდაც დაუსრულებელის, ჩვენება). ჩვენებები უფრო კარგად გადაანილონ. რატომ იყო ბოლო ორ დღეს ამდენი სპექტაკლი? რა საჭირო იყო პროგრამაში უკვე ნათამაშები პრემიერების ხელმინრედ შეტანა? ანდა რეკომენდებული სპექტაკლების ბოლო 2 დღეში მიჯრით მიწყობა და დროის თვალსაზრისით გადაფარვა?

და, კიდევ ერთი. წელს სარეკომენდაციო ჯგუფმა (ლელა ოჩიაური, ლაშა ჩხარტიშვილი, თამარ ბოკუჩავა, დავით ბუხერიკიძე, მაკა ვასაძე), შეიძლება ითქვას, ერთხმად, „წელში გამართულებმა“ მივეცით რეკომენდაცია ზემოთ ჩამოთვლილ თითქმის ყველა სპექტაკლს, განსაკუთრებით კი გამოვყავით საქართველოს თეატრების წლევანდელი სეზონის 2 საუკეთესო სპექტაკლი: რობერტ სტურუას „დაკანონებული უკანონობა“ და ლევან წულაძის „Begalut - უცხოობაში“. რატომ ათამაშეთ რუსთაველის, მარჯანიშვილის, თავისუფალი და სამეფო უბნის თეატრებს სპექტაკლები ბოლო დღეს და თახაც ერთმანეთის გადაფარვით?

ჩვენ, კრიტიკოსებმა კი უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა ავიღოთ საკუთარ თავზე, ვიყოთ უფრო პრინციპულები, უფრო მეტად უნდა შევიყვაროთ ჩვენი საქმე, არ გვიჭირდეს იმის აღიარება რაც კარგია და პირდაპირ შეგვეძლოს თქმა რა არის ცუდი. და, რაც მთავარია, უნდა შევძლოთ, უნდა დავძლიოთ „კლანურობა“ და „მიკერძოებულობა“. ბიუექტურად შეფასების უხარი არ უნდა დაუკარგოთ. კერძო, პირდადი ურთიერთობები არ უნდა საზღვრავდეს სპექტაკლის ავ-კარგიანობას... ვიცი, ძნელია, ძალიან ძნელი, მაგრამ... საჭირო და აუცილებელი. გასაგებია, რომ საქართველოში ვცხოვრობთ, ყველა ერთმანეთის მეგობარი ან ნათესავია, მაგრამ... წესრიგი და კანონი ყველამ ერთნაირად უნდა დავიცვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ცრუ თანაღმობა“, მხოლოდ ჩვენს საერთო საქმეს, საერთო სიყვარულს - საქართველოს სათეატრო ხელოვნებას - დააზიანებს და არ წაადგება...

რეკომენდებული და საპრემიერო სპექტაკლების შესახებ მოსაზრებებსა და შეფასებებს უურნალის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

გჟეგოზ ბრალის

სიმღერები

და

აროტრეტები

ლელა ოჩიაური



პირველად 2 წლის წინ ვნახეთ. ვნახეთ და მოვუსმინეთ და მიყიდეთ ერთ-ერთი ძლიერი და ემოციურად დაუკინწყარი შთაბეჭდილება, რომელიც თეატრის, რეჟისორის, მსახიობების შესაძლებლობების გამოყენების ახალ და მოულოდნელ სფეროებს გაცნობს. რომელიც გიჩვენებს, თურმე კიდევ რა შეუძლია თეატრს და როგორ იყენებს ამ საშუალებებს, რომელიც გაგრძნობინებს, განგაცდევინებს, გაღელვებს იმ მუსიკასავით, რომელიც ოდესლაც და ბევრგან აღელვებდა ადამიანებს, ოდესლაც არსებობდა და დღეს ახალი შედერადობა შეიძინა. იმ ცეკვებით - გრძნობების უკიდურეს დააბულობას რომ გამოხატავენ და ნაცნობ ამბავს ახალი ენით გიყვებიან. იმ სიმღერებივით, რომლებიც საუკუნებია გაისმის მაშინ, როდესაც სამყარო იხლიჩება, ირლვევა და ადამიანები ყველაფერს კარგავენ. მაშინ, როდესაც „მეფე ლირს“ „მეფე ლირის სიმღერებით“ გიამბობენ. როდესაც შექსპირის „მეფე ლირს“ მჭედოშერალი და მისი კომპანია „თხის სიმღერა“ წარმოგიდენა.

შემდეგ აღარც გვჯეროდა, თუ ეს შეხვედრა საქართველოში ოდესმე განმეორდებოდა. ვთიქირობდით, ვიხსენებდით, ჩანაწერებს ვნახულობდით და კვლავ ვიზენებდით პოლონელებს ვროცლავიდან. და ისინი მოულოდნელად კვლავ ჩამოვიდნენ და კვლავ ახალი სამყარო აღმოგვაჩინების. ახლებურად და თავიდან დაგვანახეს ის, რაც ვიცოდით და რაც ბევრჯერ, სხვისი გვენახა. ამჯერად ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბალით“ – „ალუბლის ბალის პორტრეტებით“ – კვლავ გუეგოუ ბრალის განუმეორებელი ვერსიით.

ჩამოვიდნენ მაშინაც და ახლაც თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. არა ერთ სხვა, ღირებულ, მნიშვნელოვან, მსოფლიოში სახელგანთქმულ დასებთან ერთად და მათ შორისაც კი, განსაკუთრებული, თავისთავადი, გრძნობებზე, შეგრძნებებზე (რომელიც ყველას საერთო და ერთმანეთთან დამაკავშირებელი გვეკვეს) ანყობილი სანახაობით დაგვაჯილდოვეს. დაგვაჯილდოვეს იმ უთემელი და გაუბედავი მოლოდინისთვის, რომელიც გვეგონა, მხოლოდ ოცნება იყო და აგვიხდა.

„ალუბლის ბალის პორტრეტები“ (რომელიც ჩეხოვის პიესის მხოლოდ მესამე, ბოლო აქტის - გამოსათხოვარი წვეულების - გუეგოუ ბრალი-სეული ვარიაცია), როგორც „ლირის სიმღერები“ 2 წლის წინ, სამეფო უბნის თეატრში წარმოადგინეს. მისი სცენა და დარბაზის სივრცე დამსხვრეული იღუზიების, სასოწარკვეთილი ადამიანების, დაკარგული ბაეშეების, უსიყვარულობისა და უფეხუნეციობის ამსახველ ვოკალურ-პლასტიკურ-მუსიკალურ დრამად იქცა, რომელიც ყველა თავის პარტიას ასრულებს, ყველა საკუთარ პრობლემებს აზიარებს საერთო გუნდიდან გამოყოფილია და მიკროფონთან განმარტოებით. პრობლემების, რომლებიც თვითონვე შეიერთება შეუბრალებელი სამყაროს პირისპირ დგომისას და არაფერი გააკეთეს საკუთარი თავისა თუ სხვა ადამიანის - იღუზორული და სამუდამოდ დაკარგული ალუბლის ბალის - გადასარჩენად.

სპექტაკლის შემდეგ გუეგოუ ბრალმა მაყურებელთან შეხვედრა გაახრთა და ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი თემა და პრობლემა წამოჭრა საუბრისას. ეს საუბარი და მონათხრობი ისეთივე ხარისხისა და მასშტაბის აღმოჩნდა, ისეთივე მრავლისმომცველი და მრავალფეროვანი, როგორც მისი სპექტაკლები, რომლებსაც ერთი და მნიშვნელოვანი მიზანი აქვთ - ააღელვონ ადამიანები და მათში წამდვილი და არა ყალბი გრძნობები აღძრან. გაახსენონ ის, რომ ოდესლაც ყველაფერი სხვანაირად იყო და ალუბლები ყვაოდნენ. რომ მიწა, რომელზეც საზოგადოება ცხოვრობდა, სიცოცხლეს ატარებდა და უგულობისა და განშორებებისგან გვიცავდა. რომ მუსიკა, სიმღერა, უსიტი, მოძრაობა სიტყვაზე არანაკლებ გამომსახუებისა და რომ მთავარია არა ფიქრი და ქმედება, არამედ გრძნობა და განცდა, რადგან მხოლოდ გრძნობას შეუძლია იყოს მართალი და სელჩასაჭიდი მაშინ, როდესაც სხვა ყველაფერი უკვე გამერალია.

გუეგოუ ბრალთან ინტერვიუ უშუალოდ შემოქმედებით საკითხებზე მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ საუბარმა გეზი წანილობრივ იცვალდა არეალიც გაფართოვდა, რითაც რეჟისორის

ინტერესების სხვა სფეროებიც, პიროვნული და მოქალაქეობრივი პოზიცია და ადამიანებზე, სამყაროზე, ომსა და მშვიდობაზე მისი ფიქრები და წუხილები გამოიკვეთა. ხელოვანის, რომელიც არა მხოლოდ ფიქრობს და წუხს, არამედ მოქმედებს, დგამს, მოგზაურობს, ხალხს ხვდება, ასწავლის, ფესტივალებს ატარებს, ქველმოქმედებს - ყოველგვარი პაოეტიკის გარეშე - კულტურების, ერების, საზოგადოებრივის სულიერების გადასარჩენად. მისი - ერთი კაცის ხმა, ცარიელ და უგულო სამყაროში ისმის, როგორც პოლიფონიური მუსიკა. როგორც ემოციური და მძაფრად ჟღერადი სიმღერა.

— როგორ და რის საფუძველზე შეიქმნა კომპანია „თხის სიმღერა“? რა მეთოდით მუშაობს. გუშინდელ შეხვედრაზე ასევე საუბრობდით სხვა აქტივობებზე, რომელსაც მისდევთ. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ კვითხველსაც მოუყვეთ ამის შესახებ.

— 1996 წელს მე და ჩემი რამდენიმე კოლეგა ვროცლავში, გროტოსკესის ინსტიტუტში, 19 ახალგაზრდა, ძალიან ახალგაზრდა გამოიცდელი მსახიობისთვის, ვორქშოუების ჩასატარებლად მიგვიწვიერს. იმ წელს გროტოსკემ ნება დართო ინსტიტუტის, თავისი მეთოდის მიმდევრებს, რომ მისი თეატრალური ლაბორატორიის სივრცე არტისტებს რეზიდენტურისთვის გამოიყენებინათ. თვითონ გროტოსკე იმ პერიოდში უკვე იგალიოში იყო და ქმნიდა კომპანიას, სადაც 1999 წლამდე, გარდაცვალებამდე მუშაობდა.

ჩვენ 3 თვე ვიმუშავეთ ევრიპიდეს „ბაკე ქალებზე“ და გავაკეთეთ რაღაც პრეზენტაციის მსავაგსი. იმ წელს დავდგით ჩვენი პროექტი სპექტაკლი, რომელსაც „თხის სიმღერა“ ვუწოდეთ. როდესაც წარმოდგენა მზად იყო, ბევრმა გვითხრა - „უნდა გააგრძელოთ. უნდა გააგრძელოთ, როგორც თეატრის ხელმძღვანელმა, რადგან თქვენ უკვე გაქვთ თეატრი“. თუმცა მანამდე, 1993 წელს შევხვდი ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან ადამიანს - ეს იყო ჩემი ტიპეტელი მასნავლებელი. ჩვენ გვქონდა გარკვეული მედიტაციური პრაქტიკა, რომლის დროსაც მეკითხებოდა, რას ვაკეთებდი პირად ცხოვრებაში. ერთხელ ვუამბე, რომ მანამდე ვმუშაობდი თეატრალურ კომპანიაში, მაგრამ მაშინ უკვე გაჩრენდებული ვიყავი, რომ ვიყავი უმუშევარი და მან მითხრა: „მომავალში შენ შექმნი თეატრს და მე დაეხმარები“. ამდენად, 1993 წელს ჩემმა მასნავლებელმა დამინიჭი სხვადასხვა სხვადასხვა რჩევის მოცემა, თუ როგორ მემუშავა ადამიანებთან ამ მიმართულებით. რომ ეს არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ თეატრი, არამედ ვარჯიშიც. საინტერესო ვარჯიში და ეს ტრენინგები იყო დასაწყისი, გამეგო, რომ, ყველაფერი ცხოვრებაში ურთიერთგადაბმულა. არაფერი არსებობს დამოუკიდებლად. რომ ყველაფერი ყოველთვის გადაჯაჭვულია.

თუ თქვენ ცხოვრებას დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ ესაა საგნების მუდმივი კავშირის ცვლილება, სადაც არაფერია მუდივი, არაფე-

რია უსასრულო, მაგრამ ყველაფერი უწყვეტად რაღაცა უკავშირდება.

ეს იყო პირველი, რისი პრაქტიკაში გამოყენება და დამუშავება დავიწყე, როგორც ქმედითი გამოცდილების - სცენაზე ყველაფერი დაკავშირდებულია - მუსიკა, რიტმი, პლასტიკა, ტექსტი, წარმოსახვა, ენერგია და ა.შ. და ა.შ.

მოკლედ, ჩემთვის ყველაფერი რეალურად დაიწო 1996 წელს, იმ პირველი პროდუქციით და მას შემდეგ, უკვე 20 წელია ვამუშავებ კომპანიას, ვემი ახალ წარმოდგენებს... მაგრამ, როგორც იცით, ჩემი საქმიანობა არაა მხოლოდ სპექტაკლები. ჩვენ ასევე ბევრს ვმოგზაურობთ. ზოგჯერ 3-თვიან ტურნეს ვაწყობთ ამერიკში, ლონდონში, კოლუმბიაში... ჩამოვდივართ თბილისში. ვასნავლით ბევრს. ალბამ (ალიშა ბრალი - გუეგოუ ბრალის მეუღლე). პედაგოგი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. ლ.ო.), გახსნა და ხელმძღვანელობს ჩვენ სამსახიობის სკოლას ლონდონში.

ვატარებ ძალიან დიდ ფესტივალს „ბრეივ ფესტივალს“, რომელზეც თავს ვუყრი მარგინალურებულ კულტურებს მსოფლიოდან. და ვახორციელებ მერიე და ძალიან მნიშვნელოვან პროექტს - „ბრეივ ქიდას“, რომელზეც ასევე ჩამომყავს ნიჭიერი ბავშვები მთელი მსოფლიოდან, რომ ერთად ვიმუშაოთ, დავმეგობრდეთ, ერთად დავდგათ სპექტაკლები. და ასევე ბევრს ვმუშაობთ ქველმოქმედებისთვის - ვეხმარებით უსახლკარო ადამიანებს, ვეხმარებით სოციალურად დაუცველ ბავშვებს, ჩვენი შემოსავლის დიდი ნაწილი მიდის ტიპეტელი ბავშვების განათლების ხელშესაწყობად.

ასე რომ, ჩემი თეატრი და სანიციატივო პირველი იდეა, რომ ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია, მოდის ჩემი ტიპეტელი მასნავლებლისგან, რის საფუძველზეც უფრო ფართოდ გაიშალა სხვადასხვა ტიპის აქტივობები. აი, ესაა ჩემი საქმიანობის 20 წელი. ახალი პროექტები კი წინ გვაქვს.

— გუშინ, სპექტაკლის შემდეგ თქვენ ასევე ისაუბრეთ მომაკვდავ, გაერობის პირას მისული ერების, კულტურების გადარჩენის აუცილებლობაზე. ფესტივალი „ბრეივ“ სწორედ ამ მიზანს ემსახურება. არის რეალურად შესაძლებელი და როგორ შეიძლება მომაკვდავი კულტურების გადარჩენა?

— მე არ ვიცა, როგორ შეიძლება მომაკვდავი კულტურების გადარჩენა, მაგრამ შემიძლია გითხრათ, როგორ ჭედავა ამას.

კულტურის გადარჩენა დღეს, ვფიქრობ, რთულია, მაგრამ პირებურად თუ ვიტყვი, ფულის მოხვეჭის დემონი იმდენად დიდია, რომ უმანეობა რეალურად ვერ გადარჩება. ინდუსტრიის, ფულის, ბანკების, არმიის, ძალადობის ძალა იმდენად დიდია, რომ ამ პატარა კულტურებს (და მათი რიცხვი მსოფლიოში ათასობითა), არა აქვთ გადარჩენის შანსი.

ამ დემონების დასამარცხებლად, სამწუხაროდ, ისაა, რისი გაკეთებაც თითოეულ ჩვენგანს მხოლოდ ინდივიდუალურად შეუძლია. მე ვერ

შევებრძოლები საპანკო სისტემას, ვერ შევებრძოლები კორპორაციებს, ვერ შევებრძოლები რუსეთის, ჩინეთისა თუ რომელიმე სხვა ხელის-უფლებას, მაგრამ, რაც ძალმიძს, შემიძლია საკუთარ დემონებს ვებრძოლო.

უპირველესად, ვფიქრობ, რომ პატარა კულტურები და გაქრობის პირას მყოფი ერები უნდა გაერთიანდები. და დიახ, ესაა, რასაც ვცდილობ „ბრეივ ფესტივალით“ - ადამიანების შეერებით მათ გადარჩენას. პატარა თემები უნდა გაერთიანდები, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მაგრამ არა პოლიტიკური, არამედ კულტურების გაერთიანებით. პოლიტიკური, სინამდვილეში არ არიან კულტურების გაერთიანებით დაინტერესებული და ამდენად, ისინი გადარჩენას არ უწყობენ ხელს.

ინდოეთის ხელისუფლებამ ორგანიზება გაუკეთა და შექმნა - ხელოვნების მფარველობის ფოკუმენტი. ეს კარგი ნაბიჯია და ნიშნავს, რომ სახელმწიფო ზრუნავს კულტურაზე. თუმცა, არსებობს ბევრი სხვა კულტურა, მაგალითად, როგორიცაა ტიბეტური - ტიბეტში - ჰიმალაებში - მთავრობა მას არ იცავს. არ იცავს ტიბეტურ ტრადიციებს. არის სხვა ქვეყნებიც, სადაც ხელისუფლება არ მფარველის ტრადიციებს, კულტურას. პოლონეთის ჩათვლით. პოლონეთს ათასობით ტრადიცია აქვს, რომელიც მეც მახსოვს, რომლებიც ჩემ ახალგაზრდობაში, ჯერ კიდევ არსებობდა და ახლა მათგან აღარაფერია შემორჩენილი.

ტრადიციები იყარგება და ჩვენც ვეკარგავთ ჩვენ წეს-ჩევულებებს, იდენტურობას. ჩვენი იდენტურება ევროგაერთიანებად იქცა და იქცა ბაზრობად. ევროკავშირი დიდი ბაზრობაა. ვხედავ, რომ ქართველ ხალხს ევროგაერთიანებაში უნდა შესვლა და მინდა გაგაფრთხილოთ, რომ თქვენც ბაზრობად იქცევით და თქვენი თავის-თავადობა გაქრება. ევროკავშირი ესაა ფული და არა, ვთქვათ, თქვენი საკებები. მე და ალიშა ბევრს ვმოგზაურობთ მსოფლიოში და მხოლოდ თქვენ გაქვთ კარგი პროდუქტები. მხოლოდ საქართველოში გავსინჯეთ ნამდვილი პომიდორი, ნამდვილი ხილი, ნამდვილი რძე, ნამდვილი ქლიავი. ჩვენ ნამყოფები ვართ მსოფლიოს ყველა დიდ დედაქალაქში და ნამდვილი საჭმელი არსად გვისხნავს. და გაფრთხილებთ, თუ თქვენ ევროკავშირის წევრი გახდებით, საკუთარ თავს დაკარგავთ.

ეკონომიკურად შეიძლება გქონდეთ შენობები, გზები, მეტი ფული კულტურისთვის, მაგრამ თავისთავადობა აღარ გექნებათ. მე გპირდებით. ესაა, რაც მოხდა ყველა ევროპულ ქვეყანაში. ვიცი, ჩემი არ გჯერათ, მაგრამ ჩვენ ეს გავიარეთ პოლონეთში და ვხედავ - ჩვენ გვაქვს ბევრად მეტი ფინანსები, მაგრამ მეტად ნაკლები სულიერება.

რამდენი ხანი შეიძლება აიღო სისხლი ჩემი სხეულიდან, სანამ მოკვდები? რამდენი ხანი შეიძლება ამოიღო ნავთობი, მინერალები ან ნებისმიერი ნიაღლისული, სანამ დედამიწა ცოცხალია? გუშინ წავიკითხე ინტერნეტში,

რომ ფუტკრები ნადგურდებიან. იცით, ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს, რომ აღარ იქნებიან ფუტკრები და აღარ იქნება ვაშლი, ატამი, ალუბალი, ყავილები, ხეები - აღარაფერი, თუ ჩვენ ფუტკრებს დავკარგავთ. აი, ესაა ევროკავშირი.

რამდენ ხანს იცოცხლებთ, თუ ღვიძლს ამოგაცლიან? გულს ამოგგლეჯენ სხეულიდან? ეს ერთი და იგივეა.

კულტურები, მცირე ერები, ადამიანები შეიძლება მხოლოდ მაშინ გადარჩენენ, თუ გაერთიანდებიან. და შექმნიან სამყაროს, რომელიც მათ ყველას დაიცავს. და ასე ხელჩაჭიდებულები იტყვიან - ჩვენ დაცვა გვჭირდება, რადგან ჩვენი ფასეულობები უხილავია, მაგრამ აქვს სული, თქვენი კი ხილული, მაგრამ სული არა აქვს. რა არის უფრო მნიშვნელოვანი - ფული, რომელსაც ხედავ, თუ - თანადგომა, რომელსაც ვრძნობ?

და მე ვფიქრობ, რომ სამყაროს მეტი თანაგრძნობა სჭირდება, ჩვენ, ყველას გვჭირდება მეტი თანაგრძნობა. არ გვჭირდება მეტი ფული. ჩვენ გვაქვს მეტი ფული და ნაკლები - სულიერება.

მეორე საკითხია - კულტურის მფარველობას ხმა უნდა მისცენ - ურნალისტებმა, პრომოუტერებმა, აგნტებმა, თეატრებმა, შემოქმედებებმა, ფესტივალებმა. ადამიანებს უნდა მისცენ ხმის უფლება. უნდა მისცენ უფლება - ილაპარაკონ, უფლება უნდა მისცენ - იმღერონ, იცეკვონ, დაუკრან, აჩვენონ საკუთარი რიტუალები, მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნებით. ძალიან ბევრმა ადამიანმა უნდა მიიღოს განათლება, მიიღოს ცოდნა. ჩვენ უნდა ვასწავლოთ ჩვენ ბავშვებს, რომ ტრადიციები გააგრძელონ.

თქვენ აკეთებთ ამას საქართველოში. თქვენი ბავშვები! მე ვნახე გუშინ ბავშვები, რომლებიც უკავენ, ცეკვავენ, მღერიან - მსოფლიოს მომავლისთვის. მართლა!

— რა მიზნით ნახეთ ეს ბავშვები?

— ვფიქრობ, მესამე ელემენტია - ბავშვების განათლება, კულტურის მფარველობა და ხელშეწყობა. თუ ბავშვები შეინარჩუნებენ კულტურას, ეს ჩვენთვის პატარა იმედი იქნება. მაგრამ ჩვენ გვჭირდება, რომ ბავშვები შეხვდენ სხვა ბავშვებს, რადგან ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანები ტოლერანტულები უნდა იყვნენ. არ ვიცი, როგორ! ძალაში ზრდასრულთავის რთულია იყვნენ შემწინარებლები. ბავშვებისთვის ეს არაფერია. ბავშვები ბუნებრივად ტოლერანტულები არიან.

ჩვენ არ უნდა შევცვალოთ ბავშვები, ჩვენ უნდა შევცვალოთ უფროსები. მაგრამ ეს შეუძლებელია. ვერავინ შემცვლის მე, მე ვერ შეგცვლით თქვენ. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ბავშვებს ნება დავრთოთ, ითამაშონ სხვა კულტურების ბავშვებთან, იმეგობრონ, რადგან მათ ბუნებრივად შეუძლიათ შეცვალონ ერთმანეთი, მათ ბუნებრივად შეუძლიათ იყვნენ ტოლერანტულები. ისინი ნამდვილად ქმნან ღიაობას და ა.შ.

ჩვენ შეგვიძლია გავუკეთოთ ბავშვებს კარგი ზურგი, კარგი საფუძველი. რაც მათ შეუძლიათ,

უფროსებს არ შეუძლიათ. რომ შეეძლოთ, მსოფლიო უფრო მშვიდობიანი იქნებოდა.

გუშინ ბავშვების ჯგუფმა სცენაზე, პატარა ინტერიუ მოგვცა. და მე ვეთხე, რას ფიქრობენ, რა არის მათვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი. და ერთმა გოგომ მიპასუხა, რამაც ძალიან გამაოცა და გამაბეჭდნიერა - „ჩვენ შევხვდით, რომ ერთმანეთის ვიწნებულოთ, რადგან ჩვენ ეს გვჭირდება, რადგან ერთმანეთის რწმენა დავკარგეთ. როდესაც დედაჩემი მეუბნება, რომ ყველას ნუ ვენდობა, ჩვენ ვკარგავთ ერთმანეთის რწმენას - მაგრამ, რა ვქნა, როდესაც მინდა, რომ ერთმანეთის, ყველასი გვჯეროდეს?!”

რა მტკიცნეულია, როდესაც ბავშვები ამბობენ, რომ მათ არ ჯერათ უფროსების. რა შემამჟოთებელია, როდესაც ბავშვები გრძნობენ, რომ ჩვენი იმდი არა აქვთ!!! ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვემნით კონფლიქტს იმას შორის, რასაც ვეუბნებით და იმას, რასაც ვაკეთებთ. და ბავშვები ამას ხედავენ!

და ბეჭინიერი ვიყავი, როდესაც იმ გოგონაშ თქვა, რომ უნდა ყველასი სჯეროდეს, რომ არ უნდა აირჩიოს, ვისი სჯეროდეს და ვისი - არა, რადგან არ იცის, როგორ გააკეთოს არჩევანი. საიდან უნდა იცოდეს - მე უნდა დამიჯეროს თუ შენ? დამიჯეროს, თუ არ დამიჯეროს! ჩვენ უნდა მივცეთ ბავშვებს უფლება ერთმანეთის სწავლებით, რადგან ჩვენ აღარ ვენდობიან.

— სკექტაკლებში, რომლებიც თბილისში ჩამოიტანეთ, იყენებთ ბევრ სიმღერას, მუსიკას, ცეკვას, პლასტიკას და სიტყვას - დიალოგს თითქმის არა. საერთოდ ესაა, როგორც ვიცი, თქვენი თეატრი. და სიმღერა, ცეკვა, ჟესტი, მუსიკა არანაკლებ მძაფრად და ექსპრესიულად გამოხატავს ამბავსაც, სათქმელსაც, ხასიათსაც. რა არის ამ მეთონის, ასეთი ფორმის საფუძველი? როგორია თქვენი თეატრის კონცეფცია?

— მუშაობის ჩემი გზა მომდინარეობს იმის გაგებიდან, რომ ადამიანები ცხოვრებაში უამრავ სიტყვას იყენებენ, რაც არაფერს ნიშნავს. სიტყვას სამყაროში არის მხოლოდ სხვებთან საუბრის საშუალება და არა მოსმენის. ჩვენ დავკარგეთ მოსმენის ჩვევა. როდესაც ვამბობ - დავკარგეთ, ვგულისხმობ, რომ ყველაზე და მე ვაანალიზებ ამას.

მაგალითს გეტყვით. მოვისმინე ინტერვიუ, რომელშიც პრესული თანამდებობის პირი ქალი (მოხუცი იყო, ალბათ 80-ის) ამბობდა - „მე მასსოვს, როგორ ელაპარაკებოდნენ ხეები ერთმანეთს, როგორ გველაპარაკებოდნენ შედინარები. ბალახი სიტყვების ენერგიით გამოხატავდა თავის გრძნობებს. მე მასსოვს ეს დღეები. მაგრამ შემდგომ, რაც თვითმფრინავებმა და სხვა ტექნიკამ ბუნების მოწამვლა დაიწყეს, ხეები დადუმდნენ“.

ფილოსოფიაში ცნობილია, რომ რაღაც ხნის შემდეგ ენა ზიანდება. და რას ნიშნავს ენის დაზიანება? იმას, რომ სიტყვების ენერგია უარყოფით ძალად გარდაიქმნება.

მაგალითად, პოლიტიკოსები - ისინი იყენებენ

ლამაზ სიტყვებს, ცუდი მიზნებისთვის. მათ აქვთ მიზნები, ბიზნესი, დღის წესრიგი, რომლითაც პერსონალურად იბრძვიან ძალაუფლებისათვის და იყენებენ ენას, რომელიც გვესმის, მაგრამ ეს ენა არ ნიშნავს, რასაც ფიქრობენ. ასე რომ, ესაა კორუმპირებული სამყარო, რომლის ენა კორუმპირებულია.

დიდებულმა კინორეჟისორმა, პიერ-პაოლო პაზოლინიმ დაწერა რამდენიმე ესეს, თუ როგორ იქცა იტალიური ენა მთლიანად კორუმპირებულად.

ძველ საბერძნეთში ენა იყო იმის გამოხატულება, რასაც ადამიანები ფიქრობდნენ. არ არსებობდა განსხვავება, რასაც ამბობდნენ და რა სიტყვებს იყენებდნენ. თუ იტყოდნენ - მომწონხარ, ეს ყველასთვის ერთი და იგივეს ნიშნავდა. ჩვენ დრომი, როდესაც გეუბნებით - მომწონხარ! - გეუბნებით იმიტომ, რომ ბიზნესი მაქს.

როდესაც შედიხარ მაღაზიაში ლონდონში, ყველა გილიმის. მაგრამ ეს ღმილი არაა - მარკეტინგია. ესაა გზა, რომ უკეთ გაყიდო მეტი პროდუქტი. მაშინ, როდესაც უბრალო ღმილის არ გჯერა. შენ გაშლილი ხელებით გხვდებიან, მაგრამ ეს არაა გაშლილი ხელებით ნამდვილი შეხვედრა. მარკეტინგია. შემიძლია სხვა მაგალითი მოგიყვანოთ, რომ, რასაც ადამიანები ამბობენ, რასაც ადამიანები აკეთებენ - არ ნიშნავს იმას, რასაც ფიქრობენ. ასე არაა?

— სამწუხაროდ, ასე. მაგრამ ესცე ხომ ცხოვრებისეული, დღევანდელი რეალობაა, რომელსაც ვერსად დავემალებით.

— სწორედ ამიტომ ვიყენებ მუსიკას, რადგან მუსიკა გამორიცხავს ფიქრს. მე მინდა ადამიანებს ისეთი ვითარება შევუქმნა, რომ მათ კიდევ ერთხელ რაღაც იგრძნონ. იგრძნონ! როდესაც ტექსტს ვიყენებ, ადამიანები ინყებენ ფიქრს. და ანალიზს. ეს მკვდარია. რადგან, როდესაც თქვენ რაღაცაც უსმენთ, უსმენთ სიტყვებს, თქვენ ისმენთ ფიქრებს. თქვენ ისმენთ ჩემ სიტყვებს და ისმენთ საკუთარ მონოლოგს, რომელიც დიალოგს იწყებს ჩემს ტექსტთან. როდესაც თქვენ რაღაცაც ამბობთ, მე ვიწყებ ფიქრს, რა თქვით და ჩემი პასუხები დუმან.

მე ვკითხე ჩემ ტიპეტელ მასწავლებელს - როდის ვკარგავთ გრძნებით აღქმის უნარს? მან მითხო, შეიძლება, ვ შეიძლება 4 წლის ასაკში. შემდეგ საზოგადოება, მასწავლებები, ბიზნესის მოტივაციები და ა.შ. ასწავლიან, როგორ შეიძლება მოიგორ რაღაცები ცხოვრებაში.

ასე რომ, კიდევ ერთი. მე ვაკეთებ მუსიკას, რადგან ეს არაა მხოლოდ მუსიკა. ეს პოლიფონია, რომელიც თქვენ იცით საქართველოში, რომ ადამიანებს აერთიანებს. სიტყვების გარეშე-ვფიქრობ, ნამდვილი სიტყვები დღეს ერთად სიმღერაა. ვერ ვხედავ სხვა ნამდვილ, მართალ სიტყვებს, ერთად სიმღერის გარდა. როდესაც ადამიანები ტრადიციული კულტურებიდან ერთად მღერიან და მე ჯერა, მნამს - მღერიან და ივიზუებენ, ვინ არიან, რას წარმოადგენ. და მეორე - როგორც იცით, მუსიკა ისაა, რაც ემოციებს, გრძნობებს გამოხატავს და არა სიტყვე-

ბი. გრძნობებსა და შეგრძნებებს.

— და ესაა თქვენი მიზანი?

— მე მინდა, რომ ჩემმა თეატრმა ადამიანებს გრძნობები და შეგრძნებები მოუტანოს. მე მინდა, რომ ადამიანებს ჰქონდეთ წარმოსახვა. ხშირად, ჩემი სპექტაკლების შემდეგ მეუბნებიან - ვერაფერი გავიგეო და მე ბედნიერი ვარ. მე არ მინდა, რომ გაიგოთ. თუ თქვენ ძალაან, ძალიან, ძალიან განათლებული ხართ (მაგალითად, ალიმა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორია, უამრავ მეტატექსტს კითხულობს, კარგია, მაგრამ ეს არაა ადამიანებისთვის აუცილებელი) შეიძლება სხვაზე უკეთ იფიქროთ წანაზე, მაგრამ მე მინდა, რასაც ადამიანები წახავენ და მოუსმენენ, იგრძნონ, გულზე შეეხოთ და ამოძრავდნენ. ზოგჯერ ისინი გაოცებულები არიან, რომ რაღაც იგრძნეს.

ჩემმა ავსტრალიელმა (სხვა, დაპყრობილი ქვეყნიდან) სტუდენტმა ერთხელ, ერთი წლის სწავლის შემდეგ, მთხორა - დიდი მადლობა მისითვის, რომ მაგრძნობინეთ, რომ მე რაღაც მაქვს ცხოვრებას.

ადამიანები ივიწყებენ, რომ ჩვენ გვაქვს გრძნობები და რომ ამ თვისებას, სამწუხაროდ, უფრო და უფრო ვკარგავთ.

მე ჩემი ფეისბუქის მეგობრებიდან ზოგი არც კი მინახავს, წარმოდგენა არა მაქვს, ვინ არიან და მაშინ, რატომ გვეკია მეგობრები? ჩვენ ნომრები ვართ - მეათე, მეასე, მეათასე, და ამასობაში ჩვენ ვკარგავთ კავშირს საკუთარ გულთან, ჩვენ შინაგან კავშირებს ერთმანეთთან, ემპათიას.

და მე ვიყენებ მუსიკას იმიტომ, რომ მჯერა, მსოფლიოში ესაა ხერხი და საშუალება იპოვო გრძნობები და შეგრძნებები განიცადო.

არა მარტო მუსიკა. თქვენ იცით, რომ ნამდვილი, ტრადიციული, ნაციონალური მუსიკა თქვენი სულიერების, სულიერი ცხოვრების ნაწილია. როკი, პოპი, სხვა ამგვარი მუსიკა არაა თქვენი სულიერი ცხოვრების ნაწილი. ესაა მუსიკა, იმისთვის, რომ იშოვო ფული და დიდება.

საქართველოში, როდესაც ერთმანეთს სიმღერისთვის ხვდებით, ამას ფულისა და დიდებისთვის აკეთებთ? არა! ამას აკეთებთ იმიტომ, რომ გინდათ შეხვდეთ მეგობრებს, რომ ერთად იძლეორთ. როდესაც რომელიმე თქვენგანი სცენაზე მიდის სამღერად, ის კარგავს კავშირს ხალხთან. და მართლად არაა, რომ ხალხთან ახლოვდება, იშვიათი გამორნაკლისის გარდა. ყველა, ვინც სცენაზე გამოსაჩენად დგება, კლავს ნამდვილ კულტურას.

— „ალუბლის ბაღის პორტრეტებში“ ფირსი - ჩეხოვის პიესის ყველაზე დაჩაგრული და „უფუნქციონ“ პერსონაჟი, რომლის ბედიც არავის ანუხებს, რომელიც ვერაფერს აკეთებს და საერთო ამბავში მეორეხარისხოვანია, თქვენ სპექტაკლში - მთავარ როლშია - მართალია ტექსტი არა აქვს, უშუალოდ არაა ჩაბმული მოვლენების განვითარებაში, მაგრამ ყველა პროცესს უძლვება, მართავს. მსახიობი-მუსიკოსი, რომელიც ფირსს ასახ-

იერებს და ჩვენ ამას მხოლოდ დანარჩენების მიმართვიდან ვიგებთ, როიალზე უკრავს და მუსიკალურ და აზრობრივ დრამატურგიას განსაზღვრავს.

— თქვენ იცით, რომ „ალუბლის ბაღის“ ბოლოს, ფირსი სახლში რჩება. ის სულია. მხოლოდ ის ეკუთვნის ამ ადგილს. სხვა მომავალი არ აქვს იქ დარჩენის გარდა. ამიტომ არის ასე მზიდვნელოვანი. იგი ადგილის არსია. ისევე, როგორც მუსიკა ერის არსი, რომელიც არსებობს და გრძელდება საუკუნეების განმავლობაში, თავს ინარჩუნებს. ის ალკოჰოლიკითაა. სურნელია.

ყველა შეიცვლება. ლოპახინიც კი წავა. ფირსი კი დარჩება. ვიმეორებ, ის სახლის, პიესის სულია. ადგილის სული. სიყვარულის სული. და ვიღაც მუდამ ინარჩუნებს, იცავს ამ სულს. ეს, როგორც წესი, ყველთვის ერთი ადამიანია, ზოგჯერ 2 (და არა მთელი ერი), ვინც კულტურას - სულიერებას იცავს.

ყველთვის მახსოვს, რომ ძველი კავშირების საკოვნელად არასდროს მივალ ახალგაზრდებთან. მივალ მხოლოდ მოხუცებთან და ბავშვებთან. რადგან სწორედ ისინი ინახავენ ტრადიციების. მონუც ხალხს აქვს დროის სხვადასხვა შეგრძნება და განსხვავებული მიზეზი, რომ იყოს პლანეტა დედამიწაზე და ესაა ფირსი,

— ვინა ლოპახინი? თქვენი ლოპახინი?

— ლოპახინი ცხოველია. ლოპახინი ყოველი ჩეხნებანია, რომელიც უარყოფს წარსულს, უარყოფს სულიერებას. მიწას - რომელიც ფირსია. მაგრამ ჩეხოვთან ლოპახინი, რა თქმა უნდა, მართალია, რადგან მონა იყო და რა თქმა უნდა, ცვლილებები უნდა. რადგან მას სჯერა სამართლიანობის და ვიღაცისთვის ლოპახინი ისაა, ვინც ვთარდება, ვინც იზრდება. მას არა აქვს განათლება, არა აქვს ნამდვილი კავშირები საზოგადოებასთან და ამიტომ საკუთარ ღმერთს ირჩევს. მისი საკუთარი ღმერთი კი ფულია. ლოპახინი ერთდროულად მტყუანიცაა და მართალიც. მართალი, რადგან იზრდება, „ვიღაცად“ იქცევა, საკუთარი თავისთვის კარგ ვიღაცად და ამავე ღროს, ეს მისი უდიდესი ტრაგედია - თუ შენ ცდილობ ებრძოლო სისტემას, თვითონ იქცევი სისტემად. როგორც ჰამლეტი. ჰამლეტი ცდილობს ებრძოლოს სისტემას. ამიტომ თვითონაც სისტემად იქცევა და ის კვდება.

ძალიან ხშირად, რაც გვაგიუსებს, ჭკუას გვაკარგვინებს, ჩვენ ვიყენებთ წამლად, რომ არ შევიშალოთ. და ეს წამლივი სიგიურეა. როგორც პროფესორი ლემანი, ძალიან ცნობილი გერმანელი ექიმი, ამბობდა - პრობლემის დასაძლევად ჩვენ მეტ პრობლემას ვიგონებთ. აი, ესაა ლოპახინი. პრობლემების მოსაგვარებლად ის მეტ პრობლემებს აძლევს ბიძგს, რადგან პიესის ეკონომიკური არსი ვალი. რანევსკაიას უამრავი ვალი აქვს და იმისთვის, რომ დაძლიოს პრობლემები, პერსონაჟები სამუშაოდ კი არ მიდიან, არამედ ყიდიან და ქმნიან ვალებისთვის მეტ პირობას. ეს სიგიურეა. მე იმიტომ მიყვარს ჩეხოვის ეს პიესა, რომ გიჩვენებს, რომ შეშლილობას შეშლილობით შეიძლება მოერიო. ეს

კი შეუძლებელია. სრულიად შეუძლებელი. რაც შესაძლებელია - ისაა, რომ დაინტენტუ მუშაობა, ხალხთან ურთიერთობით, გაზიარებით, არა ექსპლუატაციის, არამედ მათთან თანამშრომალობის გზით.

ამ პიესის მთავარი პრობლემაა, რომ ყველა მხოლოდ საკუთარ თავს ელაპარაკება. ყველა ამიტომაც დაყარქვით ჩვენ სპექტაკლს „ალუბლის ბაღის პორტრეტები“. ყოველი მათგანი გამიჯნულია დანარჩენებისგან - და საუბრობს მიკროფონში, რომ 3 წუთი დაგველაპარაკოს და თავისი გრძნობები გაგვიზიაროს. მხოლოდ თავისი.

ამ პიესაში ყველა ძალიან ეგოისტია. მათ უნდათ გადარჩნენ, რაღაც აქვთ საკუთარი და ყველა თავისებურად შეშლილია. ჩეხოვთ გენიოსი იყო სამყაროს აღნერაში. ჩემი შეგრძნებაც იგივეა - რომ ჩვენ ვქმნით გიუჟრ სისტემებს, რომ დავამარცხოთ სხვა გიუჟრი სისტემა. რეალობაში კი ეს, არა, არ არსებობს.

— ბატმ აქვე გეითხავთ - ვინ ხართ თქვენ?

— მახსოვრს, 2005-ში ჩვენ ლონგბონში წარვადგინეთ სპექტაკლი - „გილგამეშის ამბავი“ - კიდევ ერთი ისტორია დანაკარგებიერი. წარმოდგენის შემდეგ ჩემთან მოხუცი კაცი მოვიდა, 90-ის იქნებოდა და მითხრა - მე ვარ ფსიქოლოგი, ვნახე თქვენი სპექტაკლი და ეს სპექტაკლი არაა. ეს დიაგნოზია.

მე არ ვირჩევ პიესებს დასადგმელად. მე ვირჩევ ტექსტებს, რომლებიც ასახავენ რეალობის ჩემ დიაგნოზებს.

— თქვენი ბოლო პროექტის შესახებაც მიამბეთ. შესაძლებელია თუ არა მისი საქართველოში ვანხორციელება? ძალიან მინდა, რომ ასე მოხდეს. ჩვენთვის დიდი პატივი და მიღწევა იქნება.

— ეს ყველაფერი ეკა მაზმინვილზეა დამოკიდებული. თუ კეთილს ინებებს და თუ ფულს იმოვის.

ჯერ მინდა გითხრათ, რომ მიყვარს საქართველოში ჩამოსვლა. მართლა მიყვარს ეს ადგილი. მიყვარს ხალხი. მიყვარს ყველაფერი. ის მაგონებს ჩემი ცხოვრების საუკეთესო დროს. ნამდვილად. საქართველო ჩემთვის და ჩემი მეუღლე ალიშასთვის ძალიან ახლობელია. მე ვხედავ, ხალხი როგორია! ისინი არიან, რაც არიან! არ არიან ცრუპენტელები და მატყუარები, როგორც დასავლეთში. და თქვენ გაქვთ განსხვავებული ჰაერი. ევროპა დაფარულია ათასანაირი გამონაბოლევით. ყველგან. თქვენთან სუნთქვა შეიძლება. ამიტომ არ გინდათ ევროკავშირი. თქვენც იგივე გელოდებათ.

ახლა 2 პროექტზე ვმუშაობ. ერთია - „პამლეტი“ და მეორე - „ქარიშხალი“. მხოლოდ პირველზე გეტყვით. „პამლეტზე“ წელს ვიმუშავთ. პრემიერაც გვქონდა, მაგრამ პრემიერის დროს ძალიან უბედური ვიყავი, იმიტომ, რომ მუსიკა შეცუკვეთე ძალიან კარგ კომპოზიტორს - ის წერს კლასიკურ მუსიკას ორკესტრისთვის და არასოდეს დაუწერია ქორალი, პოლიფონი. რაც გააკეთა, კარგი იყო, მაგრამ მე არ შემეხო.

ის არ იყო, რაც მტკირდებოდა.

ახლა მთელი მუსიკა უნდა შევცვალო. მივწერე ჩემ კორსისებულ მეგობარს, კომპოზიტორს, კორსიკული ტრადიციული სიმღერების შემსრულებელს. მან ბევრი იცის ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესახებ და ვთხოვე, გაეკეთებინა მიქსი - ტრადიციული კორსიკულისა და ქართულის ნაზავით.

არ ვიცი, რა იქნება. ალბათ ისევ ბევრს ვიმდერებთ და ძალიან მინდა, საქართველოში ჩამოვიყვანო ჩემი რამდენიმე კოლეგა, რომ ვიაროთ მთებში, სოფლებში, ვეძიოთ, შევხედებით მოძღვალ ადამიანებს. ვნახავთ, როგორ მღერიან, რას გრძნობებს, როგორ გამოიყურებიან, როგორ ჭამენ და ეს მოგვცემს იმბულს, როგორც ყოველთვის, ჩვენი პროდუქციის შექმნის დროს.

ბოლოს, რაც მინდა ვთქვა - „პამლეტი“ ავიღე იმიტომ, რომ ის ისევ პოლიტიკური მანიპულაციების თეატრია და მინდა გამოვიყენო იმისთვის, რომ გავიგოთ - შეგვიძლია თუ არა თავი დავიცვათ პოლიტიკური უაზრობისგან, რომელშიც ვკცხოვრობთ? შეგვიძლია მოვკვდეთ, როგორც პამლეტი და ჩვენი ლიონსება შევინარჩუნოთ? და თუ ჩვენი ლიონსება უკვე მკვდარია და პოლიტიკოსები კი თავისას აგრძელებენ. არის თუ არა სხვა გზა დავეხმაროთ საზოგადობას, იცხოვროს მშვიდობაზად, პარმონიულად, მაშინ, როდესაც ახალი და ახალი ომი ახალ მსხვერპლს იწვევს?

რაც სირიაში ხდება - ეს ბიბლიური აპოკალიფისა. როდესაც 1 მილიონი ადამიანი სასიკვდილოდა განწირული, როდესაც 1 მილიონი ადამიანი მშვიდობაზა ცხოვრებას ექვს, შეიძლება ზოგი მათგანი ჯარისკაცია, შეგზავნილი, მაგრამ, რა თქმა უნდა, 99 პროცენტი ისინი არიან, რომლებიც გაურბიან ძალადობასა და სიკვდილს.

კოლუმბიაში სასაცილო ამბავი გადაგხდა - „ლირის სიმღერებით“ ვიყავით ჩასული. იქ 35 წელი გრძელდებოდა ომი და მე სპექტაკლის დაწყებამდე გამოვედი და ვთქვი, რომ წარმოდგენას ვუძღვინოთ მშვიდობას კოლუმბიაში, რომ მხოლოდ მშვიდობას შეუძლია გადაგარჩინოს საზოგადოება და რომ ომი გამოსავალი არასოდეს არ არის.

საოცარი აპლოდისმენტები იყო და მივხვდით, რომ ყველას უნდა მშვიდობა. ცოტა ხნის შემდეგ გაზეთში წავიკითხე და ტელევიზიონითაც ვნახე, რომ სამხერო და ჩრდილოეთ კოლუმბიაში პირველად, ამდენი ხნის განმავლობაში, სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. და კაცი, რომელიც იყო პატრიტიზანი და ტერორისტი, დემოკრატიული პარლამენტის დეპუტატი გახდა. ისეთი ბედნიერი ვიყავი!!!

ჩვენი თეატრი მუშაობს - და „პამლეტით“ მინდა ვთქვა - რომ ომი ყველაზე სამინელებაა, რაც არსებობს. ჩვენ ადამიანები ვართ, გვაქვს ვალდებულებები და რომ ომი უდიდესი დახასულია, უდიდესი დანაშაული, რომელსაც ჩვენ ჩავდივართ!

იუბილე

გიორგი (ქორა) რატიანი

დღევანდელ თეატრში ცოტა რეჟისორი თუ მეგულება, ვისაც ქალაქ სოხუმში ქართულ დრამატულ თეატრში უმუშავია. მე ბედმა მარგუნა ეს უპირატესობა. იმ ქალაქსა და იმ თეატრში გატარებული ცხოვრების მონაკვეთი დღემდე ერთ-ერთ ნათელ მოგონებად რჩება ჩემთვის. ეს კი მთლიანად იმ ადამიანების დამსახურებაა (იმდროინდელი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გოგი ქავთარაძე), ვინც მარჯანიშვილის თეატრიდან ჩასულ სრულიად უცნობ ახალბედა რეჟისორს იმ პერიოდის სოხუმის თეატრში დამხვდა. გამორჩეულად გიორგი (ჟორა) რატიანი და ლორინა პაპუაშვილი მახსოვს. მათ ერთი წამითაც არ მაგრძნობინეს თავიანთი შემოქმედებითი უპირატესობა. პირიქით, რეპეტიციებზე ყოველთვის მზად იყვნენ ნებისმიერი ამოცანა შეესრულებინათ, რამდენ ხანსაც არ უნდა გაგრძელებულიყო რეპეტიცია, არსად აგვიანდებოდათ. ჩემს ყოველ ახალგაზრდულ ახილებას იქვე ასრულებდნენ, მორჩილი სტუდენტებივით იქცეოდნენ და საქმით მიმანიშნებდნენ სწორი გადაწყვეტილებებისაკენ.

გიორგი (ჟორა) რატიანი და ლორინა პაპუაშვილი ის მსახიობები აღმოჩნდნენ, რომლებმაც ჩვენი სპექტაკლის წარმატება განაპირობეს. ეს სიხარულის დღეები იყო! მაშინ ჩვენ არ ვიცოდით რა ელოდა ჩვენს ნამუშევარს, თეატრს და მთელ ამ ქალაქს!...

ყველაზე ავ ფიქრებშიც ვერ განვჭრეტდით, რა მძიმე და ტრაგიკული გზის გავლა მოუწევდა სოხუმის თეატრს, ამ თრ ბრწყინვალე არტისტსა და შესანიშნავ პიროვნებას. სოხუმზე საუბარს აქ დავასრულებ, ისევე როგორც ქალბატონ ლორინაზე, რადგან მისი შემდგომი ცხოვრება ცალკე საუბრის თემაა...

ბატონი ჟორა კი, რომელმაც დევნილობაში შეძლო - თეატრის დაფუძნება და მისი ფეხზე დაყენება, ღრმა პატივისცემას იმსახურებს.

ვულოცავ ბატონ გიორგის იუბილეს და ვუსურვებ კიდევ დიდხანს ეცუროს მის გემს, მის მიერვე შექმნილ „თეთრ ტალღებში“.



გულწრფელი პატივისცემით,
რეჟისორი დავით ანდლულაძე

სამყარო თეატრალის თვალით

ცოდარ გურაბანიძე



მარტოხელა მგელი

მადრიდის უმთავრესი პროსპექტის – Gran Via-ს ქვეშ მოთავსებულია „ესპანეთის სამოქალაქო ომის მუზეუმი“, რომელშიც გამოფენილია უაღრესად საინტერესო და მნარედ დამაფიქრებელი მასალა გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების ძმათამკვლელ იმზე. აქ, უპირატესად, ექსპონირებულია ისტორიული მნიშვნელობის რეალიები, გრაფიკული ჩანახატები, სხვადასხვა საგნები თუ საომარი აღჭურვილობა, მაგრამ ძირითადი მაინც უამრავი ილუსტრაციული ანუ ფოტო-დოკუმენტური სტენდია, რომლის ხილვა სულისშემძვრელია. მუზეუმის კურატორებს თუ მის იდეოლოგებს თავი მოუყრიათ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ფოტოკორესპონდენტების მიერ ესპანეთის სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გადაღებული უამრავი ილუსტრაციისთვის, რომელთა ხილვის შემდეგ გვექმნება კატასტროფისა და ამქვეყნიური ჯოჯონეთის სრული შთაბეჭდილება (ფოტოების უმრავლესობა თავის დროზე მილიონობით ტირაჟით გამოქვეყნდა ევროპის და ამერიკას ქვეყნებში).

1975 წელს, ესპანეთში ყოფნისას (ანსამბლ „რუსთავს“ ვახლდი) ამ მუზეუმში შემთხვევით მოვხვდი და გაოგნებული დავრჩი ნამდვილი აპოკალიფსის ხილვით. მე, თავბრუდახვეული მზით გაპრეზინტული მშვენიერი მადრიდით, მისი გრანდიოზული პარკებით, დიდებული სასახლეებით, ტაძრებით, მუზეუმებით, პლაცა დე ტოროს ამფითეატრებით, ქანდაკებებით და პლასტიკური ანსამბლებით ანუ ქალაქის ნარმტაცი ფერადოვნებით, უცებ აღმოვჩნდი მინის ქვეშ, ნახევრად სიბრელეში, მერთალად განათებული იავარქმით სამყაროში. ყოველი მხრიდან მიმზერდნენ გაუბედურებულ ადამიანთა სახეები, ვხედავდი სასიკვდილო განწირულთა კრუნჩხვებს, ნახვრევთა გროვებს, უზარმაზარ შენობათა ჩინჩჩებს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი პიკასოს გენიალობაში, როცა „რომანტიკული ხელოვნების მუზეუმში“ ვიხილე მისი „გერნიკა“ (შემდეგ ეს სურათი დედოფალ სოფიას მუზეუმში გადაიტანეს ნ.გ.). აქ, მინის ქვეშ, ვირტუალური ჯოჯონეთი იყო, იქ, ზევით კი ნამდვილი მინიერი სამოთხე. ზევით, ფერთა კარნავალი, აქ — მხოლოდ შავ-თეთრი გარემო. ჩემს შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძიმებდა ის გარემოება, რომ ამ უზარმაზარ, მართლაც შავბრნელ დარბაზში, მარტო ვიყავი (სუსტის დრო იდგა). გამაოცა მუზეუმის მომწყობთა ისტორიულმა ობიექტურობამ. აქ სრული სიმართლით იყო ნარმოდგენილი როგორც რესპუბლიკელთა, ასევე ფრანკისტების „პოზიციები“ — ორივე მხარეს მიაჩნდა, რომ სიმართლე მხოლოდ მათ მხარეს იყო და, როგორც ჩანს, ექსპოზიციის აგტორები სწორედ ამგვარი მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ. კვლავ გავიმეორებ, ეს 1975 წელია, დიქტატური ფრანკო, ეს „შემოდგომის პატრიარქი“, ჯერ კიდევ ცოცხალია (მეტიც, ჩვენი ანსამბლის ავტობუსი და ფრანკოს მანქანა გალიციის გზაზე გვერდი-გვერდ იდგა რამდენიმე წუთის განმავლბაში. მე და ანზორ ერქომააშვილმა ნათლად დავინახეთ მუზედირში გამოწყვეტილი დაქტატორი (ამის შესახებ მოთხრობილი მაქვს ჩემს წიგნში „სამყარო თეატრალის თვალით“ წიგნი პირველი. 1998წ.). მაგრამ, უკვე მაშინ, ესპანეთი აღარ განიცდიდა დიქტატორული რეჟიმის სიმწვავეს, შედარებით თავისუფალი იყო პრესა, ფართოდ გაუდეს კარი ტურიზმს (სწორედ ამ წელს ესპანეთს 40 მილიონი სტუმარი ეწვია), გაცხოველდა კულტურული ურთიერთობა მსოფლიოს ქვეყნებთან. იმავე წელს ფრანკო გარდაიცვალა, რასაც ასე მოუთმებლად ელოდებოდა გენიალური გაბრიელ მარკესი, რათა „პრეზიდენტის შემოდგომის“ უკანასკნელი თავი დაეწერა.

მუზეუმის შესასვლელშივე ორი ანთაგონისტი ლიდერის უზარმაზარი პორტრეტი ეკიდა — ერთი მხრივ, გენერალი ფრანკო, მეორე მხრივ, მის მიერ დამხობილი რესპუბლიკური ესპანეთის პრემიერი. მუზეუმის უზარმაზარ დარბაზში კი, მთავარ საექსპოზიციო (კედლის მთელ პერიმეტრზე გამოკრული იყო რობერტო კაპას, ლეგენდარული ფოტოების საყოველთაოდ ცნობილი ფოტო-კადრი, „ლოიალისტი ჯარისკაცის სიკვდილი“, რომელიც პირველად ამერიკულმა უურნალმა „ლაიფ-

მა” დაბეჭდა (სივრცეში გაშლილ, მზით განათებულ დაფერდებულ მდელოზე ეს-ესაა უნდა დაეცეს სასიკვდილოდ მოცელილი მებრძოლი, რომელსაც გაშლილი მარჯვენა ხელიდან მყისიერად გამოეცალა შეშხანა). სხვათა შორის, ეს სახელგანთქმული ფოტო კაპაშ შემთხვევით გადაიღო. ტყვების ქარტეხილში, გააფირობული ბრძოლისას, კაპაშ სანგრიდან ამოსნია ფოტოაპარატი და ალალბედზე გადაიღო კადრი, რომელმაც მსოფლიო პრესის ფურცლები მოიარა და შემდეგ, „სამოქალაქო ომის მუზეუმის“ უმთავრეს ექსპონატად იქცა. ეს კი იყო შემთხვევითი კადრი, მაგრამ კანონზომიერი იყო, რომ ეს „შემთხვევა“ სწორედ კაპას უკავშირდება. ომში მხოლოდ მამაცებს უმართლებსო, ამბობენ, კაპა კი უმამაცეს, თავზეხელლადებული, შიშისაგან აბსოლუტურად თავისიუფალი, „ვითარცა უხორც“ ფოტოკორესპონდენტი იყო. მუზეუმის ექსპოზიციაში სწორედ მას ეკუთვნის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სტენდები. კაპას, როგორც ჩანს, კალამიც უჭრიდა. მუზეუმში გამოფენილ ყველა მის ფოტოს ახლავს მისივე მოკლე, მაგრამ სხარტი კომენტარები იმ სახით, როგორც ისინი იმდროინდელ პრესაში იძეჭდებოდა. მის უახლოეს მეგობრებს ჰერინგუეის და სტეინბეკს, ძალიან მოსწონდათ ეს რეპორტაჟები და ურჩევდნენ გაეგრძელებინა ნარკვევების წერა. გაიკლის რამდენიმე წელი და კაპა ორივე ამ დიდი მწერლის წიგნებს გააფორმებს. რობერტო კაპას სახელი, ასე თუ ისე, ცნობილია საქართველოში — იგი თან ახლდა სტეინბეკს, რომელიც, 1947 წელს, საბჭოთა კავშირში მოგზაურობდა და საქართველოსაც ეწვია. კაპამ მრავალი ფოტო გადაიღო, რომელიც შემდგომ გამოქვეყნდა სტეინბეკის მიერ დაწერილ შთაბეჭდილებათა წიგნში („Russian Journal“). დღევანდელი ქართველი თეატრალუებს კი შევასხენებ იმ ფაქტებს, რომ ჯ. სტეინბეკი ბათუმში ყოფნისას დაესწრო რეჟისორ არჩილ ჩხარტიშვილის (სამწუხაოდ, ამ უნიჭირესი ადამიანის დამსახურება დღეს მივიწყებულია) მიერ დადგმულ სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს“. მთავარ როლში იუსუფ კობალაძე და, სასიამოვნიდ განცვიფრებულმა, თავისი აღფრთოვანება საჯაროდ გამოხატა.

მშვიდობისანობის დროს კაპას მიერ გადაღებული სურათები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დიდად არ გამოირჩევიან თავიანთი მხატვრულ-პუბლიცისტური ღირებულებით. მისი სტიქია იყო დიდი მასშტაბის ომები, კონფლიქტები, დაპირისპირებანი. ამიტომაც უწოდეს მას „მსოფლიოში უდიდესი სამხედრო ფოტოგრაფი“.

ტოგრაფსო?“ ფოტოები მოენონათ და იწყეს მათი ბეჭდვა, თუმც ჰონორარები მცირე იყო. 22 წლის ასაკში მოდების უურნალის გამომცემელმა მიიჩვია დამდგმელ ფოტოგრაფად. სწორედ ამიტომ ამბობდა ხოლმე „დაგიპადე იცდაორი, ოდორის წლის ასაკში“ მაგრამ მოდელებთან მუშაობა არავითარ სიამონებას არ ჰგვრიდა. ეს არ იყო მისი სტიტი (თუმც მშვენიერ მოდელ ქალებს დაერთია). 1936 წლს დაიწყო ესპანეთის სამოქალაქო ომი. გამომცემლების შეფარვა, რომელმაც იმთავითვე იგრძნო, რომ ეს ახალგაზრდა ნამდვილი დოკუმენტალისტია, ჰკითხა „ნახვალ ესპანეთში?“ კაპა უმალ და-ეთანხმა ამ წინადაღებას. გერდამაც ისურვა მასთან წასვლა. ისე მოხდა, რომ ჩასვლისთანავე ფრონტის წინა ხაზზე ალმორნდნენ. ეს იყო, რასაც ნატრობდა, ტყვიერის ზუზუნი, ტანკების გრიალი, ბომბ-ფამშენები, ქარისი, ლტოლვილები, შიშისაგან შეშლილი ხალხი. გერდა მასავით მამაცი და უდრეკი ადამიანი ალმორნდა. ორივე თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდა ყველაზე სახიფათო კადრების გა-დაღებაში. 1936 წლის 5 სექტემბერს კი გრიგალისებურ ცეცხლში კაპამ გადაიღო თავისი ყველაზე სახელგანთქმული ფოტო „ლოიდალისტი ჯარისკაცის სიკვდილი“. კაპა უმალ გადაიქცა ყველა ფრიან-გული გაზეთის ავტორად (როგორც უკვე ვთქვი, ფოტოებს პატარ-პატარა ნარკევევებს ურთავდა). ყველაზე პრესტიულმა უურნალმა „Picture Post“-მა დაიწყო მისი სერიების ბეჭდვა. მცირე ხნით პარიზში გაემგზავრა, სულის მოსათქმელად. აქ პოკერის ბატალიებში ჩაება, უზარმაზარი ფული წააგო, სვამდა, ერთობოდა ქალებში. ამ დროს კი საყვარელი გერდა ესპანეთში გაეპარა ახალი თავგადასაუ-ლების ძიებაში და აქ დაიღუპა კიდეც, აფეთქებული ბომბის ნამსხვევით. გერდა პარიზში დიდი პატივით დაკრძალეს, როგორც გმირი. სასონარკვეთილი კაპა სიკვდილს ეძებდა და გაემგზავრა ჩინეთში (ჩინეთ-იაპონიის ომი) ცნობილ ჰოლანდიელ კინოდოკუმენტალისტთან, იონის ივენსთან ერთად (ავტორი ფილმისა „ესპანური მინა“, „სენა ხვდება პარიზს“, „მე-17-ე პარალელი“ და სხვ.). შემდევ ისევ ესპანეთში დაბრუნდა. აქვარად იყო შეპყრობილი ე.ნ. „ომის სინდრომით“. იგი არ იყო გაჩენილი მშვიდი ცხოვრებისათვის, ვერც ოჯახი შექმნა. ერთ ადგილას სამ დღეზე მეტად გაჩერება არ შეეძლო. დადოოდა მოწყენილა, მოღუშული, არეული. მეორე მსოფლიო ომის დაწყლისთანავე ალფროში გაემგზავრა ფრანგულ კორპუსთან ერთად. პირველ ლამესვე მოუნია თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტომა. ჯარისკაცები გაოცებული იყვნენ მის სიმამაცით, პროფესიონალი პარაშუტისტივით ეჭირა, თავი, ხურნობდა, სახალისო ამბებს ჰყვებოდა. თავის სამხედრო უურნალში ჩაუწერია „ერთი ნაბიჯი მარცხენა ფეხით, თვითმფრინავიდან დამის სიცარიელეში, ერთ-ერთი ჩემი ყველაზე ნარმტაცი მოგონებას“.

მისი კარიერის მწვერვალი იყო კოალიციური ჯარების ნორმანდიაში გადმოსხმის დროს გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების ამსახველი კადრები. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი იერიში, რომლის დროს თითქმის არავინ დარჩენილა ცოცხალი. კაპას მიერ გადაღებული ისტორიული ფოტოები აღიარებული იქნა უნიკალურ მოვლენად მსოფლიოს ფოტოგრაფიის ისტორიაში. სამწუხაოდ, 106 ფოტოდან მხოლოდ რვა იყო დაუზიანებელი. უურნალ „ლაიფის“ ლაბორატორიაში ცუდად გაამტავნეს წევატივები (გადაახურეს). მაგრამ უურნალმა მისი ყველა ფოტო მაინც დაბეჭდა.

ტელეარხი „ნეიტენელ ჯეოგრაფი“ ხშირად გადმოცემს ხოლმე ამ განუზომელი სივრცის მომცველი, ზღვის სანაპიროზე გამლილი ფრანგული მოპონტურ კადრებს, სადაც წათლად ჩანს თუ რა უდიდესი მსხვერპლი მოპყვა ამ გლობალურ დაპირისპირებას (იხ. „ნაციონალური გეოგრაფიული არხის“ გადაცემა. „Суперсооружения Третьего рейха“).

ომის შსველობისას უამრავი ქალი გაიცნო, ყველას პირდებოდა, ომის დამთავრებისთანავე ცოლად შეგირთავო, მაგრამ ეს ომები უსასრულოდ გრძელდებოდა, ქალები კი ამაოდ ელოდნენ. მისი საყვარელი ქალების გალერეას ამშვენებდა ულამაზესი და უნიჭიერესი მზეთუნახავი, შვედი კინოვარსკვლავი, ინგრიდ ბერგმანი. ეს, ერთ შეხედვით, უკარება, ამაყი, სახელმოვეჭილი ქალი, უკვე ოსკაროსახი, მან გაიცნო პარიზში, 1945 წელს. ოცდაათი წლის ინგრიდი შეველებურად მოუგერიებელი იყო. ეს იყო ცეცხლზე უფრო ცეცხლოვანი სიყვარული, ვნებათა გრიგალი, რომელიც გაცნობის პირველივე დღეს დატრიალდა ქარბორბალასავით. ორი თვის შემდეგ შეხვდნენ ბერლინში. შეყვარებული წყვილი სეირნობდა მინასთან გასწორებულ, ივარქმნილი ქალაქის ქუჩებში. წანგრევთა შორის შენიშნეს ნახევრად დამსხვერეული აპაზანა. რობერტმა ხუმრობით უთხრა, თუ დამთანხმდები და ჩაჯდები ამ აპაზანაში პოზირებისათვის ძალიან დიდ ფულს ვიშვიოთ. წარმოიდგინეთ, რესპექტაბელური ინგრიდი დათანხმდა. ამ ფოტომ, მართლაც, უმალ გამდიდრა ეს მფლანგველი მამაკაცი. კაპას ნამდვილად სურდა ინგრიდის ცოლად შერთვა. ქალი უკვე გათხოვილი იყო (მისი პირველი მეუღლე იყო ცნობილი დანტისტი, მომხიბვლელი მამაკაცი, პიტერ ლინგსტრომი) და ქალიშვილიც ჰყავდა, მაგრამ ისე უყვარდა სატრფო, რომ ყველაფერზე მიდიოდა. კაპამ ლოს ანჯელესში ორი კვირა დაჰყო მასთან, მაგრამ ყველაფერი მალე მობეზრდა აქ. მალე მათი სიყვარული მძვინვარე კონფლიქტებში გადაიზარდა. კაპამ მიატოვა სატრფო, გაემგზავრა თურქეთში, შემდეგ საჭოთა კავშირში. მშვენიერი ინგრიდი მაინც ელოდებოდა, ის კი განაგრძობდა მოგზაურობას, წავიდა მექსიკაში, შემდეგ, აფრიკაში, ეწვია ახლად შექმნილ ისრაელის სახელმიწოდოს.

უაღრესად მომხიბლავი, საყვარელი მამაკაცი და უნიჭიერესი ხელოვანი თავის იღუპავდა ამ დაუს-

რულებელი მოგზაურობით. დაიღალა, გამოიფიტა ფიზიკურად და სულიერად, ყველაფრისადმი ინტერესი დაკარგა. განამდა თავში აუტანელი, ჯოჯოხეთური ტკივილებით, გაუნძრევლად იწვა ბნელ ოთაში. მეგობრები ურჩევდნენ, იმურნალე, ასე პასუხობდა „რისგან უნდა ვიმურნალო, საკუთარი თავისაგან?“ 1954 წელს ურნალმა „ლაიფა“ ვიტენამის მში წასვლა შესთავაზა. ერთ დღეში განიკურნა კაცი, გამოცოცხლდა, გამხიარულდა, ძველებურად ხუმრობის ხასიათზე დადგა. ვიეტნამში ფრანგული ტანკების კოლონას გაჰყვა სამხედრო ჯიპით. საშინელ ქარ-ცეცხლში მოჰყვნენ, კაპა კი განაგრძობდა ანგლობას და ამხიარულებდა ჯიპში მსხდომ ჯარისკაცებს. შემდეგ უცებ ყველაფერი ჩაწერადა. კაპა გადმოვიდა მანქანიდან, რათა რამდენიმე კადრი გადაელო. ერთი წაბიჯი გადადგა თუ არა, უმალვე აფეთქდა ნაღმზე. ეს იყო 1954 წლის 25 მაისი, კაპა მხოლოდ ორმოცი წლის იყო. მისი პორტრეტები და ნეკროლოგები უურნალ-გაზეთების პირველ გვერდზე დაიძებდა. მომხდარი ტრაგედიით გულშელონებული ინგრიდ ბერგმანი მეგობარს წერდა: „რა უცნაურად და რა საშინლად წავიდა იგი ამ ქვეყნიდან. უცნაურად იმიტომ, რომ მრავალი უურნალის პრეველი ფურცლები სავსეა მისი ცხოვრების ამსახველი ფოტოგრაფიებით. ამ გვერდებს კი მოჰყვება ჩემი ფოტოები სპექტაკლიდან „უანა დარკი კოცონზე“ (ამ სპექტაკლში იგი მთავარ გმირს თამაშობდა და მთელი ევროპ მოიარა. ნ.გ.) და აგრეთვე ჩემი ცხოვრების ამსახველი ფოტოებით“. თავის მოგონებაში კი ალიარებდა, რომ რობერტ კაპა იყო ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და მოუგერიებელი მამაკაცი, იმათ შორის, ვისთანაც ოდესმე ახლო ურთიერთობა მქონდაო.

მე კი მეგონა, რომ ამ მშვენიერი ქალის ცხოვრების მამაკაცი მხოლოდ და მხოლოდ მისი მეუღლე, გენიალური იტალიელი, თეატრისა და კინოს რეჟისორი, არისტოკრატი, ლუკინ ვისკონტი იყო (ბ.გ.).

P.S.

1955 წელს ამერიკის პრეს-კლუბმა დაარსა ყოველწლიური ჯილდო „რობერტ კაპას ოქროს მედალი, საუკეთესო ფოტორეპორტაჟისათვის, რომელიც დაკავშირებულია სიცოცხლის რისკთან“.

„მამაკაცი უქალოდ იგივეა, რაც პისტოლეტი უჩახმახოდ“ (ვ.ჰიუგო)

ოგიუსტ როდენი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც ამოიცნო თავისი დიდი თანამედროვის, ვიქტორ ჰიუგოს, ორსახივანი ბუნება. დიდმა მასტრომ იგი გამოაქანდაკა მსგავსად ძველბერძნული ღმერთისა (პანი), რომელიც მთვრალია ვნებებით და პოეზიით. იკობ ნიკოლაძე თავის მშვენიერ მოგონებათა წიგნში „ერთი წელი როდენთან“ მოგვითხრობს როდენის იშვიათ ინტუიციაზე, რომლის მეშვეობით იგი ღრმად სწვდებოდა თავისი მენატურის ბუნებას, მის ფარულ ინსტინქტებსა თუ მისწრაფებებს.

ჰიუგო თავის რომანებში დიდი მხატვრული ძალით ხატავს რომანტიკული გატაცებით შეპყრობილ ქალწულებს, რომელიც გამოირჩევან სიწმინდით, ერთგულებითა და თავდადებით, რასაც ერწყმის მათი სტილური მოთმინება და სიმტკიცე მოულოდნელად თავს დატეხილ განსაცდელთა პირისპირ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მშვენიერებით და მიმზიდველობით გამოირჩევა კოზეტა, უან ვალუანის აღზრდილი ობოლი გოგონა, რომელიც, შემდგომ, ქალწულებრივი სინმინდის ნიმუშად გვევლინება, მაგრამ წმინდა რომანტიკული სიყვარულის მესიტყვე მწერალი ცხოვრებაში სულ სხვა იყო. მართალია, იგი პატივს სცემდა იმათ, ვინც ერთდროულად განასახიერებდა ევას და ბაკეელ ქალებს, მაგრამ დაუკეცელი ძალით მხოლოდ „ემმეს ფატალს“ – იზიდავდა. მისი საოცარი მამაკაცური ძალმოსილება ხშირად მძაფრი ამორალიზმით იყო შეფერილი. იგი ქედს იდრეკდა მაღალზენებრივი ადამიანების წინაშე და, ამავე დროს, იტანჯებოდა საკუთარი ქვენა გრძნობების დაუქძლეველობის გამო. მის ბიოგრაფებს თავი და ბოლო ვერ უპოვნიათ მის სასიყვარულო თავ-გადასავლებში, ამბობენ, 1845-1846.წ. ორას ქალთან ჰერნდა სექსუალური ურთიერთობანი. მისი პარტნიორები იყვნენ მაღალი საზოგადოების ქალები და დიასახლისები, მოსამსახურე გოგონები და სიძვის დიაცები, მეგობართა ცოლები და მათი ქალიშვილები. ჰიუგოს რომანტიკული პიესები უდიდესი წარმატებით იდგმებოდა და, ბუნებრივია, მისი სატრიუალო თავგადასავლების არეალი მსახიობმა ქალებმა ხალისით შეავსეს. მათ რიცხვში იყო ფრანგული სცენის უპირველესი ვარსკვლავი, გენიალური სარა ბერნარიც და მეორე სიდიდის ვარსკვლავიც, ალისა ვოზიც, რომლის უხვალთიანობით ტკბებოდა არა მარტო ის, არამედ, მისი ვაჟიც, შარლ ჰიუგოც. ხანშიშესული გენიოსი ქალებში ბოლომდე სარგებლობდა პოპულარობით. სამოცდაათი წლის ასაკში, აცდუნა თავისი მეგობრის, ცნობილი მწერლისა და ესეისტის, თეოფილ გოტიეს ქალიშვილი. თავის ასეთ უგვანო საქციელს ასე ამართლებდა: „მამაკაცი ქალის გარეშე იგივეა, რაც პისტოლეტი ჩახმახის გარეშეო“. თავის სახლს სპეციალური, ფარული შესასვლელიც კი გაუკეთა საყვარლებისთვის (სხვათა შორის, ასეთივე საიდუმლო კარი ჰერნდა ბერნარდ შოუს კაბინეტსაც, მაგრამ ქალებს კი არ ღებულობდა აქ, არამედ ღამლამობით თვითონ იპარებოდა ულამაზეს მსახიობ ქალთან, კემპელთან. დილას კი თავის

მეუღლეს კონტად ჩაცმული, უმანკო სახით ეცხადებოდა საუზმეზე).

2015 წლის მიწურულს, ვიქტორ ჰიუგოს სახლ-მუზეუმში გაიმართა გამოფენა „ვიქტორ ჰიუგოს ეროსი – უბინობასა და გარყვნილობას შორის“. აქ წარმოდგენილი იყო ფერწერული სურათები, გრაფიკული ჩანახატები (თვით მწერალი პირველარისხოვანი გრაფიკოსი იყო), სკულპტურები, ფოტოები – კამილ კოროს, გუსტავ კურბეს, ეჟენ დელაკრუას, ენგრის, როდენის ქმნილებანი. გამოფენის ორგანიზატორთა განმარტებით, მათი მიზანი იყო ერვენებინათ არა ჰიუგოს შემოქმედება, არამედ მისი ტემპერამენტის სათავეები.

ამ ვრცელი გამოფენიდან გამოარჩევნ მოქანდაკე ჯეიმს პრადეს სკულპტურულ კომპოზიციას „სატირი და ბაკეელი ქალი“. ბაკეელი ქალის „როლშა“ აქტორისა შულიერტა დრუდე, პრადეს მოდელი და მეგობარი. ჰიუგომ ეს ქალი გაიცნო ამ მოქანდაკის სახელოსნოში და უმაღლ მოიხიბლა. მეგობართა წრეში აღიარებდა, რომ შულიერტამ სექსუალური ურთიერთობების მანამდე უცნობ მრავალ საიდუმლოს მაზიარაო. მართლაც, ქანდაკებში ისე „ხორციელად“ და ელასტიურ-კლასტიკურ ფორმებშია გამოკვეთილი ქალის სხეულის იშვიათი მშვენიერება, რომ, ცდუნებას ჰიუგო ვერ გაუმკლავდებოდა. აქაც, როგორც როდენობა, სატირის სახე ძალიან ჩამოგავს მწერლის საერთო იერს. შულიერტას მანამდე ჰყვარობდა წარმოუდგენლად მდიდარი და ხელგაშლილი რუსი თავადი ანატოლი დემიდოვა, რომელიც, განსხვავებით ხელმოჭრილი ჰიუგოსაგან, ძვირფასი საჩუქრებით ანებივრებდა სატრიოს, მაგრამ ქალმა ფრანგი „სატირი“ ამჯობინა ცისფერსისხლიან რუს დიდებულს. ქალს სიცოცხლის ბოლომდე ახსოვდა ჰიუგოსთან ურთიერთობა და, საბოლოო ჯამში, ორი ათასი სატრიოალო წერილი მისნერა საყვარელ მამრს.

თითქმის დაუჯერებელი ამბავი – სტალინი ატირდა

უნიჭიერესმა ისააკ ბაბელმა („ცხენოსანთა არმიის“ და „ოდესური მოთხრობების“ (1931) ავტორმა) წინასიტყვაობა დაუტერა თავისი ახლო მეგობრის, რუსეთის პირველი ჯაზმენის, „Tea-ჯაზ“-ის (1929) ჩამომყალიბებლის, განუმეორებელი საესტრადო ხმის მქონე, ლეონიდ უტიოსოვის მოგონებათა წიგნს. ლუტიოსოვი გამოირჩეოდა არაჩეულებრივი სცენური და პიროვნული მომხიბვლელობით, დიდი იუმრით, გონებამახვილობით და, როგორც ჭეშმარიტი იდესელი ებრაელი (მისი ხამდვილი გვარია ლაზარ ვაისბენი) ახალ-ახალი ანეკდოტების შეთხვით. ეს ყველაფერი წიგნის წინასიტყვაობაში, მისთვის ჩვეული სტილისტური ბრწყინვალებით, გადმოსცა ი.ბაბელმა.

ბაბელი „ცხენოსანთა არმიის“ გამოქვეყნების (1926წ.) შემდეგ რუსეთის უპოპულარესი მწერალი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ „პირველი ცხენოსანთა არმიის“ სარდალი მ.ბუდიონი, ფრიად გამწყრალი იყო მწერალზე. ა.ბაბელი დაახლოებული იყო კრემლის მესვეურებთან, განსაკუთრებით ი.სტალინთან. ლუტიოსოვი ურჩევდა, დაანებე თავი კრემლის კორიდორებში სირბილს, განერიდე სტალინს, ცუდად არ დამთავრდეს ეს შენი ფლირტი დიქტატორთან, რაზედაც ი.ბაბელი მხოლოდ იცინოდა და ჰასუხობდა „იცოდე, ცხოვრებაში ორი რამისგან მაინც ვარ დაზღვეული — არასოდეს დავორსულდები და არასოდეს დამიჭერენო“. ეს მისი ტრაგიკული შეცდომა იყო, 1941 წელს იგი გაქრა პორიზონტიდან. ამ დროს კი, უტიოსოვის მოგონებათა წიგნი, მისი წინასიტყვაობით, უკვე დაბეჭდილი იყო. რასაკვირველია, წიგნის მთელი ტირაჟი დაუყოვნებლივ გაანადგურეს, საავტორო ეგზემპლარებიდან გადარჩა მხოლოდ ერთი ცალი, ის უტიოსოვმა საგულდაგულოდ გადამალა. მოგონებების ეს წიგნი, გორბაჩივის „პერესტროკას“ ხანში გამოიცა. მხოლოდ ამ ვანდალურმა აქტმა შეუნარჩუნა სიცოცხლე პოპულარულ მომღერალს. იგი ვერ აიცდენდა, მინიმუმ, ხანგრძლივ გადასახლებას ციმბირის „ლაგერში“. მით უმეტეს, რომ ისედაც დასაჭრად ჰქონდა საქმე. ვიღაც „კეთილისმყოფელმა“ მოსკოვში. გაავრცელა, ვითომდა, უტიოსოვის მიერ შეთხვული ანეკდოტი — „ნაირა“: „Tea-ჯაზ“-ის მუსიკოსებმა გამართეს კონცერტი ლუბიანკაში (КГБ-ეს რეზიდენცია. ნ.გ.). გამოვიდა სცენაზე უტიოსოვი. პირველ რიგში სხედან კგბ-ს მაღალიჩნოსნები ლავრენტი ბერიას მეთაურობით. უტიოსოვი ხუმრობს: „უნიკალური შემთხვევაა. მე ფეხზე ვდგავარ, თქვენ კი, ზიხართ“ (კალამბურია — ციდით — ზიხართ“, ე.ი. ზიხართ ციხეში). უტიოსოვის თქმით, ეს ამბავი რომ მოვისინე, კინალამ იქვე მოვკვდიო.

ლუტიოსოვის ორკესტრი ენით აუნერელი პოპულარობით სარგებლობდა. როცა მოსკოვის „მიუზიკულ-პოლშა“ იმართებოდა მისი პროგრამა — „ჯაზი მოსახვევში“, კარში მდგარი მებილეთები კონცერტზე მოსულ პუბლიკას ვერ უბედავდნენ ფრაზას — „წარმოადგინეთ თქვენი ბილეთიო“, იმდენად სიცოცხლისთვის სახიფათო იყო ამის თქმა. ლუტიოსოვის პოპულარობამ ხმ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, როცა ეკრანებზე გამოვიდა გ.ალექსანდროვის ფილმი „მხიარული ახალგაზრდობა“ (1934წ.). მისმა პოპულარობამ დიდად გადააჭარბა მანამდე მოქმედ ყველა მუსიკოს-შემსრულებლის დიდებას. მართალია, ამ ფილმში იგი საყოველთაოდ ცნობილ არტისტად აქცია, მაინც, ნაწენი იყო რეჟისორ გ.ალექსანდროვზე. ფილმის პირველ ვარიანტში ორი მსახიობი იყო, კინოვარსკვლავი ლიუბოვ ორლოვა (გ.ალექსანდროვის მეუღლე) და ლეონიდ უტიოსოვი. გ.ალექსანდროვმა

იმის შიშით, არ დამიჩრდილოს ჩემი ულამაზესი მეუღლე ახალგაზრდა მომღერალმა მსახიობმაო, სურათის საბოლოო მონტაჟისას ერთი მესამედით შეამცირა იგი ისე, რომ ლუტიოსოვმა ფილმის გამოსვლამდე არაფერი იცოდა. საბოლოოდ, ლორლოვამ და გალექსანდროვმა ორდენები და წოდებები მიიღეს, ლუტიოსოვმა კი — პატეფონი. „Tea-ჯავა“—ის და მისი ხელმძღვანელის ესოდენ დიდი პოპულარობის მიუხედავად ქვეყნის კულტურის მესვეურები ეჭვის თვალით უყურებდნენ ჯაზური მუსიკის პიონერებს, სასტიკი ცენზურის წნებში ატარებდნენ ყოველ საესტრადო ნომერს და სიმღერებს, არ იწვევდნენ არცერთ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე, რადგან მიაჩნდათ, რომ ეს ხელოვნება ამერიკული გასართობის ინდუსტრიის პროდუქტია და, არსებოთად, მეორეხარისხოვანი ხელოვნება.

მაგრამ, მოხდა სასწაული და ლუტიოსოვთა თავისი ჯაზმენტით პირდაპირ აღმოჩნდა კურმლის „Грановитовая палата“—ში. ი.სტალინის ინიციატივით, კრემლში, გრანდიოზული მიღება გაუმართეს სამ გმირ მფრინავს, ჩალოვეს, ბაიდუკოვეს და ბელიავოვს, რომლებმაც იმ დროისთვის უპრეცედენტო გადაფრენა განახორციელება, დაშვების გარეშე, მოსკოვიდან ამერიკას კონტინენტამდე მფრინავებმა ერთხმად განაცხადეს, „ჩვეული გვსურს მოვუსმინონ ლეონიდ უტიოსოვს და მის ჯაზში—ო. აი, რა უაბამ ლუტიოსოვმა თავის ბიოგრაფის, გლედ სკოროხოდოვს“. კრემლის „პალატაში“ უკვე აგებული იყო ესტრადა. არც ჩემს მუსიკოსებს არასოდეს გვიხილავს „პირველი პირები“ ასე ახლოს და არც არასოდეს გამოვსულვართ ამგვარ გარემოში. ამიტომ ყველა შიშისაგან საშინაოდ გვიკანკალებდა მუხლები იმ წამიდან, როცა შევედით დარბაზში და ესტრადისაკენ გავემართეთ სიმღერით „Легко на сердце от песни веселой“. მე კონცერტისთვის ყველაზე ლირიკული სიმღერები შევარჩიო. როცა ვასრულებდით „Отражение в воде“, თვალი ვკიდე საოცარ სურათს, სტალინი ცრემლს იმბენდდა. როცა სიმღერა დავასრულე, წამოდგა სტალინი და ასე ფეხზე მდგარი, დიდხას, თითქმის ერთი-ორი წუთი, მიკრავდა ტაშს. ყველანი დავიბენით. მუსიკოსებმა მიჩურჩულეს „ნამდვილად გამეორებას ითხოვს, დაინუე თავიდან!“ მე კვლავ წამოვიწყე:

„Склонились низко и вы в задумчивом пруду,

С тобой я был счастливым, теперь тебя я жду,

Я жду, что ты вернешься, откроешь тихо дверь,

И снова улыбнешься, как прежде, а теперь?...“

ახლა კი სტალინი, მართლაც, ცრემლად იღვრებოდა. ყველანი შევცბუნდით, თავის აწევას ვერ ვპედავდით. მე კი ვითიქერე: სულ ცოტა წნის წინ, სტალინს მეუღლე გარდაეცვალა, ალბათ სწორედ ის გაახსენდა. არ მასხოვს როგორ დავამთავრე სიმღერა სამარისებულ სიჩუმეში. სტალინი ისევ წამოდგა ფეხზე და ტაშს გვიკრავდა. შედეგ ახლოს მდგომთ რაღაც გადაუჩრუჩულა. წუთს შემდეგ ჩემთან მოვიდა ერთი სამხედრო და მითხრა: „ამხანაგი სტალინი გთხოვთ იმღეროთ „С одесского кичмана“ შევკრთი, წავილულულულე. „ეს სიმღერა აკრალულია! უკვე ხუთი წელია, რაც მე ამ სიმღერას აღარ ვმღერო!“ სამხედრომ გამყინავი მზერა მომაპყრო და მითხრა „თქვენ, რა, ვერ გაიგეთ? ამხანაგი სტალინი გთხოვთ!“ მოვუბრუნდა მუსიკოსებს, „кичман“—ის დაკვრას შესძლებთ ლია მიხორში? ორკესტრმა დაუკრა ბრწყინვალედ. მფრინავები ადგილებიდან წამოიჭრნენ „ურას“ ძახილით, ითხოვდნენ გამეორებას. სამგზის გამამეორებიხეს ეს სიმღერა. შეუხარე ტაშის თანხლებით დავტოვე დარბაზი.

ადვილი მისახვედრია, რომ სტალინს ლუტიოსოვის მთელი რეპერტუარი სცოდნია. თუმცა, გასაკვირი აქ არაფერია: ბელადის სიკვდილის შემდეგ, მის სხვადასხვა აგარაკზე აღმოაჩინეს სამი ათასი ფირფიტა, რომელებზედაც მისი შეფასებებია მიხერილი. სტალინი, თვით ა. ვერტიქინსკის „თეოთრგვარ-დიულ“ სიმღერებსაც კი უსმენდა, ჩუმ-ჩუმად!

ამ ფრიად მნიშვნელოვანი კონცერტის შემდეგ გამოხდა ხანი და ლუტიოსოვი ქუჩაში გადაეყარა ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს, პლატონ კერუჟნცევს. ცბიერმა და გოხებამახვილმა ლუტიოსოვმა თავი მოიკატუნა მის წინაშე, თითქოსდა, რაღაც დანაშაულის გამო დიდად დარცხვენილმა „პლატონ მიხაილოვიჩ, გულწრფელად გეუბნებით, არაფერს გიმაღლავთ, დავარღვიე თქვენს მიერ გაცემული ბრძანება აკრძალვის შესახებ და, პუბლიკის თხოვნით, შევასრულე სიმღერა „С одесского кичмана“. „რაო? — იყვირა კერუჟნცევმა, როგორ გაბედეთ? გამოგიძებთ კოლეგიაზე და საერთოდ აგიკრძალავთ სიმღერას. რომელ პუბლიკას შეეძლო ამ სიმღერის მოთხოვნა?“ ლუტიოსოვმა დამარცვლით და წელა, თითქმის წამღერებით „მოახსენა“: „მე, ეს ამხანაგ სტალინმა მთხოვა!“ წარმოიდგინეთ რა მოუვიდოდა პ.კერუჟნცევს, იგი მთლად გათეთრდა, პირი იბრუნა და ჩაიბურცყუნა: „ასეთი რამებით არ ხუმრობენ!“

ლუტიოსოვის და მისი ორკესტრის კრემლში ასეთმა წარმატებულმა გამოსვლამ კიდევ უფრო გაზარდა მისი ისედაც განუზომლად დიდი პოპულარობა. გახდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, მიიღო მრავალი ორდენი და ჯილდო, მაგრამ კრემლში გამართულ საზეიმო კონცერტებზე უკვე ერთხელაც აღარ მიუწვევიათ. თვით ლუტიოსოვი ამას ისე ხსნიდა, ალბათ, სტალინს არ სიამოვნებდა იმის გახსენება, რომ „ვიღაც“ ესტრადის მომღერლის თვალინი ნებისყოფის ასეთი სისუსტე გამოავლინა და ატირდა.

თუქმეშეტი კოსტუმი

როგორც ცნობილია, „ლენინს ძალას უყვარდა ბავშვები“. ეს ფრაზა ლამის ლოზუნგად იქცა კომუნისტური პარტიის პროპაგანდისტულ ლექსიკონში. მაგრამ, როგორც სულ ახლახან გაირკვა, მას გაცილებით უფრო მძაფრად ჰყვარებია სხვისი ფულის ხელგაშლილად ხარჯვა და საყვარლისთვის ძვირფასი საჩუქრების მიძღვნა. ამ თვალსაზრისით, მიხეილ სააკაშვილი მასთან შედარებით უმანკო ქმნილებად გამოიყურება. მეითხველი, აღბათ, გაოცებით იყითხავს, რა შეაშია ასეთი პარალელი! რომ ვთქვათ, მაგალითად, ორივე თავის სამშობლოს თავს დიდი უბედურება დაატეხა, ამოაგდო ისტორიული განვითარების კალაპოტიდან და შავი დღე გაუთენაო, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ, რა გასახსენებელია ბიუჯეტის ფულით ერთი პალტოს და სამიოდე კოსტუმის ყიდვა, რომელიც ასე მნარეოდ წამოვაძახეთ ამ პატიოსან კაცს?..

სტოკოლმში, ცენტრალურ მოედანზე, სახელგანთქმული საკონცერტო დარბაზის პირდაპირ აღმართულია უნივერმალის, PNB-ის, გრანდიოზული შენობა, რომელსაც 2016 წელს, 100 წელი შეუსრულდა დაარსებიდან; პოპეზური დღესასწაულით აღინიშნა კიდევ ეს მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღი. უნივერმალის დიზაინერებმა გამართეს დიდი გამოფენა, სადაც მრავალი ისტორიული მნიშვნელობის საგანი თუ ნივთი იყო გამოფენილი. ცალკე სტელაჟი ეთმობლი უნივერმალის ყველაზე სახელგანთქმული მყიდველების ავტოგრაფებს. ექსპონირებული იყო გენიალური ფიზიკოსის, ფარადობითობის თეორიის შემქმნელის, ალბერტ აინშტაინის, ნობელის პრემიის პირველი ლურეატების და სხვა გამოჩენილი ადამიანების მიერ ხელმოწერილი ქვითოები. მათ შორის იყო ლენინის მიერ ხელმოწერილი ქვითარიც, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ, მას, 1917 წლის აპრილში, ამ უნივერმალში შეუძენია თექვსმეტი ერთნაირი კოსტუმი!!!! ბუნებრივად ისმის კითხვა, რათ უნდოდა ამდენი ერთნაირი კოსტუმი ან სად ჰქონდა ამდენი თანხა, ჩვენი ვანო მერაბიშვილივთ „გაღლეტილ“ რევოლუციონერს?

როგორც ცნობილია, ლენინი, 1917 წლამდე, ცხოვრობდა შვეიცარიაში (ციურიხი, უნივერს), ვიდრე კაიზერის მთავრობა ნებას დართავდა, გერმანიის გავლით რუსეთში გამგზავრებულიყო, რათა იქ რევოლუცია მოეწყო და რუსეთი გამოეყვანა პირველი მსოფლიო ომიდან. ამ მიზნით მას მისცეს სამი მილიონი მარკა ოქროთი. მაგრამ ლენინი პირდაპირ კი არ გამოემგზავრა რუსეთში, არამედ რამდოდენიმე დღით გაჩერდა სტოკოლმში, თავის მეუდლესთან და საყვარელთან, ინესა არმანდასთან ერთად და სწორედ ამ ფულით შეიძინა ეს თექვსმეტი ერთნაირი კოსტუმი. გაიძვერა ლენინის სურდა, რომ რევოლუციის მომხდენ პროლეტარიატის იგი დიდი ხნის მახდილზე მუდამ ერთსა და იმავე კოსტუმში ეხილა და თვალნათლივ დარწმუნებულიყო, თუ როგორი უბრალო, ხელმოჭერილი და უპრეტენზი ბეჭადი ჰყავდათ, რომელსაც მხოლოდ ერთადერთი კოსტუმი ჰქონდა.

მაგრამ, მარტი „ჩეკის“ დემონსტრაციით არ დაკამაყოფილებულან უნივერმალის მესვეურები: ინტერეტში გახსნეს საიტი „ლენინი სტოკოლმში“, სადაც კომიკურობის ზომიერი დოზით, ნაჩვენებია თუ როგორი იზომაგს ლენინი თექვსმეტივე კოსტუმს, მამაკაცთა სექციაში (ცხადია, ლენინის „როლს“ მსახიობი თამაშობს).

ლენინს სტოკოლმში გატარებული დღეები უქმად არ დაუხარჯავს და იქაურ სოციალ-ფემოკრატებს რამდენიმე ათასი კრონი გამოსტყუა პოლიტიკური შანთაზის წყალობით „მილიონერმა“ ლენინმა. ქალაქის ცენტრში ფეშენებელური ბინა შეიძინა. მას შორს მიმავალი მიზნები ჰქონდა — რუსეთში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, სტოკოლმში დაბრუნებას ფიქრობდა, რათა ეს ბინა ერთგვარ შტაბად ექცია, საიდანაც უხელმძღვანელებდა მსოფლიო რევოლუციას. წარმოიდგინეთ, რა უხვად დაასაჩქრებდა თავის ულამაზეს საყვარელს, ინესა არმანდს, რომელიც რევოლუციის სექს-სიმბოლოდ იყო აღიარებული. მასზე ამბობდნენ, ამ შეუდარებელი ქალის დახახვაზე გრანიტის ატლანტები და მარმარილოს კარიატიდებიც კი მღელვარებისაგან ტოკავენ და ფიზიოლოგიურ აღმაფრუნას განიცდიან. მასთან შედარებით, საცოდავად გამოიყურებოდა ლენინის კანონიერი ცოლი, ნადეუდა კრუპსკაია, რომელიც, თუ მის თანამედროვეთა მოგონებებს დავუჯერებთ, თავის დროზე ფრიად მიმზიდველი ქალიშვილი ყოფილა. რევოლუციური იდეებით გულანთებული ქალი, სრულიდ არ ზრუნავდა თავის გარეგნობაზე და უკვე ორმოცდათი ნლის ასაკში, ღრმად მოხუცი ქალის შთაბეჭდილებას სტოკოლმში.

ჩემი სტუდენტობის დროს, ანუ გასული საუკუნის ორმოცდათანი წლების დასაწყისში, მოსკოვში, ე.წ. „საარმონ პრაეტიკის“ გასავლელად, ანუ, სპექტაკლების საანახავად ჩასული თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის სავალდებულო იყო „რევოლუციის მუზეუმის“ დათვალიერება. აქ, კრუპსკაიას გაქუცული დრაფტის პალტოს (რომელიც რევოლუციის შემდეგ შეუკერეს და სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა) გვერდით გამოფენილი იყო მისი დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები (ნამდვილი „ბაბავარანა ქოშები“), რომელსაც, დღეს არცერთი თავმოყვარე ქალი არ ჩაიცვამს. როგორც ჩანს, ლენინს აქ, სტოკოლმში, თავისი მეუღლისათვის არაფერი შეუძენია. სამაგიეროდ სტოკოლმი კი, შემთხვევით არ აურჩევია. ცნობილია, რომ ლენინის დიდი ბებია — ანა ესტელი —

შვედი იყო, ხოლო დედამისი — ერთი მეოთხედით შვედი. ამბობენ, ლენინი შვედურადაც კი მეტყველებდა. ხშირად სტუმრობდა სტოკოლმში და, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატებს აქ უყრიდა ხოლმე თავს. მაგ., 1906 წელს, სწორედ აქ გაიმართა რსდპ-ის მეოთხე ყრილობა, რომელსაც ითსებ ჯუდაშვილიც ესწრებოდა.

სხვათა შორის, სტოკოლმში ი.ჯულაშვილი და კლიმენტ ვოროშილოვი სასტუმროს ერთ ნომერში ცხოვრობდნენ. კლიმენტიზე ასაკით უფროსმა იოსებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მომავალ მარშალზე. ჯუდაშვილმა იგი პირდაპირ მოაჯადოვა თავისი ერუდიციით და მახვილონიერებით. აქედან დაინტი მათი განუყრელი მეგობრობა, რომელიც ორივეს სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა და სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა მისმა „სარატნიკებმა“ ზურგში მახვილი ჩასცეს გარდაცვლილ ბელადს, ვოროშილოვმა ზნეობრივი მაგალითი გვიჩვენა და არ „დაუწვა“ ნიკატა ხრუშჩინოვის შემოტევებს.

შვედმა სოციალ-დემოკრატებმა, როგორც კი დაინახეს თუ რა მოჰყვა რუსულ რევოლუციას, ერთხელ და სამუდამოდ თქვეს უარი ლენინურ მოძღვრებაზე და, როგორც უკვე ვთქვი, ლენინი კომიკურ პერსონაჟადაც კი აქციეს კომიუტერულ სივრცეში.

სამწუხაროდ თუ საბეჭნიეროდ, არც ლენინს დასცალდა ყველა კოსტუმის გაცვეთა და არც სააკავილს — თავისი „ქალტოთი“ „მარიაშობა“ ...

...მსოფლიოს უძვირეს ქალაქ სტოკოლმში, „შოპინგის“ ახლად ვამოჩეკილ მილიონერ-მოყვარულებს საქართველოდან, ვურჩევ, ამ უნივერმაბლი შესვლამდე, თვალი შეავლონ მაინც, „კონცერტ ჰაუზის“ წინ თანამედროვეობის გენიალური მოქანდაკის, კარლ მილესის, გრანდიოზულ კომპოზიციას, ალმართულს ამ დარბაზის ცისფერი სვეტების ფონზე. შიშველი მუზების უზარმაზარი ფიგურებით გარშემორტყმული, ზეატყორცილი ორფეოსი (ბეთხოვენის თავით) წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს... (სხვათა შორის, მიღესის „პერმესი“ დგას მოსკოვის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრში, ხოლო „მუზათა წყარო“ ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში).

ასი წლის შემდეგ

1917 წლის 25 თებერვალს, პეტერბურგის ალექსანდრეს საიმპერატორო თეატრში, გაიმართა მ. ლერმონტოვის პიესის, „მასკარადის“ გრანდიოზული პრემიერა, რომლის რეჟისორი იყო ვსევოლოდ მეიერხოლდი. შემთხვევით არ მითქვამს — „ვრანდიოზული“. რუსული თეატრის ისტორია არ იცნობს უფრო ძვირადილირებულ სპექტაკლს. არასოდეს დამზადებულა ამდენი საგანი, არასოდეს შეკერილა ამდენი კოსტუმი, არავის უნახავს ოთხი უძვირფასესი, მსუბუქი, მოხატული, ჰეროვანი ფარდა, სცენის ორივე მხარეს აგებული პორტალები ზედშემართული ოქროთი მოვარაყებული ფრთანი სკულპტურებით, არ აგებულა ესოდენ მრავალფეროვანი დეკორაცია, მაშ რაღაა გასაკვირი, რომ მის დადგმაზე დაიხარჯა 300 000 მანეთი ოქროთი (შხატვარმა, გოლოვინმა შექმნა კოსტუმების, გრიმების, ავეჯის ბუტაფორის 400 ესკიზი).

რუსეთის საიმპერატორო თეატრების მმართველს, ტელიაკოვსკის, თავის „დღიურებში“ (გამოვიდა ორ ტომად, 2015 წელს) ჩაუწერია: „განსაცვილებელია ა. გოლოვინის სცენოგრაფია, როგორც თავისი სილამაზით, ისე, თვით უმცირესი დეტალების სრულქმნილებით“. ხოლო იმ დროის ყველაზე ენამნარე, ირნიული, უეჭველად მახვილებინი ა. კუგელი უურჩალში „Театр и искусство“ (10-11, 1917) წერდა: „ვს. მეიერხოლდი ხუთი წლის მანძილზე ისე „აშენებდა“ თავის სპექტაკლს, როგორც ეგვიპტის ფარაონი თავის აკლდამას“.

მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლის პრემიერას ძალიან დიდი წარმატება ხვდა წილად, ა. კუგელი, უეიდურესად ალშეოთებული, დამამცირებელი ტონით ლანძღავდა ყველას — რეჟისორს, მხატვარს, მსახიობებს. მაგრამ, პარადოქსია თითქოს, მისი სიტყვების მიღმა შესაძლებელია მთელი სპექტაკლის სილუეტის ხილვა. ამ დაუნდობელი კრიტიკოსის ბოლმა გასაგებია. სწორედ პრემიერის დღეს, ე. ი. 1917 წლის 25 თებერვალს, რევოლუციამ აპოგეას უწია. პეტროგრადის ქუჩებში განუწყვეტლივ ისროდნენ, ქალაქში ტრამვაი არ მოძრაობდა, ფანრების მერთალი სინათლეს ვერ ეროდა, ხოლო თეატრის საბილეთო დარბაზში სტუდენტი მოკლეს. „როცა ვიხილე — წერდა კუგელი — ეს უაზრო, შეუსაბამო ფუფუნების ბაბილონი, მთელი თავისი სემირამიდული ავხორცობით, გულს შემომეყარა. მე ვიცოდი — ყველამ იცოდა — რომ აქედან სამიოდე ვერსის მანძილზე, ხალხი ყვიროდა „პური, პური“. ამ დროს გაქსუებული, გაუთლელი გოროდივოები, რომლებიც დღიურად 70 მანეთს ილებენ, ტყვიამფრევების ქარცეცხლში ახვევდნენ ამ მშეირ, პურს მონატრებულ ადამიანებს. და აი, თითქმის თეატრის კედლების გვერდით, ყოველ შემთხვევაში, ძალზე ახლოს, ერთ ქალაქში, ერთმანეთის გვერდზე, იდგნენ მშეირ-მწყურვალი ადამიანები და იქვე — ეს მხატვრულ-გათახსირებული, თავებდურად ხელგაშლილი, უაზროდ დეკოდენტური განცხრომა უინის მოსაკლავად.

ეს რა, კეისრების რომა? რა, აქედან ყველანი მივდივართ ლუკულთან, რათა ბულბულის ენებისგან დამზადებული კერძი მივირთვათ? მაშ, დაე, იღრიალონ მშეირმა არამზადებმა, პურს და

თავისუფლებას რომ ეძიებენ... ამ პიესის თამაში უფრო ცუდად შეიძლება, ვიდრე ამას თამაშობენ ალექსანდრეს თეატრში, მაგრამ მისი უფრო უაზროვ თამაში — შეუძლებელია... უკანასკნელ სურათში პანაშვიდი გაუმართეს მიცვალებულს, არბენინისგან მონამღლულ ნინას. სცენაზე გამოვიდნენ ჯუბებში და სალოვებში გამოწყობილი ვიღაც მოხუცი ქალები, გალობდა ა.არხანგელსკის გუნდი...

მოშორებით კი ისროდნენ და ითხოვდნენ პურს...

და ამ პანაშვიდში, რომლითაც დამთავრდა საიმპერატორო თეატრის არსებობა, იყო რაღაც სიმბოლური“ (აქვე დავსძენ, რომ 19 წლის შემდეგ, ა.კუგელმა, რადიკალურად შეიცვალა აზრი, როგორც მეიერხოლდზე, ისე „მასკარადზე“ ნ.გ.).

მაშინ ვერავინ ინინასწარმეტყველებდა სპექტაკლ „მასკარადის“ განსაციიფრებლად ხანგრძლივ სიცოცხლეს. 1923 წელს იგი აღადგინეს თეატრის რეპერტუარში, შემდგომ, 1932 წელს, განაახლეს (მეორე რედაქცია). 1938 წელს განაახლებული (მესამე რედაქცია) სპექტაკლი უზარმაზარი წარმატებით მიღიოდა (არც პროგრამებში და არც აფეშაზე სპექტაკლის ავტორის, ვს. მეიერხოლდის გვარი არ იყო დატაჭილი. იგი ამ დროს უკვე დახვრეტილი იყო; ნ.გ.).

„მასკარადის“ უკანასკნელი წარმოდგენა გაიმართა 1941 წლის პირველ ივლისს. ამავე წლის შემოდგომაზე, ბლოკადაში მოქცეულ ლენინგრადში, ალექსანდრეს თეატრს, „მესერშმიტების“ ერთ-ერთი შეტევისას დიდი ბომბი დაეცა, რამეც შეწობა საშინალდ დაზიანა, ხოლო გოლოვინის დეკორაციები გაანადგურა. ასე ტრაგიკულად შეწყდა ვს. მეიერხოლდის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილების ინცოცხლე.

და, აი, თითქმის ასი წლის შემდეგ, 2016 წელს, ცნობილმა რეჟისორმა, ალექსანდრეს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ვალერი ფოკინმა, დადგა მ.ლერმონტოვის „მასკარადი“, ორიგინალური სურათით „მომავლის გახსენება“. ამ დადგმით, რეჟისორმა პატივი მიაგო და მოწინება გამოხატა, თავისი დიდი წინამორბედის, გენიალური რეჟისორის, ვლ. მეიერხოლდის მიმართ.

ამ მეოთხედი საუკუნის წინ, ვ. ფოკინი მოსკოვის ერთ-ერთი თეატრის რეჟისორი იყო და სწორედ მისი ინციტუით გაისხან რუსეთის დედაქალაქში „მეიერხოლდის ცენტრი“, სადაც მრავალი ღირსშესანიშნავი კულტურულ-თეატრალური თუ მეცნიერულ-კვლევითი ღონისძიება გაიმართა და მაღალმხატვრული სპექტაკლი დაიდგა, მათ შორის თვით ვ. ფოკინის სულისშემძღვრელი და უღრმესი სევდით ნ.გოგოლის სპექტაკლი, ნ. გოგოლის მიხედვით.

ახლა კი, პეტერბურგში, სწორედ იმ თეატრში, სადაც 1917 წელს მ. ლერმონტოვის „მასკარადი“ დადგა ვს. მეიერხოლდმა, ჩვენმა თანამედროვემ, ვ. ფოკინმა, სცადა ამ სახელგანთქმული სცენური ქმნილების გაცოცხლება „მეიერხოლდის სტილში“. მაგრამ თავის სპექტაკლს უწოდა არა „წარსულის გახსენება“, როგორც ეს, ამ შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო, არამედ „მომავლის გახსენება“, რითაც მიახინდა, რომ ვს. მეიერხოლდი, უპირატესად, მომავლს ეკუთვნოდა. ხოლო სპექტაკლი უკვდავებასთან იყო წილნაყარო.

ამ ასი წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა თეატრალურ ხელოვნებაში, მრავალი ესთეტიკური სტილური სიახლე დამკვიდრდა სცენაზე და ვ. ფოკინის ექსპრესიონისტი გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული.

ალექსანდრეს თეატრის მუზეუმში შემონახულია, ალექსანდრე გოლოვინის დეკორაციების ფრაგმენტები, მიზანსცენების ჩანახატები და სპექტაკლის საერთო გეგმა, მრავალი ფოტოსურათი, მაგრამ, ცხადია, არ არსებობს სპექტაკლის ინტონაციური პარტიტურა და მსახიობთა თამაშის მანერის ზუსტი აღდგენის შესაძლებლობა. თუმცა, ისეთი მაღალი პროფესიონალისა და მოაზროვნისათვის, როგორც ვ. ფოკინია, არსებობდა უფრო მნიშვნელოვანი მხატვრულ-ესთეტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემები, ვიდრე ძველი სპექტაკლის რესტავრაცია, ანუ, არსებობდა, აღდგენილ სცენათა შორის თანამედროვე თეატრალური სიუჟეტი. რეჟისორის აზრით, „...ვინც ფიქრისაკენ და ანალიზისაკენ არის მიღწეული, იმას არ შეიძლება არ შეემჩნია ის, რომ დღევანდელი პროცესები და ის, რაც ასი წლის წინათ ხდებოდა რუსეთში, სახიფათოდ ჰგავს ერთმანეთს. მეორდება საომარი მოქმედებები, სისხლისაგან დაცლილია ქვეყნის ბიუჯეტი, გაუსაძლისია ეკონომიკური პირობები. ჩვენ ეპოქათა გარდატეხის პერიოდში ვცხოვრობთ. მეიერხოლდის სპექტაკლში ისმოდა სასოწარკვეთილთა ჩამწყდარ-ჩახლებილი ხმები, იგრძნობოდა ტრაგიკული და მისტიკური შიში. ეს ყველაფერი არის ჩემს სპექტაკლში“.

მაინც რა ტრაგიკული და მისტიკური „შიში“ იგრძნობოდა ვს. მეიერხოლდის სპექტაკლში, რომელიც ვ. ფოკინისათვის შემოქმედებით იმპულსად იქცა?

ვს. მეიერხოლდის შემოქმედების სრულყოფადაც მცოდნე და ანალიტიკოსი, შესანიშნავი თეატრმცოდნე კ. რუდნიცკი, ავტორი წიგნისა „Режиссер Мейерхольд“ (გამ. „Наука“ 1969წ.), რომელიც სტილის ბრწყინვალებითაც გამოირჩევა, ძალზე თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს გენიალური რეჟისორის ამ სპექტაკლის ორიგინალურ ბუნებასაც და მის ისტორიულ მნიშვნელობასაც. კ. რუდნიცკის აზრით, შიშის გრძნობა, სამყაროს დასასრული, იმპერიის მსხვევევა, რაც მეიერხოლდის სპექტაკლში დომინირებდა, გრანდიოზულ მთაბეჭდილებას ახდენდა. „სპექტაკლ „მასკარადის“ გამჭოლ თემად, ვს. მეიერხოლდის ინტერპრეტაციით, იქცა იმ სამყაროს ილუზიურობა, მოჩვენებითობა,

სიზმარისეულობა, რომელიც იმ დღეებში სამარადისოდ იძირებოდა ნარსულში. ლერმონტოვის დრამის სათაური „მასკარადი“ იშიფრებოდა უზარმაზარი, მთელი მოქმედების თავიდან ბოლომდე მომცველი მეტაფორულობით: ეს იყო მასკარადი მთელი ეპოქის, მთელი ჩახლართული მაღალფარ-დოვებით, ვითომცდა ჭეშმარიტი, სინამდვილეში კა, მოწვენებით, მაცდური მასკორადი ურთიერთობისა, რომელიც ნამდვილ გრძნობებს კი არ გამოხატავდა, არამედ მხოლოდ მაღავდა, ფარავდა და ანადგურებდა მას.

სპექტაკლის მეორე, ასევე, გამჭოლი თემა იყო თამაშის თემა. „თამაში“, რომელიც ცხოვრებას, მის დრამატიზმს ანაცვალებდა ხელოვნური, ყალბი „სახალხო დრამებით“, რომელთა მიზნი იყო მიძინებული, მიქრალი გრძნობების აღირინება, მაგრამ მოულოდნელად ვყველაფერი მთავრდებოდა ა არა მოწვენებითი, არამედ სიკვდილის მაუწყებელი ნამდვილი სისხლით. ამგვარად, სპექტაკლში ერთმანეთს ერწყმოდა გარეგნული ბრწყინვალება და დემონიზმი. ვს. მეირხოლიდნერდა, რომ „მსახიობებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ „ლამაზ ფორმას“, მეტიც, „გარეგნულად ბრწყინვალე ფორმას“, მაგრამ ამ ბრწყინვალების საფარქვეშვნებები უნდა ბობიქრობდნენ“. „მეირხოლდის სპექტაკლი უდერდა როგორც იმპერიის პირქუში რევენიმი, როგორც მრისხანე ტრაგეული და ფატალური ჰანამდვილი იმ სამყაროსი, რომელიც იმ დღეებში იღუპებოდა“ (კ. რუდნიცკი) ჩვენმა თანამედროვემ, ვ. ფოკორმა, როგორც ჩანს, თავისს დიდი წინამორდების მსავავსად იგრძნო, რომ თანამედროვე რუსეთი სწორედ ისეთივე მოსალოდნელი ტრაგედიის პირისპირაა, როგორც იყო ამ ასი წლის წინათ, 1917 წლის თებერვალში. თქვა კიდევ ერთ ინტერვიუში (2016 წლის, მაისში): „ძალიან მძაფრად ვგრძნობ 2017 წლის მოახლოებას. შეიძლება არც შევიმჩნიოთ და ისე ჩავთვალოთ, რომ თარიღები, როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი, არ არსებობენ, მაგრამ ეს შეცდომა იქნება. 1917 წელმა ძირვესვიანად შეცვალა ცხოვრება არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. დღესაც კონფლიქტები, განხეთქილებანი, მიუტევებლობა მძვინვარებს ისე, როგორც ეს იყო ასი წლის წინ... მპრანებლობის უინით შეცყრობილ სელისუფალი და ამბიციები განაგებენ სამყაროს დღეს. მიმდინარეობს „ჩვენიანის“ და „თქვენიანის“ გაყოფაც და აგრესიული დაპირისპირება.“

„განგებამ გვიპონა დამატებითი დრო – იქნებ გამოვფხილდეთ“ – მოუწოდებს ვ. ფოკინი რუს ხალხს და რუსეთის ხელისუფლებას.

„პლასტიკური ეკზისტენციალიზმი“

საყოველთაოდ ცნობილი ტაძრის „საგრადა ფამილიას“ („წმინდა ოჯახი“) არქიტექტორი ანტონიო გაუდი ძალიან გახარებული იყო, როცა ბარსელონას სამხატვრო აკადემიის რექტორმა მისი სადიპლომონ ნამუშევრის გამო ასეთი რამ თქვა „ეს ყმანვილი ან გიუა ან გენიოსიო“. ამ ფრაზით ფრიად კამაყოფილმა ანტონიომ თქვა, „აი, ახლა კი ვირწმუნე, რომ არქიტექტორი ვარო“. სახელგანთქმულმა ფრანგმა სკულპტორმა ემილიო ბურდელმა, რომლის ბრინჯაოში ჩამოსხმული შიშველი ქალები მინახავს ორსეს მუზეუმში, პარიზში. მოსკოვის პუშკინის სახელობის მუზეუმში და ნიუ-იორკის „თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში“. ისინი განსაცვიფრებელია მოცულობათა სიმკვრივით და „სიმძიმით“, ანუ, ფორმის აპსოლუტური შეგრძებით), განამებულმა თავისი მონაფის, ალბერტო ჯაკომეტის თავაშვებულობით და უცნაურობებით, ნამოიძახა: „ეს ყმანვილი ან გაგიყდება ან ძალიან შორს წავაო“. ორივე მენტორის წინასწარმეტყველება ახდა; ორივე, გაუდიც და ჯაკომეტიც, XX საუკუნის უდიდეს ხელოვანებად მოევლინენ სამყაროს – ერთი ხუროთმოძღვრებაში, მეორე – სკულპტურაში. შევიცარიაში (იტალიური კანტონი, ქალაქი სტამპა) დაბადებულმა ალბერტომ, რომელმაც პირველი გაკვეთილები მამამისისგან, ჯოვანი ჯაკომეტისაგან (შევიცარიელი ფერმწერი და გრაფიკოსი) მიიღო, მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება პარიზში გაატარა. იგი იყო პარიზის „ახალგაზრდა გენიოსების“ თაობის ერთ-ერთი ყველაზე ბოჭემური და უნიჭიერესი წარმომადგენელი, თითქმის ყოველდღე სტუმრობდა ქალაქის ყველაზე ცნობილ ბორდელს „სფინქსს“, ამბობდა, აქ დავრწმუნდი, რომ პროსტიტუტები ყველაზე პატიოსანი გოგოები არიან. 1927 წელს, როცა, მის მიერ შეემნილი ქალთა სიურეალისტური სკულპტურები („ქალი-ობობის ფორმით“, „ყელგამოჭრილი ქალი“, „ქალი კოვზით“) გამოფინეს „ტიულრის სახელონსოში“, ერთმა მეგობარმა ჰკითხა: „ვინ შთაგაგონებს ამ საშინელებებს – შენი პროსტიტუტები?“ უპასუხა: „არა, ამას თქვენი ცოლები შთამაგონებენ თავიანთი სისულეელებით, მერკანტილიზმით და ანჩხლობით“. როცა ერთხელ უან კოკტემ მოუფრთხილებლად გადაუკრა სიტყვა „იმნაირ“ სექსზე, ერთი ისეთი სთხლიშა ყბაში, რომ კბილებჩამტვრეული ეს ნაზი გენიოსი ნაგვით სავსე თხრილიდან ძლიერ ამოათორიეს. ადრე დაუახლოვდა ანდრე ბრეტონს, ლუი არაგონს, პიკასოს, ხუან მიროს, ბეკეტს, სარტრს: ამ უკანასკენელმა მას „უდიდესი სიურეალისტი სკულპტორი“ უწოდა. ალბერტო თავისი ესთეტიკურ მოსაზრებებს ბეჭდავდა უურნალში „სიურეალიზმი – რევოლუციის სამსახურში“. წარმოუდგენლად ბევრს მუშაობდა, დაუნდობელი იყო თავისი ესკიზების მიმართ. მძიმე ჩაქუჩით ამსხვრევდა მათ და თაბაშირის ნამსხვრევებს თავისი, ხუსტლისმაგვარი სახელონსოს ფანჯრიდან პირდაპირ

ქუჩაში ისროდა. ყოფილა შემთხვევა, რომ ქანდაკების ოცდათი ესკიზი ერთ საათში გაუნადგურებდა (ამიტომ არ მიკვირს, რომ ჟან კოკტო ერთი დარტყმით „კანაოში“ გადააგდო). საკუთარი მორალური პრინციპების ერთოგული იყო, თავის მოდელებთან არაფრისდიდებით არ წვებოდა. ამბობდა: „მოდელთან რომ დავწვე, ქალი გადაიქცევა ხორცის ნაჭრად. ხორცის ნაჭრიან კი ხელოვნება არ იქმნება“. მშვენიერი ქალები ეტრიულების, ის კი სტრიკურად უძლებდა მათ შემოტევებს და ვნების დასაცხომად იქვე, ბორდელ „სფინქსში“ გარბოდ. სამი წლის მანძილზე მისი ერთ-ერთი მოდელი იყო ულამაზესი ინგლისელი ქალიშვილი, იგაბელა. სამი წლის მანძილზე იყავებდა თავს ალბერტო და მამინ, როცა ქალი ლონდონში ბრუნდებოდა და სამუდამოდ ემშვილობებოდა მაესტროს, ა, მხოლოდ მაშინ, აცდუნა ვერავა ეროსმა. ალბერტო ამ ამბით (ეს რა დამტართო!) ისე აღგზნებული იყო, რომ საშინელ ავტოკატასტროფაში მოჰყვა, ძლივს გადარჩა, მაგრამ სამუდამოდ დაკოჭლდა. თავისი ქობმახიდან იშვიათად გამოიდიოდა, თავგადაკული მუშაობდა, დღეში ორ კოლოფ სიგარეტს ეწეოდა, სვამდა ორმოცდათ ფინჯან ყავას (ბალზაკზე ამბობდნენ, 55 ათასმა ფინჯანმა ყავამ აცოცხლა და 55 ათასმა ფინჯანმა ყავამ მოკლა).

თუ კარიერის დასაწყისში მისი სკულპტურები რეალისტური მანერით გამოირჩეოდნენ (თითქმის ორი წლის მანძილზე სწავლობდა იტალიურ კლასიკურ ხელოვნებას და რომაულ ქანდაკებას), შემდეგ, უკვე პარიზში, კუბიზმის ზეგავლენა განიცადა, გაიტაცა აფრიკის, ოკეანის, ამერიკელი ინდიელების ხელოვნებამ. იმდროინდელ ნამუშევრები — „გალია“, „სიურეალისტური მაგიდა“, „ყელგამოჭრილი ქალი“ — ალბერტილია კუბიზმისა და ოკეანის არქაიკული პლასტიკის შერწყმით, სიზმრისეული ფანტასტიკურობით, ავრესით და ეროტიზმით.

უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე შეორე მსოფლიო ომის საშინელმა პეიზაჟებმა. ნაცისტების პარიზში შემოსვლამდე ის და მისი ძმა დიეგო (გრაფიკოსი, ავეჯის წარმატებული დიზაინერი) ლტოლვილებად იქცნენ. ტრანსპორტი რომ ვერ იძოვეს, ველოსიპედით სცადეს გაქცევა. გზაზე იზიდუს დაქცეული ქალაქები, იავარქმნილი სოფლები, დაუმარხსავი მიცვალებულები, დახოცილი პირუტყვი. შთელი ცხოვრების მახსილზე კოშმარულ მოლანდებად გაჰყვა ნახახი, ვერაფრის-დიდებით ვერ განთავისუფლდა: იზიდა ქალის უნაზესი ხელი, მწვანე ქვეპით შემკული სამაჯურით, სისხლსა და ჭუჭუში მიგდებული. ალბერტოს თავის დღიურში ჩაუწერია: „ეს საშინელებან რომ არ მენახა, დავითარხებოდი, როგორც სკულპტორი“. ომი უნევაში გადაიტანა (შვეიცარიის მოქალაქე იყო). პარიზში დაბრუნებულება, თითქოს, შეცვალა თავისი სტილი — უფრო ჰუმანიტარული მანერის მიმდევარი გახდა, როგორც ქანდაკებაში („მიმავალი მამაკაცი“, „დიეგოს ბიუსტი“) ისე ფერწერაში და გრაფიკაში („ახალგაზრდა კაროლინას პორტრეტი“). ეს კაროლინა იყო მისი ერთადერთი, პირველი და უკანასკნელი სიყვარული. შავგვრემანი, ჩამოქანდილი სხეულით, ანთებული, მუქი თაფლის ფერი თვალებით, დაუფარავი ტემპერამენტით, მან შემთხვევით გაიცნო ბორდელ „სფინქსის“ მახლობლად არსებულ ბარში. ქალი ირგვლივ მოუგერიებელ სექსუალურ ფლუიდებს აფრქვევდა. ორმოცდათვრამეტი წლის ჯაკომეტის უმაღვე თავდავიწყებით შეუყვარდა იგი. ვებისაგან ატანილმა, უდალატა თავის წეს და თავის სახლში წაიყვანა ოცდაორი წლის სექს-ბომბა. გადაირია ყოველმხრივ გამოცდილი, უკვე ხანძიშესული მამაკაცი. დილას, სხვათა შორის ჰეითხა, შემთხვევით შენ ბოზი ხომ არ ხარ?“ კაროლინამ მშვიდად მიუგო „არა!.. შეცდით! უარესი!“ ამის შემდეგ ქალი თითქმის ყოველდღე მოდიოდა სახელოსნოში, იგი სკულპტორის მუდმივი შთაგონების წყაროდ იქცა. „ასეთი დამფერფლავი ხანძარი აქამდე არ განმიცდიან“. დღიურს ანდობდა საკუთარ განცდებს. ერთ დღეს კაროლინა უძვირფასესი მანქანით, „ფერარით“, მოგრიალდა. მერე კი სადღაც გაქრა. გადაირია მოხუცი სკულპტორი, ყველგან ეძებდა, საროსკეპოებში, კაფე-ბარებში, ქუჩებში. მთელი დღეები ეზოში იჯდა სასონარკვეთილი და სატროფოს განაჩენს ელოდებოდა. ამაღდ! თუმცა ქალი გულწრფელად უუბნებოდა, „ბოზი არ ვარ, მხოლოდ იმასთან ვწვები, ვინც მომერნებაო“, მაგრამ ალბერტოს ის მაინც „თაფლისფერ თვალებიან ანგელოზად“ მიაჩნდა. მოქანდაკის დღიური მის სანუკევარ ფიქრებს გვამცნობს: „ღმერთო ჩემო, მე ხომ უკვე მოხუცი ვარ. საშინლად გამოვიყურები, გამხდარი, საფრთხობელასავით ჩამოძონძილ-გაჩხინკული, ნიკოტინით გაულენთილი, ყვითელი კბილებით. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე პირველად შევხედე ჩემს თავს ვიტრინაში, მთელი სახე მაიმუნივით ნაოჭებით მაქვს დაფარული“. თავის სახელოსნო-ხუსლაში სარკეც კი არ ჰქონდა, საპირფარეშო და ხელსაბანი ეზოში იყო. მაშინაც კი, როცა უსაზღვროდ გამდიდრდა და პარიზში ფერწერებელი აპარტამენტები შეიძინა, ისევ ძველ ადგილას განაგრძობდა ცხოვრებას. ბოლოს გაირკვა, რომ კაროლინა პარიზული განგსტერების ჯვუფის წევრი ყოფილა, ქურდი და მამაძალლი. ციხიდან რომ გამოვიდა (ალბერტოს დახმარებით) გამოუტყდა, „რა ვქნა, რისკი და თავგადასავლები მიყვარს“. ალბერტოს მაინც, სიცოცხლის ბოლომდე თავდავიწყებით უყვარდა ეს სახიფათო ქალი...

ომის შემდეგ წლებში მისმა შემოქმედებამ კიდევ ერთი ცვლილება განიცადა. მისი მეგობრების, სარტრისა და უენეს აზრით, ახლა იგი ეგზისტენციალიზმის უთვალსაჩინოები სკულპტორი გახდა. მისი ყურადღების ცენტრში მოექცა მოცულობა და მასა, ადამიანის ფიგურის იღუმალება ფერწერაშიც და ნახატშიც, სივრციბრივი სიღრმის პრობლემა და ადამიანის სახის გამოცანა.

ერთხელ ალბერტოს ენვია ამერიკაში დიდად გავლენიანი და ცნობილი არტ-დილერი, გალერეის-

ტი პიერ მატისი, შვილი დიდი ფრანგი ფერმწერის ანრი მატისისა. ნიუ-იორკში გამოფენის გამართვა შესთავაზა. უმტკიცებდა – პარიზი უიმედოდ ჩამორჩა თანამედროვე ხელოვნებას, ახლა ნიუ-იორკია ყველაფრის განმსაზღვრელი. ჯაკომეტი შეეპასუხა, პარიზი იყო და სამუდამოდ დარჩება ხელოვნების ცენტრით და უარი უთხრა ამერიკაში გამგზავრებაზე, თუმცა შემდეგ დათანხმდა. ნიუ-იორკის პრესის ფლაგმანები წერდნენ: „სამყარომ აღმოაჩინა ახალი გენიოსიო“. მალე ვენეცია, ბაზელი, ბერნი გაეცნო მის შემოქმედებას.

ბერნში გამოფენაზე საინტერესო რამ მოხდა. ალბერტომ დაინახა, რომ სკულპტურის „ძალის“ წინ დიდახანს იდგა ელეგანტური, ლამაზი ქალი. მოქანდაკე მიუახლოვდა და უმაღვე იცნო კინოსა და ესტრადის ვარსკვლავი, მარლენ დიტრიხი. „მოგნონთ?“ მარლენმა თავი დაუკარა თანხმობის ნიშნად. „ეს ძალი ჩემი ავტოპორტრეტია. ნუთუ, იგი, ისევე ახლობელია თქვენთვის, როგორც ჩემთვის?“

ეს „ძალი“ კი მართლაც უცნაური სკულპტურაა, რომელმაც არ შეიძლება არ მიიპყროს მნახველის ყურადღება: რაღაც უსაზღვრო, მიუქანდომელ სევდას გამოხატავს მთელი მისი ფიგურა. მაღალ, წვრილ ფეხებზე შემდგარ ცხვირ-პირი და კუდი (რომელიც შუში მსხვილდება, თითქოს გაკვაძეულია და ძალის თავის ზომისა) უსაშველოდა წაგრძელებული. წინ გამვერილ ცხვირზე ყურები ჩამოჰყრია. წვრილი კისერიც შუაში მსხვილდება. მთელი მისი სილუეტი ისე აღიქმება, როგორც ორთავიანი, უცნაური არსება, რომელიც, ერთდროულად წინაც მიიღის და უკანაც (მიმას ველოსიპედივთ!). ამ შთაბეჭდილებას წვრილი, მაღალი ფეხები (რომლებიც, თითქოს, ცხენის ფლოქვებზე შემდგარან) მოძრაობა და სივრცე ფეხებს, წახრილთ თავ-კისერსა და კუდს შორის. ასეთი, უცნაური, თითქოს ორთავიანი ძალი ბუნებას არ არსებობს, იგი აღბერტოს აპოკალიფსური მოღანდება, რომელიც რეალურზე უფრო შთაბეჭდავია და იჯერებ, რომ ასეთი ადამიანური სევდით შეპყრობილი ძალი მართლაც შეიძლება არსებობდეს.

ძალიან ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს სკულპტურა „მიმავალი მამაკაცი“. მისი თხელი, აწონილი, წინ გადახრილი სხეული მიიღის... მაგრამ სად? უპორიზონტუ სივრცეში თუ კოსმიურ არყოფნაში. იგი მარტოსულია, როგორც ეგზისტენციალისტები იტყვიან, „გადაგდებულია“ მისთვის უცნობ და მტრულ გარემოში. სხვა მის ცნობილ სკულპტურებშიც ექსპრესიასთან და ძალასთან ერთად იგრძნობა პარქუში სიმბოლოების მარადულობა. მისი ქანდაკებების რელიეფი სწორი და გლუვი კი არ არის, როგორც ვთქვათ, მისი მასწავლებლის, მაიოლის ქალების სხეული, არამედ, თითქოს ვულკანური ქვებისაგან აგებული ფიგურები, უსწორმასწორი, ბრინჯაოს სხევადასხვა მოცულობისაგან შეკრული კომპოზიციები. მათ აქვთ ანდამატური მიმზიდველობის და დაუვინყარი სახიერების უნიკალურობა. ყოველივე ამან განაპირობა მისი დიდი წარმატება და უპირობო აღიარება. საბოლოოდ ძალიან გამდიდრდა, მყიდველები შემოესივნენ, იძულებული გახდა, კარებზე აბრა გამოეკრა „არაფერს არ ვყიდა!“ თავის ახლობელებს ეუბნებოდა „რად მინდა ამდენი ფული, ან ახალი ბინა. მე მხოლოდ სამი რამ მჭირდება, ბრინჯაო, თაბაშირი, ტილო“.

ალბერტო ჯაკომეტის შემოქმედების არსი შესანიშნავად გამოხატა ფრანგმა მწერალმა ფრანსის პონქა: „ადამიანი... ადამიანური არსება... თავისუფალი პიროვნება... მე... ჯალათი და მსხვერპლი ერთდროულად... ერთდროულად მონადირე და ნახადირევი... ადამიანი – და მარტოსული ადამიანი – რომელმაც დაკარგა კავშირი – ნახევრად დანგრეულ ტანჯულ სამყაროში – ვინც ეძებს თავის თავს – ნულიდან დაწყებული, ღონებიშდილი, დატახული, ჩამომხმარი, შიშველი, ბრბოში უაზროდ მოხეტიალე. ადამიანი, რომელიც წუხს ადამიანზე, რომელიც განიცდის ტერორს ადამიანისაგან. ბოლო დროს თვითდამკვიდრებელი უმაღლესი ელეგანტურობის იერარქიულ პოზიციაში. უკიდურესი ქანცგანწყვეტილობის პათოსი, კავშირდაკარგული პიროვნება. საკუთარ წინააღმდეგობის სვეტთან მდგარი ადამიანი, რომელიც თავს აღარაფერს აღარ სწირავს. დაფერფლილი. შენ მართალი ხარჩემო ძევირფასო მევობარო. ადამიანი ქაფენილზე — ვითარც რკინა, მას აღარ ძალუძს ამოძრაოს თავისი მძიმე ფეხები, ბერძნული სკულპტურიდან, ლორანიდან და მაიოლიდან მოყოლებული, ადამიანი კოციონზე იწვოდა! ეჭვმიუტანელი სიმართლეა, რომ ნიცხესა და ბოდლერის შემდეგ დაჩქარდა ფასეულობათა რღვევა... ისინი მის ირგვლივ ორმოს თხრიდნენ, ტყავში ძვრებოდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ ცეცხლისთვის შეენთოთ ყოველივე. ადამიანს არა თუ არაფერი გააჩნია, იგი მეტს აღარაფერს ნარმოადგენს, თუ არა მხოლოდ საკუთარ „მე“-ს.

P.S.

ალბერტო ჯაკომეტოს ქმნილებანი ძალიან ძვირად ფასობს ხელოვნების ნაწარმოებთა ბაზარზე. ასე მაგალითად, 2015 წელს, მისი 180 სანტიმეტრიანი ბრინჯაოს ფიგურა „კაცი – მიმთითებელი“ გაიყიდა 141,3 მილიონ დოლარად. ეს იყო სარეკორდო თანხა, რომელიც, ოდესმე გადაუზღიათ სკულპტურაში („კრისტის“ აუქციონი, ნიუ-იორკი).

უფრო ადრე, 2010 წელს, ლონდონში გამართულ „სოტბის“ აუქციონზე, 104 მილიონ დოლარად გაიყიდა მისივე „მიმავალი კაცი“.

თუ ოდესმე, ხელში ჩაგიგარდებათ შვეიცარული 100 ფრანკიანი კუპიური, ყურადღებით დახედეთ – მასზე გამოსახული მამაკაცი აღბერტო ჯაკომეტია.

შურისძიება რეპინისებურად

საყველთაოდ ცნობილია, თუ როგორ იძია შური პაბლო პიკასომ თავის პირველ მეუღლეზე, პარიზში, ს. დიაგილევის „რუსული სეზონების“ ბალეტის მსახიობ ოლგა ხოხლოვაზე, როცა მან ტავრომაქაში მონაწილე პიკადორის ცხენს ამ ქალის უტრიორებული თავი „გამოაბა“. მაგრამ თურმე, არც რუსული რეალისტური ფერწერის მეტრი, ილარეპინი ყოფილა მოკლებული შურისძიების გრძნობას. 1878 წელს მან შექმნა სოფია შევცოვას ფერწერული პორტრეტი, სახელწოდებით „მონაზონი“. ეს სოფია ი. რეპინის დანიშნული იყო და მისი ცოლად მოყვანა პეტონდა განზრახული. მოულოდნეულად შეევარებულთა შორის მძაფრი ურთიერთობა შეიქმნა და სოფიამ ილია რეპინს უარი უთხოა ცოლობაზე. მაშინ განაწყენებულმა იძიამ ცოლად შეირთო სოფიას უმცროსა და, ვერა. მაგრამ, და ესა მთავარი, რეპინს უკვე შექმნილი ჰქონდა სოფიას პორტრეტი, სადაც საპატარძლოს ეცვა ულამაზესი სამეჯლისო, ბრნიშნვალე, ნაირფერი კაპა. სოფიაზე უკვე საბოლოოდ გულაყრილმა რეპინმა შავი სალებავებით თავიდან „გადადება“ ეს სურათი და, შესაბამისად, ასე შეიქმნა მისი ცნობილი სურათი „მონაზონი“. „ჩააშვე“ ქალის სახის გამომეტყველებაც. ნამდვილი ამბავიდ და ეს ფაქტი პირველად გაამხილა ი.რეპინის დისტვილმა თავის მემუარებში, შემდგომ რენტგენოგრამამ აჩვენა, რომ შავი სალებავების „გარსის“ ქვეშ იმალებოდა ლამაზად მორთული, ნაირფერი ტანსაცმელი და ქალის მშვენირო მაღალი ვარცხნილობა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ი. რეპინის ცხოვრების და შემოქმედების ირგვლივ არსებულ ერთგვარ მისტიკურ გარემოებებს, მისი შურისძიება, შესძლოა, უფრო სასტიკი ყოფილიყო. მართლაც, განსაცვიფრებელია, რომ რეპინის მიერ დახატული პორტრეტების ორიგინალები სურათის დამთავრებისთანავე სულ მაღლ იღუპებოდნენ. მაგალითად, მისი მრავალფიგურიანი კომპოზიციის, „ბურლაკები“, ყველა მენატურე „მუჟიკი“ მოკვდა. ასეთივე ბედი ეწაათ მწერლებს ა. პისემსკის და გარშინს, სახელგანთქმულ ქირურგს, პიროვოვს, რუსეთის რეფორმატორ პრემიერ-მინისტრს, სტოლიპინს.

ცნობილია, რომ ი. რეპინი და კომპოზიტორი მოდესტ მუსორგსკი ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ. მ. მუსორგსკი ბრწყინვალედ აღზრდილი, ენების მცოდნე, დიდგვაროვანი არისტოკრატი (მისი გვარი სათავეს იღებდა როურიკოვიჩების დიდი დინასტიიდან) გვარდიის ოფიცირი იყო. ლიტერატურულ თუ მუსიკალურ სალონებში ყველას ხიბლავდა თავისი გონებამახვილური საუბრებით. აღიარებული იყო როგორც ბრწყინვალე კალაბურისტი, ბავშვურად სულ ხალისიანი, მუდამ მონითალო ცხვირით (მართალია არაყს ეძალებოდა, მაგრამ ცხვირი ბავშვობაში მოყყნა) ყველგან სასურველი სტუმარი იყო. ერთი სიტყვით, იყო ძალზე რაფინირებული, იცვამდა მდიდრულად, უაღრესად დახვეწილი გემოვნებით. ბუნებრივია, გენიალური მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულ კომპოზიტორს თავისი თითქმის არცერთი ნაწარმოები არ დაუმთავრებია. კომპოზიტორი რიმსკი-კორსაკოვი ემუდარებოდა, მომეცი შენი ოპუსები, მე დავამუშავებო. ამაოდ. ახალგაზრდა, ლალი მოდესტი მუსიკით არ იყო პროფესიულად დაკავებული, იგი ცხოვრებით ტკბებოდა და... თავისი აღსასრულისაკენ მიემართებოდა. რეპინმა განიზრახა თავისი (თითქმის გალოთებული) მეგობრის პორტრეტის შექმნა, უშუალოდ საავადმყოფოს პალატაში. ბედის ირონიით ეს პორტრეტი (ისევე, როგორც მ. მუსორგსკის ნაწარმოებები) დაუმთავრებელი დარჩა. როცა ი. რეპინი მასთან საავადმყოფოში მივიდა ბოლო სეანსისათვის, ექიმებამი იგი პალატაში არ შეუვეს - მუსორგსკი უკვე გარდაცვლილი იყო. რუსი ხელიონებათმცოდნების აზრით, მუსორგსკის ეს პორტრეტი ყველაზე უკეთესია მხატვრის სხვა დანარჩენ პორტრეტებთან შედარებით. რეპინმა დიდი ისტატობით შესძლო „დაეჭირა“ კომპოზიტორის ბავშვური, ნაივური, მიმნდობი და ერთგვარად ინფერალური გამოხედვა, რითაც იგი ასე რიგად ხიბლავდა ყველას. მაშინ მოდესტ მუსორგსკი 42 წლის იყო. ამ პორტრეტის მიხედვით შედარებით ახალგაზრდა მ. მუსორგსკი გამოიყურება დონდლო, მსუქან, ფიზიკურად დაუძლეულ მამაკაცად. ბავშვობაში მოყინული ცხვირი კი აქ უკვე ნიშანია მისი აპოკალიფსური ლოთობისა. მხოლოდ თვალებში კრთიან მისი დიდი ნიჭისა და სიკეთის მაუწყებელი ცოცხალი ნაპერზეკლები.

დასაფლავებულია ალექსანდრე ნევსკის დავრაში, ტიხვინის სასაფლაოზე, კომპოზიტორების, გლინკასა და დარგომიუსკის მახლობლად. საფლავის ქვაზე გამოსახული ბარელიეფური პორტრეტი შეიქმნა ილია რეპინისა და ცნობილი სკულპტორის, მარკ ანტაკოლსკის ერთობლიობით. აი, რატომ ვთქვი, რომ ი. რეპინი ცოტა აჩქარდა, როცა თავისი საცოლის პორტრეტი „გადახატა“, რადგან ცოტა მოგვიანებით სოფია შევცოვა გარდაიცვალა.

ახალი წიგნები

გამომცემლობა „კენტავრმა“ გამოსცა მაცა ვასაძის წიგნი „რობერტ სტურუას სათეატრო ენის სემიოზიკა“ და ლაშა ჩხარტიშვილის „მეფე ლირის“ სცენური ინტერპრეტაციის საკითხები ევროპულ და ქართულ თეატრში“.

ორივე ეს წიგნი ქართული თეატრმცოდნეობით აზრის შენაძენია და ნათელპყოფს ქართული თეატრმცოდნეობის სერიოზულ წინსვლას. ასევე საინტერესოა ერთი გარემობა — თუ აქამდე ჩვენს დიდებულ რეჟისორზე — რობერტ სტურუაზე წერდნენ უფროსი თაობის ჩინებული თეატრმცოდნები, ახლა ქართველი რეჟისორის შემოქმედებას ახალი თაობის თეატრმცოდნები იკვლევენ. ეს კი ადასტურებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვნი შემოქმედებითი რეალობა შექმნა რობერტ სტურუაზ.


6 ოქტომბერს რუსთაველის თეატრის „ქიმერობის“ დარბაზში გაიმართა ამ ორი ახალი წიგნის წარდგენის თეატრმცოდნება ახალ წიგნებზე ისაუბრეს: თეატრმცოდნე ნოდარ გურაბანიძე, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რეჟისორმა და მსახიობმა გოგი ქავთარაძემ, მწერალმა, „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორმა გურამ ბათიაშვილმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა თამარ ბოკუჩავამ, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა გიორგი ცეიტიშვილი.

მაკა ვასაძემ და ლაშა ჩხარტიშვილმა შეკრებილთ, ორატორებს მადლობა მოახსენეს წიგნებით დაინტერესებისათვის.

წიგნების წარდგინება მოამზადა და პრეზენტაციას უძლვებოდა რუსთაველის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ია შერაზადიშვილი.

მაკა ვასაძე

რობერტ სტურუას
სათეატრო ენის სემიოზიკა




„დიმიტრი ჯაიანი“

გამომცემლობა „საარმა“ მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა წიგნი-ალბომი, რომელშიც ასახულია საქართველოს სახალხო არტისტის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის — დიმიტრი (დიმა) ჯაიანის შემოქმედებითი ცხოვრება.

წიგნი-ალბომის შემდგენელია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მერაბ გეგია, რედაქტორი — ნატო კორსანტია, ალბომის დიზაინი ეკუთვნის დავით ბაძალუას.

მერაბ გეგია შესავალ წერილშივე იძლევა დიმიტრი ჯაიანის შემოქმედებითი ცხოვრების ვრცელ ანალიზს, განიხილავს მსახიობის მიერ შესრულებულ თითქმის ყველა როლს, რითაც წარმოგვიდგენს მსახიობის განვლილ შემოქმედებით გზას. წიგნ-ალბომში უხვად არის წარმოდგენილი წლების განმავლობაში ქართულ პრესაში დიმიტრი ჯაიანზე გამოქვეყნებული მასალები, მისი ინტერვიუები, აქვე იბეჭდება მერაბ გეგიასავე ვრცელი საუბარი მსახიობთან, რომელშიც წარმოჩენილია დიმიტრი ჯაიანის ფირები, დაკვირვებანი ცხოვრებისეულ თუ შემოქმედებით საკითხებზე. დაბეჭდილია ქართული კულტურის მოღვაწეთა წერილები დიმიტრი ჯაიანზე, რომელთა ავტორები არაა: გოგი ქვთარაძე, თემურ ჩხეიძე, დავით კობახიძე, გიზო უორდანია, გოჩა კაპანაძე, დავით საყვარელიძე, სანდრო მრევლიშვილი, რეზო ამაშუკელი, მანანა ამირეჯიბი, მურად ანჯაფარიძე, გურამ ბათიაშვილი, თამარ გაბედავა, გიორგი გეგეჭკორი, გოჩა გვაზავა, ნოდარ გურაბანიძე, ნატა დევიძე, აზზორ ერქომაიშვილი, კახი კავსაძე, ვასილ კიკნაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, რონ მეტრეველი, კოტე ნინიკაშვილი, გურამ ოდიშარია, სერგო პაჭკორია, ჯამბულ წულაია, ამირან ქადეიშვილი, ჯანსულ ჩარკვიანი, ლევან ლვინჯილია, ვახტაგ ყოლბაია, ნუგზარ ყურაშვილი, ოთარ ჭითანავა, იოსებ ჭუმბურიძე, ლილი ხურითი, მურთაზ ხურცილავა.

აქვეა დიმიტრი ჯაიანისადმი მიძღვნილი ჯანსულ ჩარკვიანის, გენო კალანდიას, ცისმარი ჩიქოვანის, გერმანე ფაცაციას, ავთანდილ მეგრელიშვილის, ნანა ბობოხიძის, გიზო თავაძის ლექსე-ბი და სხვა საინტერესო მასალები.



აზზორ ერქომაიშვილი

ლიკა ჭავჭავაძის გახსმება



ქალბატონი ლიკა ქართული თეატრის ლეგენდარული მსახიობების, თამარ ჭავჭავაძისა და პიერ კობაიძის ქალიშვილი, თავადაც შესანიშნავი მსახიობა, რუსთაველის თეატრის მსოფლიო წარმატებების მომსწრე და მონაწილე, ძალზე მოკრძალებული, ჩუმი, უპრეტენზიო, განათლებული, იუ-მორით აღსავსე ადამიანი, სიმშვიდისა და სინწყარის განსახიერება იყო. ყოველ დაძაბულ სიტუაციაში (და თეატრში რა გამოლევს ასეთ სიტუაციებს) ის ხშირ შემთხვევაში ამ მდგომარეობის განმმუხტველად გვევლინებოდა. არასდროს მოგახვევდა თავზე თავის პრობლემებს, პირიქით, ყოველთვის თავად ეხმარებოდა ყველას და საჭირო რჩევებს აძლევდა. ქალბატონი ლიკა ბევრი ცნობილი რეჟისორის ერთგული მეგობარი და მათი სპექტაკლების წარმატების თილისმა იყო. ასეთ ადამიანებზე ამბობენ, კაცი რომ მოკლა, სიტყვა არ დაცდებაო.

უამრავი რამ მახსენდება ქალბატონ ლიკასთან დაკავშირებით. მაგალითად, ჩემი პირველი სპექტაკლი „ბერნარდა ალბას სახლი“ — როგორი მოთმიზებით იტანდა ცნობილი მსახიობი დებიუტანტი რეჟისორის უაზრო შენიშვნებსა და ნერვიულ აფეთქებებს... რა დამაკინებებს „ბერნარდას“ ბანკეტს, სადაც, სამწუხაროდ, ბევრი ადამიანის თეატრალური ბეჭი სხვანაირად წარიმართა. აქაც კი ლიკა ჭავჭავაძეს არ ულალატა ადამიანურმა და არა თეატრალურმა ალღომ და ორი უდიდესი რეჟისორი აშკარა უბედურებას გადაარჩინა... მახსოვს პაკისტანის ფესტივალის დახურვაზე ქალბატონი ლიკას შეუდარებელი ცეკვა, მისი გადამდები, ულამაზესი სიცილი...

1997 წელს რუსთაველის თეატრი შილერის ფესტივალზე გაემგზავრა. ვაიმარში მსოფლიოს სხვადასხვა თეატრის 60 სპექტაკლის ჩენების იყო დაგეგმილი. ჩვენ „მარიამ სტიუარტი“ უნდა გვეთამაშა. ყველანი ვნერვიულობდით, რადგან წინა დღეს თეატრალურმა კრიტიკამ და შილერის სპეციალისტებმა ფრანგების „მარიამ სტიუარტი“ გაანადგურეს. დილით გავიარეთ რეპეტიცია, შემდეგ მსახიობები დასასევნებლად გაეუშვი სასტუმროში და დარბაზში ნერვიულად დავინწყ სიარული აქეთ-იქით. უცებ ლიკას ხმა გავიგე — გოჩინა, ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნებაო. მე აღარავის ველოდი დარბაზში, თურმე ლიკა დარჩენილა ჩემთვის. მერე იქვე კაფეში შევედით, ყავა და ნამცხვრები მივირთვით, ქალბატონმა ლიკამ შოკოლადიც მიირთვა (გიუდებოდა ტკბილეულზე). მსახიობების მოსვლამდე 5-6-ჯერ მოასწრო რეპეტიციის გავლა.

მოსაღამოვდა. ყველანი ვლელავთ. დარბაზში ქ-ნი ნელი ამაშუელი, ბ-ნი ნოდარ კაკაბაძე და მათი კოლეგები სხედან. ბატონმა ნოდარმა მითხრა, შევცდი, გუშინ ასე არ უნდა გამეკრიტიკებინა ფრანგები, დღეს ფრანგი პროფესორი ესწრება სპექტაკლის. მე ვუთხარი, რაც არის, არის, უკანდასახევი გზა არ დარჩა-მეტქი. გავიხედე კულისებში და, არასდროს დამაკინებება ლიკას სახე — ლომებს რომ უშვებენ არნაზე, ისე ელოდებოდა სპექტაკლის დაწყებას. მოხუცი ელისაბედი-ლიკა გამოღილდა პირველი სცენაზე. ისეთი ენერგიით, ნიჭიერებით, ემოციით დაინწყო ლიკამ თამაში, რომ პირველი შვიდი წუთის განმავლობაში 10-ჯერ მოხსნა აპლოდისმენტები. კულისებში ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ — სპექტაკლი ტრიუმფით დამთავრდა და ამ წარმატებაში ლიკას უდიდესი წვლილი მიუღდოდა.

მერე ლიკა რუსთაველის თეატრიდან წავიდა... წავიდა... წარმომიდგენია, ეს სიტყვები რამდენ ტკივილს, მოგონებას, სევდას იტევს... მაგრამ ჩვენ ვთამაშობდით სპექტაკლებს ხან „თავისუფალ თეატრში“, ხან „გაეს სარდაფში“. მოგვიანებით დაწერა წიგნი, სადაც თავისი მოგონებების შესახებ ბევრი რამ დანერა, ბევრი რამ — არა.

ლიკა ჭავჭავაძე იყო აგრეთვე შესანიშნავი სასცენო მეტყველების პედაგოგი და მრავალი სტუდენტი აღზარდა.

ყოველთვის ოპტიმისტი იყო და ეს განწყობა ბოლომდე შემორჩია. ასეთი იყო ჩემთან სატელეფონო საუბრების დროსაც...

ის მოულოდნელად გარდაიცვალა... წავიდა ჩვენგან ჩვენი უფროსი მეგობარი, კოლეგა, ჩვენი წარმატებების თილისმა, შესანიშნავი მსახიობი და სიკეთით სავსე პირვენება — ლიკა ჭავჭავაძე.

მოგვიანებით მიწევს ქალბატონ ლიკაზე წერილის წერა, რისთვისაც პატივებას ვთხოვ მის წათელ სულს!

ლიკა! გვიყვარხარ და გვენატრები!

გორგა კაპანაძე

ზსოვნა

ნეგზარ ლორთქიშვანიძე

ქართულმა თეატრმა დიდი დანაკარგი განიცადა. გარდაიცვალა ნუგზარ ლორთქიშვანიძე — შესანიმნავი რეჟისორი, პედაგოგი, პიროვნება. მსახიობის სახლის დიდ დარბაზში მისულმა მეგობრებმა, კოლეგებმა, თეატრის მოღვაწეებმა რეჟისორის ნიჭის თაყვანისმცემლებმა გულბილი სიტყვებით გააცილეს უკანასკნელ გზაზე ლვანლმოსილი ხელოვანი. ხამდვილი თეატრალური მოღვაწე — ამ ეპითეტით მოიხსენიან. ლორთქიშვანიძე გამოთხვების დღეს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარევ გოგი ქავთარაძე, რომელიც უძღვებოდა გამოსათხოვარ მიტინგს. იგი ამბობს:

— დღეს ჩვენ უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ ნამდვილ თეატრალურ მოღვაწეს. არ გაგიკვირდეთ ეს ფრაზა. ამ ადამიანმა, როგორც პოეტი იტყოდა, მეროჭიკე ბერივით მოიარა მთელი საქართველო და ყველაგან თავისი შემოქმედება დატოვა. ადამიანები, რომლებიც იცნობენ ნუგზარ ლორთქიშვანიძის შემოქმედებას, ბედნიერები არიან, რადგან მისი მეშვეობით ეზიარენ ნამდვილ თეატრალურ ზეიმს. აქ მყოფმა საზოგადოებამ კარგად იცით მისი ფასი და იცნობდით მას პირადად და შემოქმედებითად. დღევანდელი დღე ყოველი ჩვენგანისთვის არის სევდაანიც და ერთგვარად ამაღლებულიც, რადგან ასეთი მეგობარი და კოლეგა გვყვავდა.

გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთვეს



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერივაშვილმა, მ. თუმანიშვილის სახ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ქეთი დოლიძემ, თელავის თეატრის მსახიობმა ვანო იანძბელიძემ, ალ. გრიბოედოვის თეატრის დირექტორმა ნიკოლაი სვენტიცემ, ქუთაისის თეატრის პიარ-მენეჯერმა გვანცა ჯავახაძემ, გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა სოსო ნემისაძემ, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა.

ჩემო ძვირფასო ბატონო ნუგზარ, შენ ნახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე უამრავი მოგონება შენზე, რომელიც სავსეა მხოლოდ სიკეთით, სითბოთი, იუმორით და სიყვარულით. ჩემი და შენი მეგობრობა ოცდაათ ნელს ალემატება და ამ ხნის მანძილზე შენგან მხოლოდ სითბო და გვერდში დგომა მახსოვს, ჩვენ თითქმის ყოველდღიური სატელეფონო კონტაქტი გვქონდა, იმ საზარელ დღესაც კი, როცა განგებამ შენი ნაყვანა გადაწყვიტა შენ დამირეკე და ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ, თითქოს გული გიგრძნობდა, რომ რამოდენიმე საათში წახვიდოდი, რადგან ეს საუბარი გამომშვიდობებას უფრო ჰგავდა. თბილისური პრემიერის წარმატება მისურვე და დამლოცვე: მოსკოვში დმერთი იყოს შენი შემწეო. მადლობა ყველაფრისათვის, იმისათვის რომ ყოველთვის ვგრძნობდი შენს თანადგომას, შენს გულშემატკიცრობას, მადლობა უამრავი რჩევისთვის, რომელიც შენგან მიმილია, მადლობა გრიბოედოვსა და თავისუფალ თეატრში დადგმული სპექტაკლებისთვის, მადლობა თავის დროზე დადგმული საოცარი სპექტაკლისათვის „ნუთისუფელი ასეა“, რომელმაც პირადად ჩემზე, გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა და დღემდე ვთვლი, რომ ის ქართული თეატრის ერთ-ერთი აბსოლუტური შედევრია, მადლობა საქართველოს რეგიონებში შენს მიერ დადგმული ყველა სპექტაკლისათვის, რადგან ამ სპექტაკლების გარეშე იმ თეატრებს დღეს არც დასი ეყოლებოდათ და არც მაყურებელი. შენთან მეგობრობა პატივი იყო ჩემთვის და მინდა მადლობა გადაგიხადო ამ პატივისათვის. შენ მუდმივად მიყვებოდი ისტორიებს ქართულ თეატრზე, მის ერთგულ, ლეგენდარულ დარაჯებზე, რადგან უსაზღვროდ გიყვარდა ქართული თეატრი და იცოდი მისი ფასი, ცოტა ვინძებ იცის და ესმის ამ ქვეყანაზე თეატრი ისე როგორც შენ იცოდი და გესმოდა. ცოტა ვინძე ვიცა, ვისაც შეუძლია სპექტაკლის ანალიზი ისე როგორც შენ შეგეძლო. გერჩუბებოდი კიდეც, წიგნს როგორ არ გამოსცემ, როცა ამდენი რამ იცი-თქო, გეცინებოდა და იძალი არა ეგ ჩემი საქმეო. და აი ეხლა შენ იქ ხარ, იმ სამყაროში, სადაც შენი ისტორიების ლეგენდარული გმირები არიან, მათთან ხარ, რადგან თვითონ ხარ ქართული თეატრის ერთი გამორჩეული ლეგენდარული დარაჯი. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

ლადო მაქვაბიშვილის სიკვენას

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის დასს მისი უხუცესი წევრი გამოაკლდა. 88 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, „ქართული თეატრის ვარსკვლავი“ ბატონი ვლადიმერ (ლადო) მექვაბიშვილი.

ბატონმა ლადომ სამსახიობო მოღვაწეობა ოზურგეთის ა. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრში დაიწყო. 1964 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი იყო.

ლადო მექვაბიშვილმა თეატრის სცენაზე განსახიერებული პირველივე როლიდან მიიქცია ყურადღება და თეატრის აქტიურ და წამყვან მსახიობად იქცა. ფლობდა გარდასახვის იშვიათ უნარს, რაც საშუალებას აძლევდა მას გამოევლინა თავისი აქტიორული შესაძლებლობები, როგორც კლასიკურ დრამატურგიაში, ისე საბავშვო პიესებში.

მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ბაბუა - „ბაბუა და შვილიშვილი“ (ე. ახვლედიანი), მეფე - „წაცარქექია“ (გ. ნახუცრიშვილი), შუშანა - „მოევეთილი“ (ვაჟა ფშაველა), ლადიკუნა - „აცა-ბაცა“ (ქ. ჭილაძეილი), სიმოზიკა - „უბედურება“ (დ. კლდიაშვილი), ჯემალა - „მაია წყნეთელი“ (ვ. კანდელაკი), სერაპიონ გორდელაძე - „ქამუშაძის გაჭირვება“ (დ. კლდიაშვილი), მისტერ ბინსკი „მერი პოპინსი“ (პ. ტრავერსი), კარლსონი - „ბიქუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“ (ა. ლინდგრენი), ბაბაიანცი „კუკარაჩა“ (ნ. დუმბაძე) და სხვ.

ლადო მექვაბიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული ოცდაათამდე მხატვრულ ფილმსა თუ სატელევიზიო სპექტაკლში. უკანასკნელ წლებში აქტიურად თანამშრომლობდა ტელევიზიებთან, მას ხშირად იღებდნენ ტელესერიიალებში.

ბატონ ლადოს შემოქმედებითი პაუზა პრაქტიკულად არ ჰქონია. იგი მუდამ საჭირო მსახიობი გახლდათ. საკმარისი იყო მოზარდ მაყურებელთა თეატრში, მცირე ხნით არ გაენანილებინათ რომელიმე ახალ პიესაში, თანხმდებოდა სხვა თეატრების რეჟისორებს საინტერესო სამუშაოს შეთავაზებისთანავე. მონაწილეობდა მეტეხის, ახმეტელის, კოსტავას, კვერნენბილაძის სახელობის თეატრების რეპერტუარის სპექტაკლებში. დიდი წლილი შეიტანა ლიტერატურული თეატრის საქმიანობაში. მოზარდ მაყურებელთა თეატრში რემონტის პერიოდში, რომელიც 3-4 წელიწადს გარდელდა, აქტიურად ჩაეტანა სწორედ ლიტერატურული თეატრის ცხოვრებაში და არა ერთი დასამახსოვრებელი სახე შექმნა.


ლადო მექვაბიშვილს ძალიან უყვარდა თავისი მაყურებელი, განსაკუთრებით მოზარდები. ამანაც განაპირობა მოზარდ მაყურებელთა თეატრის პარალელურად ლიტერატურული თეატრისადმი მისი ასეთი ინტერესი. იგი ეკუთვნიდა იმ მსახიობთა რიცხვს, რომელთაც მთელი შეგნებით ჰქონდათ გაცნობიერებული, რამხელა მისიაა, ითამაშო მოზარდი მაყურებლისთვის.

მისი დაბადებიდან 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით 2013 წელს მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ მსახიობის ვარსკვლავი გაიხსნა.

წავიდა ვალმიოხდილი. დატოვა უამრავი სცენური თუ ეკრანული სახე, სიკეთის ქმნის, მეგობრობის, გვერდში დგომის უამრავი მაგალითი.

წელს მოზარდ მაყურებელთა თეატრის საიუბილეო წელია და ერთადერთი რა სურვილიც ვერ აისრულა, ამ იუბილეში მონაწილეობა იყო. თუმცა მისი სახელი დარჩება მოზარდ მაყურებელთა თეატრის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული შემოქმედისა.

ლმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.



საბაზევო არტისტი

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი გამოემშვიდობა მისი დასის უკანასკნელ სახალხო არტისტს — იზოლდა (ფისო) ელისაშვილს. მისი ამ თეატრთან თანამშრომლობა ძალიან დიდი ხნის წინ დაიწყო, მაშინ, როდესაც თეატრი მელიკ აზარიანცის სახლის პირველ სართულზე მდებარეობდა, მაშინ როდესაც ბრნეინავდნენ ვარსკვლავი-მოზარდელები: გოგუცა კუპრაშვილი, თამარ თვალიაშვილი, მერი ერგნელი, ლეილა ძიგრაშვილი თუ სხვანი, იზოლდა ელისაშვილმა მოახერხა საკუთარი შემოქმედებითი ნიჭით ამ შესანიშნავი არტისტების გვერდით დგომა და მათი ლირ-სეული პარტნიორობა. იყო როლები, იყო მთავარი როლები, იყო შეხვედრები, დისპუტები, იყო ყველაფერი, რასაც მოითხოვდა საბჭოთა იდეოლოგიაზე დაფუძნებული მოზარდთა თეატრის საქმიანობა, თუმცა ერთეულები იმ რეალობაშიც ახერხებდნენ მაღალმხატვრული სახეების შექმნას და ო. ელისაშვილი ამ მხრივ ნამდვილად მისაბაძი და გამორჩეული მსახიობი გახლდათ.

ქალბატონი იზოლდას მიერ შესრულებული როლებია: იურა უზუმავი (ა. ხმელიკი „ჯართი“, რეჟ. შ. განერელია), გრიშუტკა (ვ. დარასელი „კიკიძიძე“, რეჟ. გ. უურული), ნადია (ი. პოპოვი „ოჯახი“, რეჟ. კ. სურმავა), მზია (გ. ბერძენიშვილი „კოჭლი მენისქვილე“, რეჟ. ს. ჭელიძე), თინა (გ. ნახუცრიშვილი „ცეცხლის ხაზზე“, რეჟ. დ. სულიაშვილი), აცა (ქ. ჭილაშვილი „აცა-ბაცა“, რეჟ. შ. განერელია), რუსლანა (ნ. ფომიჩევა „ასე იწყება ცხოვრება“, რეჟ. თ. თვალიაშვილი), კაკო (ა. თაბორიძე „დაკარგული დრო“, რეჟ. მალვა განერელია), ნანა (გ. ქელბაქიანი „დედინა(ცვალი“, რეჟ. ს. ჭელიძე), ჯიმი (რ. სტივენსონი „განძთა კუნძული“, რეჟ. შ. განერელია), თინა (გ. ნახუცრიშვილი „ბორის ძნელაძე“, რეჟ. ს. ჭელიძე), კოლკა (დ. თაქთაძეშვილი „ნევის შევარდენი“, რეჟ. კ. სურმავა), სესილი (ბ. ზაიაცკი „რობინ ჰუდი“, რეჟ. რ. აბულაძე), ვივა (ს. მიხალკოვი „სომბრერონ“, რეჟ. კ. სურმავა), ბებია (თ. მაღალაშვილი „სად ხარ სოფიკო“, რეჟ. თ. მაღალაშვილი), ეტიენი (კ. სოლლიდარი „მარსელელი ბიჭები“, რეჟ. ო. ალექსიშვილი), ნითელქუდა (ე. შვარცი „წითელქუდა“, რეჟ. ა. თაყაიშვილი) და მრავალი სხვა.

იზოლდა ელისაშვილმა მთელი შემოქმედებითი ცხოვრება დაუკავშირა მოზარდს - როგორც ამ თეატრს თბილისელ ახალგაზრდა მაყურებელთა თაობები უნიდებდნენ. როლების ჩამონათვალიც ცხადყოფს, რომ თამაშობდა როგორც ბიჭებს, ისე გოგონებს, ზღაპრების გმირებს, ქართველებსა თუ უცხოელებს. გატაცებით, სიყვარულით და იმ განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით, რომლითაც მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები არიან აღვისილი, რადგანაც კარგად ესმით, რომ ბავშვების წინაშე სცენაზე გამოსვლა, განსაკუთრებულად საპატიო და როულია, რომ ბავშვის მოტყუება არ შეიძლება და ვერც მოატყუებ და თუ ის ტაშს მაინც გიკრაგს — ეს ნიშნავს, რომ შენი მსახიობური საქმე კარგად შეგისრულებია.

იზოლდა ელისაშვილი ნახევარი საუკუნის მანძილზე მოღვაწეობდა თეატრში — ბავშვებს აზიარებდა თეატრალურ ხელოვნებას, აღძრავდა მათში სილამაზისა და სიკეთისადმი სიყვარულს, ამხედრებდა ბოროტების წინააღმდეგ... და იგი დღეს აღარ არის. წავიდა ღვაწლმოსილი და ამაგდარი... საბავშვო სახალხო არტისტი.

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი



ჯემალ ქირია

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს გამოაკლდა თეატრის გულშემატკივარი, მეგობარი, ღირსეული პიროვნება, თეატრის დირექტორი, ჯემალ ქირია.

ჯემალ ქირია დაიბადა 1956 წლის 7 ივნისს. სკოლა დაამთავრა ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში. 1974 წელს დაიწყო მუშაობა კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სცენის მემანქანედ. 1981 წელს ჩააბარა მოსკოვის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტში („გიტისი“) და დაამთავრა 1986 წელს თეატრის ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტი. 2004 წლიდან გარდაცვალებამდე იყო თეატრის დირექტორი.

ჯემალ ქირიას გარდაცვალებამ ძალიან ბევრ ადამიანს დაწყვიტა გული, განსაკუთრებით კი მისი თეატრის კოლექტივს, რომელიც ოჯახისგან არასდროს განუსხვავებია.

უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი.

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი



ჯემალ ქირია თეატრისათვის თავგაბადებული კაცი იყო. მას თეატრი, მისი ავ-კარგი, სიახლეები, წარმატებები ასულდებულებდა, ამით ცოცხლობდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ სხვა არც არაფერი აინტერესებდა.

თითქოს მასზე იყო ნათქვამი: „ის ვინც სცენის მტვერს ერთხელ მაინც ჩაისუნთქაეს, მთელი ცხოვრება თეატრის ტყვეობაში დარჩებაო“. ის სოხუმის თეატრში 42 წლის წინათ მოიყვანეს სცენის მუშად, მერე იყო ამავე თეატრის გამნათებელი, ხმის რეჟისორი. თეატრის ნორმალური არსებობისთვის (მოქმედებისთვის) საჭირო თითქომის ყველა საფეხური გაიარა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩააბარა მოსკოვის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტში ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტზე. თეატრის დირექტორად კი უკვე თბილისში, 2004 წელს დაინიშნა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ის ერთადერთი დირექტორი იყო, რომელიც თავისი პროფილით მუშაობდა. თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, მას თეატრში მუშაობისას ყველა მიმართულებით, იმდენი გამოცდილება დაუგროვდა, რომ ისედაც შესანიშნავი დირექტორი იქნებოდა.

აფხაზეთის ომის პერიოდშიც ჯემალის ერთი დღეც არ დაუტოვებია სოხუმი, მშობლიური თეატრი. ერთად ვიზიარებთ თავს დატეხილ ჭირ-ვარამს, ჭუბერის გოლგოთაც ერთად გამოვიარეთ და ყველგან, ყველა სიძნელეს ლირსეულად ართმევდა თავს.

ნიშანდობლივია, რომ ჯემალმა ოჯახიც თეატრის წილში შექმნა, მისი მეუღლე - ქალბატონი ლეილა თეატრში გაიცნო; აქ შექმნეს ოჯახი და ბილომდე ერთად ენეოდნენ ცხოვრების ჭაპანს. რა თქმა უნდა, სულ სხვაა, როცა მეუღლეები თანამოაზრები არიან და ამგვარი მეუღლის დაკარგვა კიდევ ორმაგი ტრაგედია.

ჯემალის ერთი ქალისვლი დარჩა - თამარი, რომელიც იტალიაში ცხოვრობს. არც თამარმა უდალატა ოჯახის ტრადიციას და ხელოვნების სამსახურს მიუძღვნა თავი.

ვუსამძიმრებ მათ კიდევ ერთხელ ღირსეული მეუღლისა და მამის უდროოდ დაკარგვას.

მიმართია, რომ სამძიმარი თეატრს და მათ შორის მეც მეყუთვნის. ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ, რომ სოხუმის თეატრი ხვალ, ზეგ და მუდამ იყოს ისეთი, როგორც ჯემალის გაუსარდებოდა.

მნამს მის სული უკვე შეუერთდებოდა ზეციურ საქართველოში გადასულ სოხუმის თეატრის მსახიობებისა თუ სხვა თანამშრომლების სულს და ისინი შინ ჩვენი დაბრუნებისთვის იქდან ილოცებენ.

დიმიტრი ჯაიანი

30 წელი ... 30 წელი ერთად... სოხუმი... გასტროლები... ეროვნული მოძრაობა... მიტინგები... ქაოსი... სამოქალაქო ომი...

2003 წელი... (მაშინ ჩვენ უმცირესობაში ვიყავით)... ისევ ქუჩა, საკნები, 7 ნოემბერი, 26 მაისი ... და ა.შ.

2010 წელი. თეატრის გარეშე 4 წელი, თეატრის გარეშე, რომელიც ძალიან გვიყვარდა... უზომიდ, საკუუთარ თავზე მეტად... მთელი ეს 30 წელი უკეთესი მომავლის იმედით გავატარეთ... ჩვენი საერთო სატკივარის — სოხუმის თეატრთან ერთად.. ხშირად ბრაზდებოდი და მოითხოვდი შენნაირად ყვარებოდათ სოხუმის კ. გამსახურდიას თეატრი... შენნაირად შეუძლებელია უყვარდეთ... შენ სიყვარულში ზომიერებას არ, თუ ვერ იცავდი... ძალიან გვიჭირს... შენ „ბევრი“ იყავი, ძალიან „ბევრი“...

რა ძნელი და რთული ყოფილხარ გადასატანად. ამდენი წელი... რამდენი სიხარული, ტკივილი, წარმატება, დამარცხება გადავიტანეთ ერთად... ახლა კი ეს ტკივილი ჩვენი გადასატანა, შენს გარეშე.

ლილი და ნანა ხურითაგი